მორის მეტერლინკი

დამარხული ტაძარი

ფრანგულიდან თარგმნა
დათო აკრიანმა

შინაარსი

სამართლიანობა.....5

საიდუმლოს ევოლუცია.....77

მატერიის მეუფება.....122

წარსული.....142

იღბალი.....160

მომავალი.....194

შენიშვნები.....211

ოქტავ მირბოს
მისით აღტაცებული მეგობრის, მ.მ.-სგან

სამართლიანობა

I

მე ვლაპარაკობ ყველა იმათ სანაცვლოდ, ვისაც არ სწამს ერთადერთი, ყოვლისშემძლე და უცდომელი მსაჯულის არსებობა, მსაჯულის, რომელიც — დღე-დაღამ ჩვენს ფიქრებს, გრძნობებს, მოქმედებებს მიყურადებული — სამართალს იცავს მიწაზე, შევსებით კი სადღაც სხვაგან ავსებს და ასრულებს. თუკი მსაჯული არსად არის, არსებობს კი მაშინ რომელიმე სხვა სამართალი, გარდა ადამიანთა მიერ ორგანიზებულისა (არა მხოლოდ მათი კანონებით და სამსჯავროებით, არამედ პოზიტიურ განსჯას დაუქვემდებარებელ ყოველგვარ სოციალურ ურთიერთობებშიც), სამართალი, რომელსაც, როგორც წესი, მხოლოდ გარშემომყოფთა ნდობა-არნდობა, გამართლება-გაუმართლებლობა ადასტურებს? მეტი აღარაფერია მის ზემოთ? მიესადაგება და ხსნის თუ არა საზოგადოებრივი სამართალი იმას, რაც სამყაროში ხშირად იმდენად აუხსნელი ჩანს, რომ ადამიანები თითქოს იძულებულნიც კი არიან ირწმუნონ გონიერი მსაჯულის არსებობა? როდესაც მოყვასს ვატყუებთ ან ვამარცხებთ, ვატყუებთ და ვამარცხებთ თუ არა ამ დროს სამართლიანობის ყველა ძალას? ეგებ ყველაფერი მკაცრად დადგენილ-განსაზღვრულია და აღარაფრის უნდა გვეშინოდეს?ან, ეგებ, არსებობს უფრო სერიოზული და ცდომილებას უფრო ნაკლებად დაქვემდებარებული სამართალიც — ნაკლებად ხილული, მაგრამ უფრო ღრმა, უფრო უნივერსალური და უფრო ძალმოსილი?

ვის შეუძლია უარყოს, რომ სამართლიანობა არსებობს, და ვინ არ გრძნობს, რომ იგი წინაღუდგომელია, მთელ ადამიანურ სიცოცხლეს მოიცავს და მის გულის-გულშიც ისეთი გონიერება სუფევს, რომელიც არასო-

დეს ტყუვდება და ამიტომ ჩვენც აღარ ვცრუობთ? მაგრამ სად მოვათავსოთ იგი მას შემდეგ, რაც ზეციდან გამოვაძევეთ? სად ბინადრობს, საიდან განსაზღვრავს კეთილს და ბოროტს, ბედნიერებას და უბედურებას? აი, კითხვები, რომლებსაც მაინცდამაინც ხშირად არ ვუსვამთ ჩვენს თავს. არადა, ეს ხომ მნიშვნელოვანი კითხვებია, რადგან ის ადგილი, სადაც იმყოფება და საიდანაც მოქმედებს სამართლიანობა, რათა დაგვსაჯოს ან დაგვაჯილდოვოს, განსაზღვრავს როგორც მის ბუნება-ხასიათს, ისე მთელ ჩვენს მორალურ ამიტომაც არ იქნებოდა უსარგებლო გამოგვეკვლია, რა ადგილი უჭირავს სადღეისოდ ადამიანთა გულსა და გონებაში ამ უზენაესი და იდუმალი სამართლიანობს დიდ იდეას, არაერთგზის რომ შეცვლილა ადამიანური ისტორიის დასაწყისიდან დღემდე. გარდა ამისა, განა ეს საიდუმლო ჩვენთან შეხებაში მყოფ საიდუმლოთაგან უმაღლესი და უმხურვალესი არ არის? განა სწორედ ის არ ეხება სხვა საიდუმლოთა უმრავლესობას და თავისი რხევებითაც ყველაზე სიღრმისეულად არ გვარყევს? შესაძლოა, ადამიანთა დიდი ნაწილი ვერც აცნობიერებდეს ამ რხევებს და ტრანსფორმაციებს. სულაც არ არის აუცილებელი, რომ აზრის განვითარების გზებზე უკლებლივ ყველა ადამიანს ნათელი ცნობიერება ჰქონდეს. სხვათა შორის, სრულებით საკმარისია თუნდაც რამდენიმე მათგანმა გააცნობიეროს, რომ მობდა გარკვეული ტრანსფორმაცია, რათა საყოველთაო მორალმა ნელ-ნელა შესაბამისი ნაყოფი გამოიღოს.

II

ბუნებრივია, შევეხებით სოციალურ სამართლიანობასაც, ანუ იმას, რომელსაც ყოველდღიურად მივაგებთ ერთმანეთს. თუმცა არაფერს ვი-

ტყვით ლეგალურ ანუ პოზიტიურ სამართალზე, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სოციალური სამართლიანობის ერთი ორგანიზებული ნაწილი. უწინარეს ყოვლისა, განვიხილავთ იმ ბუნდოვან, მაგრამ ქმედით, მოუხელთებელ, მაგრამ გარდაუვალ სამართლიანობას, რომელიც თან სდევს და განწონის, ამართლებს ან არ ამართლებს, სჯის ან აჯილდოვებს ყოველ ჩვენს ცხოვრებისეულ ქმედებას. გარედან ხომ არ მოდის ის? საერთოდ, არსებობს თუ არა ადამიანისგან დამოუკიდებლად, საკუთრივ სამყაროში და საგნებში, რაიმე ურღვევი და უტყუარი ზნეობრივი პრინციპი? ანუ, ერთი სიტყვით, არსებობს თუ არა სამართლიანობა, რომელსაც *ფიზიკურ სამართლიანობას* ვუწოდებდით? და თუნდაც მთლიანად ადამიანისგან გამოდიოდეს, — არის თუ არა ის *მთლიანად შინაგანი* იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც *გარეთ* მოქმედებს? და თუ ყველაფერს მოკლედ შევაჯამებთ, იქნებ მხოლოდ *ფსიქოლოგიური სამართალი* არსებობს? ვფიქრობ, ეს ორი ტერმინი — ფიზიკური და ფსიქოლოგიური — მოიცავს მრავალგვარ ფორმას სამართლიანობისა, რომელიც, ჩვენი აზრით, დღესაც არსებობს სოციალური სამართლიანობის ზემოთ.

III

მას შემდეგ, რაც დატოვებს პოზიტიური რელიგიის, როგორც ასეთის, იოლ და ხელოვნურად განათებულ ბილიკებს, არა მგონია, ილუზიებს და საიდუმლოებს ყველაზე უფრო ღრმად დახარბებული კაცი (თუ იგი წრფელად და ყურადღებით ჩაეკითხება საკუთარ გამოცდილებას, თუ მზერას მიაპყრობს გარეგან ბოროტებებს, ბრმად რომ

ატყდებიან თავს კეთილებსაც და ბოროტებსაც) კიდევ დიდხანს დაეჭვდეს შემდეგ ჭეშმარიტებაში: იმ სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არ არსებობს ზნეობრივი მიზეზებიდან მომდინარე ფიზიკური სამართალი. ეს უკანასკნელი თავს გვამცნობს მემკვიდრეობის, სნეულების, ატმოსფერული ან გეოლოგიური მოვლენების თუ სხვა ყოველგვარი წარმოსადგენი ფორმით. მიწა, ცა, ბუნება, მატერია, ეთერი თუ ჩვენთვის ცნობილი რომელიმე სხვა ძალა, გარდა საკუთრივ ჩვენში არსებულისა, არ ფიქრობს სამართლიანობაზე, არანაირ მიმართებაში არ არის ჩვენს მორალთან, აზრებთან და ზრახვებთან. გარესამყაროსა და ჩვენს მოქმედებებს შორის არსებობს მხოლოდ მარტივი მიზეზ-შედეგობრივი, თავისი არსით არაზნეობრივი კავშირები. თუკი მე ვიდენ ამა თუ იმ წინდაუხედაობას ან რაიმე ექსცესურ საქციელს, მაშინ თავს საფრთხეში ვიგდებ და რაღაც ფორმით ვალს ვუბრუნებ ბუნებას. და რამდენადაც, უხშირეს შემთხვევაში, ექსცესისა თუ წინდაუხედაობის მიზეზი ისაა, რასაც ჩვენ *უზნეოს* ვუწოდებთ, — რაკი იძულებული ვართ ჩვენი ცხოვრება ჩვენივე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პატარ-პატარა მოთხოვნებს შევუთავსოთ, — ამდენად, ვერ ავიკრძალავთ — დავამყაროთ გარკვეული მიმართება უზნეო მიზეზსა და მოვლენილ საფრთხეს ან დასაბრუნებელ ვალს შორის, და ასე დავიბრუნოთ ნდობა სამყაროულ სამართლიანობაში, ნდობა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა, ჩვენს გულში ყველაზე ღრმად ჩაფესვილი ცრურწმენა. მაგრამ ამ რწმენის დაბრუნებით ჩვენ მხედველობიდან ვუშვებთ იმას, რომ ზუსტად იგივე მოხდებოდა, თუ ექსცესს ან წინდაუხედაობას განაპირობებდა უმანკო ან ჰეროიკული მიზეზი (თუ ბავშვურ ლექსიკას მოვუხმობთ). გაყინულ წყალში ვხტები მეორე ადამიანის გა-

დასარჩენად თუ იმისთვის, რომ თანამოძმეც გადავიყოლო, — ამას, გაციების თვალსაზრისით, ჩემი ორგანიზმისთვის სრულებით იდენტური შედეგები მოჰყვება. და მიწაზე თუ მთელ ცისქვეშეთში, ჩემსა და მოცემულ ინციდენტში მოხვედრილი მეორე ადამიანის გარდა (თუ მას ეს ძალუძს), ვერაფერი გაზრდის ჩემს ტანჯვას, თუნდაც დანაშაული ჩავიდინე, და ვერ შეამცირებს ჩემს ტკივილებს, თუნდაც სათნოება მოვიმოქმედე.

IV

შევეხოთ ფიზიკური სამართლიანობის სხვა ფორმას: მემკვიდრეობითობას. მორალური მიზეზების მხრივ, აქაც იმავე უმეცრებასა და განურჩევლობას ვაწყდებით. უნდა გამოვტყდეთ: უცნაური სამართალი იქნებოდა ის სამართალი, რომელიც შვილსა და ბადიშიშვილს მამის თუ პაპის მამის მიერ ჩადენილი შეცდომის სიმძიმეს დაატეხავდა. თუმცა ასეთი სამართალი ადამიანურ მორალს არ დაუპირისპირდებოდა — ადამიანი მას უმტკივნეულოდ მიიღებდა. პირიქით: ის ბუნებრივი, გზნებით აღსავსე, გრანდიოზულიც კი გამოჩნდებოდა; განუსაზღვრელად განავრცობდა ჩვენს ინდივიდუალობას, ცნობიერებასა და არსებობას და, ამ თვალსაზრისით, მიესადაგებოდა მრავალზე მრავალ მოვლენას, რომლებზეც არ კამათობენ და რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავით დასაზღვრული არსება კი არ არის, არამედ არაერთი უფაქიზესი და ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი ძაფი აკავშირებს ყოველივე გარემომცველთან, ყველაფერ იმასთან, რაც ცხოვრებაში წინ უსწრებს და რაც უკან მოჰყვება.

მაგრამ თუ ეს სიმართლეა ზოგიერთი თვალსაზრისით, ფიზიკური მემკვიდრეობითობის სამართლიანობას მაინც ვერ მიესადაგება. ასეთი მემკვიდრეობითობა არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ მოქმედების მორალურ მიზეზებს, რომლის შედეგებისთვისაც შთამომავლები იხდიან. თავისი ჯანმრთელობის ხიფათში ჩამგდებ მამასა და მისი ვაჟიშვილის სატანჯველს შორის არსებობს ფიზიკური კავშირი, მაგრამ მამის ზრახვები, მამოძრავებელი მოტივები — დანაშაულებრივი თუ ჰეროიკული — ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს შვილის მიერ გადასატან ტანჯვაზე. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ფიზიკური მემკვიდრეობითობის ეგრეთწოდებული „სამართლებრივი" სფერო აშკარად მეტისმეტად შეზღუდულია. რომელიმე მამას შეიძლება ჩადენილი ჰქონდეს უამრავი საზიზღარი შეცდომა — მკვლელობა, სულმდაბლური ღალატი, უმანკოთა დევნა, უბედურთა ჩაგვრა, მაგრამ მისი შვილების ორგანიზმში ამ ყველაფერს იოტისოდენა კვალიც არ დაეტოვებინოს. საკმარისი იყო, ამ კაცს არაფერი ექნა ისეთი, რაც შვილებს ჯანმრთელობას დაუქვეითებდა.

საბოლოოდ, მემკვიდრეობის სამართალი, არსებითად, მხოლოდ ორგვარ შეცდომას თუ განსჯის: ალკოჰოლიზმს და აღვირახსნილობას. მაგრამ თუ ალკოჰოლიზმი საკმაოდ სახიფათო და ხშირად ძალზე დანაშაულებრივი მანკიერებაა, ის არცთუ იშვიათად სისუსტე უფროა, ვიდრე დანაშაული, და ზოგ შემთხვევაში ძნელიც კი იქნებოდა წარმოგვედგინა მასზე უფრო ნაკლები ბოროტება და ნაკლები სიმახინჯე. ასე რომ, აუხსნელია, რატომ განსჯის სამყაროს მორალი ეგზომ საგანგებოდ, ეგზომ საშინლად და, ასე ვთქვათ, ეგზომ სამარადისოდ შედარებით უცოდველ შეცდომას მაშინ, როცა ყურსაც არ

იბერტყავს მშობლის მკვლელზე, ადამიანის მომწამ-ველელზე თუ ჯალათზე.

რაც შეეხება აღვირახსნილობას (სხვა ბოროტ-ებებს შორის, მართლაცდა, ყველაზე საშიშს), ის შთა-მომავლობისთვისაც ყველაზე საბედისწეროა და ხშირად დაუსჯია კიდეც ეს უკანასკნელი. მაგრამ, საგანთა სამართლის მხრივ, აქაც ზნეობრივ მიზეზ-თა იმავე უგულებელყოფას და სიბრმავეს ეპოუ-ლობთ. ზნეობრივი აზრით, აღვირახსნილობის აქტი, შესაძლოა, მონსტრუზოული იყოს, ეგებ საზარელი მაქინაციებით მომზადდა და აწ ერთიანად დანთქმუ-ლა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, სასო-ნარკვეთისა და ცრემლების მორევში. მეორეს მხრივ, ის შეიძლება ინდიფერენტული და თვით უმანკოც კი იყოს. საგანთა სამართლიანობას ეს არ ანაღვლებს და იქიდან გამომდინარე გვატყდება, ვიღებთ თუ არა სიფრთხილის ზომებს შემთხვევის სიხშირისდა მიხედვით და ხშირად ალალბედზეც, მაგრამ არა-სოდეს უწევს ანგარიშს მისი მსხვერპლის სულიერ მდგომარეობას. სხვა მხრივ, აღვირახსნილობის თაო-ბაზე იგივე შეგვეძლო გვეთქვა, რაც ალკოჰოლიზმის შესახებ: რატომ ისჯება საგანგებოდ და თითქმის უსასრულოდ ხშირ შემთხვევაში სრულიად უწყინარი დანაშაული? არსებობს აღვირახსნილობები, რომ-ლებიც ცივი და ამაღლებული, ანუ უზენაეს სამარ-თალთან ნაზიარები გონების თვალში გაცილებით ნაკლებად ბრალეული ჩანს, ვიდრე მრავალი სულ-მდაბალი აზრი და მანკიერი გრძნობა, შეუმჩნევლად რომ ჩაგვივლის ხოლმე გულში. დაბოლოს, ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ ან მოვძებნოთ ისეთი შემ-თხვევები, როდესაც უწესიერესი კაცის შვილები ან შვილიშვილები გამოუსყიდველად ისჯებიან თავი-ანთ გონებაშიც და სხეულშიც, რაკი მათი მშობელი მისაღებად სცნობს უკურნებელი ბოროტების ჩადე-

ნას ისეთი მოქმედების აღსრულებაში, რომელსაც — უსაფუძვლოდ ან საფუძვლიანად — გამოსწორების, თავგანნირვის, მსხვერპლისა თუ ერთგულების გამომხატველ აქტად მიიჩნევს.

V

აი, ბუნების სამართალი ფიზიკური მემკვიდრეობითობის შემთხვევაში. რაც შეეხება ზნეობრივ მემკვიდრეობითობას, არც მისი პრინციპები ჩანს განსხვავებული, მაგრამ რამდენადაც აქ საქმე ეხება გონებისა და ხასიათის გაცილებით უფრო რთულ და მოუხელთებ სახეცვლილებებს, ამდენად, აქ მოვლენები ნაკლებად თვალსაჩინო და ნაკლებად უეჭველია. ზნეობრივი მემკვიდრეობითობა (პათოლოგიის სფეროში მაინც, რომელიც საკმაოდ ნიშანდობლივი სფეროა გადამწყვეტ დაკვირვებათა ჩასატარებლად) სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკური მემკვიდრეობითობის სულიერი ფორმა: პირველი მეორის ამოსავალი პრინციპია, მეორე — პირველის გაგრძელება და, სამართლიანობის თვალსაზრისით, ზნეობრივი მემკვიდრეობითობის დასაბამშიც, შესაბამისად, იმავე განურჩევლობას და დაბრმავებას ვპოულობთ. როგორი დაცემული ან უცოდველიც უნდა იყოს ალკოჰოლიზმის თუ აღვირახსნილობის ზნეობრივი მიზეზი, ლოთის ან აღვირახსნილის შთამომავლებმა შეიძლება ერთნაირი დარტყმა მიიღონ სულშიც და სხეულშიც, ანუ თითქმის გარდაუვლად მოელით ისეთივე ინტელექტუალური ზიანი, როგორიც მატერიალური. და ნაკლებად მნიშვნელოვანია, გიჟები არიან ისინი, იდიოტები თუ ეპილეფსიით დაავადებულნი, შეუკავებელი კრიმინალური ინსტინქტით შეპყრობილნი თუ ისეთები, უმცირეს დაბრკოლებებთან შეხ-

ვედრაც რომ უკარგავს წონასწორობას: — აი, სული, რომელსაც სხეულთან ერთად შეეხნენ, და ყველაზე თავზარდამცემი მორალური ტკივილი, რომელიც შეიძლება მოიფიქროს ამ დროს უზენაესმა სამართალმა (თუ რომელიღაც ნამს სამართლის საკითხი დაისმება), ტკივილი მისადაგებული იმ ქმედებებთან, რომლებშიც, ჩვეულებრივ, ნაკლები ბოროტება ხდება და რომლებიც თითქმის ყოველთვის ნაკლებ ზნედაცემულობას შეიცავს, ვიდრე ასობით სხვა ქმედებანი, რომელთა დასჯა ბუნებას აზრადაც არ მოსდის. მეტიც: ტკივილი ბრმად იქნა მიყენებული, არავითარი ანგარიში არ გაეწია ამ ქმედებათა ეგებ საპატიო, ეგებ უანგარო, ეგებ ჩინებულ მოტივაციებს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ზნეობრივ მემკვიდრეობითობაში ანგარიშგასაწევია მხოლოდ ალკოჰოლიზმი და ალვირახსნილობა? არანაირად. ეს აბსურდი იქნებოდა. გასათვალისწინებელია უამრავი მეტ-ნაკლებად უცნობი ფაქტორი. ზოგიერთი ზნეობრივი თვისება ისევე გადაეცემა მომდევნო თაობას, როგორც ზოგიერთი ფიზიკური მსგავსება. ამა და ამ რასაში თითქმის გამუდმებით ვხვდებით ამა და ამ, როგორც ჩანს, შეძენილ სათნოებებს. მაგრამ როგორია მაგალითის, გარემოს, მემკვიდრეობითობის წილი? პრობლემა იმდენად რთულდება, იმდენად ხშირად გამორიცხავენ ფაქტები ერთმანეთს, რომ უკვე შეუძლებელი ხდება აურაცხელი მიზეზების გროვაში ერთი დადგენილი მიზეზის მიდევნა. საკმარისია დავასკვნათ, რომ თვით „სუფთა“ ანუ თვალსაჩინო და გადამწყვეტ შემთხვევებში, სადაც შეიძლებოდა თავი ეჩინა წინასწარგანზრახულ სამართალს, მის კვალს ვერსად ვპოულობთ. და თუ იქ ვერ ვპოულობთ, მაშინ სხვაგან პოვნა მით უფრო გაგვიჭირდება.

VI

ამრიგად, ვერ ვიტყვით, რომ სადმე — ჩვენ ზემოთ, ქვემოთ, ირგვლივ, ამ ცხოვრებაში, შემდგომ ცხოვრებაში, რომელიც არის ჩვენი შვილების ცხოვრება — ვხედავთ წინასწარგანზრახული სამართლიანობის კვალს. მაგრამ დედამიწაზე ცხოვრებასთან ადაპტირების კვალდაკვალ, ბუნებრივად მივედით იქამდე, რომ ჩვენივე მორალით გავუღინთეთ მიზეზობრიობის ის პრინციპები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, ისე რომ სადღეისოდ არსებობს ნამდვილი სამართლიანობის სრულებით საკმარისი მოჩვენებითობა, სამართლიანობის, რომელიც სჯის ან აჯილდოებს ჩვენს მოქმედებათა დიდ ნაწილს იმისდა მიხედვით, რამდენად შორდებიან ან უახლოვდებიან ეს მოქმედებები კაცთა მოდგმის შენარჩუნებისთვის აუცილებელ კანონებს. სავსებით ნათელია, რომ თუკი ჩემს მინდორზე ვთესავ, მოსავლის აღების ასგზის უფრო მეტი შანსი მაქვს, ვიდრე ჩემს მეზობელს, რომელსაც თავის მინდორზე არაფერი დაუთესია, რადგან სიზარმაცეში ან განიავებაში ცხოვრებას ამჯობინებს. აი, დამაკმაყოფილებელი უეჭველობით ანაზღაურებული შრომა, რის შემდეგაც შრომისგან ვქმნით ზნეობრივ აქტს par excellence და მოვალეობათაგან უპირველესს, რადგან ის გარდაუვალია ჩვენი არსებობის გასაგრძელებლად. შეგვეძლო უსასრულოდ მოგვეყვანა ამგვარი მაგალითები. თუ შვილებს კარგად ვზრდი, თუ კეთილი და სამართლიანი ვარ გარშემომყოფთა მიმართ, თუ პატიოსანი, აქტიური, წრფელი, კეთილგონიერი და ბრძენი ვარ ყველანაირ ვითარებაში, მაშინ მეტი შანსიც მექნება იმისა, რომ შვილები პატივს მცემდნენ, ვუყვარდეთ, მეტი ბედნიერი მომენტი შემექმნება, ვიდრე იმას, ვისაც სა-

პირისპიროდ უცხოერია ან საპირისპირო უკეთებია. და მაინც, მხედველობიდან ნუ გავუშვებთ, რომ ჩემი მეზობელი იმ შემთხვევაშიც ვერ მოიწევდა უფრო მეტს, თუ მისთვის ჩვეული გულმოდგინებისა და სიფხიზლის მიუხედავად, რაიმე საპატიო და, შესაძლოა, უჩვეულო მიზეზი — მაგალითად, ცოლის ან მეზობლის მძიმე ავადმყოფობა — ხელს შეუშლიდა ხორბლის დროულად დათესვაში. *mutatis mutandis*[1], იგივე მოხდებოდა სხვა შემთხვევებშიც, რომლებსაც მე აქ მოვიყვან. მაგრამ ეს შემთხვევები, სადაც ერთი საპატიო თუ საუცხოო მიზეზი დაბრკოლებას უქმნის ადამიანური ვალის აღსრულებას, გამონაკლისური შემთხვევებია. ძირითადად, — ჩვენივე მოქნილობის წყალობით, — მიზეზსა და შედეგს შორის, აუცილებელი კანონის მოთხოვნასა და სათანადო ძალისხმევის რეზულტატს შორის არსებობს საკმარისი შეთანხმებულობა საიმისოდ, რომ შევინარჩუნოთ საგანთა სამართლიანობის ჩვენეული იდეა.

VII

სასარგებლოა თუ არა ნაკლებად მისტიკურ და ნაკლებად მიმნდობ ადამიანთა სიღრმეში მძინარე ეს იდეა? განა ჩვენი მორალის ეს ნაწილი კლდეზე ჩამომჯდარ მწერს არ ჰგავს, კლდეზე, რომელიც ვარდება, მწერს კი ჰგონია — კლდე იმიტომ იცვლის ადგილს, რომ საყრდენობა გამინიოსო? არსებობს თუ არა ცდომილებები და სიცრუეები, რომლებიც უნდა დავუშვათ და შევაგულიანოთ კიდეც? შესაძლოა, მათ შორის იყოს ისეთებიც, რომლებსაც რაღაც მომენტში კეთილისმყოფელი როლის შესრულება შეეძლოთ. მაგრამ როცა ამ სიკეთეებმა ჩაიარა, განა ჭეშმარიტების წინაშე არ დავდექით, რომელსაც უკვე

განსხვავებული მსხვერპლი უნდა შევწიროთ? ნუთუ აუცილებელი იყო, რომ ილუზია ან სიცრუე, რომლებიც თითქოს სიკეთეს გვიკეთებდნენ, ბოროტების ქმნაზე გადასულიყვნენ ან, სულ ცოტა, შეეფერხებინათ გარდაუვალი თანხმობა კარგად ნაგრძნობ რეალობასა და მის ინტერპრეტირებას შორის, რათა ამ რეალობით გვესარგებლა ან რათა ეს უკანასკნელი მიგვეღო? რას წარმოადგენდა მეფეების ღვთიური უფლებები, ეკლესიის უცდომელობა და საიქიოსეული ჯილდო, თუ არა ილუზიებს, რომლებმაც დიდხანს იცადეს, სანამ გონების სამსხვერპლოზე შეინირებოდნენ? რა მოვიგეთ იმით, რომ დაუყოვნებლივ არ გავნირეთ? — მცირეოდენი ცრუ შინაგანი მშვიდობა, გარკვეული (ზოგჯერ საბედისწერო) ნუგეში, თითო-ოროლა პასიური იმედი. მაგრამ ამასობაში ბევრი დრო დაიკარგა, კაცობრიობას კი, რომელსაც სურს ჭეშმარიტება შეიტყოს და რომელმაც ამ ძიებაში არსებობის მიზეზი იპოვა, — ნუთუ ამ კაცობრიობას დრო თავზესაყრელად აქვს? აშკარაა, რომ მას არაფერი აკარგვინებს იმდენ დროს, რამდენსაც ის, რაც ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანია, რაც ყველაზე უფრო მოხერხებულად იცვლის ფორმას, ანუ — უკვე აღმოფხვრილი ილუზია.

„მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, — იტყვის მავანი, — რატომ უნდა აკეთოს ადამიანმა რაღაც, რაც სამართლიანად ესახება: იმიტომ, რომ დარწმუნებულია, ღმერთი მიყურებსო, იმიტომ, რომ სამყაროში ნამდვილად ეგულება გარკვეული სამართლიანობა, თუ, ბოლოს და ბოლოს, იმიტომ, რომ ეს რაღაც, უნინარეს ყოვლისა, მის ცნობიერებას ესახება სამართლიანად.“

პირიქით: სწორედ ესაა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. ავიღოთ სამი განსხვავებული კაცი, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი სამი პოზიციის მატარე-

ბელი. პირველი, რომელსაც თითქოსდა ღმერთი უყურებს, არაერთ უსამართლობას ჩაიდენს, რადგან არ არსებობს ღმერთი, რომელსაც მრავალი უსამართლო რამ არ ესურვოს. მეორე კაცი მუდამ მესამესავით არ მოიქცევა, ხოლო მესამე ნამდვილი ადამიანია, სწორედ რომელსაც უნდა დაეკითხოს მორალისტი, რადგან ეს უკანასკნელი პირველ ორზე უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება. მორალისტისთვის ხომ უფრო საინტერესოა მცდელობა — წინდაწინ განჭვრიტოს, როგორ მოიქცევა ადამიანი ჭეშმარიტებაში, ანუ თავის ბუნებრივ სტიქიაში, ვიდრე ის, თუ როგორ იქცევა იგი ცდომილებაში.

VIII

ვგონებ, მათ, ვისაც არ სწამს უზენაესი მსაჯულის არსებობა, უსარგებლო მოეჩვენება საგანთა სამართლიანობის ამ მიუღებელი იდეის ესოდენ სერიოზული განხილვა. დიახ, იმგვარად წარმოდგენილი, როგორიც სინამდვილეშია, ანუ, ასე ვთქვათ, „კედელთან მიყენებული“, — ეს იდეა, მართლაცდა, მიუღებელი ხდება. მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ, როგორც წესი, მას ამგვარად არ წარმოვიდგენთ. როდესაც ვხედავთ გაუბედურებულ ბოროტმოქმედებას, ცუდად მოხვეჭილ და, საბოლოოდ, დაქცეულ კეთილდღეობას, დაბეჩავებულ აღვირახსნილობას, დასჯილ ბოროტებას, ტრიუმფის მომენტს, მალევე რომ ენარცხება მწუხარებაში, — ჩვენ განუწყვეტლივ ვაიგივებთ ფიზიკურ შედეგს მორალურ მიზეზთან. და მიუხედავად იმისა, რომ აღარ გვწამს ციური მსაჯულის არსებობა, ყველანი მეტ-ნაკლებად ძალდაუტანებლად მივდივართ საგანთა სამართლიანობის რომელიღაც ფორმამიუცემელ რწმენამდე. თვით მაშინაც კი, თუ

გულცივი აზრისა და დაკვირვების მდგომარეობაში ვიგრძნობთ, რომ არავითარი ასეთი სამართლიანობა არ არსებობს, –– საკმარისია, რომელიმე მოვლენა ახლოდან შეგვეხოს, საკმარისია, ორი თუ სამი მომენტი მგრძნობიარედ დაემთხვეს ერთმანეთს, რათა ლოგიკურად გამოტანილი ეს დასკვნა ერთბაშად გაგვიცამტვერდეს, — გულში მაინც, თუ არა გონებაში. ჩვენი აზროვნების და გამოცდილების მიუხედავად, ვერაფერს გვიღვიძებს ის წინაპარი, რომელსაც ღრმად სნამდა, რომ ვარსკვლავები მხოლოდ იმიტომ ციმციმებდნენ თავიანთ მარადიულ საბინადროში, რათა ეწინასწარმეტყველათ და გაემართლებინათ ჭრილობა, რომელსაც იგი ბრძოლის ველზე მიაყენებდა თავის მტერს, სიტყვა, რომელსაც წარმოთქვამდა ბელადთა შეკრებაზე, ბედნიერი ინტრიგა, რომელსაც შემოაქსოვდა ქალთა სამკვიდრებელს. ჩვენც ჩვენი ინტერესების მიხედვით ვაღმერთებთ ჩვენ გრძნობებს, თუმცა, როგორც ღმერთებს აღარ აქვთ სახელები, ჩვენც ამ გრძნობებს ნაკლები დაზუსტებით და ნაკლებად წრფელად ვაღმერთებთ. აი, ერთადერთი სხვაობა. როდესაც ტროას წინ უძლურად მდგარ ბერძნებს თვალსაჩინო ნიშანი და დახმარება დასჭირდათ, ფილოქტეტეს მიაკითხეს ჰერკულესის მშვილდისა და ისრების წასართმევად, მერე კი ეულად მიატოვეს უკაცრიელ კუნძულზე, შიშველი, ავადმყოფი და უიარაღო. ეს არის ადამიანურ სამართალზე აღმატებული იდუმალი სამართალი, ანუ ღმერთების წესრიგი. ჩვენ კი, როცა უსამართლობა სასარგებლოდ გვეჩვენება, მის ჩადენას მომავალი თაობების, კაცობრიობის, სამშობლოს სახელით მოვითხოვთ. მეორეს მხრივ, როდესაც თავს დიდი უბედურება გვატყდება, მაშინ აღარც სამართალი არსებობს და აღარც ღმერთები. მაგრამ თუ უბედურება ჩვენს მტერს ატყდება, სამყარო იმწამსვე უხილავი სამართლიანობით ივსება.

და თუ ბედნიერება, რომელიც გვეწია, მოულოდნელი და ჩვენს ღირსება-დამსახურებასთან შეუწონელი გვეჩვენება, მაშინ უმტკიცნეულოდ წარმოვიდგენთ, რომ უთუოდ გვქონია ღრმად დამალული სათნოებები, რომელთა შესახებ თავადაც არაფერი ვუწყოდით, და მათი აღმოჩენა კიდევ უფრო გვაბედნიერებს, ვიდრე საკუთრივ ამ ღირსებების წყალობით ნაბოძები ბედნიერება.

IX

„ყველაფერი კომპენსირდება", ვამბობთ ჩვენ. დიახ, ჩვენი გულის სიღრმეში და ადამიანთა სამყაროში ყველაფერი ანაზღაურდება ნვრილმანი სამართლიანობით განსაზღვრულ ინტიმურ ბედნიერებად ან უბედურებად. ჩვენ მიღმა, გარესამყაროში, ასევე კომპენსირდება ყველაფერი, ოღონდ ბედნიერება და უბედურება იმავე ინტენდანტის ხელებს აღარ გადის. ერთიცა და მეორეც სხვანაირად, სხვა მოტივებით, სხვა კანონების ძალით ნაწილდება. აქ სინდისის სამართალი კი აღარ განაგებს, არამედ ბუნების ლოგიკა, რომელმაც ჩვენი მორალისა არაფერი უწყის. არსებობს ჩვენში სული თუ გონი, რომელიც მხოლოდ ჩვენს ზრახვებს წონის. არსებობს გარეშე ძალა, რომელიც ფაქტებს და მხოლოდ ფაქტებს წონის. ჩვენ თავს ვირწმუნებთ, რომ ეს ორი ძალა შეთანხმებულად მოქმედებს. თუმცა, სინამდვილეში, სხვაგვარად ხდება: ჩვენი შინაგანი გონი საკმაოდ ხშირად გახედავს ხოლმე იმ გარეგან ძალას, ეს უკანასკნელი კი ისევე არ იცნობს ჩვენს გონს, როგორც ჩრდილოეთ ევროპაში ზეთის მწონავი კაცი არ იცნობს სამხრეთ აფრიკაში ალმასების მწონავ კაცს. ჩვენ მუდმივად ვურევთ ერთმანეთში

სამართლიანობის ჩვენეულ გრძნობას და ამ არაზნეობრივ ლოგიკას. ესაა ჩვენს ცდომილებათა უმრავლესობის თავიდათავი.

X

სხვა მხრივ კი, არ შეგვფერის სამყაროს გულგრილობაზე ნუწუნი, მისი შერაცხვა მონსტრუოზულად და გაუგებრად. უფლება არ გვაქვს, გვიკვირდეს უსამართლობა, რომელშიც თავადვე ვმონაწილეობთ ძალზე აქტიურად. მართალია, სამართლიანობის არავითარი კვალი არ ჩანს უბედურ შემთხვევებში, სნეულებებში, არც გარეგანი ცხოვრების მოულოდნელობათა უმრავლესობაში, — იმ შემთხვევებში, ბრმად რომ ატყდებიან თავს კეთილსა და ბოროტს, მოღალატესა და გმირს, მოწყალების დასა და მკვლელ-მომწამველს. მაგრამ რუბრიკის „სამყაროს უსამართლობა" ქვეშ ჩვენ ნებაყოფლობით ვათავსებთ უამრავ, პირწმინდად ადამიანური წარმოშობის უსამართლობას — ქარიშხალზე, სნეულებაზე თუ ხანძარზე გაცილებით უფრო ხშირსა და მომაკვდინებელს. ომს არ ვგულისხმობ: ასეთ შემთხვევაში შემედავებოდნენ — ბუნებას ნაკლებს მიაწერს, ვიდრე ადამიანების თუ მეფეების ნებასო. მაგრამ, ვთქვათ, სილატაკე, რომელზეც დღემდე ვიცილებთ თავიდან პასუხისმგებლობას და შავი ჭირის ან საზღვაო კატასტროფის რანგში ვათავსებთ, სილატაკე ყველა მისი გამსრესი ტკივილითა და მემკვიდრეობითი უუფლებობით: რამდენჯერ არ მივაკუთვნეთ ის ჩვენი სოციალური მოწყობის უსამართლობას — ადამიანურ უსამართლობათა მხედართმთავარს? დაუმსახურებელი სიღარიბის შემხედვარენი, რატომ ვეძებთ ციურ მსაჯულს ან გამოუცნობ მიზეზს,

თითქოსდა საქმე მეხის ჩამოვარდნის მსგავს მოვლენას ეხებოდეს? ხომ არ გვავიწყდება, რომ ამჯერად ჩვენი ადამიანური სამფლობელოს ყველაზე უკეთ ცნობილ და ყველაზე უტყუარ ნაწილში ვიმყოფებით და რომ სწორედ *ჩვენ* უზრუნველვყოფთ სხვა ადამიანთა უპოვრობას და, ზნეობრივი თვალსაზრისით, ისევე თვითნებურად ვანაწილებთ მას, როგორც ხანძარი — თავის გაჩანაგებას, სნეულება — მისეულ ტანჯვას? განა გონივრულია გვიკვირდეს, რომ ოკეანე აინუნშიც არ აგდებს თავისი მსხვერპლის სულიერ მდგომარეობას, მაშინ როდესაც ჩვენ, ვისაც მოგვდგამს სული, ანუ სამართლიანობის par excellence ორგანო, აინუნშიც არ ვაგდებთ აუარება ღატაკის — ჩვენივე მსხვერპლთა — უდანაშაულობას? რა გამართლება აქვს იმას, რომ სიღატაკის ტრაგედია ჩვენს ყოველდღიურ საზრუნავად არ მივიჩნიოთ და ფატალურად შევრაცხოთ ძალა, რომელიც, სინამდვილეში, მთლიანად ჩვენ ხელთაა? არსებითად, ჩვენ იდეალური სამართლიანობის უცნაური მსაჯულები და უცნაური მიჯნურები ვართ! ქვეყნიერების ერთი ბოლოდან მეორემდე ვცახცახებთ სასამართლოს შეცდომის წინაშე, იმ შეცდომას კი, რომელიც ჩვენ თანამოძმეთა სამ მეოთხედს სიღატაკეზე წირავს და რომელიც ისევე წმინდად ადამიანურია, როგორც სასამართლოს შეცდომა, რომელიღაც მიუნვდომელ და შეუბრალებელ ინსტანციას მივაწერთ. თუ მეზობლად მცხოვრებ კეთილ კაცს ბრმა, იდიოტი ან მახინჯი ბავშვი გაუჩნდება, ჩვენ ყველა კუნჭულს მოვჩხრეკთ, თვით წყვდიადს იმ რელიგიისა, რომელთანაც არავითარი ცოცხალი კავშირი აღარ გვაქვს, რათა იქ შეყუჟულ ღმერთს გამოვკითხოთ მისი მოსაზრება ამ ამბავზე. მაგრამ თუ ბავშვი ღატაკი იბადება, რაც — ჩვეულებრივ და ყველაზე უარეს ხეიბრობაზე არანაკლებ — რამდენიმე საფეხურით

ქვემოთ სწევს ადამიანის ხვედრს, ამ შემთხვევაში ღმერთისთვის ერთი შეკითხვის დასმაც არ მოგვდის აზრად, რადგან ეს ამბავი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენმა ადამიანურმა ნებელობებმა განსაზღვრა. სანამ იდეალურ მსაჯულს ვისურვებდეთ, ჯერ უცილობლად მოგვიწევს ჩვენი იდეების განმენდა, რადგან ეს მსაჯული უთუოდ გაინანილებს ამ იდეების ნაკლოვანებებს. სანამ ბუნების გულგრილობაზე ვინუნუნებდეთ და იქ მოვჩხრეკდეთ სამართლიანობას, რომელიც მას არ გააჩნია, მანამდე უფრო ბრძნული იქნება ჩვენივე ადამიანურ სფეროებში არსებულ უსამართლობას შევუტიოთ. და როცა მას ამ სფეროებში ველარ ვიპოვით, მაშინ შემთხვევითი უსამართლობებისთვის შემონახული წილი, ალბათ, ორი მესამედით მაინც დაიკლებს. ყველა შემთხვევაში, ეს წილი უფრო მეტად შემცირდება, ვიდრე მაშინ შემცირდებოდა, თუ ქარიშხალს ზომიერს გავხდიდით, ვულკანს — შორსმჭვრეტელს, ზვავს — მორიდებულს, სიცივესა და სიცხეს — წინდახედულს, სნეულებას — გონიერს, ზღვას კი — საზრიანსა და ყურადღებიანს ჩვენი სათნოებებისა და ფარული ზრახვების მიმართ. სინამდვილეში, უქონელთა რიცხვი გაცილებით აღემატება საზღვაო კატასტროფებსა და უბედურ შემთხვევებში დაღუპულთა რიცხვს, და გაცილებით მეტი სნეულება ჩნდება სიღარიბის მიზეზით, ვიდრე საკუთრივ ჩვენი ორგანიზმის ახირებებით ან სტიქიათა მტრული მოქმედებით.

XI

ამის მიუხედავად, ადამიანები სამართლიანობას ვეტრფით. ჩვენ, მართლაცდა, დიდი უსამართლობის წიაღში ვცხოვრობთ, თუმცა აქვე უნდა ითქვას,

რომ დიდი ხანი არ არის, რაც ეს მკაფიოდ გავაცნობიერეთ და ჯერჯერობით მისი უვნებელყოფის საშუალებებს ვეძიებთ. ის იმდენად ძველი იყო, იმდენად ინტიმურად შერეოდა ღვთის, ბედისწერისა და ბუნების იდუმალ ნებელობათა იდეას, და ჯერაც იმდენად ვიწროდ ებმის სამყაროს უსამართლო ძალების უმრავლესობას, რომ გუშინდელს აქეთღა ვცდილობთ ამ ყველაფრისგან პირწმინდად *ადამიანური ძალების* გამოცალკევებას. და თუ შევძლებთ, რომ ეს უკანასკნელი გამოვაცალკევოთ, ამოვიცნოთ და არაორაზროვნად გავმიჯნოთ იმ ძალებისგან, რომლებზეც ვერავითარ ზეგავლენას ვერ ვახდენთ, მაშინ ეს უფრო მნიშვნელოვანი მონაპოვარი იქნება სამართლიანობის სფეროში, ვიდრე სხვა ყველაფერი, რისთვისაც კაცობრიობას აქამდე მიუგნია მისი ძიების გზაზე.

რადგან, საყოველთაო სოციალურ უსამართლობაში, სამართლიანობის ჩვენეულ წყურვილს საკუთრივ ადამიანთა წილი კი ვერ დააბრკოლებს, არამედ ის წილი, რომელსაც უამრავი ადამიანი ჯერ კიდევ ღმერთს, ერთგვარ ფატალობას, ბუნების წარმოსახვით კანონებს მიაწერს.

XII

ეს უკანასკნელი — ეს უმოქმედო წილი — დღიდან დღემდე მცირდება. ის კი არა, რომ სამართლიანობის საიდუმლო ქრება. ძალზე იშვიათად ხდება, რომ საიდუმლო გაქრეს. ჩვეულებრივ, ის მხოლოდ ადგილს იცვლის. მაგრამ ხშირად ძალზე მნიშვნელოვანი და ძალზე სასურველია, რომ მოვახერხოთ და ადგილი შევაცვლევინოთ. გარკვეული თვალსაზრისით, ადამიანური აზრის მთელი პროგრესი ამ ტიპის ორ-

სამ ცვლილებაზე დაიყვანება, ანუ ორი თუ სამი საიდუმლოს გადმოსახლებაზე იმ ადგილიდან, სადაც ისინი ცუდ როლს თამაშობდნენ, სხვა ადგილას, სადაც უწყინრად იქნებიან ან სულაც სიკეთეს მოიტანენ. ხანდახან ისიც შესაძლებელია, რომ საიდუმლომ ადგილი არ შეიცვალოს და მხოლოდ სახელის შეცვლა იკმაროს. რასაც უწინ „ღმერთები" ერქვა, დღეს „ცხოვრებად" მოვიხსენიებთ. და თუ ცხოვრება ღმერთებივით აუხსნელია, მაშინ ის მაინც ხომ მოვიგეთ, რომ სადღეისოდ არავის აქვს უფლება, ილაპარაკოს ან ზიანი მოგვაყენოს მისი სახელით. ადამიანური აზრის მიზანი საიდუმლოს დანგრევაში ან შემცირებაში არ მდგომარეობს. ეს, როგორც ჩანს, შეუძლებელია. შეგვიძლია გვჯეროდეს, რომ წუთისოფლის გარშემო მუდამ დღევანდელზე არანაკლები საიდუმლო იქნება, რაკი წუთისოფლის და, იმავდროულად, საიდუმლოს თავისებურება *უსასრულო არსებობაში* მდგომარეობს. მაგრამ ნამდვილად და კეთილსინდისიერად ადამიანურ აზრს, უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტ და უკვეც საიდუმლოთა ვითარების დადგენა სურს; სურს, წაართვას ყველაფერი, რაც მათ არ ეკუთვნის, რაც მათში არ მონაწილეობს, რაც ამ საიდუმლოებს ადამიანთა შეცდომებმა, შიშებმა, სიცრუეებმა დაუმატა. და ხელოვნურ საიდუმლოთა ბათქაშის ჩამოცვენის პარალელურად, ადამიანური აზრი ხედავს, როგორ ფართოვდება ნამდვილი საიდუმლოს ოკეანე, ანუ ცხოვრების, მისი მიზნის, მისი გენეზისის, საკუთრივ ადამიანური აზრის არსებობის საიდუმლო, რომლისთვისაც „თავდაპირველი შემთხვევაც" უწოდებიათ და „რეალობის, როგორც ჩანს, შეუცნობელი არსიც".

XIII

სად ბინადრობდა უწინ სამართლიანობის საიდუმლო? ის მთელ ქვეყნიერებას ავსებდა. ხან ღმერთების ხელში იყო, ხან გარემოიცავდა და თვითონვე იქვემდებარებდა მათ. ყველგან არსებობდა, მთელ სამყაროში, საკუთრივ ადამიანის გარდა. ცაში განფენილიყო, კლდეებს, ატმოსფეროს, ზღვებს აცოცხლებდა, მიუწვდომელ სამყაროს ავსებდა. მოგვიანებით მის წარმოსახვით პალატებს ადამიანები კითხვებს უსვამენ, ღრუბლებში მდგარ ტახტს ურყევენ, ავიწროებენ, ამოწმებენ და იკვლევენ. იგი ორთქლდება და, როცა გვგონია, რომ აღარ არსებობს, უეცრად ისევ გამოჩნდება და აღიმართება ჩვენივე გულის სიღრმეში. და ის კვლავ საიდუმლოა, რომელიც ადამიანს უახლოვდება და მის არსებაში შეინოვება. რადგან ჩვენ თითქმის ყოველთვის თვითონვე ვხდებით იმ საიდუმლოთა უკანასკნელი თავშესაფარი და ჭეშმარიტი ადგილსამყოფელი, რომელთა განადგურებასაც ვაპირებდით. სწორედ ჩვენ შიგნით პოულობენ ისინი კერას, რომელიც ოდესღაც მიატოვეს, რათა თავიანთ ახალგაზრდულ ბოდვაში მთელი კოსმოსი მოეარათ. და მათი მიღება-გამოკითხვის ჩვევაც ჩვენშივე უნდა გამოვიმუშავოთ. ისიც ხომ ნამდვილად ისევე საოცარი და ისევე აუხსნელია, რომ ადამიანს გულში სამართლიანობის ურყევი ინსტინქტი უღვივის, როგორი საოცარი და აუხსნელიც იყო უწინ ღმერთების თუ სამყაროული ძალების მართლმსაჯულება. იმდენადვე რთულია ჩვენს მეხსიერებაში, ნებაში, აზროვნებაში გარკვევა, რაოდენ რთულიც იყო გარკვევა უხილავი ძალების თუ ბუნების კანონთა მეხსიერებაში, ნებასა და აზროვნებაში. და თუ ჩვენი ცნობისწადილის გასაკეთილშობილებლად *უცნობი* და *შეუცნობელი*

გვჭირდება, თუკი გვჭირდება *საიდუმლო* და *უსასრულობა* ჩვენი მგზნებარების შესანარჩუნებლად, მაშინ უცნობისა თუ შეუცნობლის შენაკადთაგან ერთსაც არ დავკარგავთ იმით, რომ დიდი მდინარის პირველად კალაპოტში ჩავაბრუნებთ; ერთსაც არ ჩავკეტავთ უსასრულობის გზებიდან; ერთი ყველაზე ორჭოფული ხაზითაც არ შევამცირებთ ნამდვილ საიდუმლოებს. რასაც ზეცას ვართმევთ, ადამიანის გულში ვპოულობთ. თუმცა საიდუმლო — საიდუმლოდ, მაგრამ მათ შორის ცხადი გვერჩიენოს გაურკვეველს, ახლოს მყოფი — შორეულს, ჩვენში არსებული და ჩვენი კუთვნილი — ჩვენ გარეთ მყოფს და ჩვენზე საბედისწერო გავლენის მომხდენს. საიდუმლო — საიდუმლოდ, მაგრამ შიკრიკებს კი ნულარ გამოვკითხავთ, არამედ მათ გამომგზავნ მონარქს გავხედოთ; იმათ ნუ ვკითხავთ, ხმისამოუღებლად რომ გარბიან პირველივე კითხვებზე, არამედ ჩვენსავე გულს დავეკითხოთ, გულს, რომელიც ერთდროულად ატარებს კითხვასაც და პასუხსაც და რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვას გაიხსენებს.

XIV

ამის შემდეგ, შეგვიძლია ვუპასუხოთ ადამიანთა შორის სასჯელისა და ჯილდოს ხშირად ძალზე პირუთვნელ განაწილებასთან დაკავშირებულ არაერთ საჭირბოროტო კითხვას. საქმე ეხება არა მხოლოდ შინაგან და ზნეობრივ სასჯელ-ჯილდოებს, არამედ ხილულებს და სავსებით მატერიალურებს. უმიზეზოდ არ ხდება, რომ კაცობრიობას იმთავითვე სჯერა: სამართლიანობა განწონის და აცოცხლებს ყოველივეს იმ სამყაროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

ამ რწმენის ასახსნელად საკმარისი არ არის იმის კონ-სტატირება, რომ ჩვენი დიდი ზნეობრივი კანონები ძალდატანებით მიუსადაგეს მატერიალური არსებობის დიდ კანონებს. საქმე სხვაგვარადაა. ყველაფერი ყოველგვარ ვითარებაში ვერ შემოისაზღვრება დარღვევისა და დასჯის მარტივი მიზეზ-შედეგობრივი მიმართებით. ხშირად აქ ვპოულობთ ზნეობრივ ელემენტს და მიუხედავად იმისა, რომ ეს ელემენტი ჩვენივე შექმნილია, ამით ის ნაკლებად რეალური და ნაკლებად ძალმოსილი არ გახლავთ. თუკი არ არსებობს საკუთრივ ფიზიკური სამართალი და თუ არსებობს მთლიანად შინაგანი ფსიქოლოგიური სამართლიანობა, რომელსაც მალე დავუბრუნდებით, მაშინ არსებობს აგრეთვე ფიზიკურ სამყაროსთან მუდმივ კავშირში მყოფი ფსიქოლოგიური სამართლიანობაც და სწორედ ამ სამართლიანობას ვაკავშირებთ რომელიღაც უხილავ და უნივერსალურ პრინციპთან. ამაოდ მივაწერთ ბუნებას ზნეობრივ ზრახვებს, ისევე როგორც მოქმედებას სასჯელის შიშისა და ჯილდოს იმედის საუფლოში. თუმცა ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ, თუნდაც მატერიალურად, არც სიკეთისთვის არსებობს ჯილდო და არც ბოროტებისთვის -- სასჯელი. ასეთი რამ ნამდვილად არსებობს, ოღონდ ეს ყველაფერი სხვა წყაროდან გვეძლევა და არა იქიდან, საიდანაც ჩვენ ვვარაუდობთ. იმ რწმენით, რომ სასჯელიცა და ჯილდოც რომელიღაც მიუდგომელი წყაროდან მოდის, რომ ისინი ჩვენ აღგვემატებიან, განგვსჯიან და, საბოლოოდ, ჩვენივე თავის განსჯისგან გვათავისუფლებენ, — ამ რწმენით ჩვენ ჩავდივართ ყველაზე საშიშ შეცდომას, რომელიც ყველა სხვა შეცდომაზე უფრო მომაკვდინებლად ზემოქმედებს უბედურებისგან თავის დაცვისა და კანონიერი ბედნიერების მოპოვების ჩვენეულ წესზე.

XV

მთლიანობაში, სამართლიანობა, რომელსაც, ყოველივეს მიუხედავად, ბუნებაში ვპოულობთ, თვით ბუნებიდან კი არ მოდის, არამედ ისევდაისევ ჩვენგან. ჩვენ მას უნებლიეთ ვათავსებთ ბუნებაში, თავს მისეულ საგნებში ვურევთ, ამ საგნებს ვაცოცხლებთ და ჩვენს სამსახურში ვაყენებთ. ჩვენს ცხოვრებაში ხდება არა მხოლოდ მეხის ჩამოვარდნა, უბედური შემთხვევა ან დასნეულება, რომლებიც, როგორი აზრებიც უნდა გვქონდეს, სავსებით სპონტანურად გვატყდებიან თავს მარჯვნიდან ან მარცხნიდან, რაიმე თვალსაჩინო მიზეზის გარეშე. არის სხვა შემთხვევებიც, — და უფრო მრავალრიცხოვანი, — როდესაც პირდაპირ ვზემოქმედებთ გარემომცველ საგნებზე და ადამიანებზე, როდესაც მათში ჩვენი პიროვნებით შევდივართ, როდესაც ბუნების ძალები ჩვენივე აზრთა ინსტრუმენტებად იქცევიან. და როცა უსამართლოდ ვიქცევით, მაშინ ამ ძალებს ბოროტად ვიყენებთ და უცილობლად ვიწვევთ საპასუხო დაწოლა-შევიწროებას, სასჯელს თუ უბედურებას. მაგრამ ბუნებას არ ახასიათებს ზნეობრივი რეაქცია, ეს უკანასკნელი ჩვენივე ან სხვა ადამიანთა აზრებიდან მოდის. საგნებში კი არ არის, თვით ჩვენშივეა საგანთა სამართლიანობა. ჩვენი ზნეობრივი მდგომარეობა ასხვაფერებს ჩვენს ქცევას გარესამყაროს მიმართ, ამ უკანასკნელს კი იმიტომ ვებრძვით, რომ ვებრძვით ჩვენსავე თავს, ჩვენი გონებისა და გულის ძირეულ კანონებს. ჩვენი ზრახვის სამართლიანობა-უსამართლობა არანაირ გავლენას არ ახდენს ბუნების პოზიციაზე ჩვენ მიმართ, თუმცა გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს საკუთრივ

ჩვენს დამოკიდებულებაზე ბუნებასთან. აქაც, როგორც სოციალური სამართლიანობის შემთხვევაში, სამყაროს ან გაურკვეველ-ფატალურ პრინციპს მივაწერთ იმ როლს, რომელსაც ჩვენვე ვასრულებთ. და როცა ვამბობთ — განგებამ, ბუნებამ, ცამ თუ საგანთა წესრიგმა დაგვსაჯა, რომ ისინი ჯანყდებიან და შურს იძიებენ, სინამდვილეში, ესაა ადამიანი, რომელიც მეორე ადამიანს სჯის საგანთა წიაღ; ადამიანური ბუნება, რომელიც ჯანყდება; ადამიანური სამართალი, რომელიც შურს იძიებს.

XVI

ერთხელ მაგალითისთვის მოვიხმე ნაპოლეონი და ამ ადამიანის სამი ყველაზე თვალშისაცემი და ყველაზე ცნობილი უსამართლობა, რომლებიც, იმავდროულად, ცხოვრების ყველაზე საბედისწერო უსამართლობებიც აღმოჩნდა მისი პირადი ხვედრისთვის. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ანგიენის ჰერცოგის მოკვდინება ვინსენის თხრილებში, გაუსამართლებლად და მტკიცებულებათა გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ ბონაპარტეს ბრძანებით. ამ მკვლელობამ შეუბრალებელი სიძულვილი და შურისძიების წყურვილი დათესა უსამართლო დიქტატორის გარშემო, წყურვილი, რომელიც მას შემდეგ აღარ ჩამცხრალა. მეორე უსამართლობა იყო ბაიონის საზიზღარი ხაფანგი, რომელშიც — მემკვიდრეობითი გვირგვინისგან განძარცვის მიზნით — მან მდაბალი ინტრიგებით მოიტყუა უწყინარი და მეტისმეტად მიმნდობი ესპანელი ბურბონები. ამას მოჰყვა საზარელი ომი, რომელმაც სამასი ათასი ადამიანის სიცოცხლე, ფრანგული იმპერიის მთელი ენერგია, მთელი ზნეობა, პრესტიჟის უდიდესი ნაწილი,

თითქმის მთელი უეჭველობა, მთელი ერთგულება და უკლებლივ ყველა ბედნიერი ხვედრი შეინირა. დაბოლოს, ეს იყო რუსეთის საშინელი, ყოვლად უპატიებელი კამპანია, რომელიც აბსოლუტური კრახით დასრულდა ბერეზინას ყინულებში და პოლონეთის თოვლებში.

როგორც უკვე ვთქვი, ამ გაუგონარი კატასტროფების უკან უამრავი მიზეზი დგას. მაგრამ თუ ნელ-ნელა ავუყვებით ყველა გარემოებას, ყველა მეტ-ნაკლებად გაუთვალისწინებელ შემთხვევას, გავიხსენებთ ხასიათის გაუარესებას, წინდაუხედაობებს, ძალადობებს, ფორტუნას ღალატს, სიგიჟეებსა და საკუთარი გენიით თრობას, — განა სადღაც აქ, უბედურების სათავესთან, არ ასვეტილა არაღიარებული ადამიანური სამართლის მდუმარე აჩრდილი? *ადამიანურის*, რომელშიც, ყოველივეს შემდეგ, არაფერია ზებუნებრივი და იდუმალი; რომელიც სავსებით გასაგები მოთხოვნილებებისგან, ათასობით სრულიად რეალური ფაქტისგან, უთვალავი დარღვევისგან, აურაცხელი სიცრუისგან შედგება და, ანტიკური მინერვასაგან განსხვავებით, რომელიღაც ტრაგიკულ მომენტში არ გამოტყვრება — მოულოდნელი და საჭურველში ჩამჯდარი — ბედისწერის ვეებერთელა და ყოვლისგამრიგე შუბლიდან. ერთადერთი იდუმალი მომენტია ამ ყველაფერში: ადამიანური სამართლის გამუდმებული მუნყოფნა. თუმცა, როგორც ვიცით, ადამიანის ბუნება ერთობ იდუმალია და რომ ეს საიდუმლო ჩვენ მოლოდინში გვტოვებს. ის ყველაზე ცხადი, ყველაზე ღრმა, ყველაზე მარგებელია, საიდუმლოთაგან ერთადერთი, რომელიც არასოდეს დაადამბლავებს ჩვენს კეთილისმქმნელ ენერგიას. და თუ, განსხვავებით ნაპოლეონის ცხოვრებისგან, ჩვენს ცხოვრებაში ვერსად ვპოულობთ ამ ფხიზელ და დამთმენ აჩრდილს, თუ სამარ-

თლიანობა ისეთივე აქტიური, ისეთივე აუცდენელი არ არის, მაშინ არანაკლებ სასარგებლო იქნება სიგნალის მიცემა მისთვის, როგორც კი სადმე შევნიშნავთ. ასეა თუ ისე, ის ბადებს ეჭვს და შეკითხვას, რომლებიც უკეთეს რჩევებს იძლევიან, ვიდრე საფუძველს მოკლებული უარყოფა ან მტკიცება, ბრმა და მოდუნებული, რის უფლებასაც ესოდენ ხშირად ვაძლევთ საკუთარ თავს. რადგან ყველა მსგავს საკითხში საქმე გაცილებით ნაკლებად ეხება დამტკიცებას, ვიდრე ყურადღებით ყოფნას და ერთგვარი გაბედული პატივისცემის განცდას ყოველივე იმის მიმართ, რაც დღემდე აუხსნელია ადამიანთა ქმედებებში, მათეულ მიჯაჭვულობაში თითქოსდა ზოგად კანონებთან და ამ მოქმედებათა შედეგებში.

XVII

ვცადოთ, აღმოვაჩინოთ ჩვენში სამართლიანობის დიდი საიდუმლოს ნამდვილად საბედისწერო მოქმედება. უსამართლობის ჩამდენი ადამიანის გულში წარუშლელი დრამა თამაშდება — ადამიანური ბუნების par excellence დრამა, რომელიც იმდენად უფრო სახიფათო და ავბედითია, რამდენადაც უფრო დიდი და რაც უფრო მეტი ცოდნის მფლობელია ეს ადამიანი.

აგზნებულ წუთებში მავანი ნაპოლეონი ამაოდ ეტყვის თავისთავს, რომ დიდი ადამიანის მორალი ისეთი მარტივი ვერ იქნება, როგორც ჩვეულებრივი კაცის ზნეობა; რომ ძლიერ და აქტიურ ნებას აქვს პრეროგატივები, რომლებიც არ გააჩნია სუსტსა და უმოძრაოს; რომ გამორჩეული ხვედრის მქონესთვის კანონიერად შეიძლება სინდისის ზოგიერთი მითითების იგნორირება, რაც უმეცრებით ან სისუს-

ტით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ ამ მითითებებს რჩეული კაცი უფრო მაღლიდან დაჰყურებს, ვიდრე საშუალო ადამიანი; რომ ასეთ კაცს გრანდიოზული მიზანი ამოძრავებს და, ამდენად, ეს ხანმოკლე და ნებაყოფლობითი იგნორირება მხოლოდ აზროვნებისა და ძალის გამოვლინებაა; რომ არაფერია საშიში ბოროტების ქმნაში, როდესაც ვიცით, რას ვშვრებით და რატომ...

სიღრმისეულად, ეს ყველაფერი ჩვენს ბუნებას გზა-კვალს ვერ უბნევს. უსამართლობის აქტი მუდამ იმ რწმენას არყევს, რომელიც ადამიანს თავისთავში და თავის ბედისწერაში ჰქონდა. ასეთ მომენტში — და, საერთოდ, ყველა უმძიმეს მომენტში — იგი უარს ამბობს იმაზე, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს. ეს წუთი დავიწყებას აღარ ეძლევა და ამიერიდან ადამიანი საკუთარ თავს მთლიანად ვეღარ პოულობს. მან აწეწა და, შესაძლოა, შელახა კიდეც თავისი ბედი იმით, რომ მასში უცნობი ძალები ჩართო. მას დაკარგული აქვს თავისი პიროვნების და თავისი ბედის ზუსტი შეგრძნება. მკაფიოდ ვეღარ არჩევს ერთმანეთისგან, რას უნდა უმადლოდეს თავისთავს და რას სესხულობს განუწყვეტლივ თავისი სახიფათო თანამშრომლებისგან, რომლებიც მის ირგვლივ მისივე დაუძლურებამ შემოკრიბა. ამჟამად, თავისი აზრების ჯარში, ის მხოლოდ დისციპლინირებული ჯარისკაცების იმედზე მყოფი გენერალი კი აღარ არის, არამედ თანამზრახველების ამარა დარჩენილი უკანონო ხელმძღვანელია. მან უკვე უარი თქვა ღირსებაზე იმ კაცისა, ვისაც არ სურს ისეთი დიდება, რომელსაც გულში ისევე სევდიანად გაუღიმებდა, როგორც ორგულ ქალს — მისი მგზნებარე და უიღბლო მიჯნური.

ჭეშმარიტად ძლიერი ადამიანი გამოწვლილვით იკვლევს თავისი მოქმედებებით მოხვეჭილ დიდე-

ბასა თუ უპირატესობებს და მალულად უკუაგდებს ყველაფერს, რაც მისივე სინდისში გავლებულ სამანს სცილდება. იგი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ახლოა ეს სამანი სასაზღვრო ხაზთან, იქვე რომ გაუვლია ყოველივეს წიაღში დავანებულ იდუმალ ჭეშმარიტებას. უსამართლობის აქტი თითქმის ყოველთვის საკუთარი უძლურების აღიარებაა, მტრის უსუსტესი შინაგანი ნერტილის გამომჟღავნებას კი თითო-ოროლა ასეთი აღიარებაც ჰყოფნის. უსამართლობის ჩადენა ცოტაოდენი დიდების მოსაპოვებლად ან არსებულის გადასარჩენად — ეს ხომ საკუთარ თავთან გამოტყდომაა, რომ კანონიერად არ ვიმსახურებთ იმას, რაც გვსურს ან რასაც ვფლობთ; რომ ერთგულად ვერ ვასრულებთ ჩვენ მიერვე შერჩეულ როლს. ყველაფრის მიუხედავად, მაინც იქვე დარჩენა გვსურს, სადაც ვართ, და სწორედ ამ დროს შემოდის ცხოვრებაში შეცდომები, აჩრდილები და სიცრუეები.

დაბოლოს, ორი-სამი მზაკვრობის, ორი თუ სამი ღალატის, რამდენიმე ორგულობის, სიცრუეთა, მიტოვებათა, დანაშაულებრივ სისუსტეთა გარკვეული ჯაჭვის შემდეგ ჩვენი წარსული სხვას ვერაფერს გვთავაზობს, სასოწარმკვეთი სურათის მეტს. არადა, შინაგანად გეჭირდება, რომ წარსულმა გარკვეული საყრდენობა გაგვინიოს. მხოლოდ წარსულში ვიცით რაღაც დანამდვილებით და, ეჭვებში მყოფებსაც, მხოლოდ წარსული თუ გვეუბნება: „რამდენადაც ეს გაგიკეთებია, იმდენად შეგიძლია ესეც ქნა. ამა და ამ ხიფათში, ამა და ამ შიშნეულ მომენტში შენ იმედი არ დაგიკარგავს, საკუთარი თავის რწმენა შეინარჩუნე და გაიმარჯვე. ამჯერად გარემოებები ანალოგიურად წაეწყო. ჰოდა, შენც ხელუხლებლად შეაგებე შენი რწმენა: ვარსკვლავი არ გიღალატებს". მაგრამ, აბა, რას ვუპასუხებდით იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი

წარსული მხოლოდ ხმადაბლა გვეტყოდა: „შენ მხოლოდ უსამართლობით და სიცრუით მიაღწიე საწადელს. აქედან გამომდინარე, ისევ სიცრუის თქმა, ისევ მოტყუება მოგინევს". არავის უყვარს თავისი შეხედულებების გამოთქმა ორგულობის, ნდობის ბოროტად გამოყენების, სიმდაბლის, სისასტიკის შესახებ. და ჩვენი წარსულის ყველა ის მომენტი, რომელსაც ვერ გავხედავთ მტკიცე, ნათელი, მშვიდი და დაკმაყოფილებული მზერით, ამღვრევს და ავიწროებს ჯერარდამდგარი დღეების ჰორიზონტსაც. მხოლოდ წარსულის ხანგრძლივი ჭვრეტის შედეგად თუ პოულობს ჩვენი თვალი მომავლის ზონდირებისთვის საჭირო ძალას.

XVIII

არა, საგანთა სამართლიან ბუნებას არ განუპირობებია, რომ ნაპოლეონი მის მიერ ჩადენილი სამი დიდი უსამართლობისთვის დაისაჯა და რომ ჩვენც დავისჯებით ჩვენი ჩადენილისთვის, — ნაკლებად ხმაურიანად, თუმცა არანაკლებ მტკივნეულად. ეს სულაც არ ხდება იმიტომ, რომ არსებობს „ცის გუმბათივით ვრცელი" მართლმსაჯულება, რომელსაც ვერც შეაცდენ და ვერც დაუსხლტები. ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონებასა და ხასიათს, მთელ მის ზნეობრივ არსებას, არ ძალუძს იცხოვროს და იმოქმედოს სამართლიანობის გარშე. როგორც კი მას ტოვებს, ადამიანი თავისი ბუნებრივი სტიქიიდან გამოდის და, ასე ვთქვათ, ინაცვლებს მისთვის უცნობ პლანეტაზე, სადაც ნიადაგი ფეხქვეშ ეცლება და სადაც ყველაფერი აკრთობს. რადგან, თუ ყველაზე მოკრძალებული აზროვნება სამართლიანობაში ყოფნისას თავს „შინ" გრძნობს და ძალუძს უმტ-

კივნეულოდ განჭვრიტოს სამართლიანი მოქმედების ყველა შედეგი, მაშინ ყველაზე ღრმა და ყველაზე შორსმხედი აზროვნება თავს უცხოდ გრძნობს მისივე მიერ ჩადენილ უსამართლობაში და ვერასოდეს ჭვრეტს მისი შედეგების მეათედსაც კი. საკმარისია, გენიამ სცადოს დაუსხლტეს სამართლიანობის ელემენტარულ გრძნობას, უბრალო გლეხის გულში რომ დაბუდებულა, რათა ველარ გაერკვეს, სად იმყოფება. რაღა მოხდება მაშინ, თუ იგი საკუთარი სამართლიანობის საზღვრებს გაცდება? აზროვნების შედეგად გამომუშავებული სამართლიანობა ხომ ახალ საზღვრებს უწესებს ყველაფერს, რასაც პოულობს, და, იმავდროულად, განამტკიცებს და კიდევ უფრო გადაულახავს ხდის ძველ, ინსტინქტით დადგენილ მიჯნებს. როგორც კი სამართლიანობის მარტივ ზღვარს გადავაბიჯებთ, ყველაფერი ერთდროულად გვაკლდება. ტყუილი ას ახალ ტყუილს ბადებს, ღალატი კი ათას სხვა ღალატად გვიბრუნდება. ვიდრე სამართლიანობის წიაღში ვიმყოფებით — ნდობაშიც მივაბიჯებთ, რადგან არსებობს საგნები, რომლებსაც თვით უცბიერესნიც კი ვერ ღალატობენ. მაგრამ როგორც კი უსამართლობაში ვეფლობით, უკვე თვით უერთგულეს მსახურებსაც უნდობლად ვეკიდებით, რადგან არის საგნები, რომლებსაც ასეთებიც ველარ უერთგულებენ. მთელი ჩვენი ზნეობრივი ორგანიზმი სამართლიანობაში საცხოვრებლად შექმნილა, როგორც ჩვენივე ფიზიკური ორგანიზმი შექმნილა დედამიწის ატმოსფეროში საარსებოდ. ყველა ჩვენი უნარი გაცილებით უფრო ინტიმურად ეყრდობა სამართლიანობას, ვიდრე მიზიდულობის, სითბოს ან სინათლის კანონებს. და როცა ამ უნარებს უსამართლობაში ვძირავთ, მაშინ ჩვენვე ვეფლობით მტრულ და შეუცნობელ გარემოში. ჩვენში ყველაფერი სამართლიანობისთვის შექმნილა, ყველაფერი იქითკენ

მიდის, ყველაფერს იქით მივყავართ და ყველაფერი იქით მიისწრაფვის, ხოლო უსამართლობის წიაღში გამუდმებით ვებრძვით ჩვენსავე ძალებს. და როცა გარდაუვალი სასჯელის წუთში ამბოხებული საგნები, ცა, სამყარო თუ *უხილავი*, ბოლოს და ბოლოს, სამართლიანად წარმოგვიდგებიან, როცა ანგარიშს გვისწორებენ აქვითინებულთ და მონანიეთ, ესეც არა იმიტომ, რომ ისინი ასეთები არიან ან ოდესმე ყოფილან, არამედ იმ მიზეზით, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ თვითონ დავრჩით სამართლიანნი თვით უსამართლობაშიც კი.

XIX

ვამბობთ: ბუნებისთვის სრულებით უცხოა ადამიანური მორალიო. თუკი ბუნება მოყვასის მოკვლას და მისთვის შეძლებისდაგვარად მეტი სიბოროტის გაკეთებას გვიბრძანებს, მაშინაც ისე დაგვეხმარება ამ პროცესში, როგორც გვეხმარება იმავე მოყვასის ნუგეშისცემასა და შეძლებისდაგვარ გაბედნიერებაში. ხშირად ბუნება თითქოსდა გვიზღავს, რომ მოყვასი დავტანჯეთ, ისევე როგორც ხშირად თითქოსდა გვინაზღაურებს, რომ გადავარჩინეთ. დასაშვებია თუ არა, დავასკვნათ, რომ ბუნებას არავითარი ზნეობა არ ახასიათებს, ამ სიტყვის ყველაზე შეზღუდული აზრით? ანუ ხდება თუ არა ბუნებაში მხოლოდ და მხოლოდ საშუალებათა ლოგიკური და ხისტი დაქვემდებარება ძირითადი აღსასრულებელი მისიისადმი? აი, კითხვა, რომელზე პასუხის გაცემა არ უნდა ვიჩქაროთ. ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს ბუნების მიზანზე და იმაზეც, საერთოდ აქვს თუ არა მას რაიმე მიზანი. ერთადერთი, რისი კონსტატირებაც შეგვიძლია, ის კი არ არის, რასაც ბუნება ფიქრობს ან საერთოდ ფიქრობს თუ არა,

Არამედ ის, რასაც იგი აკეთებს და როგორც აკეთებს. ᲐᲛ დროს ვხედავთ, რომ ჩვენს მორალსა და ბუნების ᲥᲪᲔᲕᲐ-მოქმედებას შორის ისეთივე წინააღმდეგობაა, რაც ჩვენს ინსტინქტსა (რომელიც მისგან გვაქვს) და ᲩᲕᲔᲜᲡ შეგნებას შორის (რომელიც, საბოლოო ჯამში, ᲛᲘᲡᲒᲐᲜᲕᲔ გვაქვს, თუმცა რომელიც ჩვენვე ჩამოვიყა-ᲚᲘᲑᲔᲗ და რომელსაც, უმაღლესი ადამიანური ზნე-ᲝᲑᲘᲡ სახელით, უფრო და უფრო ურყევად ვუპირი-ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲗ ჩვენი ინსტინქტის წადილს). მხოლოდ ამ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲗ რომ ვუსმენდეთ, ყველაფერში ვიმოქ-ᲛᲔᲓᲔᲑᲓᲘᲗ ბუნებასავით, რომელიც ყველაზე მიუტე-ᲒᲔᲑᲔᲚ ომებში, ბარბაროსობებსა და უსამართლობებ-ᲨᲘ აშკარად ძლიერებს ამართლებდა და რომელსაც ᲫᲣᲓᲐᲛ ნაკლებად სინდისიერთა და უკეთ შეიარაღებ-ᲣᲚᲗᲐ გამარჯვება სურდა. მხოლოდ ჩვენს საკუთარ ᲗᲠᲘᲣᲛᲤᲡ გამოვედევნებოდით, არად ჩავაგდებდით ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲗᲐ უფლებებს, ტანჯვა-წამებას, უცოდვ-ᲘᲚᲝᲑᲐს, სილამაზეს, ზნეობრივ და ინტელექტუალურ ᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐს. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, რატომ ᲐᲐᲒᲕᲘᲜᲔᲠᲒᲐ ბუნებამ სინდისი, რომელიც ამგვარი მო-ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ გვიცავს, და სამართლიანობის შეგრძნე-ᲑᲐ, რომელიც გვეწინააღმდეგება, რომ ზუსტად ის გვ-ᲬᲣᲠᲓᲔს, რაც ბუნებას სურს? ნუთუ ჩვენ და მხოლოდ ᲩᲕᲔᲜ ვართ ჩვენი სინდისის შემოქმედნი? ძალგვიძს თუ ᲠᲠᲐ, ჩვენივე არსებიდან ამოვიღოთ ისეთი რამ, რაც ᲠᲠ მოიპოვება ბუნებაში, ან არანორმალურად გან-ᲫᲐᲕᲘთაროთ რაიმე ძალა, რომელიც ბუნების ძალას ᲐᲐᲣᲞᲘრისპირდება? და თუკი ძალგვიძს, ნუთუ ამის ᲔᲑᲐს ბუნება უმიზეზოდ გვრთავს? მხოლოდ და მხ-ᲘᲚᲝᲓ ჩვენში რატომ არსებობს ეს ორი შეურიგებელი ᲙᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ, რიგ-რიგობით რომ მიაქანებენ ადამიანს, ᲗᲣᲛᲪᲐ არასოდეს წყვეტენ ბრძოლას მის არსებაში? ᲠᲗᲘ მეტისმეტად საშიში ხომ არ იქნებოდა მეორის ᲐᲐᲠᲔᲨᲘ? მიზანს ხომ არ აცდებოდა ცალკე აღებული

რომელიმე მათგანი? და ძლევის მოთხოვნილებაც — სამართლიანობის გრძნობის გარეშე — ისევე მოიტანდა თუ არა განადგურებას, როგორც სამართლიანობის გრძნობა — ძლევის მოთხოვნილების გარეშე — უძრაობას? მაგრამ რომელია ამ ორი ტენდენციიდან უფრო ბუნებრივი და აუცილებელი? რომელი მათგანია უფრო შეზღუდული და რომელი — უფრო ფართოდ მდინარი? რომელია დროებითი და რომელი — მარადიული? ვინ მიგვითითებს, მათგან რომელი უნდა აღვკვეთოთ და რომელი — წავახალისოთ? როგორ მოვიქცეთ: ჩვენი თავი უდავოდ უფრო საყოველთაო კანონს მივუსადაგოთ თუ აშკარად უფრო გამონაკლისური კანონი განვიმტკიცოთ გულში? არსებობს თუ არა გარემოებები, როდესაც მოგვეცემოდა უფლება — წავსულიყავით ცხოვრების თვალსაჩინო იდეალის საპირისპირო გეზით? რა გვევალება? ის, რომ მივდიოთ მოდგმის თუ სახეობის მორალს — ბუნების ბნელ და უცნობ ზრახვათა ერთ ხილულ, თითქოსდა წინაღუდგომელ ნაწილს, თუ ის, რომ ცალკეულმა ინდივიდმა შეინარჩუნოს და განივითაროს ზნეობა, ძირეულად რომ განსხვავდება იმ სახეობის თუ მოდგმის მორალისგან, რომელსაც იგი ეკუთვნის?

XX

საბოლოო ჯამში, აქ განსხვავებული ფორმით ვაწყდებით საკითხს, რომელიც, შესაძლოა, მეცნიერულად გადაწყვეტელია და რომელიც საფუძვლად უდევს ევოლუციონისტურ მორალს. ეს მორალი ხომ სიტყვაშეუბრუნებლად ეყრდნობა ბუნების სამართალს, რომლის მიხედვითაც თითოეული ადამიანი, მისივე ნატურიდან და მოქმედებებიდან გამომდინარე, ტკბილ ან მწარე ნაყოფს მოიმკის. მეორეს

მხრივ, ამ მორალმა (როგორც თვითონვე იტყოდა — საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ) უნდა დაიმოწმოს ბუნების განურჩევლობა თუ უსამართლობა, როცა სურს გაამართლოს ზოგიერთი, თავისთავად უსამართლო, მაგრამ კაცთა მოდგმის კეთილდღეობისთვის აუცილებელი მოქმედება. აქ ვხედავთ ორ უცნობ მიზანს: მიზანს კაცობრიობისა და მიზანს ბუნების. ეს მიზნები ჩვენი გონებისთვის ურთიერთშეუთავსებელი ჩანს იმ, როგორც ჩანს, დროებით საიდუმლოში, რომელშიც ორივე იმყოფება. სიღრმისეულად, ეს ყველაფერი ერთიანდება ერთ საკითხად, რომელიც თანამედროვე მორალის უმნიშვნელოვანეს საკითხად გვესახება. რჩება შთაბეჭდილება, რომ სადღეისოდ ადამიანთა მოდგმა, შესაძლოა, ნაადრევად და საბედისწეროდ აცნობიერებს არათუ თავის უფლებებს (ეს პრობლემა ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდებული), არამედ ისტორიის ზოგიერთ ამორალურ ჩვევას.

თითქოს ეს აფორიაქებული სინდისი ნელ-ნელა იპყრობს ინდივიდუალურ ცხოვრებას. სამგზის ერთი და იმავე წლის განმავლობაში, ჩვენ დავინახეთ, როგორ გამოჩნდა და განივრცო ისევდაისევ ზნეობრივი საკითხი: ამერიკის მიერ ესპანეთის დამარცხება (თუმცა აქ ის არცთუ მთლიანად ნათელი იყო, რადგან ესპანეთი დიდი ხნის განმავლობაში ახვავებდა შეცდომებს და დანაშაულებს, რაც ცვლიდა თვით პრობლემის ხასიათს); სამშობლოს უმნიშვნელოვანესი ინტერესებისთვის შეწირული უმანკო მსხვერპლი; ტრანსვაალის უსამართლო ომი. პრობლემა, მართლაცდა, არცთუ ახალია. ადამიანი მუდამ ცდილობდა გაემართლებინა თავისი უსამართლობა და როცა ადამიანურ სამართალში ვერც საამისო საბაბს პოულობდა და ვერც გამართლებას, მაშინ აღმატებულ წეს-კანონს ღმერთების ნებაში ეძებდა.

მაგრამ დღესდღეობით გამართლება ან საბაბი ჩვენს მორალს უფრო სახიფათოდ ემუქრება, რაკი ერთიცა და მეორეც იმოწმებს ლოკალურ-ეფემერულ ღმერთზე უფრო რეალურად არსებულ, უფრო უცილობელ, უფრო უნივერსალურ ბუნების კანონს ან, სულ ცოტა, მის ჩვევას მაინც.

ძალაა თუ სამართალი ის, რასაც ჩვენი ზნეობა უნდა გაჰყვეს? თავისთავად ძალა ხომ არ შეიცავს რაიმე უცნობ სამართალს, რომელშიც ადამიანის სამართალი უნდა დაინთქას? ან, ეგებ, სამართლიანობის ჩვენეული გრძნობა, რომელიც თითქოს ეწინააღმდეგება ბრმა ძალას, — ეგებ სწორედ ეს გრძნობაა იმავე ძალის არაპირდაპირი ემანაცია? მიემართება თუ არა ის იმავე მიზნისკენ? და განა სწორედ *გზის მოსახვევი* არ გვისხლტება ხელიდან? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა, რომ ჩვენ თავად არ წარმოვადგენდეთ იმ საიდუმლოს ნაწილს, რომლის გაშუქებასაც ვცდილობთ; საჭიროა განვჭვრიტოთ იგი რომელიღაც სხვა სივრცე-სიმაღლიდან, შევიცნოთ სამყაროს მიზანი და კაცობრიობის სვე-ბედი. მანამდე კი, თუ ბუნებას დავეთანხმებით, მით უკუვაგდებთ სამართლიანობის ინსტინქტს, რომელიც ბუნებამ ჩვენში ჩადო და რომელიც, ამდენად, თვითონვეა ბუნება. და თუ ამ ინსტინქტს გავამართლებთ, ამასაც მხოლოდ და მხოლოდ თვით მისგანვე ამომდინარე თუ ვიზამთ.

XXI

ნამდვილად ასეა. თუმცა ისიც სიმართლეა, რომ ადამიანის ერთ-ერთი უძველესი და ამაო ჩვეულებაა ყველაფრის სილოგიზმში ჩატევის სურვილი. საკმაოდ სახიფათო საქმეა ლოგიკის მიდევნა უცნობში

და შეუცნობელში. აქ თითქოს ყველა ჩვენი ეჭვი სხვა, რისკიანი სილოგიზმიდან მოდის. ჩვენ ბუნების შვილები ვართ, — ვეუბნებით ჩვენს თავს ზოგჯერ ხმამაღლა, უფრო ხშირად კი ხმადაბლა, — მაშ, კიდევაც უნდა მივესადაგოთ მის კანონებს, ყველაფერში მისი მაგალითით ვიხელმძღვანელოთ. არადა, ბუნებას სრულებით არ ანაღვლებს „სამართლიანობა", მას სხვა მიზანი აქვს: სიცოცხლის განუნყვეტელი შენარჩუნება, განახლება და, ამის შედეგად, ზრდა-გამრავლება... ჩვენ ჯერ თავს ვიკავებთ შედეგის ფორმულირებისგან ან, ყოველ შემთხვევაში, ეს შედეგი ჩვენს ზნეობაში ღიად გამოჩენას ვერ ბედავს. მაგრამ თუ დღემდე ის მხოლოდ თავშეკავებულად აჩანაგებდა ჩვენთვის ნაცნობ სფეროს, რომელიც ჩვენი მშობლებიდან ჩვენს მეგობრებამდე და ჩვენს უახლოეს მოყვასამდე ივრცობოდა, — სადღეისოდ უკვე ნელ-ნელა იჭრება უზარმაზარ და უკაცრიელ რეგიონშიც, სადაც ჩვენ ჩვენს უცნობ, უხილავ, ანონიმურ მოყვასს ვამკვიდრებთ. ეს შედეგი უკვე მრავალი აქტის სიღრმეში გამოვლინდა, მოიცვა ჩვენი პოლიტიკა, ინდუსტრია, თითქმის ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ ხოლმე მას შემდეგ, რაც გავცდებით შინაურთა ვიწრო ნრეს — ერთადერთ ადგილს ადამიანთა უმრავლესობისთვის, სადაც ჯერ კიდევ სუფევს ცოტაოდენი სამართლიანობა, კეთილმოსურნეობა, სიყვარული. „სოციალური კანონი", „ეკონომიკის კანონები", „ევოლუცია", „სელექცია", „ბრძოლა არსებობისთვის", „კონკურენცია": — ის მრავალ სახელს იღებს, რათა ერთი და იგივე ბოროტება აკეთოს. არადა, არაფერია უფრო ნაკლებად მარებული, ვიდრე ეს შედეგი. ნუღარ გადმოვაბრუნებთ სილოგიზმს, რაც აგრეთვე ძალზე გონივრული იქნებოდა, და ნუღარ ვათქმევინებთ, რომ ბუნებაში უნდა არსებობდეს გარკვეული სამართლიანობა, რაკი ჩვენ

— ბუნების შვილები — სამართლიანები ვართ. საკმარისია, მივიღოთ ეს სილოგიზმი, როგორიც არის და დავუკვირდეთ, რომ არაფერია უფრო იდუმალი და სადავო, ვიდრე მისი ორი წანამძღვრიდან ერთი მაინც. წინა თავებში ვნახეთ, რომ ჩვენთან მიმართებაში ბუნება უსამართლო ჩანს, მაგრამ სრულებით არ ვიცით, უსამართლოა თუ არა იგი საკუთარი თავის მიმართაც. იქიდან, რომ ბუნება აინუნში არ აგდებს ჩვენ ქმედებათა ზნეობრიობას, არ გამომდინარეობს, რომ თავადაც არავითარი ზნეობა არ მოსდგამს ან რომ ჩვენი მორალი ერთადერთი შესაძლებელია მორალია ამქვეყნად. შეიძლება ითქვას, ბუნება ანგარიშს არ უწევს ჩვენს კეთილ თუ ბოროტ ზრახვებს, თუმცა, აქედან გამომდინარე, ნუ დავასკვნით, რომ ის მთლიანად განძარცულია ყოველგვარი მორალისა და სამართლიანობისგან. ეს იმის ფარული მტკიცება იქნებოდა, რომ აღარ არსებობს საიდუმლო, იდუმალება, და რომ ჩვენთვის უკვე ცნობილია სამყაროს კანონები, დასაწყისი და დასასრული. ბუნება ჩვენ არ გვგავს და ჩვენნაირად არ იქცევა, მაგრამ, ვიმეორებ: ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს, რატომ იქცევა იგი განსხვავებულად, და არც უფლება გვაქვს მივბაძოთ ვინმე ისეთს, ვინც, ჩვენი აზრით, უსამართლოდ და სასტიკად გვეპყრობა. ჩვენ ხომ ზუსტად არ ვიცით მიზეზები, შესაძლოა — ღრმა და მარგებელიც, რომელთა გამო ბუნება ასე მოქმედებს. საით გაუწევია? საით აუღიათ გეზი მარადისობაში მოდრეიფე სამყაროებს? სად იწყება ცნობიერება? შეუძლია თუ არა, იარსებოს რაიმე განსხვავებული ფორმით, ვიდრე ჩვენშია? რა მომენტიდან ხდება ფიზიკის კანონები იმავდროულად მორალურიც? გონიერია თუ არა ცხოვრება თავისთავად? უკვე შევაღწიეთ თუ არა მატერიის ყველა საუფლოში და მხოლოდ ადამიანის თავისა და ზურგის ტვინში იქცევა ეს მატერია

„გონებად“? დაბოლოს, რას ხედავს სამართლიანობა სხვა სიმაღლიდან? არის თუ არა მისი საბრძანებლის ცენტრი უცილობლად *განზრახვა* და არსებობს თუ არა რეგიონები, სადაც ამ უკანასკნელს ანგარიში აღარ ეწევა? ჯერ ამ და კიდევ მრავალ სხვა კითხვას უნდა ვუპასუხოთ და მერეღა გადავწყვიტოთ, სამართლიანია თუ უსამართლო ბუნება მის თარგზე გამოჭრილ მასებთან მიმართებაში. მას აქვს მომავალი და სივრცე, რომლებზეც ჩვენ ნარმოდგენაც არ გვაქვს და სადაც, შესაძლოა, არსებობს ბუნების ხანგრძლივობის, ვრცეულობისა და მიზნის პროპორციული სამართლიანობაც, ზუსტად ისევე, როგორც სამართლიანობის ჩვენეული ინსტინქტია ჩვენი ცხოვრების ვიწრო არეალისა და ხანგრძლივობის პროპორციული. მას შეუძლია საუკუნეების განმავლობაში აკეთოს ბოროტება, შემდეგ კი საუკუნეების მანძილზე ასწოროს საკუთარი „დანაშაული“. მაგრამ ჩვენ, ვინც სულ რამდენიმე დღე ვცოცხლობთ, ჩვენ ვერ მიებაძავთ იმას, რასაც ჩვენი მზერა ვერ წვდება, რასაც ვერ გამოვედევნებით და ვერ ჩავწვდებით. ყველა ის ელემენტი გვაკლია, რომლებიც საშუალებას მოგვცემდნენ ბუნებაზე გვემსჯელა, რაკი მხოლოდ მოცემული წუთიდან ვიყურებით. მაგალითად (შორს რომ არ წავიდეთ და დავრჩეთ იმ შეუმჩნეველ წერტილში, რასაც წარმოვადგენთ კიდეც ამ სამყაროებში), ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს ჩვენს სიკვდილისშემდგომ ცხოვრებაზე და გვავიწყდება, რომ ჩვენეული ცოდნის დღევანდელ ეტაპზე არაფერი გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ ასეთი ცხოვრება — მეტ-ნაკლებად ცნობიერი, მეტ-ნაკლებად პასუხისმგებელი და, ამასთანავე, რაიმე გარემე ნებას დაუქვემდებარებელი — ნამდვილად არ არსებობს. მეტისმეტად თამამად გამოუვიდოდა იმას, ვინც განაცხადებდა, რომ, ჩვენში თუ სხვებში, სრუ-

ლებით არაფერი გადარჩებოდა ჩვენი ტვინის მონა-პოვრიდან ან ჩვენი კეთილი ნების ძალისხმევიდან. შესაძლოა (სერიოზული ექსპერიმენტები ამას თუ არ ადასტურებენ, ყოველ შემთხვევაში, მეცნიერულ შესაძლებლობათა რიცხვში მაინც ათავსებენ), ჩვენი პიროვნების თუ ჩვენი ნერვული ძალის გარკვეული ნაწილი ნამდვილად არ ქარწყლდება. განა სწორედ იქ არ იგულვება მომავალი, ფართოდ გახსნილი იმ კანონთათვის, რომლებიც მიზეზს და შედეგს აერთიანებენ და მუდამ სამართლიანობის შექმნით ამთავრებენ იმ მომენტში, როდესაც ადამიანის სულს ხვდებიან და როცა მთელი საუკუნეები აქვთ გასავლელი? მხედველობიდან ნუ გავუშვებთ ერთ მომენტს: შესაძლოა, ბუნება, ჩვენი აზრით, არცთუ მაინცდამაინც სამართლიანია, მაგრამ *ლოგიკური* მაინც არის და მაშინაც კი, თუ ადამიანები უსამართლობას ვერ ავცდებით, მაინც მეტისმეტად გაგვიჭირდება ეს, რადგან ყველა შემთხვევაში *ლოგიკურნი* უნდა დავრჩეთ. არადა, რაღა განასხვავებს სამართლიანობისგან ჩვენს აზრებთან, გრძნობებთან, ვნებებთან, ზრახვებთან კონტაქტში შესულ ლოგიკას?

XXII

დასკვნის გამოტანას ნუ ვიჩქარებთ: ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი. როდესაც გვსურს მივბაძოთ იმას, რასაც ბუნების უსამართლობას ვუწოდებთ, ამით მხოლოდ ვრისკავთ, რომ ჩვენსავე უსამართლობას წავბაძოთ და მასვე შევუწყოთ ხელი. როცა ვამბობთ, ბუნება სამართლიანი არ არისო, ეს, საბოლოო ჯამში, იმის ჩივილზე დაიყვანება, უფრო მეტად რატომ არ ზრუნავს ჩვენს პატარ-პატარა სათნოებებზე, ზრახვებზე და გმირობებზე, ასეთი ჩი-

ვილი კი დაჭრილ პატივმოყვარეობას უფრო ჰგავს, ვიდრე სამართლიანობის სურვილს. მაგრამ იქიდან, რომ ჩვენი მორალი შეფარდებაში ვერ მოდის სამყაროსთან და მის უსაზღვრო რეალიებთან, არ გამომდინარეობს, რომ მასზე უარი უნდა ვთქვათ, — ადამიანის ზნეობა ხომ მისივე სტატუსისა და სვე-ბედის პროპორციულია.

მეტიც, ბუნების უსამართლობა უდავო ფაქტიც რომ იყოს, საჭირო გახდებოდა მეორე საკითხის გარკვევა, სახელდობრ: ნაბრძანები აქვს თუ არა ადამიანს, დაემორჩილოს და მიჰყვეს ბუნებას და მისეულ უსამართლობას? აქ საკუთარ თავს უფრო უნდა მოვუსმინოთ, ვიდრე ესოდენ გარშემოუწერავ ხმას, რომლის ერთ სიტყვასაც კი ვერ მოვიხელთებთ. ჩვენი გონება და ინსტინქტი ამბობს: კანონიერი იქნება ბუნების რჩევას მივდიოთო. მაგრამ ისინი იმასაც ამბობენ, რომ მისი მიდევნა აღარ არის მიზანშეწონილი; როგორც კი ჩვენს არსებაში სამართლიანისა და უსამართლოს არანაკლებ ღრმა ინსტინქტს ეჯახება. და თუ ინსტინქტები უახლოვდებიან ჭეშმარიტებას და მათ პატივი უნდა ვცეთ თითოეულის ძალმოსილებისდა პროპორციულად, მაშინ ეს ინსტინქტი, შესაძლოა, სხვებზე უფრო ძლიერია, რაკი დღემდე მარტოდმარტო ებრძოდა მათ და მაინც არ შერყეულა. მისი უკუგდების დრო ჯერ არ მოსულა. სანამ სხვა გარკვეულობები გაეხსნება, ადამიანურ სფეროში ადამიანი სამართლიანი უნდა იყოს. ჩვენ ვერც საკმარისად შორს ვხედავთ და ვერც საკმარისად მკაფიოდ, რათა სამართლიანობა რომელიმე სხვა სფეროში შევინარჩუნოთ. ნუ გავრისკავთ ჩასვლას იმ უფსკრულში, რომელში მოსულდგმულე რასები და ხალხები გამოსავალს ალბათ პოულობენ, მაგრამ რომელშიც *ადამიანი* არ უნდა დაინთქას. ბუნების უსამართლობა, საბოლოოდ, ადამიანური

მოდგმის სამართლიანობად იქცევა: მას აქვს დალოდების დრო და ეს უსამართლობა მისი არსებობის თარგზეა გამოჭრილი. აი, ინდივიდუალურად კი ჩვენ ეს ყველაფერი გვსრესს და ჩვენი ცხოვრებაც ძალზე ხანმოკლეა. დაე, სამყაროში ძალამ იმეფოს, ჩვენს გულში კი — სამართლიანობამ. თუ კაცობრიობა ნინალუდგომლად და, ასე ვთქვათ, სამართლიანად უსამართლოა, თუ ბრბოს, შესაძლოა, აქვს კიდეც ისეთი უფლებები, როგორიც არა აქვს ცალკეულ ადამიანს, და ამიტომაც ზოგჯერ გარდაუვალ და სარგებლობის მომტან დიდ დანაშაულებს იდენს, მაშინ მისი თითოეული ინდივიდის, თითოეული წევრის მოვალეობაა იყოს სამართლიანი მთლიანი ცნობიერების ცენტრში, რომელსაც თავისთავში აერთიანებს და ინარჩუნებს. ამ მოვალეობაზე უარი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, თუ დიდი უსამართლობის ჩადენისთვის ყველა აშკარა მიზეზი მოგვეცემოდა. ხოლო ის მიზეზები, რომლებსაც გვთავაზობენ, — ჩვენი მოდგმის შენარჩუნება, ყველაზე ძლიერთა, ყველაზე მოხერხებულთა და ყველაზე „უკეთ ადაპტირებულთა" რეპროდუცირება, — ესოდენ თავზარდამცემი ცვლილებისთვის საკმარის მიზეზებად არ მიგვაჩნია. რასაკვირველია, თითოეული ჩვენგანი უნდა ეცადოს იყოს უძლიერესი, უმარჯვესი და საუკეთესოდ მისადაგებული ცხოვრების საჭიროებებთან, ცხოვრების, რომელსაც ის ვერ შეცვლის. მაგრამ განხილვა იმ თვისებებისა, რომლებსაც გამარჯვებამდე მივყავართ, რომლებიც ამჟღავნებენ ჩვენს ზნეობრივ ძალმოსილებასა და გონიერებას, და ნამდვილად ბედნიერს, უმარჯვესს, უძლიერესსა და ყველაზე „უკეთ ადაპტირებულს" გვხდიან, — ამ თვისებათა განხილვა დღემდე ყველაზე ადამიანურ, ყველაზე კეთილსინდისიერ და ყველაზე სამართლიან საქმედ რჩება.

XXIII

„უფრო მეტი ჩემშია“, ამბობს ძველი პატრიციული სახლის კოჭებზე და ბუხრების ფასადებზე გაკეთებული წარწერა, სახლის, რომელსაც მოგზაურები სტუმრობენ და რომელიც ნახატივით დგას ერთ-ერთ რბილ, მელანქოლიურ, უკაცრიელ და, იმავდროულად, მომღიმარ სანაპიროზე ბრუგში. „უფრო მეტი ჩემშია, ჩემშია ყველა ზნეობრივი კანონი, ყველა გონისმიერი საიდუმლო“, — შეუძლია თქვას კაცობრიობამ. შესაძლებელია, ჩვენს ზემოთ თუ ქვემოთ კიდევ ბევრი რამ იმალება. მაგრამ თუ მისი გაგება არ გვინერია, მაშინ თითქოს არც არსებულა. და თუ ერთ დღესაც გავიგებთ, რომ ნამდვილად არსებობენ, ესეც მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ ისინი უჩუმრად იმყოფებოდნენ ჩვენში და უკვე მაშინვე გვეკუთვნოდნენ. „ უფრო მეტი ჩემშია“ და, ეგების, უფლება გვაქვს დავამატოთ: „და სრულებით არ უნდა მაშინებდეს ის, რაც ჩემშია“.

ასეა თუ ისე, სწორედ ჩვენში ბინადრობს სამართლიანობის დიდი საიდუმლო.

რაც შეეხება სხვა რეგიონებს, ისინი უმდგრადი, ალბათ ნარმოსახვითი და უთუოდ უკაცრიელუნაყოფო რეგიონებია. იქ კაცობრიობამ უეჭველად იპოვა მისთვის სასარგებლო, თუნდაც არა ყოველთვის უწყინარი ილუზიები. და თუ ოდესმე ყველა ილუზია უნდა დაიმსხვრეს, მაინც აუცილებელია, რომ მეტისმეტად თვალშისაცემი შეუსაბამობა არ იყოს მათსა და სამყაროს ჩვენეულ კონცეფციას შორის. ამჟამად ყველაფერში ჭეშმარიტების ილუზია გვნადია, რომელიც, ალბათ, არც უკანასკნელია, არც საუკეთესო და არც ერთადერთი შესაძლებელი, თუმ-

ცა, მოცემულ მომენტში, ყველაზე კეთილსინდისიერ და აუცილებელ ილუზიად მიგვაჩნია. მაშ, ამჯერად ადამიანის გულში ჩაბუდებული სამართლიანობისა და ჭეშმარიტების გაუნელებელი სიყვარულით შემოვიფარგლოთ. და რაკი ჩვენს აღფრთოვანებას დავსაზღვრავთ ეჭვმიუტანლად არსებული რეგიონით, შესაძლოა, ისიც გავიგოთ, თუ საკუთრივ რას წარმოადგენს ეს ლტოლვა — ადამიანობის ნიშანი par excellence. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, უეჭველად შევიტყობთ, რანაირად ხდება ამ უკანასკნელის გაზრდა-განწმენდა. როდესაც ვხედავთ, რაოდენ დაუღალავად მოქმედებს სამართლიანობა ერთადერთ ტაძარში, სადაც ის რეალურად მოქმედებს, ანუ ჩვენ შიგნით, და ვხედავთ იმასაც, თუ როგორ მონანილეობს იგი ჩვენს ყველა აზრსა და მოქმედებაში, მაშინ არც იმის მოკვლევა გაგვიჭირდება, რა ანათებს მას და რა აბნელებს, რა უწევს მეგზურობას და რას შეჰყავს შეცდომაში, რა კვებავს და რა ასუსტებს, რა უტევს და რა იცავს.

XXIV

რას წარმოადგენს სამართლიანობა: კაცობრიობის თავდაცვისა და თვითშენახვის ინსტინქტს? არის თუ არა ის ჩვენი გონების უწმინდესი პროდუქტი? ან, ეგებ, ჩვენს გონით აქტივობაში მრავალი სენტიმენტალური ძალაა (ხშირად სავსებით მართებული თვით გონებასთან დაპირისპირებაში), რომელთა ერთობლიობა ქმნის სხვა, ერთგვარ არაცნობიერ და უფრო ვრცელ სიღრმისეულ გონებას, რომლის მიმართაც ცნობიერი გონება ხშირად განცვიფრებულ მიონნებას განიცდის, როცა იმ ადგილებში ხვდება, საიდანაც ეს მშვენიერი გრძნობები უკვე დიდი ხა-

ნია ხედავენ იმას, რასაც თვითონ ვერ ხედავდა? რა განსაზღვრავს სამართლიანობას უფრო მეტად: ადამიანის ხასიათი თუ აზროვნება? აი, კითხვები, იქნებ არცთუ ამაო, თუ ჩვენს თავს ვეკითხებით, რისი გაკეთება გვმართებს იმისთვის, რომ მთელი ჩვენი ძალა და გაქანება მოხმარდეს სამართლიანობის — ადამიანური სულის ამ მთავარი სამკაულის ტრფიალს. ის ყველას უყვარს, ოღონდ არა ერთნაირად თავგანწირული და გამორჩეული სიყვარულით. ყველას არ ახასიათებს თანაბრად ღრმა სინდისიერება, მგრძნობიარობა, უეჭველობა. ყველა ჩვენგანი შეხვედრია ერთობ განვითარებული აზროვნების ადამიანებს, რომელთაც სამართლიანობა-უსამართლობის გრძნობა გაცილებით ნაკლებად უღვივით, ვიდრე სხვებს — აშკარად უღიმღამო აზროვნების პატრონებს. და აქ უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ცუდად გამოკვლეული და ბუნდოვნად განსაზღვრული ის სფეროც, რომელსაც ჩვენი *ხასიათი* ჰქვია. თუმცა ძნელი განსასაზღვრია, რას ფიქრობს უბრალოდ კეთილსინდისიერი ხასიათი მეტ-ნაკლებად არაცნობიერ გონებაზე. მეტიც: უნინარეს ყოვლისა, უნდა შევიტყოთ, როგორ გავანათოთ და გავზარდოთ ჩვენში სამართლიანობის სიყვარული. ამ თვალსაზრისით, ერთი რამ ცხადია: ჩვენი ხასიათი იწყებს იმით, რომ გაურბის უშუალო მოქმედებას ჩვენივე კეთილი ნების კარნახით, თუმცა ჩვენი აზროვნების განვითარება დიდწილად ამ ნებას ემორჩილება. აზროვნების განვითარების კვალდაკვალ უფრო და უფრო ვუკეთესდებით, აზროვნების განათლება-გაფართოება კი ყველასთვის ნებადართულია. სწორედ აზროვნების ზემოქმედებით ვაუმჯობესებთ სამართლიანობის სიყვარულის იმ ნაწილს, ჩვენი ხასიათიდან რომ გამოდის, რადგან რამდენადაც უფრო მაღლდება და ნათდება აზროვნება, მით უკეთ ახერხებს გრძნობე-

ბისა და ინსტინქტების მართვა-ტრანსფორმირებას.

მაგრამ ნულარ მოვათავსებთ ისეთ ადგილზე და კითხვებსაც ნულარ დავუსვამთ ამ სიყვარულს ისე, როგორც ზეადამიანური და ხშირად არაადამიანური უსასრულობის გარკვეულ ფორმას. ის ხომ ვერც სიდიადეს ეზიარებოდა და ვერც მშვენიერებას, რომელიც უსასრულობას შეიძლება ახასიათებდეს, რაკი, ასეთ შემთხვევაში, სიყვარულიც უსასრულობასავით არამწყობრი და უმოქმედო იქნებოდა. ამავე დროს, როცა მას ჩვენში ვპოულობთ და ვუსმენთ, ანუ იქ, სადაც ის ნამდვილად მყოფობს; როცა ვხედავთ, როგორ იყენებს ჩვენი გონების ყველა მონაპოვარს, ისევე როგორც ჩვენი გულის ყველა სიხარულსა და ტანჯვას, მაშინ იმასაც მალე შევიტყობთ, რა უნდა მოვიმოქმედოთ იმისთვის, რომ გავზარდოთ და განვწმინდოთ ჩვენში სამართლიანობის იდეა.

XXV

ამგვარად ფორმულირებული ჩვენი მოვალეობა საკმაოდ ხანგრძლივ და მძიმე მუშაობას გულისხმობს. სამართლიანობის იდეის გაზრდა-განწმენდა ჩვენს არსებაში... ვიცით კი, როგორ განვახორციელოთ ეს? დაახლოებით ვიცით, რომელ იდეალს უნდა მივუახლოვდეთ, თუმცა თვით იდეალი ჯერ კიდევ ცვლადი და მაცდურია! მას აპატარავებს ყოველივე ის, რასაც ვერ ვამჩნევთ, რასაც არასრულად ვხედავთ, რასაც არასაკმარისად ღრმად ვეკითხებით. არ არსებობს სხვა იდეალი, რომელსაც უფრო ფარული საფრთხეები ემუქრებოდეს და რომელიც უფრო უჩვეულო დავიწყებათა ან უფრო არამართლმაგვარ ცდომილებათა მსხვერპლი იყოს. არც მეორე იდეალია ასეთი, რომელსაც უფრო მეტად უნდა დავთრ-

თოდეთ თავს, მეტი გზნებით და მოწინებით, მეტი მზრუნველობით. ის, რაც ამწუთას უდავოდ სამართლიანად გვესახება, როგორც ჩანს, მხოლოდ უმცირესი ნანილია იმისა, რაც მართებულად წარმოგვიდგება, თუ ადგილს შევიცვლით. საკმარისია, ჩვენი გუშინდელი საქმიანობა შევადაროთ დღევანდელს: დავინახავთ, რომ დღევანდელი სავსეა სამართლიანობის წინაშე დაშვებული შეცდომებით. მოხდა რაღაც ამბავი, გაცხადდა და გამოიკვეთა მოსაზრება, დაზუსტდა მორიგი მოვალეობა, გამომჟღავნდა მოულოდნელი ურთიერთობა — და ჩვენი შინაგანი სამართლიანობის მთელი წყობა შეყანყალდა და სახე იცვალა. რაოდენ მცირეც უნდა იყოს წინსვლა, რომელიც აქამდე გვქონდა, მაინც ვერასდიდებით ვერ დავუბრუნდებით იმ სევდა-ნაღველს, რომლის უნებლიე მიზეზი თვითვე ვიყავით, იმ გულგატეხილობებს, რომლებსაც ჩვენდაუნებურად ვთესდით, თუმცა, რაკილა ირგვლივ ჩნდებოდნენ, გვეჩვენებოდა, რომ მართალნი, ანუ არცთუ უსამართლონი ვართ. დღესაც ასევე გვაკმაყოფილებს ჩვენი კეთილი ნება, დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი შეცდომის გამო არავინ იტანჯება, არავის უქრება სახეზე ღიმილი, არავინ წყვეტს ბედნიერების ჩურჩულს, არავის უმოკლდება სიმშვიდისა და სიყვარულის წუთი... და ვინ იცის, ეგებ ვერ ვამჩნევთ აქვე, ჩვენ გვერდით მოქმედ, ჩვენი ცხოვრების სამი მეოთხედის დამფარავ უსამართლობას.

XXVI

ამ დილით ვკითხულობ დიმესამეტომს „ათასერთი ღამის" საუცხოო თარგმანისა, რომელიც ეკუთვნის დოქტორ ჟ.ს.მარდრუსს. გადავიკითხავ „ოდისეას",

ბიბლიას, ქსენოფონტეს თუ პლუტარქეს და წარმოვიდგენ დიდ, გამქრალ ცივილიზაციებს. ჰოდა, სულთან შაჰრაზადეს ერთ-ერთ უმშვენიერეს ნაამბობში მე დავინახე ყველაზე განსაცვიფრებელი, ნათელი, სპონტანური, დამოუკიდებელი, უხვი, დახვეწილი, გაფურჩქნილი, გონიერი, მშვენიერებით, სიყვარულითა და ბედნიერებით აღსავსე და, გარკვეული თვალსაზრისით, სინამდვილესთან და ჭეშმარიტებასთან იმდენად მიახლოებული ცხოვრების წესი, როგორიც საერთოდ შეიძლებოდა კაცობრიობას ჰქონოდა. ზნეობრივი ცივილიზაცია იქ, არაერთი აზრით, ისეთივე სრულყოფილია, როგორც მატერიალური. სამართლიანობის უდახვეწილეს იდეებსა და სიბრძნის გულშიჩამწვდომ შეგონებებს (რომელთა აღმოჩენის თუ ფორმულირების შანსი ჩვენს საზოგადოებას — უფრო უხეშს, უფრო უბედურს და უფრო უყურადღებოს — აღარც კი ეძლევა) ისევე ეყრდნობა ნეტარებით აღვსილი ეს შეუდარებელი შენობა, როგორც თვით სინათლე დაეყრდნობოდა სინათლის დიად პორტიკებს. მიუხედავად ამისა, ნეტარების ეს სასახლე, სადაც ზნეობრივი ცხოვრება ეგზომ ჯანსაღი, გრაციოზულად სერიოზული, აქტიური და კეთილშობილია, სადაც ბედნიერი კაცობრიობის ყოველგვარ განცხრომას უწმინდესი და ღრმად რელიგიური სიბრძნე წარმართავს, — ამ ყველაფერს საძირკვლად უდევს და ირგვლივ შემორტყმია ისეთი ღრმა, ვრცელი და თავზარდამცემი უსამართლობა, რომ დღევანდელობის ყველაზე უბედური ადამიანებიც კი შეყოყმანდებოდნენ: გადავაბიჯოთ თუ არა სამართლიანობის ამ გაუგონარ უგულებელყოფას, ვინძლო უძვირფასესი თვლებით მოოჭვილ ზღურბლამდე მივიდეთო. არადა, მსგავსი უსამართლობის არსებობას იმ ზღაპრული საბინადროს ერთი მკვიდრიც კი არ ეჭვობს! თითქოს არასოდეს უახლო-

ვდებიან ფანჯრებს ან, თუ შემთხვევით აღებენ კიდეც, თუ, ნადიმიდან ნადიმამდე, ხედავენ და გულს უჩვილებთ გარემომცველი უბედურება, მაინც ვერ ამჩნევენ უბედურებაზე გაცილებით უფრო საზარელ და უფრო გულისშემძვრელ უსამართლობას, ანუ *ქალის მონობას*, მეტიც — მის სრულ დამონებადაქვემდებარებას; ქალის, რომელიც, თავისი სიმაღლისდა მიუხედავად, — თვით მაშინაც კი, როდესაც კაცებს სიკეთესა და სამართლიანობაზე ესაუბრება და თვალს უხელს ყველაზე სათუთ და ყველაზე დიდსულოვან კაცურ მოვალეობებზე, — თვით ამ მომენტებშიც კი ვერ ხედავს უფსკრულს, რომელშიც თვითონ იმყოფება და არ ფიქრობს: მე სხვა არაფერი ვარ, თუ არა გართობის საშუალება, რომელსაც ყიდულობენ, ისევ ყიდიან ან — სიმთვრალის, ტრაბახის თუ მავანის ცნობა-აღიარების წუთში — ნივთივით გადააბარებენ ნებისმიერ სხვა პატრონ-ბარბაროსს.

XXVII

„გვიამბობენ მშვენიერ მონა ქალზე, — ამბობს ნოზატუ, — რომელიც აბრეშუმის მარგალიტებიანი ფარდის უკანიდან ელაპარაკება პრინცს შარკანს და სამეფოს ბრძენკაცებს; იმასაც გვიამბობენ, როგორ გაისეირნა ერთ ღამეს ხალიფა ომარმა პატივცემულ ასლამ აბუ საიდთან ერთად. როდესაც შორს მოგიზგიზე ცეცხლი შენიშნა, მიუახლოვდა, ეგებ ვინმეს რამეში დავჭირდეო. იქ დაინახა ღარიბი ქალი, რომელიც ქვაბს ცეცხლს უნთებდა. გვერდით ორი დამჭლევებული, საწყალობლად აკრუსუნებული ბავშვი ეჯდა. ომარმა თქვა:

— მშვიდობა შენდა, დედაკაცო! რას საქმიანობ ამ ცივ ღამეში?

— ცოტაოდენ წყალს ვათბობ, ბატონო, ჩემს ბავშვებს უნდა დავალევინო. მიკვდებიან სიცივისა და შიმშილისგან. თუმცა ერთ დღესაც ალაჰი პასუხს მოსთხოვს ხალიფა ომარს იმ სიღატაკისთვის, რომელშიც ჩვენ ჩავცვივდით.

ამ სიტყვებმა გადაცმული ხალიფა მთელი არსებით შეძრა.

— ნუთუ ფიქრობ, ღარიბო ქალო, რომ ომარმა იცის შენი სიღატაკის ამბავი? — ჰკითხა ქალს.

— მაშ, რატომ არის ხალიფა, თუკი წარმოდგენა არა აქვს თავისი ხალხის და თითოეული ქვეშევრდომის უბედურებაზე?

მაშინ ხალიფა გაჩუმდა და ასლამ აბუ საიდს უთხრა:

— წავიდეთ, ჩქარა!

და სწრაფად გააბიჯა. მალე თავისი სახლის მაღაზიამდე მიაღწიეს. ხალიფა მაღაზიაში შევიდა, ერთი ტომარა ფქვილი და ერთი ქოთანი ცხვრის ცხიმი გადმოიღო და კომპანიონს მიმართა:

— ზურგზე მოკიდებაში მომეხმარე, აბუ საიდ!

მაგრამ ამ უკანასკნელმა შესძახა:

— მორწმუნეთა ემირო, ნება მომეცი, მე თვითონ წავიღო!

— ნუთუ ჩემს ცოდვებსაც შენ იტვირთებ ამ აღდგომის დღეს? — ჰკითხა ხალიფამ მშვიდად და აბუ საიდი მაინც მოიშველია ზურგზე ფქვილის ტომრისა და ცხიმით სავსე ქოთნის მოკიდებაში. ასეთი ტვირთის მიუხედავად, ომარმა სწრაფი ნაბიჯით მიაშურა ღატაკებს. იქ მისულმა, ცოტაოდენი ფქვილი და ცხიმი ცეცხლზე შემომდგარ ქვაბში ჩადო და თავისი ხელით მოამზადა საჭმელი. როდესაც ცეცხლზე დაიხარა სულის შესაბერად, შეშიდან ადენილი კვამლი ხალიფას გრძელ წვერს შეერია. მომზადებული საჭმელი ომარმა ქალსა და ბავშვებს შესთავაზა.

თვითონვე აგრილებდა სულის ბერვით და იმათაც დანაყრებამდე მიირთვეს. შემდეგ ომარმა დარჩენილი ფქვილი და ცხიმი ღატაკებს დაუტოვა და აბუ საიდთან ერთად იქაურობას გაშორდა.

— ო, აბუ საიდ! ახლა, როცა ეს ცეცხლი ვნახე, მისმა სინათლემ მე გამანათლა.

— მაგრამ, მეფეო! — მიმართავს ცოტა ხნის შემდეგ უბრძენეს მეფეს ერთ-ერთი ქალიშვილი იმ ხუთიდან, რომლებიც სურთ ამ მეფეს მიჰყიდონ, — მაგრამ ისიც იცოდე, მეფეო, რომ უმშვენიერესი მოქმედება უანგარო მოქმედებაა. ამბობენ, იზრაელში ორ ძმას უცხოვრია. ერთხელ ერთმა მეორეს ჰკითხა: „ყველაზე საშინელი რა ჩაგიდენია ცხოვრებაში?“ „ერთხელ საქათმეს ჩავუარე, ერთი ქათამი დავითრიე, დავახრჩვე და უკანვე მოვისროლე საქათმეში. აი, ჩემი ცხოვრების უსაშინელესი საქციელი. შენ, ძმაო ჩემო, შენ რაღას მიიჩნევ შენს უსაზარლეს ქმედებად?“ „იმას, რომ ლოცვით შევთხოვე ალაჰს, პატივი დამდე-მეთქი. არადა, ლოცვა მხოლოდ მაშინ არის მშვენიერი, როცა სხვა არაფერია, თუ არა სულის სვლა სიმაღლეებისკენ.“

— ისწავლე საკუთარი თავის შეცნობა! — განაგრძო მეორე ქალიშვილმა, იმ პირველივით ტყვემ და მხევალმა, — ისწავლე საკუთარი თავის შეცნობა და მხოლოდ შემდეგ იმოქმედე! იმოქმედე შენი სურვილებისდა მიხედვით, ოღონდ ყურადღებით იყავი, რომ მოყვასს არაფერი ავნო.“

ჩვენი დღევანდელი მორალი ამ ფორმულას ვერაფერს დაუმატებს და არც უფრო სრული დამოძღვრა მოეპოვება. დიდი-დიდი შეეძლო განევრცო, აემაღლებინა, შეემსუბუქებინა სიტყვა „მოყვასის“ მნიშვნელობა, უფრო დაეხვეწა და შთამბეჭ-

დავი გაეხადა „ზიანის მიყენებაც“. არადა, წიგნი, რომელშიც ეს სიტყვები წერია, მთელი თავისი სიბრძნისა და ყვავილების, საშინელების, სისხლის, ცრემლების, დესპოტიზმისა და მონობის ძეგლია. და ამ სიტყვების წარმომთქმელნიც მონები არიან. მათ ვაჭარი ყიდულობს (არ ვიცი, სად) და მიჰყიდის მოხუც ქალბატონს, რომელიც ქალიშვილებს პოეზიას, ფილოსოფიას, ყველა აღმოსავლურ მეცნიერებას ასწავლის, რათა ერთხელაც ისინი მეფის ღირს საჩუქრებად იქცნენ. როცა სწავლება დამთავრებულია, როცა მონა ქალების სილამაზე და სიბრძნე ყველას აკვირვებს, საქმიანი და შორსმხედველი მოხუცი ქალბატონი მათ, მართლაცდა, ერთობ სამართლიან და ერთობ ბრძენ მეფეს შესთავაზებს. და როდესაც ეს ერთობ სამართლიანი და ერთობ ბრძენი მეფე სათითაოდ ჩაიბარებს მათ ქალწულობას (ზუსტად აღარ მახსოვს, როგორ გრძელდება ეს ამბავი, მაგრამ ასეთია ქალთა უცვლელი ხვედრი ამ განსაცვიფრებელ ლეგენდებში), შემდეგ, ალბათ, თავის ვეზირებს გადაულოცავს. ვეზირები, თავის მხრივ, მათ ნელსაცხებლიან ვაზაში ან ძვირფასი თვლებით მოოჭვრილ ქამარ-სარტყელში გაცვლიან ან, ეგებ, სადმე შორსაც გაუგზავნონ რომელიმე ძლიერ მფარველს ან მავან საძაგელ, თუმცა სახიფათო მეტოქეს. ხოლო ეს ქალები, რომლებიც კითხვებს უსვამენ თავიანთ სულებს და სხვების სულებშიც კითხულობენ, ისინი, რომლებიც მედიტაციას ახდენენ ხალხებისა და ადამიანების სამართლიანობასთან და ზნეობასთან დაკავშირებულ უმშვენიერეს და უდიდეს პრობლემებზე, — ისინი ერთხელაც არ უფიქრდებიან თავიანთ ხვედრს და ერთი წამითაც არ შეაქვთ ეჭვი ამაზრზენ უსამართლობაში, რომელთა მსხვერპლნიც თვითონვე გამხდარან. არ ეჭვობენ ამას არც ისინი, ვინც მათ უსმენს, ვისაც ისინი უყვარს, ვინც მათით

აღტაცებულია და ვისაც მათი ესმის. ჩვენ კი — გაოცებულნი, სამართლიანობაზე, სიკეთეზე, სიბრალულსა და სიყვარულზე ჩაფიქრებულნი — ვერაფერი გვიმტკიცებს, რომ ერთ დღესაც ჩვენი სოციალური მდგომარეობა ჩვენ შემდგომ მომსვლელებს ასეთივე თავგზისამბნევ სანახაობას არ შესთავაზებს.

XXVIII

ძნელი წარმოსადგენია, როგორი შეიძლება იყოს იდეალური სამართლიანობა, რაკი მისკენ აღმავალ ყველა ფიქრს უპირისპირდება უსამართლობა, რომელშიც დღემდე ვარსებობთ. ჩვენ არ ვიცით კანონები, ურთიერთობები, რომლებიც თავს იჩენს მაშინ, როდესაც აღარ იქნება არც უთანასწორობა, არც საკუთრივ კაცთა ბრალეულობით მოწეული უბედურებები, და როცა თითოეული ადამიანი (ევოლუციონისტური მორალის მიხედვით თუ ვიტყვით) „მოიმკის თავისივე ბუნება-ხასიათით განპირობებულ კეთილ თუ ბოროტ შედეგებს". ამჟამად ასე არ ხდება და შეიძლება ითქვას, რომ მატერიალურ საუფლოში, ადამიანთა უმრავლესობისთვის, „კავშირი ქცევასა და მის შედეგებს შორის", სპენსერის თქმით, ჯერჯერობით მხოლოდ წვრილმან, თვითნებურ და უსამართლო სახეს ატარებს. განა გაბედულებას არ ნიშნავს იმედი იქონიო, რომ სამართლიანი აზრები გქონდეს მაშინ, როცა ყოველი ადამიანი თხემით ტერფამდე უსამართლობაში ჩაფლულა? არავინაა ისეთი, ვინც იქ არ დანთქმულა ან სატანჯველად ან სარგებლობის სანახავად, არავინ, ვისი ძალისხმევაც ან მეტისმეტად ბევრ ან მეტისმეტად ცოტა სარგებელს არ იმკიდეს, ვინც ან პრივილეგირებული არ იყოს ან მოტყუებული. შეგვიძლია ვცადოთ და გონ-

ება გავითავისუფლოთ ძვალ-რბილში გამჯდარი ამ უსამართლობისგან — ადამიანთა პირვანდელ-პრიმიტიული ყოფისთვის გარდაუვალი „ქვეადამიანური მორალის“ მეტისმეტად გამძლე ნაშთისგან. მაგრამ ამაოდ ვირწმუნებდით იმას, რომ ჩვენი გონება ისეთ ძალას, ისეთ შინაგან დამოუკიდებლობას, ისეთ ნათელხილვას მოიხვეჭს და ისეთ შედეგებამდე მივა, თითქოს უსამართლობას არასოდეს უარსებია. ყოველთვის ადამიანური აზრის მხოლოდ ყველაზე მორცხვი და ყველაზე გაურკვეველი ნაწილი თუ ახერხებს რეალობაზე აღმატებას. ამ აზრს ბევრი რამ ძალუძს; ბოლოს და ბოლოს, განსაცვიფრებელ გაუმჯობესებას აღწევს კაცთა მოდგმის ერთი შეხედვით უცვლელ და უმოძრაო სფეროში. მაგრამ იმ მომენტში, როცა მოსალოდნელ თუ სასურველ სახეცვლილებაზე ფიქრობს, ადამიანური აზრი მაინც ნაკლებად არ ემორჩილება უღელს, ხედვის მანერას, განცდას თუ წარმოსახვას იმისა, რისი შეცვლაც მას განუზრახავს; თითქმის მთლიანად დანთქმულა იმ შესაცვლელ რეალობაში, რომლის გარდაქმნასაც აპირებს; უფრო იმის ასახსნელ-განსასჯელად და კოორდინირებისთვის არის შექმნილი, *რაც იყო*, იმის დასახმარებლად, გამოსაკვეთად და გასაცნობად, რაც უკვე დაიბადა, თუმცა ჯერ უხილავია, და იშვიათად თუ განჭვრეტს მომავალს, იშვიათად თუ ქმნის რაიმე მარგებელს ან გამძლეს, როცა ჯერარარსებულში შეღწევას ცდილობს. გარდა ამისა, ადამიანურ აზრს ყველგან თან დააქვს იმ სოციუმის სასჯელიც, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მეტისმეტად ბევრი უსამართლობა გვაკრავს გარშემო საიმისოდ, რომ ჩამოგვიყალიბდეს სამართლიანობის დამაკმაყოფილებელი იდეა და ვიფიქროთ მასზე კეთილსინდისიერად და სათანადო თავისუფლებით. იმისთვის, რომ შევისწავლოთ და ნაყოფიერად ვისაუბროთ მასზე, სამართლიანობა ის

უნდა იყოს, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო: უმწიკვლო და რეალური საზოგადოებრივი ძალა. სადღეისოდ კი უნდა შემოვიფარგლოთ მისი არაცნობიერი, ფარული და, ასე ვთქვათ, უგრძნობი შედეგებით. მართლაცდა, მხოლოდ ადამიანური უსამართლობის ნაპირიდან თუ ვხედავთ სამართლიანობას და ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ გამოიყურება უმწიკვლო სინდისის უსაზღვრო და ძალდაუტანებელი გუმბათის ქვეშ მიმომგორავი ზღვა. ამისათვის, სულ ცოტა, ადამიანებს გაკეთებული უნდა ჰქონდეთ, რისი გაკეთებაც ხელეწიფებათ თავ-თავის სფეროში. მაშინ იმის უფლებაც ექნებოდათ, უფრო შორს წასულიყვნენ და უკვე სხვა კითხვებიც დაესვათ. უფრო დამშვიდებული სინდისის შემთხვევაში კი აზრებიც უფრო ნათელი ექნებოდათ.

XXIX

როდესაც ვცდილობთ, გავხდეთ უკეთესნი, მივუტევოთ, გვიყვარდეს და უკეთ გვესმოდეს, სწორედ მაშინ ადამბლავებს ჩვენს მგზნებარებას დიდი საყვედური:

სულ ამაოდ განვწმინდეთ ჩვენი სინდისი, ამაოდ გავაკეთილშობილეთ ჩვენი აზრები და ამაოდ შევეცადეთ, გარშემომყოფთათვის ცხოვრება უფრო შეგვერბილებინა და შეგვემსუბუქებინა, — ამ ყველაფერს თითქმის არაფერი მოჰყვება ჩვენ გარეთ, ეს ყველაფერი ჩვენი კარის ზღურბლსაც ვერ გადაჰკვეთს და, როგორც კი ჩვენი შინაგანობის ფარგლებს გავცდებით, ვიგრძნობთ, რომ არაფერი გვიქნია, რომ ვერაფერს ვიზამთ და რომ ჩვენდაუნებურად ვმონაწილეობთ დიდ და ანონიმურ უსამართლობაში. რა ბედენაა სინდისის ყველაზე

გულშიჩამწვდომი და დელიკატური პრობლემების გადაწყვეტა, მწარე ფიქრის აჩრდილის შიშნეული განდევნა, მთელი დღის განმავლობაში კეთილშობილ, უბრალო, ერთგულ, ლოიალურ, თანამგრძნობელ, ზნეობრივად ხელშეუხებელ ადამიანად ყოფნა საკუთარი ბინის ოთხ კედელში, მეორე წამს კი — ქუჩაში გასვლისას ან უცნობ სახეებთან შეხვედრისას — მთელი სიბრალულის, სამართლიანობისა და სიყვარულის დავიწყება? რას წარმოადგენს ღირსება თუ ლოიალობა ამ ორმაგი არსებობისა: ბრძნულის, ადამიანურის, ამაღლებულ-გააზრებულის ჩვენი საბინადროს შიგნით, მის გარეთ კი -- გულგრილის, ინსტინქტურის, შეუბრალებლის? საკმარისია, მავან მუშაზე ნაკლებ გვციოდეს, მასზე უკეთ გვეცვას და უკეთ ვიკვებებოდეთ, რომ უკვე ისეთ ნივთს ვყიდულობთ, რომელიც მკაცრად აუცილებელი არ არის. უკანასკნელი ანალიზით და მრავალი წრის მიღმა, ეს არის გაუცნობიერებელი დაბრუნება ძლიერის მიერ სუსტის უსირცხვილოდ გაძარცვის პირველყოფილ აქტთან. თუ საკმარისად ახლოდან შევხედავთ, ჩვენი უპირატესობა შედეგად მოსდევს უფლების ბოროტად გამოყენებას (ალბათ — ძველთ-უძველესს), უცნობ ძალმომრეობას, ძველ ვერაგობას, ანუ ყოველივე იმას, რაც მოძრაობაში მოგვყავს, როდესაც ჩვენს მაგიდასთან ვჯდებით, უქმად მივსეირნობთ ქალაქში, ვწვებით არა საკუთარი ხელით ნაკეთებ სანოლში. და თვით მოცალეობა — ვიყოთ საუკეთესონი, უფრო თანამგრძნობელნი, უფრო რბილნი და უფრო ძმურად მოფიქრალნი სხვების თავს დამტყდარ უსამართლობაზე, — რას წარმოადგენს, საბოლოოდ, ეს მოცალეობა, თუ არა დიდი უსამართლობის უმნიფეს ნაყოფს?

XXX

მშვენივრად ვიცი, რომ მსგავსი ეჭვები მეტის-მეტად შორს არ უნდა მივუშვათ. ეს მიგვიყვანდა სრულებით ამაო და, შესაძლოა, დამღუპველ ამ-ბოხამდე ადამიანური მოდგმის მიმართ, რომლის ძალუმ და კეთილმოწყალე ზლაზვნას პატივისცე-მით უნდა მოვეკიდოთ. თუ არადა, დავუბრუნდებით უმოქმედო, მისტიკურ, ცხოვრების ყველაზე თვალ-საჩინო და ყველაზე უცველელ ნებელობათა მიმართ მტრულად განწყობილ განდგომილებას. სწორედ აქ არის კანონები, გარდაუვალს რომ უწოდებენ, თუმ-ცა უწოდებენ უკვე ნაკლები თავდაჯერებით. ასე შეიცვალა სამართლიანისა და ბრძენის სიტუაცია. მარკუს ავრელიუსი — ოდესმე არსებულ სულთა შორის, ალბათ, ყველაზე კეთილშობილად მგრძნო-ბიარე, ყველაზე ბრძნულად იმპრესიული, ყველაზე გულწმინდად შეწუხებული, სამართლიანობის შეს-ახებ ყველაზე უფრო შეფიქრიანებული სული — არა-სოდეს კითხულობს, რა ხდება სინათლის იმ პატარა და საოცარი წრის გარეთ, რომლის შიგნითაც მისი სათნოება, სინდისი, გულმოწყალება, ღვთიური ლმო-ბიერება გარემოიცავს მის ახლობლებს, მეგობრებსა და მსახურებს. მშვენივრად მოეხსენება, რომ ირგვ-ლივ უსამართლობის უსასრულო ზღვა გადაშლილა. მაგრამ ეს უსამართლობა — გარდაუვალი, იდუმალი და საკრალური ოკეანე, ღმერთების, ფატალობისა და უცნობ, აღმატებულ, განუკითხავ, აუცდენელ, ურყევ კანონთა დიადი ნილი — მას არ ეხება. და ეს სულაც არ უხდენს ავრელიუსს ნირს, პირიქით — უფრო თავდაჯერებულს ხდის, ძალებს აკრე-ბინებს და ამაღლებს, როგორც პატარა ფართობზე გავრცელებული და სწორედ ამიტომაც სიმაღლეში წასული ცეცხლი, რომელიც მარტოდმარტო გიზგი-

ზებს ღამის წყვდიადში და რომელსაც ეს წყვდიადი კიდევაც უფრო აძლიერებს. ის არ ეხება ბედისწერის განგებულებას, მონობაში რომ ამყოფებს ადამიანთა დიდ ნაწილს. თავისთავს სევდით და, იმავდროულად, ნდობით უქვემდებარებს უცვლელ ბრძანებულებებს და, მისი მხრივ, ესეც ღვთისმოსაობისა და სათნოების აქტია. იგი საკუთარ თავში იკეტება და უფრო ადამიანური, უფრო სამართალიანი ხდება ერთგვარ უმოძრაო, არა მანათობელ სიცარიელეში. და, საუკუნიდან საუკუნემდე, ბრძენნი და გულმოწყალენი იმავე დამუხტულ-განმარტოებული მგზნებარებით ივლიან. შეიცვლება არაერთი უცვლელი კანონი, მაგრამ უსამართლობის წილი უწინდებური დარჩება და ბრძენნი და გულმოწყალენიც მას უწინდებურად მშვიდი და უბრძოლველი კაეშნით შეხედავენ.

ჩვენ რაღას ვაპირებთ? ჩვენ ვიცით, რომ აღარ არსებობს აუცილებელი უსამართლობა. ჩვენ დავიკავეთ ღმერთების, ბედისწერის და უცნობ კანონთა სამფლობელო. შესაძლოა, მათ განკარგულებაში რჩება უბედური შემთხვევა, სნეულება, ქარიშხალი, მეხი და სიკვდილის საიდუმლოთა დიდი ნაწილი (აქამდე ჯერ არ მივსულვართ), მაგრამ ის კი ცხადია, რომ ზემოთნახსენებ საუფლოში აღარ შედის უიმედო შრომა, სიღატაკე, შიმშილი და მონობა. ამ ყველაფერს თავად ადამიანები ვქმნით, ვინარჩუნებთ და ვანაწილებთ. ეს ჩვენი პირადი წყლულებია, საზარელი, მაგრამ ნაცნობი, და უფრო და უფრო კლებულობს იმათი რიცხვი, ვისაც გულწრფელად სწამს, რომ აქაც ზეადამიანური ძალა მეუფებს. ამიერიდან მხოლოდ მოგონებადღა დაგვრჩა რელიგიური და გადაულახავი ოკეანე, რომელიც იცავდა და მიუტევებდა თავისთავში ჩაკეტილი მოაზროვნისა თუ გულმართალი კაცის განდგომას. დღეს მარკუს ავრელიუსი უწინდელი სიმშვიდით ვეღარ იტყოდა: „ისინი

ესწრაფვიან თავშესაფრებს, სოფლურ ქოხმახებს, ზღვის სანაპიროებს, მთებს... და შენც, ჩვეულებისამებრ, ამგვარი სიკეთეების სურვილს აუტანიხარ. არადა, ეს ხომ უვიცი და მოუქნელი ადამიანის სურვილია, რაკი საჭირო ჟამს ყოველთვის შეგიძლია განმარტოვდე საკუთარ თავში. ვერსად იპოვის კაცი უფრო მშვიდ, საქმეებისგან უფრო თავისუფალ კუნჭულს, ვიდრე მისივე სულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ სულში მოეპოვება საგნები, რომელთა ჭვრეტა საკმარისია ჩვენ გასახალისებლად სრული სიმშვიდის ჟამს, რაც ჩემთვის სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური სულის სრული მოწესრიგებულობა."

ამჟამად სხვა რამ მოქმედებს და არა „სულის მოწესრიგებულობა". უფრო სწორედ, საქმე ეხება იმ ყველაფრის მოწესრიგებას, რაც თან გაჰყვა მარკუს ავრელიუსის ეპოქას, ანუ ადამიანურ უბედურებათა სამ მეოთხედს — იმხანად ხელშეუხებს, უძრავს, მიუწვდომელს, ფატალურს, სადღეისოდ კი უკვე რეალურს, ახსნადს, ცხოვრებისეულს და ადამიანურს.

XXXI

ამით სულაც არ ვამბობ, რომ უნდა უარი ვთქვათ შინაგანი მოწესრიგების სურვილზე, ეგზომ ნიშანდობლივზე გარდასული დროის ბრძენთათვის. ჩვენ აღარ მიველტვით აბსოლუტურ მოწესრიგებულობას, რასაც ისინი თავიანთ გამართლებულ ეგოიზმში ჰპოვებდნენ, — ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს მხოლოდ პირობითი და დროებითი წესრიგის მოპოვების იმედი. ასეთი წესრიგი ზნეობის უკანასკნელი სიტყვა არ არის, მაგრამ არანაკლებ აუცილებელია იმით დაწყება, რომ ვიყოთ შეძლებისდაგვარად სამართლი-

ანნი ჩვენ თავში, ისევე როგორც ჩვენ ახლობელთა, მეგობართა, მეზობელთა და მსახურთა მიმართ. როცა ბოლომდე სამართლიანნი ვართ ამ ყოველივეს მიმართაც და საკუთარ სინდისშიც, მხოლოდ მაშინ ვამჩნევთ ჩვენს უსამართლობას ყველა სხვასთან მიმართებაში. რაც შეეხება პრაქტიკულად უფრო მეტ სამართლიანობას უცნობთა მიმართ, ასეთი ქცევა ჩვენთვის ჯერჯერობით უცხოა, თუ, რასაკვირველია, არ გავიხსენებთ დიდი ჰეროიკული თავგანწირვის მაგალითებს, რომლებიც — რაკი საყოველთაო მოვლენად ვერ იქცეოდნენ — ბევრს ვერაფერს აღნევდნენ და, ალბათ, ბუნების უღრმეს კანონთა საპირისპიროდაც მოქმედებდნენ. ბუნება კი, დედობრივი სიყვარულის გარდა, ყოველგვარ თვითშეწირვას უარყოფს.

ამრიგად, ზემოთნახსენები პრაქტიკული სამართლიანობა ადამიანთა მოდგმის საიდუმლოა. მას აქვს სხვა საიდუმლოებიც, რომლებსაც სათითაოდ ამჟღავნებს ისტორიის ნამდვილად საშიშ მომენტებში. და ის გადაწყვეტებიც, რომლებსაც მომაკვდინებელი სირთულეებისთვის პოულობს, თითქმის ყოველთვის მოულოდნელი და უცნაურად მარტივი გადაწყვეტებია. ეგების ახლოვდება ჟამი, როცა ადამიანთა მოდგმა კვლავ ამეტყველდება. გვქონდეს იმედი, თუმცა ნურც მეტისმეტად დიდი, რადგან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ დიდხანს ვერ გამოვა „მსხვერპლად შენირულ თაობათა“ პერიოდიდან. სხვა პერიოდი ისტორიამ არც იცის და, შესაძლოა, თვით ჟამის აღსასრულამდე ყველა თაობამ თავი შეწირულად ჩათვალოს. მიუხედავად ამისა, ვერავინ უარყოფს, რომ გაღებული მსხვერპლი — ჯერ კიდევ უსამართლო და უსარგებლო — ნაკლებად აუცდენელი და თანდათან უფრო ადამიანური ხდება, რაკი განპირობებ-

ულია უფრო და უფრო უკეთ შეცნობილი კანონებით და თითქოს მეტად და მეტად უახლოვდება ისეთ მსხვერპლშეწირვას, რომელსაც ამაღლებული გონება სისასტიკის გარეშე მიიღებს.

XXXII

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანთა მოდგმის „იდეებს“ დიადი და შემაშფოთებელი სიზანტე ახასიათებს. საუკუნეები უნდა გასულიყო, რათა პრიმიტიული ადამიანები აღარ გაქცეულიყვნენ ან ერთმანეთს აღარ შეტაკებოდნენ, როცა გამოქვაბულთა შესასვლელთან ხვდებოდნენ; რათა, ბოლოს დაბოლოს, მიხვედრილიყვნენ, რომ ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა ერთმანეთთან დაახლოება და ერთობლივი თავდაცვა ბუმბერაზი გარეშე მტრის გასამკლავებლად. გარდა ამისა, ადამიანთა მოდგმის „იდეები“ ხშირად მეტისმეტად განსხვავდება ბრძენკაცის იდეებისგან. თითქოს დამოუკიდებელნი და სპონტანურები, ეს უკანასკნელნი ხშირად ეყრდნობიან ისეთ მონაცემებს, რომლის კვალს ვერსად იპოვით მათი წარმომშობი ეპოქის ადამიანთა აზროვნებაში. „შემეძლო თუ არა, მთელი ჩემი ძალისხმევით, ერთი საათით მაინც დამეჩქარებინა ან ერთი შტრიხით მაინც შემეცვალა თავისი გაურკვეველი მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მსვლელი ანონიმური მასის გადაწყვეტილებები?“ — აი, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და საგონებელში ჩამგდები კითხვა, რომელიც კი შეეძლო თავისთავისთვის დაესვა მორალისტს ან სოციოლოგს.

XXXIII

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, იმდენად დიდი, რომ ეს იყო მეცნიერების ერთ-ერთი უპირველესი მტკიცება იმ მომენტში, როცა ის მინის ნიაღიდან, მყინვარებიდან და მღვიმეებიდან გამოდიოდა და სახელად არც გეოლოგიას ირქმევდა და არც პალეონტოლგიას, რათა, უბრალოდ, *ადამიანის ისტორიად* ქცეულიყო, — ჰოდა, დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ გაიარა კრიზისი, რომელიც გარკვეულწილად სადღეისოდ მოახლოებულ ან უკვე რეალობად ქცეულ კრიზისს ჰგავს, ოღონდ იმ სხვაობით, რომ უნინ ეს კრიზისი სრულებით განსხვავებულად ტრაგიკული და გადაუჭრელი ჩანდა. იმის თქმაც კი შეგვეძლო, რომ ამ მომენტამდე კაცთა მოდგმას არასოდეს ჰქონია უფრო კრიტიკული ან გადამწყვეტი ჟამი, არასოდეს მიახლოებია ასე საკუთარი თავის განადგურებას. და თუ დღეს ვცოცხლობთ, ესეც იმ მოულოდნელი გამოსავლის დამსახურებაა, რომელიც ადამიანმა მაშინ იპოვა, როდესაც მისი გონებითა და სამართლიან-უსამართლოს ინსტინქტში ამ გონების საუკეთესო მონაპოვრით ნაკვებ უბედურებას ის იყო უნდა დაერღვია სურვილსა და ცხოვრების შესაძლებლობას შორის არსებული გმირული წონასწორობა.

მსურს, ვილაპარაკო ადამიანთა პირველ ჯგუფებს შორის ბუნებრივად წარმოქმნილ მრავალგვარ ძალადობაზე. ეს ყველაფერი, ალბათ, თავზარდამცემი იყო და სერიოზულად ემუქრებოდა ადამიანთა არსებობას, რადგან შურისძიება საშინელი და, ასე ვთქვათ, ეპიდემიური საშუალებაა, რომელიც, უნინარეს ყოვლისა, მართლმსაჯულების არსებობას მოითხოვს. აშკარაა, რომ, თავის ანაბარა დარჩენილ და დღითიდღე გამრავლებულ შურისძიებათა ჯაჭვი არ დააყ-

ოვნებდა გამოეხრა მთელი კაცობრიობა თუ არა, ის ყველაფერი მაინც, რაც კი დიადი და ენერგიული იყო პირველ ადამიანებში. თუმცა თითქმის ყველა ბარბაროს ხალხშიც და სადღეისოდ მცხოვრებ ველურ ტომებში, ვხედავთ (ეს, საზოგადოდ, ის მომენტია, როდესაც ტომის საბრძოლო იარაღი რეალურად მომაკვდინებელი ხდება), რომ შურისძიება ჩერდება იმ განსაკუთრებული ჩვეულების წინაშე, რომელსაც „სისხლის საფასური" ან „კაცისკვლის შეთანხმება" ჰქვია და რომელიც საშუალებას აძლევს დამნაშავეს გაექცეს ფიზიკურ ანგარიშსნორებას თავისი მსხვერპლის მეგობრების ან მშობლების მხრიდან, თუ ამ ადამიანებს გადაუხდის თავდაპირველად თვითნებურ, შემდეგ კი უკვე მკაცრად განსაზღვრულ კომპენსაციას.

თუ კარგად დავუკვირდებით, ერთობ ჰეროიკულ ისტორიაში, ნორჩ ხალხთა პირველი მოძრაობებიდან მოყოლებული, არაფერია უფრო უცნაური, უფრო მოულოდნელი, როგორც ეს რამდენადმე მერკანტილური, საკმაოზე მეტად დამთმენი, თითქმის საყოველთაო მოხმარების საგნად ქცეული გამომგონებლობა. რას მივაწეროთ იგი? ეგებ ბელადთა შორსმჭვრეტელობას? მაგრამ მას ხომ იქ ვპოულობთ, სადაც, ასე ვთქვათ, არანაირი ძალაუფლება არ არსებობს. ეგებ ეს ადამიანთა პირველი დაჯგუფებების უხუცესთა, მოაზროვნეთა, ბრძენთა დამსახურებაა? ესეც ნაკლებად მოსალოდნელია. ამ გამომგონებლობაში ჩანს აზრი, რომელიც ერთდროულად უფრო მდაბალიც არის და უფრო მაღალიც და არ შეიძლება ეკუთვნოდეს ბარბაროსული პერიოდის ცალკეულ გენიოსს თუ წინასწარმეტყველს. ბრძენი, წინასწარმეტყველი, გენიოსი, განსაკუთრებით კი — გაუნათლებელი გენიოსი მიდრეკილია იქითკენ, რომ მოახდინოს იმ კლანისა

თუ ეპოქის საყოველთაო-ჰეროიკულ მიდრეკილებათა უტრირება, რომელსაც იგი ეკუთვნის. ასეთი ადამიანი უნდა დაეფრთხო ბუნებრივ-საკრალური შურისგების ამ ფრთხილ და თითქმის გულდახურულ ყოყმანს, მეგობრობის, ერთგულებისა და სიყვარულის ამ საკმაოდ საძაგელ გარიგებას. მეორეს მხრივ, ნუთუ რეალურად შეძლებდა მსგავსი პიროვნება ისეთ შინაგან ამაღლებას, რომ ყველაზე უშუალო, უკეთილშობილეს და შეუდავებელ მოვალეობათა მიღმა განეჭვრიტა ტომისა და მოდგმის ის უზენაესი ინტერესი, ცხოვრების ის იდუმალი ნაკადი, რომელსაც, როგორც წესი, ამჟამად თვით უბრძნესნიც კი ვერ ჭვრეტენ და გამართლებითაც მხოლოდ თავიანთ მარტოხელა გულ-გონებაზე განხორციელებული სერიოზული და მტკივნეული გამარჯვების შემდეგღა ამართლებენ?

არა, ასეთი გამოსავალი ადამიანის აზრს არ უპოვნია. ეს იყო მასის არაცნობიერი, რომელიც იძულებული გახდა თავი დაეცვა მეტისმეტად ინდივიდუალური, პირწმინდად *ადამიანური* აზრებისგან, რომლებიც, სწორედ ამ მიზეზით, ვერ მიესადაგებოდნენ დედამიწაზე ცხოვრების გარდაუვალ მოთხოვნებს. კაცთა მოდგმა უკიდურესად მორჩილია, უკიდურესად ამტანი; შეძლებისამებრ დიდხანს და შეძლებისამებრ შორს მიაქვს ტვირთი, რომელსაც ზურგზე ჰკიდებს ადამიანის გონება, უკეთესის მისეული სურვილი, მისი წარმოსახვა, ვნებები, მანკიერებები, საათნოებები და გრძნობები. მაგრამ იმ მომენტში, როდესაც ტვირთი ნამდვილად გამსრესი და საბედისწერო ხდება, კაცთა მოდგმა მას გულგრილად იხსნის მხრებიდან და იოტისოდენადაც არ ანაღვლებს, რა საშუალებას მიმართავს ამ დროს. მიმართავს ყველა საშუალებათაგან უახლოესს და უმარტივესს, თითქოს დარწმუნებულია, რომ მისი იდეა ყველაზე სამარ-

თლიანია და ყველაზე უკეთესი. არადა, სულ ერთადერთი იდეა აქვს: *იცოცხლოს*. და ეს იდეა, საბოლოო ჯამში, აღემატება ყველა გმირობას და ყველაზე საუცხოო ოცნებებს, რომლებიც კი შეიძლებოდა ეტარებინა მის მიერ ჩამოხსნილ ტეირთს.

ადამიანური გონების ისტორიაში ყველაზე მაღლა წასული აზრები მუდამ არ წარმოადგენს, იმავდროულად, უსამართლიანეს და უდიადეს აზრებსაც. ზოგიერთი აზრი წყლის იმ ჭავლს ჰგავს, ძალზე მაღლა რომ ვერ მიდის, რაკი მანამდე დატყვევებული იყო და შემდეგ მეტისმეტად ვიწრო ღიობიდან იხუვლა. ვინმემ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ ცისკენ ასხურებულ წყალს უნდა ეზიზღებოდეს ქვემოთ გადაშლილი, უმოძრაო და უნაპირო ტბა. მიუხედავად ამისა, სიმართლე ტბაშია. თავის გარეგნულ უძრაობასა და პასიურ მდუმარებაში, ის მშვიდად ასრულებს თავის დიდ და ჩვენი პლანეტის უმნიშვნელოვანესი ელემენტის შესატყვის საქმეს. ხოლო წყლის ჭავლი სხვა არაფერია, თუ არა საინტერესო შემთხვევა, მალევე რომ უბრუნდება საყოველთაო რეზერვუარს. ჩვენთვის კაცობრიობა ის ტბაა, რომელიც მუდამ მართალია, თვით იმ აღმატებული ადამიანის ხედვის წერტილიდანაც კი, რომელსაც ტბა ზოგჯერ ხელყოფს და შეურაცხყოფს. იგი ატარებს უვრცეს იდეას, რომელიც ყველა სხვა იდეას მოიცავს და ყველაზე დაუსაზღვრავ დრო-სივრცეს გარშემოწერს. განა დღიდან დღემდე სულ უფრო უკეთ არ ვხედავთ, რომ უვრცესი იდეა, საბოლოოდ და ნებისმიერ სფეროში, ყველაზე კეთილგონივრული, ყველაზე ბრძნული, ყველაზე სამართლიანი და, ასე გასინჯეთ, ყველაზე მშვენიერიც კია?

XXXIV

ხანდახან ჩვენს თავს ვეკითხებით: უკეთესი ხომ არ იქნებოდა, რომ კაცობრიობის სვე-ბედი გამორჩეულ ადამიანებს, დიდ ბრძენებს წარემართათ და არა საკუთრივ კაცთა მოდგმის ინსტინქტს, ყოველთვის ასე ნელს და ხშირად ესოდენ სასტიკს?

ვფიქრობ, ამ კითხვაზე დღეს ისე ვერ ვუპასუხებთ, როგორც სხვა დროს გვიპასუხია. რასაკვირველია, ყოვლად სახიფათო იქნებოდა ადამიანთა ბედ-იღბლის ჩაბარება პლატონისთვის, არისტოტელესთვის, მარკუს ავრელიუსისთვის, შექსპირისთვის თუ მონტესკიესთვის. ფრანგული რევოლუციის ყველაზე უარეს მომენტებში ხალხის ბედი საკმაოდ კარგ ფილოსოფოსებს ებარა.

მაგრამ აშკარაა, რომ ამჟამად მოაზროვნის ჩვევები სიღრმისეულად შეცვლილია. დღეს იგი სპეკულატიური, უტოპისტი ან მხოლოდ ინტუიციური აღარ არის. პოლიტიკაში, ისევე როგორც ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და ყველა მეცნიერებაში, მოაზროვნე ადამიანი დღეს უფრო დამკვირვებელია, ვიდრე წარმომსახველი. უფრო ხშირად, ის კვალში უდგას, უყურებს, შეისწავლის, ცდილობს მოაწესრიგოს არსებული სინამდვილე და არა წინ გაუსწროს ან შექმნას ის, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს ან რაც არასოდეს იქნება. აქედან გამომდინარე, მას, ალბათ, უკვე შეუძლია ილაპარაკოს მეტი დაბეჯითებით. იმავდროულად, ნაკლებია მისი მხრიდან პირდაპირი ჩარევის საფრთხეც. ისიც მართალია, რომ მას იმაზე მეტ უფლებას აღარავინ მისცემს, რამდენიც უწინ ეძლეოდა. ალბათ, უფრო ნაკლებსაც, რადგან სადღეისოდ ის უფრო წინდახედულია და თავისი დასაზღვრული გარკვეულობებითაც ნაკლებად

დაბრმავებული, რის გამოც ნაკლებს გაბედავს და ნაკლებად ექსკლუზიურიც იქნება. თუმცა ისეც შეიძლება მოხდეს, რომ მას შემდეგ, რაც ბუნებრივ თანხმობაში მოვა ადამიანთა მოდგმის გენიასთან, რომლის დამკვირვებლის როლითაც იგი კმაყოფილდება, მისი ავტორიტეტი ნელ-ნელა გაიზარდოს. თუმცა აქაც, საბოლოო ჯამში, სიმართლე ისევდაისევ ადამიანთა მოდგმის მხარეზე იქნება და გადაწყვეტილებასაც ის მიიღებს. ის ხომ თვითონვე მართავს დამკვირვებელ მოაზროვნეს და, ამ უკანასკნელის მიდევნით, კვლავ თავისივე გაუცნობიერებელ და ფორმამიუცემელ ნება-სურვილს მიჰყვება, რომელსაც ეს მოაზროვნე ხვალ-ზეგ ნათელს მოჰფენს და გამოთქვამს.

XXV

იმის მოლოდინში, რომ ადამიანთა მოდგმა ახალ საშუალებას იპოვის (და ის ამას უთუოდ იზამს, როდესაც საფრთხე კიდევ უფრო მოახლოვდება. ისიც კი შესაძლებელია, რომ უკვე ნაპოვნი აქვს, რაც ჩვენს ბედისწერებს რამდენადმე ცვლის, თუმცა ეჭვით არაფერს ვეჭვობთ), — ამის მოლოდინში მყოფებს და ისე ჩაფლულებს სამუშაოში, თითქოს თანამოძმეთა ხსნა მთლიანად ჩვენზე ეკიდოს, ჩვენც — ძველი ბრძენებისა არ იყოს — გვაქვს ხანგამოშვებით საკუთარ თავში ჩაბრუნების უფლება. იქ, შესაძლოა, ჩვენც ნავაწყდეთ ერთ-ერთ იმ საგანთაგანს, რომელთა ჭვრეტა გაგვალაღებს და სრულყოფილ სიმშვიდეს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უძლეველ იმედს მაინც მოგვმადლის. თუკი ბუნება უსამართლოდ წარმოგვიდგება; თუ არაფერი გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ აღმატებული

ძალა ან სამყაროს გონი გვაჯილდოვებს ან გვსჯის, აქ ან სხვაგან, ჩვენი სინდისის ან სხვა რომელიღაც კანონის შესატყვისად, ერთ დღესაც რომ მიეიღებთ და დავუშვებთ; თუ, ბოლოს და ბოლოს, ადამიანიდან ადამიანამდე, ანუ ჩვენს ურთიერთობაში ჩვენივე მსგავსებთან არსებობს სამართლიანობის ჩინებული სურვილი, მაგრამ რეალურად მოქმედი სამართალი მუდამ არასრულია, მუდამ ექვემდებარება გონების ათასგვარ ცდომილებას, პირადი ინტერესებიდან შობილ ათასგვარ ხრიკს, ჯერ კიდევ „ქვეადამიანური" სოციალური მდგომარეობისთვის დამახასიათებელ ათასგვარ მავნე ჩვეულებას, — ყოველივე ამის მიუხედავად, ის ხომ მაინც აშკარაა, რომ თითოეული ჩვენგანის ზნეობრივი ცხოვრების სიღრმეში ციმციმებს უხილავი და შეურყვნელი სამართლიანობის სახება, რომელსაც ამაოდ ვეძებდით ცაში, სამყაროში და კაცობრიობაში. და თუ ამ სამართლიანობის მოძრაობა სხვა ადამიანთა მზერასაც უსხლტება და, ხშირად, ჩვენს სინდისსაც, ესეც იმიტომ, რომ უფრო ფარული და ხელშეუხებელი იყოს, თუმცა — არანაკლებ ღრმად ადამიანური და ღრმად რეალური. თითქოსდა უსმენს და უთვალთვალებს ყველაფერს, რასაც ვფიქრობთ, ვამბობთ თუ რის გაკეთებასაც ვცდილობთ გარეგან ცხოვრებაში. და თუ ამ ყოველივეს სიღრმეში არსებობს ცოტაოდენი კეთილი ნება და სიწრფელე, სამართლიანობა მათ გარდაქმნის ზნეობრივ ძალებად, რომლებიც ავრცობენ და ანათებენ ჩვენს შინაგან ცხოვრებას და გვეხმარებიან, რომ მომავალში კიდევ უფრო უკეთ ვიფიქროთ, ვიმეტყველოთ და ვცადოთ. სამართლიანობის ეს სახება ჩვენს საუნჯეებს არც ამრავლებს და არც ამცირებს, ვერც მეხს უკუაგდებს, ვერც სნეულებას და ვერც ჩვენს სათაყვანებელ არსებას უხანგრძლივებს სიცოცხ-

ლეს. მაგრამ თუ ვისწავლით, როგორ ვიფიქროთ და როგორ გვიყვარდეს, თუ — სხვა სიტყვებით — გონების მიერ დაკისრებულ მოვალეობასაც ისევე შევასრულებთ, როგორც გულით ნაკარნახევს, მაშინ სამართლიანობა გონებისა და გულის სიღრმეში აგვინთებს ისეთ აზროვნებას, მოგვმადლის იქნებ განხიბლულ, მაგრამ ისეთ კეთილშობილ და ამოუწურავ კმაყოფილებას, არსებობის ისეთ ღირსებას, რომლებიც მაშინაც გვეყოფა საკვებად, როცა მატერიალურ სიმდიდრეებს დავკარგავთ, როცა მეხი და სნეულება დაგვკრავს, როცა სათაყვანებელი არსება სამუდამოდ დაგვტოვებს. კეთილ ფიქრს, კეთილ საქციელს ჩვენივე გული აჯილდოებს. ეგაა, ბუნების უნივერსალური მსაჯული არ ჩანს, რის გამოც გულს არ ეძლევა უფლება განავრცოს ეს ჯილდო გარშემომყოფ საგნებზე. რაკი გარესამყაროში სამართლიანობა ბედნიერებას ვერ ქმნის, ამიტომ მის შექმნას ჩვენ შიგნით ცდილობს. იმდენად უფრო ავსებს სულს, რამდენადაც ეს სული გარეთ არ იღვრება. სამართლიანობა ქმნის აუცილებელ სივრცეს ზრდა-გაფართოების გზაზე დამდგარი აზროვნების, თავისუფლებისა და სიყვარულისთვის. ბუნების კანონებს ის ვერაფერს უზამს, თუმცა ყველანაირად განკარგავს იმ კანონებს, ადამიანური სინდისის ბედნიერი წონასწორობის ჟამს რომ მეუფეებენ. და ეს ასეა როგორც აზრის ყველა საფეხურზე, ისე მოქმედების ნებისმიერ სტადიაში. მუშას, რომელიც პატიოსნად ცხოვრობს ოჯახის მამის მოკრძალებული ცხოვრებით და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მუშურ მოვალეობას, და კაცს, რომელიც შეუპოვრად განაგრძობს ყოფნას ზნეობრივ გმირობაში, შესაძლოა, ერთმანეთისგან დიდი მანძილი აშორებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე ცხოვრობს და მოძრაობს ერთსა და იმავე სიბრტყეზე და ერთსა

და იმავე ლოიალურ და მანუგეშებელ რეგიონში ხვდება. რაღა თქმა უნდა, რასაც ვლაპარაკობთ და როგორც ვიქცევით, დიდად ზემოქმედებს ჩვენს მატერიალურ ბედნიერებაზე, მაგრამ, საბოლოო ჯამში, თვით მატერიალურ ბედნიერებასაც კი ადამიანი მხოლოდ სულიერი ორგანოებით თუ შეპხარის მკვიდრად და მთელი სავსებით. აი, რატომ ეძლევა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა იმას, რასაც ჩვენ ვფიქრობთ. მაგრამ ყველაზე უფრო არსებითი იმ თვალსაზრისით, თუ როგორ მივიღებთ ცხოვრებისეულ სიხარულებს და ტკივილებს, არის ხასიათი, გონებრივი მდგომარეობა, ზნეობრივი ჩვევა, რომლებიც ჩამოყალიბდება ჩვენში ყველაფერ იმით, რაც გვითქვამს, გვიფიქრია და მოგვიმოქმედებია. აქ უდავო სამართლიანობა მეღაკნდება და აქვეა იმდენად გარდაუვალი თანხმობა გონებისა და გულისათვის დამახასიათებელ კეთილ ნებასა და ჩვენი ზნეობრივი არსების ინტიმურ ბედნიერებას შორის, რომ ეს ბედნიერება სხვა არაფერია, თუ არა ჩვენსავე შიგნით მიმართული კეთილი ფიქრისა და გრძნობის მანათობელი სახე. აქ მიზეზსა და შედეგს შორის რეალურად არსებობს აზრობრივ-ზნეობრივი კავშირი, ამაოდ რომ ვეძებდით გარესამყაროში. ხოლო ზნეობრივ საგნებში ნამდვილად მყოფობს და ჩვენი სინდისის წიაღში ამოძრავებულ კეთილბოროტზეც მეუფებს სამართლიანობა, რომელიც ზედმიწევნით ჰგავს იმ სამართალს, რომლის არსებობას მატერიალურ საგნებშიც ვისურვებდით. და, სხვათა შორის, განა ჩვენი წადილიც მისგანვე არ იბადება? და ასე ძალუმად რომ გვიღვივის გულში, განა სწორედ ამიტომ არ გვიჭირს იმის დაჯერება, რომ სამყაროში სამართლიანობა არ არსებობს?

XXXVI

საკმაოდ დიდხანს ვილაპარაკეთ სამართლიანობაზე. მაგრამ ეს ხომ ადამიანის დიდი ზნეობრივი საიდუმლოა? განა არ შეიმჩნევა მასში ტენდენცია — შეენაცვლოს ადამიანის ბედისწერის სულიერ საიდუმლოთა უმრავლესობას? სამართლიანობამ არაერთი ღვთაების და ანონიმური ძალის ადგილი დაიკავა. ის ვარსკვლავია, რომელიც ჩვენი ინსტინქტებისა და ჩვენი გონმიუწვდომი ცხოვრების ნისლეულში ყალიბდება. არა, ის გამოცანის პასუხი ანუ საბოლოო ამოხსნა არ არის და როცა უკეთ დავინახავთ, თუ საკუთრივ რას წარმოადგენს, — და ის უთუოდ იმეუფებს მიწაზე, — ჩვენ არც მაშინ გვეცოდინება, რანი ვართ, არც ის, თუ რისთვის ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ. მაგრამ სამართლიანობა გამოცანის პირველი საფეხურია და როცა მას ამოვხსნით, უფრო თავისუფალი გონებითა და მშვიდი გულით გავემართებით დანარჩენის ამოსახსნელად.

დაბოლოს, სამართლიანობა ყველა ადამიანურ სათნოებას მოიცავს: მხოლოდ მისი შემგებებელი ღიმილიც კი წმენდს, აკეთილშობილებს და უფლებას აძლევს ამ სათნოებებს შემოაღწიონ ჩვენს ზნეობრივ ცხოვრებაში. რადგან ნებისმიერი სათნოება, რომელსაც არ ძალუძს სამართლიანობის ნათელი და დაჟინებული მზერის ატანა, ქვეშქვეშაა და მავნე. ასე რომ, სამართლიანობას ნებისმიერი იდეალის ცენტრში ვპოულობთ. იგი ჭეშმარიტებისადმი ტრფიალის შუაგულშია, ისევე როგორც მშვენიერებისადმი ტრფიალის შუაგულში; თანაბრად არის სიკეთე, გულმოწყალება, დიდსულოვნება და ჰეროიკა, რადგან თითოეული მათგანი სამართლიანობის აქტია იმის მხრივ, ვინც საკმაოდ ამაღლდა და სამართლიანსა

და უსამართლოს მხოლოდ თავის ფერხთით და შემთხვევის მიერ მისთვის წაყენებულ ვალდებულებათა ვიწრო ჩარჩოში კი აღარ ხედავს, არამედ წლებისა და ახლობელ ბედისწერათა მიღმა, — იმ ყოველივეს მიღმა, რისი გაკეთებაც მართებს, რაც უყვარს, მოსწონს ან არ მოსწონს, რასაც გზად შეეყრება ან ეძებს, რისი იმედიც აქვს ან რაც აშინებს, თვით თანამოძმეების ბრალეულობათა და დანაშაულთა მიღმაც.

საიდუმლოს ევოლუცია

I

ფრიად კეთილგონივრულია გვჯეროდეს (და, უკეთესის არქონის გამო, მეცნიერების ბუნებრივი გაურკვევლობებისგან ცოტა არ იყოს დაღლილ არაერთ გონებას სჯერა), რომ ჩვენი ცხოვრების ძირითადი ინტერესი, ანუ ყველაფერი, რაც ნამდვილად ამაღლებული და ყურადღების ღირსია ადამიანთა ხვედრში, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს გარემომცველ საიდუმლოშია და, უპირატესად, ორ საშინელ და ულერადსახელიან საიდუმლოში: სიკვდილსა და ფატალობაში. მე ისიც მჯერა, ოღონდ — ოდნავ განსხვავებულად, რომ საიდუმლოს ყოველგვარი გამოვლინების შესწავლა ყველა იმ შტუდირებაზე უფრო კეთილშობილია, რომელიც კი შეიძლება განახორციელოს ჩვენმა გონებამ. და ეს, სხვათა შორის, არის ყველა იმ ადამიანის საქმე, რომლებიც მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურასა და ფილოსოფიაში ამაღლდნენ პატარა მოვლენების, პატარა რეალობებისა თუ პატარა ჭეშმარიტებების დაკვირვებასა და რეპროდუცირებაზე. თავ-თავის საქმეს ისინი მშვენივრად უძღვებიან, მეტ-ნაკლებად შორს მიდიან, მეტ-ნაკლებად მაღლა, იმ პატივისცემის პროპორციულად, რომელსაც გრძნობენ ყოველივე დანარჩენის მიმართ, რაც ჯერ არ იციან, ისევე როგორც პროპორციულად იმ მასშტაბისა, რომელსაც მათი წარმოსახვა თუ აზროვნება ანიჭებს ჯერაც შეუცნობელ ძალთა სიმრავლეს. სწორედ ამ შეუცნობლის გაცნობიერება, რომელშიც ყველანი ვცხოვრობთ, ანიჭებს ჩვენს ყოფნას ღრმა საზრისს, რომელიც არ იარსებებდა, თუ მხოლოდ იმაში ჩავიკეტებოდით,

რაც ვიცით, ან მჩატედ ვირწმუნებდით, რომ ის, რაც ვიცით, თავისი მნიშვნელობით გაცილებით აღემატება იმას, რაც ჯერ კიდევ არ ვიცით.

II

საჭიროა ჩამოვიყალიბოთ გარემომცველი სამყაროს ზოგადი კონცეფცია. მთელი ჩვენი ზნეობრივი და ადამიანური ცხოვრება სწორედ ამ კონცეფციას ეყრდნობა. მაგრამ რას წარმოადგენს გარემომცველი სამყაროს ასეთი კონცეფცია უპირატესად, თუ არა ზოგად კონცეფციას *შეუცნობლისა*? როცა ლაპარაკია ესოდენ სერიოზულ იდეაზე, რომელსაც არანაკლებ სერიოზული შედეგები მოჰყვება, მაშინ უფლება არ გვაქვს, ის ყველაზე სასურველ-საამური ფორმით წარმოვიდგინოთ. ჩვენ მიმართული ვართ იქითკენ, რომ არჩევანი შევაჩეროთ ყველაზე ჭეშმარიტ ან, მეტიც, ერთადერთ ჭეშმარიტ იდეაზე, რადგან, მე მგონი, ადამიანს არ ძალუძს გულწრფელად იყოყმანოს ორ მოჩვენებით ან ორ რეალურ იდეას შორის. ყოველთვის მოიძებნება ერთი მათგანი, რომელიც მოცემულ მომენტში მეორეზე უფრო ჭეშმარიტი გვგონია. და ადამიანის მოვალეობაც ყოველივე იმაში, რასაც აკეთებს, ამბობს თუ ფიქრობს, თავის ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ინტელექტუალურ თუ გრძნობად ცხოვრებაში, სწორედ მის მიერ ყველაზე უფრო ჭეშმარიტად ნაგულვები იდეის ერთგულებაა. გამორიცხული არ არის, რომ ეს უკანასკნელი სიტყვიერად ვერც კი განსაზღვროს ან მისგან ვერანაირი დამაკმაყოფილებელი გარკვეულობა ვერ მიიღოს. შესაძლოა, ეს იდეა კი არ არის, არამედ, არსებითად, ყველა სხვა შთაბეჭდილებაზე უფრო ღრმა და გულწრფე-

ლი შთაბეჭდილებაა. ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჭეშმარიტების თაყვანსაცემად აუცილებელი არ არის, რომ ის შეუდავებელი ან იერიშმიუტანელი იყოს. ისიც საკმარისია, რაც მან დაგვანახა: იდეები, რომლებიც მანამდე გვიყვარდა, აღარ შეესატყვისება ჩვენს დღევანდელ გამოცდილებას. ეს კმარა იმისთვის, რომ სადღეისოდ რჩეულ იდეას მთელი არსებით მივეცეთ მანამდე, სანამ ისიც იმავე ხვედრს გაიზიარებს, რაც მის გამო ერგო მისსავე წინამორბედს. უბედურება, რომელიც ზნეობრივ ცხოვრებას გვინგრევს და რომელიც ემუქრება ჩვენი გონებისა და ხასიათის მთლიანობას, ის კი არ არის, რომ მოვტყუვდეთ ან გაურკვეველი ჭეშმარიტება გვიყვარდეს, არამ̆ედ იმის ერთგულად დარჩენაა, რისიც მთელი სულით და გულით აღარ გვწამს. აკი თქმულა კიდეც: „ჩვენი ცხოვრების უმშვენიერესი ხარჯვა იმაში მდგომარეობს, რომ გავზარდოთ ჩვენი აზროვნების შესატყვისობა სინამდვილესთან".

III

ჩვენ წინ მხოლოდ ის საკითხი არ დგას, თუ როგორ ჩამოვიყალიბოთ *შეუცნობლისგან* ყველაზე გრანდიოზული, ყველაზე ტრაგიკული, ყველაზე იმპოზანტური, ყველაზე დამთრგუნველი ხატება, — ამით ტყუილუბრალოდ შემოვიზღუდავდით თავს. ეჭვი არაა, მრავალი თვალსაზრისით, ყველაზე მშვენიერი და ყველაზე რელიგიური მიმართება საიდუმლოსთან, ესაა დუმილი ან ლოცვა, მიღება და შიში. ერთი შეხედვით, სრული უკუდგომა, გულში ჩამარხული დიდი ზაფრა რაღაც გარშემოუწერელი, წინაღუდგომელი, შეუცნობელი, თუმცა მოყურადებული, ადამიანურად ზეადამიანური, უზენაესად

გონიერი და, შესაძლოა, მამობრივი ძალის წინაშე თითქოს უფრო ღირსეული და საკრალური ჩანს, ვიდრე დამთმენი, ჩაძიებული და მშვიდი გამოკითხვა. მაგრამ ვართ კი კვლავაც სათანადო მდგომარეობაში? გვაქვს კი კვლავაც არჩევანის უფლება? ამჯერად საქმე ჩვენი პოზიციის მშვენიერებას ან სიდიადეს აღარ ეხება. იდუმალების წინაშე სხვა ყველაფერზე მნიშვნელოვანი ხდება არა მშვენიერება ან სიდიადე, არამედ ჭეშმარიტება და სიწრფელე. ჩვენი მოვალეობა იმაში აღარ მდგომარეობს, რომ ფაქტები ჩვენს სხვადასხვა ინსტინქტურ არჩევანსა თუ იდეალს მივუსადაგოთ, არამედ იმაში, რომ გამოვკვებოთ ჩვენი სწრაფვები, საკმაოდ მრავალმხრივნი და უანგარონი, რაკი მუდამ მზად არიან კონსონანსში მოვიდნენ ყველა უტყუარ ფაქტთან. დაჩოქება იქნებოდა ეს თუ მიწაზე გართხმა — ერთსაც და მეორესაც *წარსული* ამშვენიერებდა, უფრო სწორედ — ის, რაც ჭეშმარიტება იყო *წარსულში.* ჩვენ, შესაძლოა, სხვა გარკვეულობას არ ვფლობთ, მაგრამ იგივე ჭეშმარიტება ჩვენს არსებაში ვეღარ იჭრება. თუ შეუცნობელს არ ვიცნობთ და არ ვიცით, საკუთრივ რას წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ვიცით, რაც ის *არ არის.* ხოლო თუ ჩვენი მამების პოზიციას დავუბრუნდებით, რაღაც არარსებულის წინაშე აღმოვჩნდებით. რადგან, თუ ეჭვმიუტანლად დადგენილი არ არის, რომ შეუცნობელი არც ყურადღებიანია და არც პიროვნული, არც უზენაესად გონიერი და არც სამართლიანი, თუ საბოლოოდ არ დამტკიცებულა, რომ მას არც ფორმა აქვს და არც ადამიანური ზრახვები, ვნებები, მანკიერებები თუ სათნოებები მოსდგამს, მაშინ გაცილებით უფრო დასაშვებია, რომ მან არაფერი უწყის იმ ყველაფერზე, რასაც ადამიანები გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ

ჩვენს არსებობაში; გაცილებით უფრო დასაშვებია, რომ თავის განუზომელ და მარადიულ ჩანაფიქრში მან კაცობრიობას ერთი პატარა, წარმავალი ადგილი დაუთმო, სადაც თვით უძლიერესი პიროვნების — კეთილისა თუ ბოროტის — მოქმედებას იმაზე მეტი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც კონტინენტებისა და ზღვების ისტორიაში — ბნელი გეოლოგიური უჯრედის ძლივსშესამჩნევ ტოკვას. თუ ჯერ სიტყვაშეუბრუნებლად დადასტურებული არ არის, რომ *უსასრულო* და *უხილავი* ყველგან ჩაგვსაფრებია, თავის სასნორზე წონის ჩვენს ბედნიერება-უბედურებას ჩვენივე ქმედებათა ავ-კარგის მიხედვით, ნაბიჯ-ნაბიჯ ნარმართავს ჩვენს ბედ-იღბალს და აურაცხელი ძალის მეშვეობით აწესრიგებს ჩვენი დაბადების, მომავლის, სიკვდილისა და საიქიო ცხოვრების პერიპეტიებს თავისი გონმიუწვდომელი და, იმავდროულად, გარდაუვალი კანონების მიხედვით, მაშინ გაცილებით უფრო დასაშვებია, რომ ის — *უსასრულო* და *უხილავი* — ყოველწამიერად იჭრებოდეს ჩვენს ცხოვრებაში, ოღონდ განურჩეველი, ვეებერთელა და ბრმა სტიქიების სახით, რომლებიც თავზეც გადაგვდიან, შიგნითაც გვეჭრებიან, გვძერწავენ, გვაცოცხლებენ და თან ისევე არ ეჭვობენ ჩვენს არსებობას, როგორც წყალი, ჰაერი, ცეცხლი და სინათლე არ ეჭვობს. არადა, მთელი ჩვენი გაცნობიერებული არსებობა, მთელი ამქვეყნიური ცხოვრება — ჩვენი ერთადერთი უეჭველობა და ერთადერთი ფიქსირებული წერტილი დროსა და სივრცეში — საბოლოო ჯამში, იმავე რიგის „გაცილებით უფრო დასაშვებ შესაძლებლობებს“ ეყრდნობა და, უმეტესწილად, ეს „შესაძლებლობები“ ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

IV

ნურასოდეს ნუ დაგვნყვეტს გულს ის წუთები თუ საათები, როცა დიადი რწმენა გვტოვებს. რწმენა, რომელიც ინავლება, ზამბარა, რომელიც იმსხვრევა, მეუფე-იდეა, რომელიც ვეღარ გვმართავს, რადგანაც, ჩვენი აზრით, ამჯერად ჩვენვე ვმართავთ მას, — ეს ყველაფერი ამტკიცებს, რომ ვცოცხლობთ, მივაბიჯებთ და ბევრ რამესაც ვიყენებთ, რაკი გაუნძრევლად არ ვდგავართ. არაფერი ისე არ უნდა გვეამებოდეს, როგორც ყურება იმ აზრისა, რომელსაც დიდხანს ვეყრდნობოდით და რომელიც უკვე თავისთავს ვეღარ ეყრდნობა. და თუ დამსხვრეულ ზამბარას ვეღარაფერს ვუნაცვლებთ, თავს მაინც ნუ დავიტანჯავთ. ჯობს, მისი ადგილი ცარიელი დარჩეს, ვიდრე შეენაცვლოს ზამბარა, რომელიც იუანგება, ჭეშმარიტება, რომლისაც მხოლოდ სანახევროდ გვწამს. სხვათა შორის, ეს ადგილი მხოლოდ მოჩვენებითად თუ დაცარიელდება. დადგენილი ჭეშმარიტების უქონლობის გამო, სადღაც ფსკერზე ძევს სხვა ჭეშმარიტება, რომელიც გველოდება და გვიხმობს. და თუ მეტისმეტად დიდხანს მოუწევს სიცარიელეში ლოდინი და ძახილი, თუ ვერაფერი შეენაცვლება დამსხვრეულ ზამბარას, მაშინ დაინახავთ, რომ ზნეობრივ ცხოვრებაშიც და ფიზიკურშიც აუცილებლობა შექმნის ორგანოს, რომლის კბილანების ასამოძრავებელ ძალას *ნეგატიური ჭეშმარიტება* იპოვის. და ჩვენ არცთუ იშვიათად ვასკვნით, რომ ის ცხოვრება, რომელსაც მხოლოდ ამგვარი ძალა ამოძრავებს, არც უფრო უსუსურია და არც უფრო უსარგებლო.

სხვა მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ რწმენა მთლიანად ქრება, ის ვერაფერს წაიღებს იქიდან, რაც აქამდე მივუძღვენით, და არ დაგვეკარგება

არცერთი წრფელი და უანგარო ძალვა, რომელიც მის გასავრცობ-გასამშვენიერებლად დაგვჭირდა. თითოეული აზრი, რომელიც ჩვენ ამ რწმენას დავუმატეთ, თითოეული სასიკეთო მსხვერპლი, რომელიც გაბედულად გავიღეთ მისი სახელით, თავის კვალს ტოვებს ჩვენს ზნეობრივ პიროვნებაში. სხეული ქრება, მაგრამ სასახლე, რომელიც მან ააგო, ხელუხლებლად დგას. სივრცე, რომელიც ხუროთმოძღვარმა დაიპყრო, არ იხურება. არადა, მოსასვლელი ჭეშმარიტებებისთვის საბინადროების მომზადება, მათ სამსახურში ჩასაყენებელი ძალების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება, სივრცის გამოყოფა საკუთარ თავში: — ეს სამუშაო უნაყოფო არ არის და არასოდეს უნდა გავისტუმროთ უარით.

V

ამ საგნებზე ვფიქრობდი, რაკი მანამდე იძულებული შევიქენი თვალი გადამევლო ჩემს მიერ შექმნილი პატარ-პატარა დრამებისთვის, სადაც ჩანს შფოთვები იმ გონებისა (სხვათა შორის — გამართლებული შფოთვები, რომლებიც დღეს ისე აუცდენელნი აღარ ჩანან და, ამდენად, აღარც იმის უფლება აქვთ, რომ მასიამოვნონ), რომელმაც თავისი თავი საიდუმლომდე მიუშვა. მაშინ მწამდა ან, უფრო სწორედ, რაღაც ბნელ პოეტურ განცდას სწამდა (თვით უწრფელეს პოეტებშიც ხომ რამდენადმე უნდა გავმიჯნოთ მათი ხელოვნების მათეულ-ინსტინქტური განცდა მათივე რეალურ-ცხოვრებისეული აზრებისგან), რომ არსებობენ უზარმაზარი, უხილავი და ფატალური ძალები, რომელთა ზრახვებს ვერავინ ხვდება, მაგრამ რომლებსაც თვით დრამის სული ზიანისმომტანად, ყველა ჩვენი ქმედების

მოყურიადედ, ღიმილის, ცხოვრების, სიმშვიდისა და სიყვარულის მტრად მიიჩნევდა. ეგებ, სადღაც სიღრმეში, ეს ძალები სამართლიანნიც იყვნენ, თუმცა — მხოლოდ რისხვის მომენტებში, და თავის მართლმსაჯულებას იმდენად მიწისქვეშა, ზიგზაგური, ნელი და შორეული გზებით აღასრულებდნენ, რომ მათგან მოვლენილი სასჯელი (ისინი ხომ არასოდეს აჯილდოებდნენ!) ბედის თვითნებურ და აუხსნელ სახეს იღებდა. ერთი სიტყვით, ანტიკურ ფატალობაში შერეული ქრისტიანული ღმერთის იდეის მსგავსი რამ ბუნების ლუსკუმ ღამეში შეყუჟულიყო და სიამოვნებით ზვერავდა, გეგმებს უნგრევდა, აფრთხობდა და ბედნიერებას უბინდავდა ადამიანებს.

VI

ეს *შეუცნობელი* ხშირად იღებდა სიკვდილის სახეს, რომლის უსასრულო, წყდვიადოვანი, მალულად ამოქმედებული მუნყოფნა პოემის ყველა სიცარიელეს ავსებდა, არსებობის პრობლემას მხოლოდ მისეული განადგურებით პასუხობდა. ეს იყო გულგრილი, შეუბრალებელი სიკვდილი, — ბრმა, ალალბედზე და ხელისცეცებით მავალი, ყველაზე ახალგაზრდების და ნაკლებად უბედურების წამყვანი მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთები სხვებზე უფრო მოძრავნი იყვნენ და სიკვდილს კი ღამეში გაჩქამებული ყოველი მკვირცხლი მოძრაობა იზიდავსდა. მის ირგვლივ მხოლოდ პატარა, მყიფე, სიცივისაგან აცახცახებული მარტივი არსებები დაბორიალობდნენ, ერთ ხანმოკლე წუთს ტოკავდნენ და ქვითინებდნენ უფსკრულის პირას, თუმცა წარმოთქმულ სიტყვებს თუ დაღვრილ ცრემლებს მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ უკლებლივ ყველა უფსკრულში ინთქმებოდა. და თუ ზოგჯერ რომე-

ლიმე მათგანი ოდნავ შეუნელებდა და მისი ხმაც ყრუდ და შორეულად გახმიანდებოდა, ამით ირკვეოდა, რომ უფსკრული საკმაოდ ფართო და ღრმა იყო.

VII

ცხოვრების ასე დანახვა უგუნური არ არის, მაგრამ არც სასარგებლოა, და ამაზე მხოლოდ იმიტომ ვლაპარაკობ, რომ თვით უმცირესი უბედურების შემდეგაც კი ეხედავთ: ასეთ თუ ამდაგვარ კონცეფციას ატარებს თავისი ცნობიერების სიღრმეში ადამიანთა უდიდესი ნაწილი, მათ შორის — თითქოს ყველაზე მშვიდი და ჩაკვირვებული ერთეულებიც. როგორც ჩანს, გარკვეული აზრით (იმ ყველაფრის მიუხედავად, რასაც ვიგებთ და ვითვისებთ, ჩვენ მიერ მოპოვებული ყველა გამარჯვების და უეჭველობის მიუხედავად), მაინც სამუდამოდ ვრჩებით პანია, შესაბრალის, ურგებ, სასიკვდილოდ განწირულ, ირგვლივ დაბუდებული გარშემოუწერავ-უგულებელმყოფელი ძალების სათამაშოდ ქცეულ არსებებად. ერთი წამით ვჩნდებით უსამანო სივრცეში, სხვა დასაფასებელი მისია არაფერი გვაქვს, გარდა იმისა, რომ გავამრავლოთ ჩვენივე მოდგმა, და ამ უკანასკნელსაც, თავის მხრივ, არანაირი გამოკვეთილი მისია არ აქვს იმ სამყაროში, რომლის დროით-სივრცითი მასშტაბები თვით უძლიერეს და უგაბედულეს წარმოსახვასაც კი უსხლტება. აი, ჭეშმარიტება — იმ ღრმა, თუმცა უმოქმედო ჭეშმარიტებათაგან ერთ-ერთი, რომელთაც, ჩავლისას, მიესალმება პოეტი, მაგრამ რომლებთანაც ამ პოეტის შიგნით მცხოვრები უამრავი მოვალეობის მატარებელი ადამიანი დიდხანს არ უნდა დაყოვნდეს. არა, არ უნდა ჩაგვეძინოს ასეთ დიდ და მოწიწების აღმძვრელ ჭეშმარიტებათა საუფლოში. ირგვლივ იმ-

დენი ჭეშმარიტება გვეკვრის, გეგონებათ, ადამიანთა უდიდეს ნაწილს და, მათ შორის, თვით უბოროტესებსაც კი, მრჩევლად და მეგზურად სერიოზული და პატივსაცემი ჭეშმარიტება გაუხდიაო.

დიახ, ჭეშმარიტებაა (თუ გნებავთ — ჭეშმარიტებათაგან უდიდესი და უაშკარავესი), რომ ჩვენი ცხოვრება ერთი გაელვებაა; რომ ჩვენ მიერ გაწეული ძალისხმევა სასაცილოა; რომ ჩვენი და მთელი ჩვენი პლანეტის არსებობა სხვა არაფერია, თუ არა ერთი სანყალობელი შემთხვევა სამყაროთა ისტორიაში. მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენი არსებობაც და ეს პლანეტაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფენომენებია, თვით უმნიშვნელოვანესიც კი სამყაროთა იმავე ისტორიაში. აქედან რომელი ჭეშმარიტებაა უფრო არსებითი? უცილობლად ანგრევს თუ არა პირველი მეორეს და გვექნებოდა თუ არა მეორის გარეშე პირველის ფორმულირების ძალა? ერთი მიმართავს ჩვენს ნარმოსახვას და შეუძლია რაღაცით გვარგოს კიდევაც მის სფეროში, მეორე კი უშუალოდ შედის ჩვენი რეალური ცხოვრების ინტერესებში. უპრიანი იქნება, ორივეს თავ-თავისი მისაგებელი მიეგოს. იმ ჭეშმარიტებას კი არ უნდა მივებათ, რომელიც უფრო ნამდვილი ჩანს უნივერსალური ხედვის წერტილიდან, არამედ იმას, რომელიც უდავოდ უფრო ნამდვილია *ადამიანური თვალსაზრისით.* ჩვენ არ ვიცით, რა არის სამყაროს მიზანი, და არც ის, ანაღვლებს თუ არა მას ადამიანთა ბედ-იღბალი. აქედან გამომდინარე, ჩვენი ცხოვრებისა თუ მოდგმის შესაძლო უსარგებლობა ის ჭეშმარიტებაა, რომელიც ჩვენ მხოლოდ არაპირდაპირ გვეხება, თვითონ კი გაურკვევლობის ბურუსში ჰკიდია. ამავე დროს, მეორე ჭეშმარიტება, ჩვენი ყოფნის მნიშვნელოვნების შეგნებას რომ გვანიჭებს, უეჭველად უფრო ვიწროა, თუმცა რეალურად, უშუალოდ და უცილობლად გვეხება. ამაოდ დავშვრებოდით, თუ

მას მსხვერპლად მივუტანდით ან დავუქვემდებარებ-
დით რომელიმე უცხო ჭეშმარიტებას. რასაკვირველია,
უფლება გვაქვს, არც პირველი ჭეშმარიტება დავკარ-
გოთ მხედველობიდან. მას დაეყრდნობა და მისით გა-
ნათდება მეორე, მისგანვე ვისნავლით — არ ვიყოთ
მისი ამაო და შეზღუდული მონები და ვისარგებლოთ
ყველაფერ იმით, რასაც ის ვეღარ წვდება. მაგრამ
თუკი ის სასოწარკვეთილებაში გვაგდებს და გვადამ-
ბლავებს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ საკმარისად არ ვაც-
ნობიერებთ იმ ვეებერთელა, მაგრამ ძალზე მერყევ
ადგილს, რომელიც მას მნიშვნელოვან ჭეშმარიტება-
თა საუფლოში უჭირავს, მერყევს, რადგან ის უამრავ
ჯერაც გადაუწყვეტელ პრობლემაზეა დამოკიდე-
ბული, მაშინ როდესაც იმ პრობლემებს, რომლე-
ბზეც მეორე ჭეშმარიტება მიბმულა, თვით ცხოვრება
წყვეტს ყოველწამიერად. ამიტომ იმყოფება პირველი
ჭეშმარიტება ჯერ კიდევ სახიფათო და ციებცხელე-
ბიან პერიოდში, რომელსაც გადის ჩვენს აზროვნებაში
შემოსული ყველა ჭეშმარიტება. ვგულისხმობ ეჭვი-
ანობის და შეურიგებლობის პერიოდს, რომლის მიზეზ-
ითაც ხდება, რომ ამ ჭეშმარიტებებს ვერაფერი აუტა-
ნიათ მათ ირგვლივ. ერთი სიტყვით, ციებ-ცხელების
დაცხრომას უნდა დაველოდოთ. და თუ ჩვენს გონ-
ებაში მომზადებული საბინადრო ნამდვილად ჯანსაღი
და ტევადია, მაშინ არც ის მომენტი დააყოვნებს, როცა
თვით ყველაზე წინააღმდეგობრივი ჭეშმარიტებებიც
კი სხვას ვერაფერს დაინახავენ, მათი გამაერთიანებე-
ლი იდუმალი კავშირის გარდა, და მდუმარედ შეთანხმ-
დებიან, რომ პირველ საფეხურზე დასვან, დაეხმარონ
და მხარში ამოუდგნენ იმ ჭეშმარიტებას, რომელიც მშ-
ვიდად განაგრძობდა თავის საქმეს, როდესაც დანარ-
ჩენები კრთებოდნენ და იბნეოდნენ; იმას, რომელსაც
სხვებზე მეტი სიკეთის ქმნა და სხვებზე მეტი იმედის
მოტანა ძალუძს.

VIII

თავისი განსაკუთრებულობით, ამჟამად ვერაფერი შეედრება არეულობას, რომელიც მოსვენებას უკარგავს ჩვენს ინსტინქტებსა და გრძნობებს, ზოგჯერ კი — თვით იდეებსაც (თუ არ ჩავთვლით ჩვენს ყველაზე ნათელ და ყველაზე გაგაზრებულ საათებს), როგორც კი საქმე მიდგება შეუცნობლის თუ იდუმალების შემოჭრაზე ჩვენი ცხოვრების ნამდვილად სერიოზულ მოვლენებში. აქ, ამ არეულობაში, ისეთ გრძნობებსაც ვპოულობთ, არცერთ ცოცხალ, ზუსტ და მიღებულ იდეას რომ აღარ პასუხობენ, — მაგალითად, სავსებით დეტერმინირებულ, მეტ-ნაკლებად ანთროპომორფულ, ყურადღებიან, პიროვნულ და პროვიდენციალურ ღმერთთან დაკავშირებულ გრძნობებს. ვპოულობთ, მაგალითად, ფატალობასთან, ბედთან, სამართლიანობასთან დაკავშირებულ გრძნობებს — ჯერ კიდევ სანახევროდ იდეებს. ვპოულობთ გრძნობებად გადაქცევის გზაზე მდგარ იდეებსაც, დაკავშირებულს კაცთა მოდგმის გენიასთან, მის ნებელობასთან, ევოლუციის და სელექციის კანონებთან. დაბოლოს, ვპოულობთ იდეებს, რომლებიც მთლიანად იდეები არიან, თან — ერთობ ბუნდოვანნი, ერთობ გაფანტულნი საიმისოდ, რომ შეგვეძლოს იმ მომენტის განჭვრეტა, როცა ისინი გრძნობებად იქცევიან და როცა, ამის შედეგად, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ მოქმედების, ცხოვრების მიღების, ბედნიერად თუ უბედურად ყოფნის ჩვენეულ მანერაზე.

IX

ასეთი არეულობა ცხოვრებაში ანგარიშმიუცემლად მიმდინარეობს, რადგან როგორც წესი, ის თავისთავს არ გამოხატავს, თავს არ იწუხებს, ვინძლო

რაიმე ფორმულის ან სახის მეშვეობით დაზუსტდეს, მაგრამ მაინც მეტისმეტად თვალსაჩინოა ყველა იმ ადამიანთან, ვინც საკუთარ თავზე იღებს მისიას — წარმოდგენდეს რეალურ ცხოვრებას, განმარტავდეს, ინტერპრეტირებას უკეთებდეს და შუქს ჰფენდეს ნათელ თუ ბნელ ბედისწერათა ფარულ მიზეზებს. ამჯერად ვგულისხმობ პოეტებს, განსაკუთრებით — გარეგან და აქტიურ ცხოვრებასთან ყველაზე უშუალოდ დაკავშირებულ *დრამატულ პოეტებს*. სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა არა აქვს კონკრეტულ ფორმას, ანუ იმას, რომანებს ეხება საქმე, ტრაგედიებს, საკუთრივ დრამატურგიას თუ ისტორიულ ნარკვევებს: „პოეტს“ თუ „დრამატულ პოეტს“ აქ უფართოესი აზრით ვიყენებ.

უნდა ვაღიაროთ: პოეტისთვის თუ ცხოვრების ინტერპრეტატორისთვის,[2] განსაკუთრებით კი — დრამატული პოეტისთვის დომინანტური და, ასე ვთქვათ, ექსკლუზიური იდეა დიდი ძალაა. და ეს ძალა მით უფრო ამოუწურავია, მით უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოემაში, რაც უფრო იდუმალი, ძნელი მოსახელთებელი ან რთულად განსასაზღვრია პოეტის იდეა. ეს, სხვათა შორის, სავსებით მართებულია და პოეტს ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი თავის დომინანტურ იდეასთან მიმართებაში. ნამდვილად კარგი პოეტები არასოდეს უწყობენ თავისთავს გამოკითხვას ამ მომენტთან დაკავშირებით, არასოდეს ეპარებათ ეჭვი, არასოდეს ყოყმანობენ. შეხედეთ, მაგალითად, რამხელა ადგილი უჭირავს კორნელის ტრაგედიებში გმირული მოვალეობის იდეას, კალდერონის დრამებში — აბსოლუტურ რწმენას, სოფოკლეს პოემებში — ბედისწერის ტირანიას.

X

გმირული მოვალეობის იდეა უფრო ადამიანური და ნაკლებად იდუმალია, ვიდრე ორი დანარჩენი. მართალია, დღეს ეს იდეა გაცილებით ნაკლებად ნაყოფიერია, ვიდრე კორნელის ეპოქაში, რაკი დღეს-დღეობით სულ თითო-ოროლა გმირული მოვალეობალა შემოგვრჩა; უფრო და უფრო ძნელდება ნამდვილად იმპერატიული მოვალეობის პოვნა. მაგრამ, გარკვეულ ვითარებაში, მაინც შეგვიძლია მათ მივუბრუნდეთ.

მაგრამ რომელი თანამედროვე პოეტი იპოვის რწმენაში (რომლისგანაც თვით ყველაზე ღრმად მორწმუნეებშიც კი მხოლოდ მერყევი მოგონებალა დარჩა) იმ ძალასა და შთაგონებას, რომელსაც პოულობდა კალდერონი, რათა ქრისტიანთა ღმერთისგან დიადი და უხილავი მსახიობი შეექმნა, უხილავი, თუმცა — ყველგან მუნმყოფი, ყველგან — მისი დრამების მეუფე? ხოლო რაც შეეხება ბედისწერის ტირანიას, ანუ ტირანიის ხისტ ძალას, რომელსაც ესა და ეს ადამიანი თუ ესა და ეს ოჯახი ამა და ამ გზებით განუხრელად მიჰყავს ამა და ამ უბედურებისა და სიკვდილისკენ, — რომელი ჩვენგანი მიიღებს მას კეთილგონივრულად ამ ცხოვრებაში, რომლის, მართლაცდა, არაერთი უცნობი ძალის უმავნეს დარტყმებს (ყველა შემთხვევაში — ბრმებს, განურჩევლებს, არაცნობიერთ) თავს აღწევენ სხვები უ არა, ყველაზე გონიერნი მაინც? დღესაც გვაქვს თუ არა უფლება ვიფიქროთ, რომ სამყაროში არსებობს საკმაოდ უმოქმედო და შესაბრალისი ძალა, რომელიც მხოლოდ იმით არის დაკავებული, რომ გული დაწყვიტოს ადამიანს მისი გეგმებისა და ნამოწყებების მოულოდნელი ჩაშლით?

ასევე გამოიყენეს მესამე იდუმალი და ზემდ-

გომი ძალა, რომელიც არის იმანენტური მართლმსაჯულება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ იმანენტური მართლმსაჯულების ამ პოსტულატს მხოლოდ ყველაზე უარეს, მსგავსებისა და რეალობისგან ყველაზე უფრო განძარცულ ქმნილებებში მიმართეს. იმის მტკიცებას, რომ ბოროტება უცილობლად და ხილულად დაისჯება, სიკეთე კი უცილობლად და ხილულად დაჯილდოვდება, თვალშისაცემად უარყოფს ყველაზე ელემენტარული ყოველდღიური გამოცდილება და ამ თვითნებურ, მყიფე ოცნებაში ჭეშმარიტი პოეტი ვერასოდეს ჰპოვებს თავისი მუშაობისთვის საჭირო დასაყრდენ წერტილს. მეორეს მხრივ, თუ ჯილდოებისა და სასჯელებისთვის ზრუნვას საიქიო ცხოვრებაში გადავიტანთ, არაპირდაპირი გზით ღვთიური მართლმსაჯულების საუფლოს დავუბრუნდებით. დაბოლოს, თუ იმანენტური მართლმსაჯულება არ არის უცველელი, პერმანენტული, აუცდენელი, უცდომელი, მაშინ სხვა არც არაფერია, თუ არა ბედის კეთილისმსურველი და არაჩვეულებრივი ახირება და, ამდენად, ის აღარც მართლმსაჯულებაა და არც თვით ბედისწერა, არამედ მხოლოდ შემთხვევა, ანუ თითქმის არაფერი.

ნამდვილად არსებობს ძალზე რეალური იმანენტური სამართლიანობა, რომელიც მანკიერ, სასტიკ, ავისმსურველ, უსამართლო კაცს ნაკლებად აბედნიერებს, ვიდრე კეთილ, სამართლიან, ერთგულ, მოსიყვარულე, უმანკო და მშვიდ ადამიანს. ამ სამართლიანობის გამოა, რომ ბოროტება ისევე უეჭველად მიიზიდება უბედურებისკენ, როგორც დედამიწა — მზისკენ. მაგრამ, ამ შემთხვევაში, საქმე ეხება შინაგან სამართლიანობას — ძალზე ადამიანურს, ძალზე ბუნებრივს, ძალზე ახსნადს. და თუ აქაც შევისწავლით მიზეზებსა და შედეგებს, უცილობლად მივალთ ფსიქოლოგიურ დრამამდე: მის სცენას აღარ აქვს

ღრმა, იდუმალებით დაცული უკანა პლანი, რომელიც დრამატულ თუ ისტორიულ მოვლენებს გრანდიოზულ და საკრალურ პერსპექტივას ანიჭებდა. მაგრამ საკითხავი ის არის, მისაღებია თუ არა ამ უკანა პლანის შექმნა შეუცნობლის ისეთი კონცეფციისთვის, რომელიც დიდად განსხვავდება იმ შეუცნობლისგან, რეალურად რომ განაგებს ჩვენს ცხოვრებას?

XI

რამდენადაც ძირითად იდეებსა და საიდუმლოებზე ვლაპარაკობთ, შევჩერდეთ, უწინარეს ყოვლისა, სხვადასხვა ფორმებზე, რომელიც მიიღო და რომელსაც ყოველდღიურად იღებს ფატალობის იდეა, რადგან დღესდღეობითაც ფატალობაა უმაღლესი ახსნა იმისა, რაც სხვაგვარად ვერ იხსნება და რაზეც დღემდე არ წყვეტენ ფიქრს ცხოვრების ინტერპრეტატორები.

ისინი ცდილობენ ფერი უცვალონ და გააახალგაზრდავონ ფატალობის იდეა. სცადეს თავიანთ ნაშრომებში ათობით ახალი და რთული აგებულების არხით შემოეყვანათ დიდი და უნუგეშო მდინარის გაყინული წყლები, რომლის ნაპირებზე განლაგებული ადამიანთა საბინადროები უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს. ძალზე ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელმაც იცოდა, როგორ მოეტანა ჩვენამდე ილუზია, თითქოს ცხოვრებას სავსებით განსაზღვრულ და სერიოზულ აზრს ანიჭებდა. თუმცა, იმავდროულად, ასეთებმა ინსტინქტურად არ სცნეს ის აღმატებული მნიშვნელობა, რომელსაც ადამიანთა მოქმედებებს ანიჭებს ბედისწერის შეურაცხადი ძალა — მუდამ დიადი, მუდამ გამართლებული. თითქოს ფატალობა par excellence არის ტრაგიკული ძალა, რომელიც

პოეტურ ქმნილებაში შემოჭრის შემდეგ საქმის სამ მეოთხედს თვითონ აკეთებს. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ დღევანდელი პოეტი, რომელიც მატერიალურ მეცნიერებებში, ჩვენ ირგვლივ მყოფ შეუცნობელში ან თვით ჩვენსავე გულში ანტიკური ფატალობის ექვივალენტს ანუ ამ უკანასკნელივით წინაღუდგომელ, მასავით უნივერსალურ წინასწარგანსაზღვრულობის ძალას აღმოაჩენდა, — ეს პოეტი უეჭველ შედეგრს შექმნიდა. იმავდროულად, იგი, როგორც ჩანს, იპოვიდა სიტყვასაც იმ დიდი გამოცანისა, რომელიც გვღრღნის და გვანადგურებს. და თუ ასეა, ეს ვარაუდი არც ისე მალე შეისხამს ხორცს.

XII

აი, წყაროსთვალი, რომლიდანაც პოეტთა ხელით ამოღებულმა ანკარა წყალმა თვით უსასტიკესი ტრაგედიებიც უნდა განწმინდოს. არის ადამიანში ფატალობის გამაღმერთებელი ინსტინქტი. ყოველივე ფატალური მას საზეიმო, შეუდავებელი და მშვენიერი ჰგონია. კი სურს, იყოს თავისუფალი, მაგრამ ზოგიერთ ვითარებაში ურჩევნია თქვას, არა ვარო. არაკეთილმოსურნე და შეუვალი ღვთაება ხშირად უფრო მისაღებია, ვიდრე ის ღვთაება, ძალისხმევას რომ ითხოვს ბოროტების უკუსაგდებად. ყოველივეს მიუხედავად, გვიჯობს დამოკიდებული ვიყოთ ისეთ ძალაზე, რომელსაც გულს ვერ მოვულბობთ. და რასაც ამ დროს გონების პატივმოყვარეობით ვკარგავთ, იმას ერთგვარი ემოციური პატივმოყვარეობით ვიბრუნებთ, თან თვალწინ გვიდგება ჩვენი გეგმების მიმართ ყურადღებიანი და ჩვენი ყველაზე გასაგები მოქმედებებისთვის დიდებულ-მარადიული აზრის

მიმნიჭებელი დიადი ძალაც. დაბოლოს, ფატალობა ყველაფერს ხსნის, ყველაფერს მოგვიტევებს, ხოლო იმას, რაც ძნელად ასახსნელია და კიდევ უფრო ძნელად მისატევებელი, საკმაოდ შორს გახიზნავს უხილავში თუ გონმიუწვდომელში.

XIII

ასე რომ, მას შემდეგ, რაც მოიძიეს საშინელი ქალღმერთის (ანუ ფატალობის — დ.ა.) ქანდაკების ნამსხვრევები, ქალღმერთის, რომელიც ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებს განაგებს, არაერთმა პოეტმა იპოვა მომოფანტული სხეულის ასოებში ის მარმარილო, რომლისგანაც უნდა გამოძერწილიყო ახალი, უფრო ჰუმანური, ნაკლებად აბსოლუტური და ნაკლებად მიუწვდომელი ქალღმერთი. შექმნეს, მაგალითად, ვნებათა ფატალობა. მაგრამ იმისათვის, რომ შეგნებული სულის ვნება ნამდვილად საბედისწერო იყოს და ისევ გამოჩნდეს საიდუმლო, რომელიც შიშს იმით ამართლებს, რომ ზრდის და ადამიანურ ნებაზე აღამატებს, — ამისთვის უნდა შემოიჭრას ღმერთი ან რაიმე სხვა უსასრულო და წინაღუდგომელი ძალა. ასე მიმართა ვაგნერმა სიყვარულის წამალს („ტრისტან და იზოლდა“), შექსპირმა — გრძნეულებს („მაკბეტი“), რასინმა — ორაკულს („იფიგენია“) და ვენერას საგანგებო სიძულვილს („ფედრა“). წრეზე შემოვლის შემდეგ, კვლავ უწინდელი აუცილებლობის ცენტრს ვუბრუნდებით. ეს წრეწირი მეტ-ნაკლებად დასაშვებია არქაულ ან ლეგენდურ დრამაში, სადაც ყოველგვარ პოეტურ ფანტაზიას შეუძლია ფრთები გაშალოს და ინავარდოს. მაგრამ დრამისთვის, რომელსაც სურს შეძლებისდაგვარად ახლოდან მოიხელთოს რეალ-

ური ჭეშმარიტება, უნდა ვიპოვოთ სხვა შემოჭრა, რომელიც ნამდვილად შეუკავებელი გვეჩვენა, რათა საბედისწერო გამართლებით შევმოსოთ მაკბეტის დანაშაულები, საშინელება, რომელზეც თანხმდება აგამემნონი, ეგებ თვით ფედრას სიყვარულიც კი, და ასე მივანიჭოთ ამ ადამიანებს ბნელი სიდიადე და კეთილშობილება, რომელიც მათ თავისთავად არ გააჩნიათ. მოაშორეთ მაკბეტს დაწყევლილი წინასწარგანსაზღვრულობა, ჯოჯოხეთის შემოჭრა, გმირული ბრძოლა იდუმალი მართლმსაჯულების წინააღმდეგ, წამინამ რომ ამჟღავნებს თავს ამბოხებული ბუნების ათასი ღრიჭო-ღიობიდან, და მთავარი პერსონაჟისგან აღარაფერი დარჩება, საძაგელი და გაშმაგებული მკვლელის გარდა. მოაშორეთ ორაკული და ხელში საზიზღარი აგამემნონიღა შეგრჩებათ. მოაცილეთ ვენერას სიძულვილი და ფედრა გადაიქცევა მავან ავადმყოფად, რომლის „ზნეობრივი ღირსება" — ბოროტებისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილი — იმაზე დაბლა დაეშვება, ვიდრე ჩვენი აზრი მოითხოვს, რათა რეალურად დაინტერესდეს რომელიმე უბედურებით.

XIV

სიმართლე რომ ითქვას, დღევანდელი მაყურებელი თუ მკითხველი ველარ კმაყოფილდება ასეთი ზებუნებრივი შემოჭრებით. სურს თუ არ სურს, იცის თუ არ იცის, თავისი ცნობიერების სიღრმეში ასეთ რამეებს სერიოზულად ველარ იღებს, რადგანაც უკვე სხვანაირად აღიქვამს სამყაროს. ველარ ხედავს რაიმე განსაზღვრულ, გაკერპებულ, შეზღუდულ და შარიან ნებას მის ირგვლივ ან თვით მის არსებაში ამოძრავებულ ძალებს შორის. თუ ცხოვრებაში კრიმინალს გადაეყრე-

ბა, შეიტყობს, რომ ამ კაცს დანაშაულზე გაჭირვებამ, აღზრდამ, მემკვიდრეობით მიღებულმა წარსულმა, მისივე მიერ განცდილმა და ჩაკლულმა ვნებათღელვამ უბიძგა, და მშვენივრად გააცნობიერებს, რომ არსებობს გარემოებები, რომლებშიც დამნაშავეს ძალიან გაუძნელდებოდა ამ ყველაფრის ჩახშობა და უვნებელყოფა. ყოველთვის ვერ გამოარკვევს ამ გაჭირვებაუბედურებისა თუ ვნებათღელვების მიზეზს. შესაძლოა, ამაოდ ეძებოს აღმზრდელობით თუ მემკვიდრეობით უსამართლობათა სათავე... მაგრამ, ასეა თუ ისე, აზრადაც აღარ მოუვა, რომ ეს დანაშაული მიაწეროს ჯოჯოხეთს, ღვთის რისხვას ან ბედის წიგნში ამოტვიფრულ განჩინებათა ჯაჭვს. აქედან გამომდინარე, რატომ დაუშვებს პოემაში ისეთ ახსნას, რასაც არ უშვებს ცხოვრებაში? პირიქით: პოეტის ვალი ის იქნება, რომ იმაზე უფრო მაღალი, უფრო ნათელი, უფრო ფართოდ და ღრმად ადამიანური ახსნა შესთავაზოს, ვიდრე მკითხველი თავად მიაგნებდა. თუ არადა, ეს უკანასკნელი ვერც ჯოჯოხეთში, ვერც ღვთის რისხვაში და ვერც სიტყვაშეუბრუნებელ ვერდიქტებში ვერაფერს დაინახავს, საჩვენებლად გამოფენილი, მისთვის უკვე არადამაკმაყოფილებელი სიმბოლოების გარდა. დროა პოეტებმა სცნონ: სიმბოლო საკმარისია იმისთვის, რომ დროებით წარმოადგინოს ან მიღებული ჭეშმარიტება ან კიდევ ის, რომლის დანახვა ჯერ არ ძალგვიძს თუ ჯერ არ გვსურს. მაგრამ როდესაც დგება მომენტი და ჭეშმარიტების დანახვა გვინდა, ჯობს სიმბოლო გაუჩინარდეს. იმისთვის, რომ სიმბოლო ცოცხალი პოეზიის ღირსი გახდეს, ის, სხვათა შორის, მისივე მიერ წარმოდგენილი ჭეშმარიტებასავით დიდი და მშვენიერი უნდა იყოს. თანაც, წინ უნდა უსწრებდეს და არა უკან მოჰყვებოდეს ამ ჭეშმარიტებას.

XV

აი, რატომაა დღეს გაცილებით ძნელი, რომ თხზულებაში (განსაკუთრებით კი — სცენაზე) ხორცი შეესხას დიდ დანაშაულებს და ნამდვილად ტრაგიკულ ვნებებს, აწყვეტილსა და სასტიკს, რადგან აღარ ვიცით, სად ვუპოვოთ იდუმალი გამართლება, რომელსაც ისინი ითხოვენ. მიუხედავად ამისა, როცა ლაპარაკია ამგვარ დანაშაულებსა თუ ვნებებზე, ჩვენ მაინც სავსებით მზად ვართ დავუშვათ ფატალობის შემოჭრა (თუკი ის აშკარად მიუღებელი არ არის), იმდენად სახასიათოა ჩვენთვის იდუმალი გამართლება, იმდენად დარწმუნებულნი ვართ, რომ სულის სიღრმეში ადამიანი არასოდეს არ არის ისეთი დამნაშავე, როგორიც ერთი და ორი შეხედვით ჩანს.

გარდა ამისა, გამართლებას მხოლოდ მაშინ მოვითხოვთ, როცა ჩვენ წინაშეა ადამიანის ბუნებისთვის სრულებით მიუღებელი და არა შეცდომით ჩადენილი დანაშაული; მხოლოდ მაშინ, როცა ამ დანაშაულთა თუ გადატანილ უბედურებათა მოქმედი პირები მეტნაკლებად აღმატებული ადამიანები არიან და, ყველა შემთხვევაში, არცთუ შეურაცხადნი. გვაშინებს იმის დაშვება, რომ არაორდინარულ დანაშაულს თუ უბედურებას პირწმინდად ადამიანური მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ყველაფრის მიუხედავად, გვსურს, რამენაირად მაინც ავსხნათ აუხსნელი, და არანაირად არ დაგვაკმაყოფილებს, თუკი პოეტი გვეტყვის: „აი, ბოროტება, რომელიც ჩაიდინა ამ ძლიერმა, ჭკვიანმა, შეგნებულმა კაცმა; აი, გმირის უბედურება; აი, სამართლიანის დაქცევა და გულმდუღარება; აი, ტრაგიკული და უკურნებელი უსამართლობა, რომელსაც ემსხვერპლა ეს ბრძენი... თქვენ ხედავთ ამ მოვლენათა ადამიანურ მიზეზებს. მე სხვა მიზეზები არ გამაჩნია და ამიტომ ვერც თქვენ გიჩვენებთ,

თუ არ ჩავთვლით ისეთ მიზეზს, როგორიც შეიძლება იყოს სამყაროს გულგრილობა ადამიანის საქმეთა მიმართ". მაინც ნუ ვიქნებით უკმაყოფილონი, თუკი პოეტი მოახერხებს და ამ გულგრილობის გრძნობას თავს მოგვახვევს; თუ ამას, ასე ვთქვათ, მოქმედებით გვიჩვენებს. რაკი გულგრილობის უპირველესი თვისება სრული უმოძრაობა და ჩაურევლობაა, მაშინ ეს თითქმის შეუძლებელი ჩანს.

XVI

მაგრამ თუ საქმე ეხება ოტელოს ეჭვიანობას, როცა არაფერია გარდაუვალი, ან რომეოსა და ჯულიეტას უბედურებას, სადაც არაფერია წინდაწინ განსაზღვრული, ჩვენ სრულიად უმტკივნეულოდ გავდივართ ფონს ფატალობის განმწმენდი ზეგავლენისა თუ რომელიმე სხვა ახსნა-განმარტების გარეშე. სხვა დრამაში — ფორდის შედევრში, "Tis Pity She's A Whore",[3] სულ ანაბელას მიმართ ჯოვანის ინცესტურ სიყვარულს რომ უტრიალებს — ჩვენ კიდევ ერთხელ აღმოვჩნდებით იმ უფსკრულის პირას, რომელთანაც უკვე გვჩევია იდუმალი გამართლების მოთხოვნა, თუ პოეტ-დრამატურგს არ სურს, რომ თავი მივაბრუნოთ და ყურებში თითები დავიცოთ. თუმცა, ერთი მტკივნეული თავბრუსხვევის შემდეგ, აქაც იოლად გავდივართ ფონს. თუ მაღალი წერტილიდან დავხედავთ, სიყვარული დასა და ძმას შორის დანაშაულია ჩვენი მორალის, ოღონდ არა საკუთრივ ადამიანური ბუნების წინააღმდეგ. ასეა თუ ისე, სიყვარულის ამ დანაშაულს მიეტევება მის ჩამდენთა სიჭაბუკისა და ვნებისეული სიბრმავის გამო. მეორეს მხრივ, ოტელოს მიერ ჩადენილი მკვლელობა თავის გამართლებას პოულობს სიგიჟეში, რადაც იაგოს

ხრიკებმა თავისი ნახევრად ბარბაროსი ბატონის გულუბრყვილობა და მიმნდობლობა აქცია. თვით იაგოს გამართლება კი მისი უსამართლო, თუმცა არცთუ უმიზეზო სიძულვილია. ვერონელ შეყვარებულთა (იგულისხმება რომეო და ჯულიეტა — დ.ა.) უბედურება იხსნება მათივე გამოუცდელობით და მათი ძალების მეტისმეტად წამგებიანი შეფარდებით მათთან დაპირისპირებულ ძალებთან. აქ შეიძლება მითხრან: აღმატებულ ადამიანურ ძალებთან მებრძოლი კაცი შეიბრალეთო. მაგრამ თუ ეს კაცი მარცხდება, ჩვენ აღარ გვიკვირს, სხვაგან აღარაფერს ვეძებთ, არც ბედისწერის გამოკითხვას ვაპირებთ. და თუ ადამიანი ზებუნებრივი უსამართლობის მსხვერპლი ხდება, ჩვენ უბრალოდ ვფიქრობთ: „როგორც ჩანს, ასეც უნდა მომხდარიყო". ახსნა იმას სჭირდება, მოხდებოდა თუ არა კატასტროფა სიფრთხილის ყოველგვარი ზომის მიუხედავად, რომელთა მიღება ჩვენ თვითონვე შეგვეძლო.

XVII

ამრიგად, გვიჭირს გავიგოთ და მივიღოთ ის, რომ დანაშაული ბუნებრივად ჩაიდინა ადამიანმა, რომელიც ამ მომენტამდე გონიერი და შეგნებული გვეგონა. ასევე გვიჭირს, გავიგოთ და მივიღოთ ბუნებრივად აუხსნელი, გაუთვალისწინებელი და დაუმსახურებელი უბედურებები. აქედან გამომდინარე, არ შეგვიძლია თეატრის სცენაზე გადავიტანოთ („სცენაზე გადატანა", რაღა თქმა უნდა, შემოკლებული გამოთქმაა. უპრიანი იყო მეთქვა: რამენაირი ფორმით დავესწროთ იმ ფათერაკს, რომლის ყველა გარემოებას თუ მოქმედ პირს პირადად არ ვიცნობთ), — არ შეგვიძლია სცენაზე გადავიტანოთ

უსამართლობები, შეცდომები, დანაშაულები, ჩადენილნი იმ პერსონაჟთა მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი შეგნება, ან უბედურებები, რომლებიც შეემთხვათ უსუსურ, თავისივე სურვილების მსხვერპლ სულებს, უმანკოებს, მაგრამ დაუფიქრებლებს, წინდაუხედავებსა და ბრმებს. ამ ფასად, არასოდეს დაგვჭირდებოდა იმის შემოჭრა, რაც სცდება ადამიანის ჩვეულებრივ ფსიქოლოგიას. მაგრამ ასეთი კონცეფცია ვერანაირად ვერ პასუხობს ცხოვრებისეულ რეალობას, რომელშიც ღრმად დანაშაულებრივ ქმედებებს სწორედაც რომ სრულებით შეგნებული ადამიანები იდენენ, ხოლო ნამდვილად კეთილი, წინდახედული, სათნო, სამართლიანი და ბრძენი სულები კი გაუგებრად ემსხვერპლებიან სიღატაკესა და ტრაგედიას. პირველი ტიპის ანუ შეუგნებელ თუ დაჩარგულ ადამიანთა დრამები, რასაკვირველია, ინტერესს აღგვიძრავს და გულს გვიჩუყებს. მაგრამ ნამდვილი დრამა, რომელიც საგანთა სიღრმეს წვდება და სერიოზულად ეჯახება მნიშვნელოვან ჭეშმარიტებებს, ჩვენი საყოველთაო დრამა, რომელიც მთელ ჩვენს ცხოვრებას დასტრიალებს, ის დრამაა, რომელშიც ძლიერნი, შეგნებულნი და მოაზროვნენი თითქმის აუცდენელ დანაშაულებს იდენენ; დრამა, რომელშიც სამართლიანი და ბრძენი ადამიანი ყოველისშემძლე ბედუკულმართობას, სიბრძნისა და სათნოების ამბურდავ ძალებს შებრძოლებია. მაყურებელი ხომ, რაოდენ სუსტი და მცირედ კეთილსინდისიერიც უნდა იყოს რეალურ ცხოვრებაში, თავს მუდამ ძლიერთა და სამართლიანთა რიცხვს აკუთვნებს. და როცა სუსტთა ტრაგედიებს უყურებს, — თუნდაც თვითონვე მონაწილეობდეს მასში, — არასოდეს აყენებს თავს მათ ადგილზე.

XVIII

აქ ჩვენ ვიმყოფებით საკმაოდ ბნელ რეგიონში, სადაც მთავრდება თვით უსამართლიანესი და უნათლესი ადამიანური ნების ზემოქმედება იმ მოვლენებზე, რომლებზეც დამოკიდებულია ჩვენი კარგი თუ ცუდი ილბალი. არ არსებობს რამდენადმე ამაღლებული დრამა, არ არსებობს ერთი დიდი პოემა, რომლის რომელიმე გმირი არ გადიოდეს იმ გზაჯვარედინზე, სადაც მისი ბედ-ილბალი წყდება. რატომ ჩაიდინა ამ კეთილმა და ბრძენმა ადამიანმა ეს შეცდომა თუ დანაშაული? რა მიზეზით მოხდა, რომ ამ ქალმა, რომელმაც იცის, რას შვრება, მოიმოქმედა ჟესტი, რომელმაც სამუდამოდ ჩაუბნელა ცხოვრება? ვინ გამოჭედა რგოლები უბედურებათა ჯაჭვისა, რომელმაც ეს უწყინარი ოჯახი შებოჭა? რატომ ხდება, რომ ყველაფერი ინგრევა ამ ადამიანის ირგვლივ და ყველაფერი მშვენივრად ეწყობა მეორე ადამიანთან — უფრო სუსტთან, ნაკლებად გონიერთან, ნაკლებად აქტიურთან, ნაკლებად მარჯვესთან? რატომ არის, რომ ერთი ადამიანი სიყვარულს, სინაზეს, სილამაზეს პოულობს, მეორე კი — სიძულვილს, ღალატსა და ღვარძლს? რატომ აკითხავს, თანაბარი დამსახურების შემთხვევაში, ერთს ჯიუტი სიხარული, მეორეს — დაუღალავი მწუხარება? გამუდმებით რატომ უტრიალებს ერთ სახლს ქარიშხალი, ხოლო მეორეს — ვარსკვლავები? რატომ გროვდება ერთ მხარეს ნიჭი, ჯანმრთელობა, სიმდიდრე, მეორე მხარეს კი -- სილარიბე, სნება, ჭკუასუსტობა? საიდან მოდის ეს ვნება — ამდენი ბოროტების სათავე, ან მეორე ვნება — ამდენი სიკეთის წყაროსთვალი? როგორ ხდება, რომ ჭაბუკი, რომელსაც გუშინ შევხვდი, ღრმა ბედნიერებისკენ მიაბიჯებს, ისეთივე მშვიდი და მიამიტი ნაბიჯით მოარული მისი მეგობარი კი — სიკვდილისკენ?

XIX

ცხოვრება ხშირად გვაყენებს ამგვარი კითხვების წინაშე. მაგრამ რამდენჯერ უნდა მივუკაკუნოთ ზებუნებრივ, წინასწარდადგენილ, ზეადამიანურ, იდუმალ რეგიონებს ამ კითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გასაცემად? მხოლოდ ზოგიერთი თავდადებული მორწმუნე თუ ამოიცნობს ამ მოვლენებში ღვთიური ძალის შემოჭრას. ჩვენ კი, თუ ჩვენ გვეძლევა შემთხვევა შევიდეთ ქარიშხლით ან მშვიდობით აღვსილ სახლში, იშვიათად თუ გამოვდივართ იქიდან ამ ქარიშხლისა თუ მშვიდობის სრულიად ადამიანური მიზეზის დაუნახავად. თუ ვიცნობდით კეთილგონიერ კაცს, რომელმაც ესა და ეს შეცდომა ან დანაშაული ჩაიდინა, მაშინ იმ გარემოებებსაც შევიტყობდით, რომლებმაც ეს შეცდომა ან დანაშაული განაპირობა და რომლებიც სულაც არ იყო ზებუნებრივი. თუ ჩვენ მივუახლოვდით ქალს, რომლის ამა თუ იმ ჟესტმა „ჩასახა" მის თავს დატეხილი უბედურება, მაშინ შესანიშნავად ვიცით, რომ ეს საქციელი ფატალურ-გარდაუვალი არ იყო და, ამ ადამიანის ადგილზე, ჩვენ არ შევცდებოდით. თუკი გვიცხოვრია ისეთი ადამიანის მახლობლად, რომლის გარშემოც ყველაფერი ირღვევა და იშლება, ისევე როგორც მისი მეზობლის გვერდით, რომელთანაც ყველაფერი რიგიანად ეწყობა, მაშინ სწორედ ასევე გვინახავს კლდეზე ან ნაყოფიერ მინაზე დანარცხებული დიდი მუხა და არც გაგვიფიქრია ავისმოსურნე და ბნელი ზრახვებით აღსავსე ძალებზე. თუკი სიღარიბე, სნეულება და სიკვდილი დღემდე რჩება ადამიანური არსებობის სამ უსამართლო ქალღმერთად, მაშინ — წარსულისაგან განსხვავებით — ვერცერთი მათგანი ვეღარ ჩაგვინერგავს ცრუმორწმუნე შიშს. დღესდღეობით გვგონია, რომ სამივე, უწინარეს

ყოვლისა, შეუგნებლად და ბრმად მოქმედებს და რომ მათთვის უცნობია რაიმე იდეალური კანონები, რომლებსაც, როგორც უწინ გვეგონა, მათი არსებობა ადასტურებდა. და ძალზე ხშირად შეგვინიშნავს, რომ იმ მომენტებში, როცა მათ „გამოცდას", „ჯილდოს", „სასჯელს", „განწმენდას" ვუწოდებდით, მათი ახირებული სვლები შეუგნებლად უკუაგდებდნენ ამ მეტისმეტად მაღალ და მეტისმეტად ზნეობრივ სახელებს.

XX

რა გაქანებითაც უნდა მოქმედებდეს წარმოსახვა, რათა ისურვოს და დაუშვას ადამიანზე აღმატებულ ძალთა შემოჭრა, პრაქტიკულ ცხოვრებაში, თითოოროლა ჩვენგანის გარდა (თუნდაც ყველაზე უფრო მისტიკური ბუნების ადამიანების), ყველა დარწმუნებულია, რომ ჩვენს ზნეობრივ უბედურებას, არსებითად, ჩვენივე გონება და ხასიათი განაპირობებს, ჩვენს ფიზიკურ ტკივილებს კი — გარკვეული, ხშირად ნაკლებად ცნობილი ძალები, საკმაოდ ცუდად განსაზღვრული მიზეზ-შედეგობრივი კანონები, რომლებიც, მიუხედავად ამისა, არც იმდენად უცხო და გამოუცნობია, რომ ერთ დღესაც მათში შეღნევის იმედი არ ვიქონიოთ. საბოლოო ჯამში, ეს გარკვეულობა, რომელსაც ვეყრდნობით, მხოლოდ მაშინ თუ ირყევა, როცა საქმე ჩვენსავე უიღბლობებს ეხება, რადგან ასეთ დროს გვიჭირს ვაღიაროთ ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომები და გავერკვეთ მათში. მეტისმეტად უმძიმს ადამიანურ ბუნებას იმის აღიარება, რომ მისი „ჩავარდნების" უკან უფრო ღრმა მიზეზები არ დგას, ვიდრე ის მიზეზებია, რკოს რომ აგდებენ კლდეზე, ტალღას რომ ჩაღვრიან ქვიშაში

ან კბოდეს შეანარცხებენ, მზისსხივდაცემულ მწერს პაწია ფრთებს რომ უთრთოლებენ ან მეყსეულად აქრობენ ჩაქროლილი ფრინველის ნისკარტში.

XX

ჩემმა მეზობელმა, რომელსაც ახლოდან ვიცნობ და ყოველდღე ვხედავ, რომლის ჯანსაღ ჩვევებს და უწყინარ ხასიათს მე ნამდვილად ვაფასებ, — აი, ამ მეზობელმა მიყოლებით რომ დაკარგოს ცოლი სარკინიგზო ავარიაში, ერთი ვაჟიშვილი — საზღვაო კატასტროფაში, მეორე — ხანძარში, მესამეს კი სნეულებამ მოუღოს ბოლო, ეს მე მტკივნეულად გამაოგნებს, მაგრამ არც ვიფიქრებ, რომ უბედურებათა ასეთი მწკრივი ღვთიურ შურისგებას, უხილავ მართლმსაჯულებას, საგანგებო და ბოროტ განჩინებას ან იდუმალად გაანგარიშებულ ფატალობას მივაწერო. ასეთ შემთხვევაში, ვიფიქრებ ცხოვრებაზე, ათასობით ბედნავს ხდომილებაზე, დავინახავ თავზარდამცემ დამთხვევებს, მაგრამ აზრად არ მომივა, რომ — არც მეტი, არც ნაკლები — ზეადამიანურმა ნებამ გადაჩეხა მატარებელი ხრამში, გემი რიფს ნამოაგო, გააჩაღა ხანძარი, ანუ ამ ნებამ თავის მონსტრუზულ ძალისხმევას ერთი საბრალო კაცის გულგასაპობად თუ დასასჯელად მოუხმო, ვინძლო ამ კაცს თავისი დიდი შეცდომა გაეცნობიერებინა, ერთ-ერთი დიდი ადამიანური შეცდომა, თუმცა — სამყაროს წინაშე — მაინც სრულებით პაწაწკინტელა; შეცდომა, რომელიც, შესაძლოა, მისი აზრიდან ან გულიდან არ გამოსულა და ბალახის ერთი ღერიც არ შეურხევია მიწაზე.

XXII

მაგრამ რას იფიქრებდა თვითონ — ასეთი დიდი, განმეორებადი, ქარიშხლიან ღამეში გავარდნილი მეხივით ზარდამცემი დარტყმებით მუხლმოკვეთილი? ნუთუ ამ დარტყმებს ისიც ნაცნობ, ბუნებრივ, ახსნად სინამდვილედ მიიღებდა, როგორც მე მივიღე? ნუთუ სიტყვები — ბედისწერა, იღბალი, შემთხვევა, მარცხი, ფატალობა, ვარსკვლავი და, ეგებ, განგებაც — ისეთი მნიშვნელობით არ გაიუღერებდნენ მასში, როგორც არასოდეს გაუღერებულან მანამდე? ნუთუ არ გამოჰკითხავდა თავის სინდისს თუ ცნობიერებას რომელიღაც სხვა შუქზე, არ იგრძნობდა თავისი ცხოვრების ირგვლივ შემოჯარულ დინებებს, ძალას, ერთგვარ გაბორკილებულ ნებას, რასაც მის ტრაგედიაში მე ვერ დავინახავდი? რომელი ჩვენგანი იქნებოდა მართალი? რომელი განჭვრეტდა უფრო შორს და უფრო ნათლად? ვამჩნევთ თუ არა შეჭირვებისა და მღელვარების ჟამს ისეთ ჭეშმარიტებებს, რომლებსაც ვერ ვამჩნევთ მშვიდ და უღრუბლო საათებში? რომელია ყველაზე შესაფერისი მომენტი ცხოვრებისთვის აზრის მისანიჭებლად?

ჩვეულებრივ, ცხოვრების ნებისმიერი ინტერპრეტატორი მღელვარების ჟამს ირჩევს. ორივეს — თავისთავსაც და ჩვენც — მსხვერპლის მდგომარეობაში აყენებს. სხვის უბედურებებს ისეთი შემოკლებული სახით, ისე აჩქარებულ-შემჭიდროებულად წარმოგვიდგენს, რომ ერთი წამით ჩვენივე უბედურების განცდა გვეუფლება. გარდა ამისა, თითქმის შეუძლებლად უჩანს, ისე დაგვიხატოს სხვისი ამბები, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაში ხდება. დიდხანს რომ გვეცხოვრა გულისშემძვრელი დრამის პერსონაჟის გვერდით, ეს ადამიანი ჩვენი ძმა ან მეგობარი რომ ყოფილიყო, ალბათ, მისი უიღბლობის ყველა

მიზეზი კრიალოსანავით გადაგვემარცვლებოდა თვალწინ, უიღბლობის, რომელიც უკვე ნაკლებად გაგვაკვირვებდა, საკმაოდ ხშირად ბუნებრივიც მოგვეჩვენებოდა, ადამიანური თვალსაზრისით კი — თითქმის აუცდენელი.

მაგრამ ცხოვრების ინტერპრეტატორს არც იმდენი დრო აქვს და არც იმდენი ძალა, რომ სათითაოდ გველაპარაკოს ყველა ჭეშმარიტ მიზეზზე. როგორც წესი, ეს მიზეზები უმნიშვნელო, უსასრულოდ პატარა, მრავალგვარი და უკიდურესად ნელია. ჰოდა, ინტერპრეტატორიც იქითკენაა მიდრეკილი, რომ ადამიანურ და რეალურ მიზეზებს, რომლებსაც ვერ გვიჩვენებს, რომელთა შესწავლა და ჩამოთვლა მისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია, შეუნაცვლოს ერთი ზოგადი მიზეზი — საკმაოდ ვრცელი და მთელი დრამისთვის სამყოფი. და სად ვიპოვოთ ეს ზოგადი მიზეზი, თუ არა იმ სამ-ოთხ სიტყვაში, რომლებსაც ვბუტბუტებთ, როცა არ გვსურს სიჩუმეს დავნებდეთ: ღმერთი, განგება, ბედისწერა, ბნელი და უპიროვნო მართლმსაჯულება?..

XXIII

შეგვიძლია ვიკითხოთ, რამდენად მისაღები და მარგებელია ეს და რომელი უფროა პოეტის დანიშნულება: შეინარჩუნოს და წარმოგვიდგინოს ყველაზე ბნელი მომენტები თუ გაზარდოს ნათელი წუთები, როცა ადამიანს სჯერა, რომ თვითონ ფლობს მთელ თავის ძალას და თავის აზროვნებასაც თვითონვე აკონტროლებს? არის ჩვენს პირად ტრაგედიებში რაღაც სასიკეთო და, აქედან გამომდინარე, პირადი უბედურების ილუზიაშიც: მათ ჩვენსავე არსებაში შევყავართ, გვიჩვენებენ ჩვენს

სისუსტეებს, ცდომილებებსა და ბრალეულობას; ათასგზის უფრო პირდაპირი და აქტიური სხივებით გვინათებენ ცნობიერებას, ვიდრე სნავლისა და მედიტაციის განვლილ წლებს გაუნათებიათ. გარდა ამისა, ჩვენი არსებიდან გავყავართ კიდეც, ირგვლივ ყურებას გვასწავლიან და მგრძნობიარეს გვხდიან სხვათა ტკივილების მიმართ. მეტსაც შვრებიანო, გვეუბნებიან: ზემოთ გვახედებენ, ჩვენს მზერას აღმატებული ძალისკენ მიმართავენ, რათა მივესალმოთ უხილავ მართლმსაჯულებას, ქედი მოვუხაროთ უსასრულო, განუჭვრეტელ საიდუმლოს... ნუთუ ნამდვილად ესაა ამ ტრაგედიების მიერ მოტანილი გამოცდილების საუკეთესო მხარე? დიახ, რელიგიური მორალის თვალსაზრისით, ფრიად მარგებელი აღმოჩნდა, რომ თავს დატეხილმა ამბებმა ჩვენი მზერა უცდომელი ღმერთისკენ მიმართეს, — იმისკენ, ვინც ჩვენთვის უზენაესად კეთილი, უზენაესად სამართლიანი, უცვლელი და უეჭველია. სასარგებლო აღმოჩნდა, რომ პოეტმა, რომელმაც თავის ღმერთში შეურყეველი იდეალი იპოვა, ჩვენი მზერებიც შეძლებისამებრ ხშირად მიმართა ამ უნიკალური და შეუცვლელი იდეალისკენ. მაგრამ დღეს? რას შევთავაზებთ დღესდღეობით ჩვენს აფორიაქებულ მზერებს, თუკი ცხოვრების ჩვეულებრივ გამოცდილებას და მისაწვდომ ჭეშმარიტებებს დავაშორებთ? რა გვეთქმის მოზეიმე უსამართლობისა და დაუსჯელ-გაფურჩქნილი დანაშაულის თანდასწრებით, თუკი ადამიანს სინდისისა და შინაგანი ბედნიერების მეტ-ნაკლებად მიმზღველ კანონთა მიღმა გავიხმობთ? რა გვეთქმის იმ ბავშვისთვის, რომელიც კვდება, იმ უცოდველისთვის, რომელიც იღუპება, იმ უბედურისთვის, უსამართლოდ რომ დაუჩარგავს შემთხვევას და ლტოლვილად უქცევია, თუკი გვსურს შევთავაზოთ უფრო მაღალი, სხარტი, განსაცვიფრე-

ბელი და გადამწყვეტი ახსნა, ვიდრე ის ახსნებია, რომლითაც ყოველდღიურ არსებობაში უნდა დავკმაყოფილდეთ და რომელთა გარდა — გარკვეულ რეალობათა პასუხად — ჯერჯერობით სხვა ახსნა არ მოგვეპოვება? გვაქვს კი უფლება, — ვინძლო უფრო დიდებულ-სადღესასწაულო გავხადოთ ჩვენი თხზულების ატმოსფერო, — გამოვაღვიძოთ შიშები და ცრურწმენები, რომლებსაც არ შეგვეძლო არ შევბრძოლებოდით და არ უკუგვეგდო, როცა მათ ჩვენს მეგობრებში ან შვილებში ვხედავდით? გვაქვს კი უფლება, ვისარგებლოთ შიშისა და მღელვარების მომენტით და იმ პატარა, მაგრამ პატივსაცემ გარკვეულობებს, მისხალ-მისხალ რომ მოიპოვა ადამიანმა თავისივე გულისა და გონების ჩვევებზე, მატერიაზე, არსებობის კანონებზე, შემთხვევის ახირებებსა და ბუნების დედობრივ განურჩევლობაზე ჩატარებული დაკვირვებით, — დიახ, გვაქვს კი უფლება, ვისარგებლოთ შიშნეული ღელვით და ზემოთჩამოთვლილ გარკვეულობებს შევუნაცვლოთ ყველა ჩვენი მოქმედების უარმყოფელი ფატალობა, ანუ ძალები, რომელთა წინაშე დაჩოქებას არც ვიფიქრებდით, თუ ჩვენი გმირის თავს დატეხილი უბედურება ჩვენ თვითონ შეგვემთხვეოდა; შევუნაცვლოთ იდუმალი მართლმსაჯულება, რომელსაც ჩვენთვის მრავალი რთული ახსნა შემოუნახავს, მაგრამ რომელიც აღარ ჰგავს იმ აქტიურ და პოზიტიურ სამართლიანობას, რომელთანაც საქმე გვაქვს პირად ცხოვრებაში?

XXIV

არადა, სწორედ ამას შვრება ცხოვრების ინტერპრეტატორი, როცა სურს აამაღლოს თავისი ქმნილება, ღრმა და რელიგიური სილამაზე შესძინოს, უსას-

რულობის განცდით დაორთქლოს. თვით მაშინაც კი, როცა ეს ქმნილება მაქსიმალურად წრფელია და ფეხდაფეხ მისდევს თავის უშინაგანეს პიროვნულ ჭეშმარიტებას, მაინც ჰგონია, რომ ამტკიცებს და ზრდის ამ ჭეშმარიტებას მის ირგვლივ წარსულის აჩრდილთა გუნდის შემოხვევით. მშვენივრად ვიცი: მას სჭირდება სახეები, ვარაუდები, სიმბოლოები — ყველაფერი, რაც აუხსნელის „მოლოდინის ქვებს" წარმოადგენს. მაგრამ რატომ ავიღოთ ეს მასალა ასე ხშირად იქიდან, რაც უკვე სინამდვილეს აღარ შეეფერება, და არა იქიდან, რაც, შესაძლოა, ჭეშმარიტება აღმოჩნდეს? ნუთუ სიკვდილს უფრო დიდებულს ვხდით იმით, რომ თავზარდამცემი გაქრობებით ვამშვენებთ, ქვეშ კი სინათლის ხაზივით ვუსვამთ აღარარსებული ჯოჯოხეთიდან ნასესხებ ფოსფოროვან ნათებას? ნუთუ ჩვენი ბედისწერა უფრო კეთილშობილდება, როდესაც დამოკიდებული ხდება აღმატებულ, თუმცა წარმოსახვით ნებაზე? ნუთუ მართლმსაჯულება — ეს ვეებერთელა ბადე, რომელსაც ადამიანური აქტები და რეაქციები ბუნების ფიზიკურ-მორალური ძალების უცვლელ სიბრძნეზე აფარებენ — გაიზრდება, თუკი მივანდობთ ერთადერთ მსაჯულს, რომელსაც თვით ჩვენი თხზულების სულიც კი ქონებას ართმევს და ხელცარიელს ტოვებს?

XXV

ეგების დროა, სერიოზულად გადავსინჯოთ სახეები, სიმბოლოები, გრძნობები, მშვენიერებანი, რომლებსაც ჯერ კიდევ მივმართავთ, რათა გავაძლიეროთ სამყაროს სანახაობა ჩვენს არსებაში.

ეჭვი არაა, მათი უმრავლესობა არცთუ მაინცდამაინც მტკიცედ გამოხატავს ჩვენს რეალურ-

ცხოვრებისეულ მოვლენებს, ფიქრებს თუ ოცნებებს. და თუ დღემდე შევინარჩუნეთ, ესეც უფრო მიმნდობი და ადამიანის ბავშვობასთან უფრო ახლომდგომი წარსულის უმანკო და ჰარმონიულ მოგონებათა სახელით. ეგებ მათ, ვისი დანიშნულებაც იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღება გარემომცველი სამყაროს სილამაზეებისა და ჰარმონიებისკენ მიმართოს, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგან ამ სამყაროს რეალური ჭეშმარიტებისკენ? ეგებ ისე, რომ ერთი სამკაულიც არ მოაკლონ სამყაროს მათეულ კონცეფციას, ამიერიდან უფრო იშვიათად ეძებონ ეს სამკაულები მშვენიერ თუ საშინელ მოგონებებში და უფრო ხშირად — იმ აზრების ჭეშმარიტ სიღრმეში, რომლებზეც რეალურად აგებენ და ათავსებენ თავიანთ სულიერ და გრძნობად არსებობას?

ნამდვილად არ არის სულერთი ცრუ სახე-ხატებს შორის ცხოვრება, თუკი ვიცით, რომ ისინი ასეთები არიან. მაცდუნებელი სახეები, ბოლოს და ბოლოს, იმ სამართლიანი იდეების ადგილს იკავებენ, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. სხვა სახეების გამოყენება და უფრო ნამდვილ კონცეფციებთან დაბრუნება კი უსასრულობისა და საიდუმლოს წილის შემცირებას არ ნიშნავს. გვსურს კიდეც, რომ შეუძლებელი იყოს ამ წილის სერიოზული შემცირება. მას ყოველთვის აღმოვაჩენთ ზნეობრივი პრობლემების სიღრმეში, ადამიანისა და მთელი დანარჩენი სამყაროს წიაღში. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ მათი ვითარება თუ მათი სუბსტანცია ზუსტად იგივე აღარ იქნება, — ძალითა და მასშტაბით ისინი თითქმის იგივენი რჩებიან. განა ის ფენომენი (მაგალითისთვის ავიღოთ ამ საიდუმლოთაგან ერთ-ერთი), რომ ადამიანებში არსებობს ერთგვარი უზენაესი და ღრმად სულიერი სამართლიანობა, არსებობს ყოველგვარი ხელსაწყო-იარაღისა თუ ორგანოს გარეშე, ხშირად

— ძალზე ნელი, მაგრამ თითქმის ყოველთვის ულალატო, რომელიც თავს ინარჩუნებს იმ სამყაროში, სადაც თითქოს ყველაფერი უსამართლობის წისქვილზე ასხამს წყალს, — განა ეს ფენომენი ისეთივე ღრმა და ამოუწურავი მიზეზ-შედეგობრიობით არ ხასიათდება? განა ისიც ისეთივე საუცხოო და განსაცვიფრებელი არ არის, როგორც ყველგანმყოფი და მარადიული მსაჯულის არსებობა და სიბრძნე? ნუთუ ამ უკანასკნელმა იმიტომ უნდა გვაცდუნოს უფრო მეტად, რომ უფრო მიუწვდომელია? ნუთუ მშვენიერების ნაკლები წყარო და — გენიოსისთვის მაინც — ძალმოსილებისა და წვდომის გამოხატვის ნაკლები შესაძლებლობაა *ახსნად* რეალობებში (თუნდაც რომელთა ახსნა ჯერჯერობით *იმედის* სფეროს ეკუთვნოდეს), ვიდრე აპრიორულად *აუხსნელში?* მაგალითად, იღბლიან, თუმცა უსამართლო ომში (შემეძლო დამესახელებინა რომაელთა ომები, ესპანელთა დაპყრობითი ომები ახლადაღმოჩენილ ამერიკაში, ნაპოლეონის ომები, დღევანდელი ინგლისის კამპანიები და სხვ.), რომელიც მუდამ მთავრდება გამარჯვებულის დემორალიზებით და მისი მოხვედრით ისეთი ჩვევებისა და შეცდომების ხლართში, რომელიც ძალზე ძვირად უჯენს გუშინდელ ტრიუმფს, — განა ამ ფსიქოლოგიური მართლმსაჯულების პედანტურ-შეუბრალებელი მუშაობა ისეთივე ამგზნები და დიადი არ არის, როგორც რომელიმე ზებუნებრივი მართლმსაჯულების შემოჭრა? განა ამდენივეს თქმა არ შეგვეძლო თითოეულ ჩვენგანში დაბუდებულ სამართლიანობაზე, რომელიც — სამართლიანის და უსამართლოსთვის გაწეული ჩვენი ძალისხმევის პროპორციულად — გულ-გონებაში გვიზრდის ან გვიმცირებს თავისუფლების, სიყვარულისა და შინაგანი ბედნიერებისთვის განკუთვნილ სივრცეს?

„გთხოვთ, — ამბობს თომას ჰაქსლი[4] მეგობრისადმი მიწერილ განსაცვიფრებელ წერილში, მეგობრისადმი, რომელიც შეეცადა წარსულის სახეების გამოხმობით ენუგეშებინა სათაყვანებელი შვილის დამკარგავი მეცნიერი, — გთხოვთ, კარგად გაიგოთ, რომ, თავისთავად, არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო. ბუნებასთან ყოველდღიურ კონტაქტში მყოფ ადამიანს აპრიორული სირთულეები ვერ დააფრთხობს. მიჩვენეთ თქვენი ზებუნებრივის მტკიცებულება და მეც დავიჯერებ. რატომაც არა? ეს ხომ მაინც ვერ იქნება ისეთი ჯადოსნური, როგორიც ძალის შენახვის კანონი ან მატერიის ურღვევობაა. ვინც ნათლად აფასებს, რა იმალება ქვის ვარდნაში, ვერცერთ თეორიას ვერ უკუაგდებს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის განსაცვიფრებელია.

მაგრამ რაც უფრო მეტს ვცხოვრობ, მით უფრო აშკარად ვხედავ, რომ ადამიანის ცხოვრების ყველაზე საკრალური აქტი ამის შეგრძნება და თქმაა: „ეფიქრობ, ეს ან ის ნამდვილად ასეა". არსებობის ყველა დიდი ჯილდოც და ყველა დიდი სასჯელიც ამ აქტს უკავშირდება.

სამყარო ერთიანია და ყველაგან ერთია. და თუ ჩემს პაწია ანატომიურ და ფიზიოლოგიურ სირთულეებში ვერ გავერკვევი მხოლოდ იმის მინდობით, რასაც თვალსაჩინოდ ვხედავ, მაშინ ვერც იმას ვირწმუნებ, რომ არსებობის დიდი საიდუმლო თავს სხვა გარემოებებში გამიმხელს."

XXVI

თუ დავუბრუნდებით სიკვდილის საიდუმლოს, — ჰაქსლის წერილის მოტივაციას, — ყველაზე თავზარდამცემს ყველა სხვა საიდუმლოთა შორის, ნუთუ იო-

ლად დავასკვნით, რომ ყველაფერი — მგრძნობიარობა სამართლიანობის, მშვენიერების, სიკეთის მიმართ, აზრობრივი და ემოციური ძალები, ყოველივე იმის ინტერესი, რაც კი უსასრულოს, ყოველისშემძლეს, მარადიულს უკავშირდება — დაპატარავდა მას შემდეგ, რაც სიკვდილი აღარ წარმოადგენს ჩვენთვის ცხოვრების დიდ და ერთადერთ ნაღველს? ვერ უარვყოფთ იმას, რომ სიკვდილის ტვირთი თაობიდან თაობამდე უფრო და უფრო მსუბუქდება, რამდენადაც უფრო რბილდება მისი ძალმომრეობითი ფორმებიცა და საიქოსთან დაკავშირებული შიშებიც. სადღეისოდ ის უწინდელზე გაცილებით უფრო ნაკლებად გვაფიქრებს და ნაკლებად გვაფრთხობს. არსებითად, ყველაზე მეტად სიკვდილში მისი თანმდევი ტკივილი ან მისი წინმსწრები სნეულება გვაკრთობს. მაგრამ ის უკვე აღარ არის შეუცნობელი და რისხვამორეული მსაჯულის მიერ მოვლენილი განკითხვის ჟამი, ცხოვრების ერთადერთი და თავზარდამცემი დასასრული, ჯოჯოხეთურ სასჯელთა ამოღამებული უფსკრული. ის ნელ-ნელა ხდება და საკმაოდ ხშირად უკვე არის კიდეც მინავლული ცხოვრების სასურველი მოსვენება. ის ჩვენს მოქმედებებს აღარ ამძიმებს, ყველაზე დიდი ცვლილება კი იმაშია, რომ სიკვდილი ჩვენს ზნეობაში აღარ იჭრება. და განა ეს უკანასკნელი უფრო დაამდაბლა, უფრო შესვარა, უფრო ზედაპირული გახადა იმან, რომ ამჟამად უწინდელზე უფრო უანგაროა? შიშის დაკარგვით, დაკარგა თუ არა კაცობრიობამ აუცილებელი ან მშვენიერი განცდა? და ვინ მოიგებს სიკვდილის მნიშვნელობის შემცირებით? ალბათ, ისევდაისევ სიცოცხლე. არსებობს ჩვენში ნეიტრალური და მუდამ ხელმისაწვდომი ძალები. და თუ შიშს, სევდას, სასონარკვეთას წაგვართმევენ, მათ ადგილს აღტაცება, ნდობა, იმედი დაიკავებს.

XXVII

შეიძლება თქვან (განსაკუთრებით — მართლმსაჯულებისა და ფატალობის შესახებ), რომ ჩვენ ვახდენთ პერსონიფიცირებას, გარეთ ვათავსებთ ჩვენში არსებულ ორ ძალას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გაცილებით რთულია მათი ჩვენება ჩვენ შიგნით, მეორეც იმიტომ, რომ საკმაოდ ცხადად ჩანს ერთი რამ: შეუცნობელი თუ უსასრულო, როგორც ასეთები, რომელთაც არ გააჩნიათ აზროვნება, ზნეობა, პიროვნულობა, ვერ გვეხებიან და ვერ გვაღელვებენ. მართლაც, უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალური საიდუმლო, რაოდენ ბნელი და საშიშიც უნდა იყოს, და ფსიქოლოგიური მართლმსაჯულება, რაოდენ არამარტივიც უნდა იყოს მისი შედეგები, ჩვენ აღარ გვაღელვებს. ჩვენ ბუნების ყოფიერების გაუგებარი მომენტები კი არ გვთრგუნავს, არამედ ის იდეა, რომ, შესაძლოა, ბუნებას თავს დასტრიალებს აღმატებული, ცნობიერი, კეთილგონიერი, ზეადამიანური და რაღაცით მაინც ადამიანის ნების მსგავსი ნებელობა, ანუ, ერთი სიტყვით, გვთრგუნავს ღმერთის მუნყოფნის იდეა. და რა სახელიც უნდა მივცეთ მას — მართლმსაჯულება, ფატალობა, საიდუმლო — საბოლოოდ მაინც ღმერთია ის, რის წინაშეც ვძრწინთ; ადამიანის მსგავსი არსება, ოღონდ — მარადიული, უსასრულო, უხილავი და ყოვლისშემძლე, რადგან არ ვიცი, შეგვაკრთობდა თუ არა ზნეობრივი არსება, რომელიც ჩვენი მსგავსებით არ იქნებოდა შექმნილი. ჩვენ ბუნების შეუცნობელი ნაწილი, ჩვენთვის ნაცნობი სამყაროს საიდუმლო კი არ გვზაფრავს, არამედ სხვა სამყაროსი. ეს მატერიალური გამოცანა არ არის, ზნეობრივი გამოცანაა. არაფერია, მაგალითად, ისე არასრულყოფილად ცნობილი, როგორც მიწისძვრის გამომწვევ მიზეზთა ერთობლიობა, და არაფერია

ასეთი თავზარდამცემი. მაგრამ თუ მინისძერა ჩვენს სხეულს ზაფრავს, გონებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აგვიცახცახებს, თუ მასში მართლმსაჯულების მოქმედებას, ზებუნებრივ სასჯელს დავინახავთ. იგივე ითქმის ქარიშხლის, სნეულების, სიკვდილის, ადამიანური არსებობის მრავალი ფენომენის, მრავალი კატასტროფის შესახებ. თითქოს ნამდვილი, ანუ გონებრივი ურჟოლა და დიდი ემოცია, ადამიანში კიდევ რაღაც სხვას რომ ამოძრავებს თვითშენახვის ფიზიკური ინსტინქტის მიღმა, მდგომარეობს მეტნაკლებად დეტერმინირებული ღმერთის, მოუსყიდველი ზედამხედველის, უხილავ-პერმანენტული მართლმსაჯულების, განუჭვრეტელი და ყურადღებიანი განგების იდეაში. მაგრამ საკითხავი ისაა, რა გვაახლოვებს ჭეშმარიტებასთან ყველაზე მეტად და რა არის, საბოლოოდ, ცხოვრების ინტერპრეტატორის დანიშნულება — ადამიანთა დამძიმება-დანაღვლიანება თუ მათი დამშვიდება-გახალისება.

XXVIII

მშვენივრად მესმის, რომ საკმაოდ ძნელია მოწყვეტა ტრადიციული ინტერპრეტაციისგან, რომელსაც ხშირად უნებლიეთ ვუბრუნდებით სწორედ იმ მომენტში, როდესაც მისგან დაშორებას ვცდილობთ. ასე მაგალითად, ფატალობის ახალი და, ასე ვთქვათ, მეცნიერული ფორმის ძიებაში მყოფმა იბსენმა თავისი საუკეთესო დრამების შუაგულში მემკვიდრეობითობის გრანდიოზული, ტირანული და შენიღბული ფიგურა მოათავსა. მაგრამ მისი თხზულების სიღრმეში მაინც სხვა რამ და არა მემკვდრეობითობის მეცნიერული საიდუმლო აღგვიძრავს ცხოველურ შიშებზე უფრო ღრმა ადამიანურ შიშებს. მხოლოდ ეს საიდუ-

მლო რომ იყოს, მაშინ იმაზე მეტ შიშს არ გამოიწვევდა, ვიდრე რომელიმე საშიში სნეულების მეცნიერული შიში ან ვარსკვლავებთან თუ ზღვასთან დაკავშირებული რაიმე მოვლენა. იბსენთან თავისთავად საშიშ, მაგრამ ბუნებრივი საფრთხისგან განსხვავებულ შიშს აღძრავს მართლმსაჯულების ბნელი იდეა, რომელიც აქ მემკვიდრეობითობის სახით წარმოდგება: გაბედული მტკიცება, რომ მამის შეცდომები შვილებს ატყდება თავს; მინიშნება, რომ მეუფე-მსაჯული — თავისებური *მოდგმის ბატონი* — ფხიზლად ადევნებს თვალს ჩვენს მოქმედებებს, ბრინჯაოს წიგნში იწერს და თავისი მარადიული ხელებით წონის გადავადებულ ჯილდოებსა და სამუდამო სასჯელებს. ერთი სიტყვით, ეს არის კვლავ გამომკრთალი ღვთის სახე და ძველისძველი ჯოჯოხეთური ცეცხლი, რომელიც ჯერ კიდევ ტკარცალებს დასახურ-დასაბეჭდად გამზადებული ქვის ფილის ქვეშ.

XXIX

არადა, ფატალობის თუ ფატალური სამართლიანობის ეს ახალი ფორმა კიდევ უფრო ნაკლებად დასაცავი და ნაკლებად მისაღებია, ვიდრე წმინდა და მარტივი ანტიკური ფატალობა, საყოველთაო და განუსაზღვრელი, რომელსაც არ ჰქონდა რაიმეს ზედმინევნით ახსნის პრეტენზია და, ამდენად, მრავალ ვითარებას მიესადაგებოდა. შესაძლოა, იბსენის მიერ ინსცენირებულ ამბავში საქმე გვაქვს ერთგვარ შემთხვევით მართლმსაჯულებასთან, ვთქვათ, ბრმის ხელით ბრბოში ნასროლი ისარი შემთხვევით რომ მოხვედროდა მავან მამისმკვლელს. მაგრამ ამ შემთხვევითი ამბიდან ზოგადი კანონზომიერების დადგენა ნიშნავს საიდუმლოს ბოროტად გამოყენებას (კიდევ ერთხელ!) და

ადამიანურ ზნეობაში ისეთი ელემენტების შეტანას, რომლებიც იქ არ უნდა იყოს, — შესაძლოა, სასურველი ელემენტების, რომლებიც სარგებლობას მოიტანდნენ, თუკი წარმოგვიდგენდნენ გარკვეულ ჭეშმარიტებებს, მაგრამ რომლებიც უნდა უკუვაგდოთ, რაკი არავითარ ასეთ ჭეშმარიტებას ისინი არ წარმოადგენენ და ჩვენი რეალური ცხოვრებისთვის უცხონი რჩებიან. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი გამოცდილების ამ ეტაპზე შეუძლებელია მემკვიდრეობითობის ფენომენში მართლმსაჯულების თვით უმცირესი კვალის აღმოჩენა, ანუ თვით უმყიფესი ზნეობრივი კავშირის დადგენა მიზეზსა (მამის ქმედებას) და შედეგს (შვილის მიერ მიღებულ ჯილდოს ან სასჯელს) შორის.

პოეტებს აქვთ უფლება შექმნან ვარაუდები და რამდენადმე გაუსწორონ სინამდვილეს. მაგრამ არცთუ იშვიათად ხდება, რომ გასწრების ნაცვლად ამ სინამდვილეს გადაუხვევენ ხოლმე; ფიქრობენ, ახალ ჭეშმარიტებას მივაგენითო, არადა, ძველ ილუზიას უდგანან კვალში. ამ შემთხვევაში, გამოცდილების გასასწრებად, ალბათ, საჭირო იქნებოდა კიდევ უფრო შორს წასვლა მართლმსაჯულების უარყოფის გზაზე. მაგრამ ასეა თუ ისე, იმისთვის, რომ პოეტური ვარაუდი ლეგიტიმური და ღირებული იყოს, თვალშისაცემად მაინც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ყოველდღიურ გამოცდილებას. სხვაგვარად, ის სრულებით უსარგებლო, ერთობ სახიფათო და — თუ შეცდომა უნებლიე არ არის — უბრალოდ, არაკეთილსინდისიერიც არის.

XXX

რა შეგვიძლია დავასკვნათ მთელი უკანასკნელი მსჯელობიდან? ბევრი რამ, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი:

მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრების ინტერპრეტატორმა, ისევე როგორც მისმა „მრევლმა“, გამოიჩინოს უკიდურესი სიფრთხილე საიდუმლოს დაშვებაგამოყენებისას და არ წარმოიდგინოს, რომ ის, რასაც აუხსნელს მიაწერს, უცილობლად საუკეთესოა და უდიდესი, რაც შეიძლება გაკეთდეს შემოქმედებაში თუ ცხოვრებაში. არსებობს ფრიად მშვენიერი, ადამიანური და ჭეშმარიტი ქმნილებები, რომლებშიც თითქმის არსად ჩანს „სამყაროული საიდუმლოს შფოთვა“. განუწყვეტელი ფიქრი შეუცნობელსა და უსასრულოზე ჩვენ სრულებითაც არ განგვადიდებს. ასეთი ფიქრი მხოლოდ მაშინ ხდება ნამდვილად მარგებელი, როცა მოულოდნელ ჯილდოდ ერგება იმ გონებას, რომელიც მთელი არსებით უძღვნის თავს შეცნობადსა და სასრულს. მალე ვიხელთებთ თვალშისაცემ სხვაობას ორ საიდუმლოს შორის: რომელიც წინ უსწრებს იმას, რაც არ ვიცით, და რომელიც მოჰყვება იმას, რაც შევიტყვეთ. პირველში თითქოს ბევრი სევდაა, რომლებიც სივიწროვეში არიან და ერთმანეთთან ახლომყოფ ორ-სამ შემაღლებაზე გროვდებიან. ხოლო მეორეში სევდა საგრძნობლად ნაკლები ჩანს, რაკი ამ საიდუმლოს გაცილებით ვრცელი ზედაპირი აქვს, ფართო ჰორიზონტების ნინაშე კი თვით უდიდესი სევდებიც იმედების ფორმას ილებენ.

XXXI

ჰო, მთლიანობაში, ადამიანის ცხოვრება საკმაოდ სევდიანი რამაა. უფრო იოლია და, მე ვიტყოდი, თითქმის უფრო სასიამოვნოც ცხოვრებისეულ სევდებზე ლაპარაკი და მათი გამოტანა დღის სინათლეზე, ვიდრე ნუგეშის ძებნა და მათთვის ღირებუ-

ლების მინიჭება. სევდა მრავალია, თვალშისაცემი, მოუშლელი, ნუგეში კი, ანუ მიზეზები, რომლებმაც მეტ-ნაკლები ღიმილით უნდა მიგვაღებინოს ამქვეყნიური მოვალეობა, თითქოს იშვიათი, ბუნდოვანი და მერყევია. სევდებს — თითქოსდა პიროვნულებს და მგრძნობიარეებს — დიადი, კეთილშობილი, უდავო იდუმალებით აღსავსე იერი აქვს, ნუგეშს კი — ნებისმიერს — წვრილმანი, ეგოისტური, თითქმის მდაბიური. მიუხედავად ამისა, თუ უფრო ახლოდან შევხედავთ, როგორი ეფემერულიც უნდა ჩანდეს, ნუგეშიც ეხება საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ იმიტომაა უფრო უხილავი და უფრო ძნელად მოსახელთებელი, რომ კიდევ უფრო ღრმა და კიდევ უფრო იდუმალია. სიცოცხლის სურვილი ან ცხოვრების ისე მიღება, როგორიც ის არის (თუნდაც ეს საკმაოდ ობივატელურად ჟღერდეს), საბოლოო ჯამში, ექვემდებარება უფრო ვრცელ, სამყაროს სულის უფრო შესატყვის და, ამდენად, უფრო საპატიო კანონებს, ვიდრე ცხოვრებისეული სევდებისგან გაქცევის სურვილია ან კიდევ — ამ სევდების დამფიქსირებელი, კეთილშობილი და განხიბლული სიბრძნე.

XXXII

ჩვენ ერთობ მიდრეკილნი ვართ იქითკენ, რომ ცხოვრება უფრო სევდიანი დავხატოთ, ვიდრე სინამდვილეშია. ეს დიდი შეცდომაა, თუმცაღა — საპატიო ამ გაურკვევლობაში, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. ჯერ კიდევ არ ჩანს სარწმუნო ახსნა. როგორც უწინ, დღესაც ადამიანის ბედისწერა ემორჩილება უცნობ ძალებს, რომელთაგან ზოგი, შესაძლოა, გაუჩინარდა კიდეც, მაგრამ რომელთა ადგილი სხვებმა დაიკავეს. ასეა თუ ისე, ამ ძალებს შორის ჭეშმარი-

ტად „ზემდგომთა“ რიცხვი დღემდე არ შემცირებულა. ჩვენ შევეცადეთ სხვადასხვაგვარად აგვეხსნა მათი მოქმედება, მათი შემოჭრა, და ვამბობდით, რომ მას შემდეგ, რაც ამ ახსნათა უმრავლესობამ ვერ გაუძლო რეალობის დანოლას, კვლავ ფატალობასთან ვბრუნდებით, რათა, გარკვეულწილად, მასში გავაერთიანოთ *აუხსნელი* ან, ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელთან წილნაყარი სევდები. არსებითად, სხვას ვერაფერს იპოვით იბსენში, რუსულ რომანში, ფლობერში (ნახეთ კიდევ „ომი და მშვიდობა“, „სენტიმენტალური აღზრდა“[5] და სხვ.).

მართალია, ეს არ გახლავთ ანტიკური ფატალობის ზუსტი ორეული — მკაფიოდ განსაზღვრული (ბრბოს გონებაში მაინც), თვითნებური, ბრმა, მოუქნელი, შეუბრალებელი, თუმცა ყურადღებიანი ქალღმერთი ან, უფრო სწორედ, ღმერთი. ჩვენი თანმხლები ფატალობა უფრო ბუნდოვანი, უფრო უფორმო, დაბნეული, გულგრილი, არაადამიანური, უპიროვნო და უნივერსალურია. საბოლოო ჯამში, ეს სხვა არაფერია, თუ არა უკეთესის მოლოდინში მყოფი ადამიანის აუხსნელ-საყოველთაო უმწეობის დროებითი სახელწოდება. პრინციპში, ასეთი გაგება მისაღებია, მიუხედავად იმისა, რომ მაინც ვერაფერს ხსნის და კიდევ ერთ ახალ სახელს არქმევს ოდინდელ გამოცანას. მაგრამ ნუ გადავაჭარბებთ მისი როლისა და ღირებულების შეფასებაში და ნუ წარმოვიდგენთ, რომ ადამიანებსა და მოვლენებს, ერთიანად გაბრდღვიალებულთ, ძალიან მაღლიდან დავქცერით და სხვა აღარაფერია საძებნი, რაკი ამწუთას სიღრმისეულად ვგრძნობთ ყოველგვარი არსებობის ბოლოში მდგარი ბედისწერის ბნელ და უძლეველ ძალას. ეჭვი არაა, გარკვეული თვალსაზრისით, ადამიანები ყოველთვის უბედურები, ყოველთვის საბედისწერო უფსკრულისკენ მავალნი გამოჩნდებიან, რაკიღა

მუდამ დაექვემდებარებიან სნეულებას, მატერიის ცვალებადობას, სიბერეს და სიკვდილს. თუ სხვას არაფერს ვუყურებთ, ყოველგვარი ყოფიერების საბოლოო სამანის გარდა, მაშინ თვით უბედნიერეს და უტრიუმფალურეს ცხოვრებაშიც კი მოვძებნით რაღაც საბრალოსა და საბედისწეროს. მაგრამ ბოროტად ნუ გამოვიყენებთ ამ სიტყვებს, მეტადრე — ნუ მივმართავთ მათ უდარდელად ან მისტიკური სევდისადმი ტრფიალით და, ამ გზით, ნუ შევამცირებთ იმ ნაწილს, რომელიც შეიძლებოდა ახსნილიყო, თუ უფრო მეტად შევისწავლიდით ადამიანსაც და საგანთა ბუნებასაც. უპრიანი არ არის საიდუმლოს გამოხმობა და შეგუების დუმილში ჩაკეტვა, რომელიც ამ საიდუმლოს თან ახლავს, როცა ეს უკანასკნელი ნამდვილად და მოულოდნელად შემოდის, როცა ის პიროვნულია, გონივრული, ზნეობრივი და ეჭვმიუტანელი. ასეთი შემოჭრა კი უფრო იშვიათია, ვიდრე შეიძლება გვეგონოს. ხოლო სანამ ის თავს არ ამჟღავნებს, იმის დრო არ არის, რომ შევჩერდეთ, თავი ჩავღუნოთ, დავნებდეთ და ხმა ჩავიკმინდოთ.

მატერიის მეუფება

I

მიუხედავად ადამიანის ეგზომ ბუნებრივი სურვილისა — იპოვოს სამყაროში დასტური თავის სათნოებებზე, წინა თავების კითხვისას უნდა ამოგვეცნო, რომ არც ცას და არც მიწას ოდნავადაც არ ანაღვლებთ ჩვენი ზნეობა. აქედან გამომდინარე, მათ შემყურე სამართლიან კაცს ისღა დარჩენია, თავი დოყლაპიად სცნოს, რომ არა მისივე არსებიდან მომდინარე ეს აუხსნელი დასტური და ეს ძლივს აღსაქმელი შინაგანი კომპენსაცია, რომლის გამოხატვა მას იშვიათად თუ შეძლებია.

ნუთუ სულ ესაა, რისი მოლოდინიც შეგვიძლია გვქონდეს ჩვენი დიდი ძალისხმევის, გამუდმებული გულისყურის, თვითიძულების, ინსტინქტებსა და სიამეებზე უარის თქმის შემდეგ? ეს უკანასკნელნი ხომ კანონიერნი ჩანდნენ და უფრო მეტადაც გაგვაბედნიერებდნენ, რომ არა ჩვენში დაბუდებული სამართლიანობის სურვილი, რომელიც არც კი ვიცით, საიდან მოდის, — ალბათ, ჩვენივე ადამიანური ბუნებიდან, — მაგრამ რომელიც, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება საყოველთაო კანონებს *დიდი ბუნებისა*, რომლის ნაწილი ჩვენც ვართ. დიახ, თუ გნებავთ, ბევრი არაფერია ეს ბუნდოვანი სამართლიანობა, რომელიც მხოლოდ ბუნდოვან კმაყოფილებას გვგვრის და ეს კმაყოფილებაც მეტისმეტი გაცნობიერებისთანავე ყროლდება და თავისთავს ანადგურებს. მაგრამ, ამ თვალსაზრისით, არც ჩვენს ზნეობაში ხდება მაინცდამაინც ბევრი რამ. ბევრი არაფერია სიყვარულიც მას შემდეგ, რაც ფლობის მომენტი ჩაივლის — ერთადერთი ხელჩასაჭიდი მომენტი და კაცთა მოდგმის

მუდმივობის გარანტი... მიუხედავად ამისა, თავისი ცივილურობის ზრდის კვალდაკვალ, ადამიანი უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს შერბილებულ და გამშვენიერებულ საათებს და წლებს, რომლებიც ქმნიან იმ ცოტაოდენ რაღაცას, რაც წინ უსწრებს, თანსდევს და მოჰყვება ფლობას, ვიდრე საკუთრივ დაუფლების აქტს — იმ ყველაფრის გარეშე. ბევრი არაფერია, აგრეთვე, მშვენიერი სახე, მოხდენილი სხეული, წარმტაცი სანახაობა, ჰარმონიული ხმა, კეთილშობილი ქანდაკება, მზის ამოსვლა ზღვაზე, ტყის თავზე აციმციმებული ვარსკვლავები, ბაღში გაფურჩქნილი ყვავილი, მთვარით დავერცხლილი მდინარე, საოცარი ლექსი, დიდი აზრი, გმირული მსხვერპლი — ღრმა და ნაზ სულში გადანახული... თითოეული მათგანი სულ ერთი წამით გვხიბლავს და ისეთ სისავსეს გვანიჭებს, რომელსაც სხვა სიხარულებში ვერ ვპოულობთ, თუმცა გამოუცნობლად გვანაღვლებს და გვაფორიაქებს კიდეც. და თუ სხვაგან უბედურები ვართ, არც ამას მოაქვს ჩვენთვის ის, რასაც ადამიანები, ჩვეულებრივ, „ბედნიერებას" უწოდებენ. ამ დროს ისეთი არაფერი იქმნება, რასაც აწონი ან განსაზღვრავ, რასაც სხვები ამოიცნობენ, რაც შეიძლება ჩვენში შეშურდეთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომელი ჩვენგანი, ვისაც კი მშვენიერების ასეთი განცდა ძალუძს, არ არჩევდა დაეთმო სიმდიდრე, სიმშვიდე, თვით ჯანმრთელობა და სიცოცხლის არაერთი წელი, თუ დადგებოდა იმ საფრთხის წინაშე, რომ მავან ჯადოქარს ერთი დარტყმით, ერთხელ და სამუდამოდ წაერთმია მისთვის ეს უხილავი და თითქმის განუსაზღვრელი უნარი? ეს ისეთივე ხელშეუხებელი და ანგარიშმიუცემელი საგნებია, როგორც ღრმა მეგობრობის ან უძვირფასესი მოგონების სინაზე და კიდევ ათასი სხვა აზრი თუ გრძნობა, რომლებიც მთებს ვერ განწონიან, ღრუ-

ბლებს ვერ ფანტავენ, ერთ კენჭსაც კი ვერ გადააადგილებენ გზაზე. ამისდა მიუხედავად, ეს არის ჩვენი საუკეთესო და უბედნიერესი ნაწილი, ეს მთლიანად ჩვენ ვართ, ესაა ყველაფერი, რაც შეიძლება მის არმფლობელს შეშურდეს მის მფლობელში. რაც უფრო ვშორდებით ცხოველს და ვუახლოვდებით იმას, რაც ჩვენი მოდგმის ურყევ იდეალად მოჩანს, უკეთ ვხედავთ, რომ ეს ყველაფერი არაფერია, ვთქვათ, მატერიის ბუმბერაზ კანონებთან შედარებით. მაგრამ, იმავდროულად, ვხედავთ, რომ ეს „არაფერი" ჩვენი უნიკალური ნაწილია და რაც უნდა მოხდეს თვით დროის აღსასრულამდე, ადამიანთა ცხოვრება მეტად და მეტად შემოიკრიბება სინათლის ამ კერების გარშემო.

II

ჩვენ ვცხოვრობთ საუკუნეში, რომელსაც თითქოს სხვა არაფერი უყვარს, მატერიის გარდა, თუმცა, ამ სიყვარულის კვალდაკვალ, იმორჩილებს კიდევაც მატერიას, იმორჩილებს უფრო მგზნებარედ, ვიდრე რაიმე სხვას. თითქოს ჩქარობს შეიცნოს, განჭვრიტოს, დაიურვოს, მთლიანად ფლობდეს, ერთხელ მაინც დატკბეს სრულ დანაყრებამდე, ვინძლო მომავალს შეეწიოს და ბედნიერების მოუსვენარი ძიების ტვირთი ჩამოხსნას. ამ ბედნიერების პოვნის იმედი კი ძალზე კეთილგონივრულად შეიძლება გვქონდეს სწორედაც რომ მატერიაში, რაკი ვერც მის რესურსებს ამოვწურავთ და ვერც ყველა საიდუმლოს ამოვხსნით. ეს ისევე გარდაუვალია, როგორც სხეულებრივი სიყვარულის გავლაა გარდაუვალი სიყვარულის ჭეშმარიტი ბუნების მთელი სიღრმისეული სიწმინდით შესაცნობად.

შესაძლოა, დადგეს დღე, როდესაც ძალზე სერიოზულად აუმხედრდებიან ამჟამინდელ ტკბობას მატერიით. ის კი არა, რომ ოდესმე ადამიანი მას მოწყდება, — ამას სრულებით ამაოდ შეეცდებოდა. ყოველივეს შემდეგ, ჩვენ გაცოცხლებული მატერიის ფრაგმენტები ვართ და ურიგო არ იქნება, თუ ჩვენი არსების საწყის წერტილს არ დავივიწყებთ. მაგრამ ეს მაინც არ არის მიზეზი, რომლის გამოც ყველა ჩვენს ბედნიერებას და სასოებას ამ თავდაპირველი წერტილის პატარა წრეში გამოვამწყვდევთ. თითქმის ყველა ადამიანი, ვისაც ცხოვრება გვახვედრებს, გაუაზრებელი სიჯიუტით ცდილობს შეინარჩუნოს თავის არსებაში სიმპათიები მატერიის მიმართ. შედით კაცებისა და ქალების ისეთ თავყრილობაზე, რომელიც შორს დგას არსებობის ყველაზე დამთგრუნველი საზრუნავებისგან, — ელიტურ თავყრილობაზე, თუ გნებავთ. წარმოთქვით იქ სიტყვები „სიხარული“, „ბედნიერება“, „განცხრომა“, „ნეტარება“, „იდეალი“ და წარმოიდგინეთ, რომ იმავე ნამებში ანგელოზი ჯადოსნურ სარკეში ან მაგიურ კალათაში აგროვებს იმ ასოციაციებს, რომლებიც ზემოთჩამოთვლილმა სიტყვებმა ამ ადამიანებს აღუძრა. რას დაინახავდით სარკეში ან კალათაში? ერთმანეთს გადაჭდობილ ლამაზ სხეულებს, ოქროს და ძვირფასეულობას, სასახლეს, დიდ პარკს, ჯანმრთელობის ელექსირს, უცნაურ ორნამენტებსა და სამკაულებს — პატივმოყვრული ოცნებების განსახიერებას, გროვად დაზვინულ (ესეც უნდა ითქვას!) ნუგბარ-ნუგბარ საჭმელებს, კარგ ღვინოებს, მდიდრულ სუფრებსა და დიდებულ აპარტამენტებს. კაცობრიობა ხომ მეტისმეტად ახლოს დგას თავის სათავეებთან საიმისოდ, რომ სხვა რამ წარმოიდგინოს. არადა, როდის დადგება ის დრო, როცა კალათაში ვიპოვით ძლიერ და უანგარო გონებას, დამშვიდებულ სინდისს, სამართლიან

და მოსიყვარულე გულს, მზერებსა და ყურადღებას, რომელთაც უკვე ეცოდინებათ ყოველგვარი მშვენიერების მოხელთება და განჭვრეტა — როგორც სახის, ღიმილის, სიტყვის, ქმედებისა თუ მოძრაობის, ისე საღამოების, ქალაქების, ზღვების და ტყეების? როდის დავინახავთ ჯადოსნური სარკის წინა პლანზე არა გაშიშვლებულ ლამაზ დიაცებს, არამედ დიდ და ღრმა სიყვარულს ორი არსებისა, რომლებმაც უკვე იციან, რომ სხეულებრივი ტკბობის ბოლოს დალექილი სიმწრის და მოუსვენრობის გემო მხოლოდ იმ შემთხვევაში ქრება, როცა ყოველდღიურად ხვდება ერთმანეთს არა მხოლოდ ორთა აზრები და გრძნობები, არამედ ის რაღაც, რაც ამ აზრებზე და გრძნობებზე კიდევ უფრო მაღლამდგომია და იდუმალი? როდის დავინახავთ ამ სარკეში არა ხელოვნურ და ავადმყოფურ აღტყინებას, მეტისმეტად ბევრმა და მძიმე საკვებმა ან იმ სტიმულატორებმა რომ გამოინვია, რომლებიც, საბოლოო ჯამში, სხვა არაფერია თუ არა ყველაზე საშიში ემისრები იმავე მტრისა, რომლის დამარცხებასაც ჩვენ ვლამობთ, — როდის დავინახავთ არა ამ ყველაფერს, არამედ გაგებისა და სიყვარულის მუდმივი სურვილისგან მუდმივად ეგზალტირებული გონების ამაყ და სერიოზულ მხიარულებას?

უკვე დიდი ხანია, ეს ამბები ვიცით და გამეორება საჭირო აღარ არის. მიუხედავად ამისა, საკმარისია ორ-სამჯერ აღმოვჩნდეთ იმ წრეში, სადაც თავმოყრილია ყოველივე საუკეთესო, ანუ კაცობრიობის ყველაზე ჰუმანური ნაწილი ინტელექტუალური და ემოციური თვალსაზრისით, რათა დავინახოთ, ჯერ კიდევ როგორი ხელისცეცებით ეძებენ ამ წრის წარმომადგენლები არსებობის ბედნიერ წუთებს, რაოდენ ჰგავს მათ მიერ გაუცნობიერებლად ნალოდინარი ბედნიერება სულიერი ცხოვრების არმქონე კაცის

მოლოდინს, ხოლო მათ მიერ მოსასპობი ბოროტება — იმ ღრუბელს, რომელიც ზემოთ წასული არსების კუთვნილ რეგიონს ქვემოთ დაშვებული არსების რეგიონისგან მიჯნავს. ჯერ ჟამი არ დამდგარაო, — ვიტყვით, — ჟამი, როდესაც ადამიანი მთლიანად დაინახავს, რა წილი უნდა დაუთმოს სხეულს და რა — სულს. მაგრამ როდის მოვა ეს ჟამი, როცა ისინი, ვისთვისაც მან უნდა დაჰკრას, თავიანთი ბედნიერების რჩევა-რჩევაში უდარდელად მინებებიან დანარჩენი მასის ბნელ ახირებებს? როცა ისინი მდიდრდებიან, სახელს ითქვამენ და სიყვარულს პოულობენ, ამ ყველაფრიდან, უბრალოდ, რაღაც პატივმოყვრულ კმაყოფილებას, რაღაც ტლანქ ზედმეტობებს წურავენ, მაგრამ უფრო შორს — უფრო სულიერი, უფრო სიღრმისეულად ადამიანური ბედნიერებისკენ გზას აღარ განაგრძობენ, არ სარგებლობენ თავიანთი უპირატესობებით, ვინძლო ცოტათი კიდევ გააფართოვონ მატერიის ნაკლებად გამართლებულ მოთხოვნათა წრე. ცხოვრებისეულ სიამეებში ისინი სულიერ დაპატარავებას ექვემდებარებიან, როგორც, ვთქვათ, მცოდნე მაყურებელს დაემართებოდა იმ თეატრში, სადაც თამაშობენ არცთუ ერთ-ერთს მსოფლიო დრამატურგიის ხუთი თუ ექვსი შედევრიდან. ამ მაყურებელმა იცის, რომ გრძნობა, რომლითაც ირგვლივ მსხდომნი დროდადრო აპლოდისმენტებს ტეხენ, შექმნილია ან პუბლიკის მეტ-ნაკლებად უმწიფარი ახირებებისგან სიყვარულის, სამართლიანობის, რელიგიისა და თავისუფლების სფეროებში, ან კიდევ პოეზიიდან ამოკრეფილი ყველაზე უსიცოცხლო და გამაღიზიანებელი საერთო ადგილების კომპილაციით. მიუხედავად ამისა, ის მაინც მიიღებს მონაწილეობას საერთო ეგზალტაციაში, თუმცა ყოველწამიერად მოუწევს ძალდატანებითი დაბრუნება საკუთარ თავთან და ყველა უეჭველობის მოხმობა

იმაში დასარწმუნებლად, რომ ისინი, ვინც ძველი შეცდომების ერთგულნი დარჩნენ, არ არიან მართლები მის განკერძოებულ გონებასთან მიმართებაში.

III

სხვა მხრივ, ადამიანის ურთიერთობებში მატერიასთან ჩვენ არცთუ გაუკვირვებლად ვასკვნით, რომ დღემდე, ასე ვთქვათ, არაფერი ახსნილა და არაფერი დადგენილა. ეს ურთიერთობები საარსებოა და ელემენტარული, თუმცა იმთავითვე გაურკვეველობით მოცული კაცობრიობა ყველაზე სახიფათო მინდობიდან ყველაზე სისტემატურ ნდობაში, გაღმერთებიდან — შიშის ზაფრაში, აბსოლუტური ასკეტიზმიდან და უარყოფიდან — საპირისპირო უკიდურესობაში ვარდებოდა. საქმე იმაში არ არის, რომ კიდევ ერთხელ ვიქადაგოთ და დავცადოთ წინდაუხედავი და ამაო თავშეკავება. ეს უკანასკნელი ხშირად ისეთივე ზიანისმომტანია, როგორც კარგად ნაცნობი თავშეუკავებლობა. ჩვენ უფლება გვაქვს გამოვიყენოთ ყველაფერი, რასაც კი შეუძლია ხელი შეუწყოს ჩვენი სხეულის სრულ განვითარებას. მაგრამ აუცილებელი იქნება შეძლებისამებრ ზუსტად დადგინდეს ამ უფლების საზღვრები, რადგან ყველაფერი, რაც ამ საზღვრებს გაცდება, დააზიანებს ჩვენი არსების მეორე ნაწილს — ყვავილს, რომელსაც თავისი ფოთლები ან ასაზრდოებენ ან ახრჩობენ. არადა, კაცობრიობა, რომელიც უკვე ამდენი ხანია დაკავებულია საკუთარი ყვავილის ყველაზე ნატიფი ნიუანსებითა და სურნელებით, უხშირეს შემთხვევაში, ტემპერამენტის, მომენტისა თუ შემთხვევის კეთილ თუ ბოროტ ნებას თავის გაუცნობიერებელ ძალებს სთავაზობს: ან მკვებავს, მორიდებულსა და მშრო-

მელს ან ეგოისტურს, მშთანთქავსა და მომაკვდინებელს. შესაძლოა, ეს დღემდე საკმაოდ დაუსჯელად ხდება, რადგან კაცობრიობის იდეალი, რომელიც თავდაპირველად მთლიანად სხეულზე იყო მიბმული, დიდხანს ქანაობდა მატერიასა და გონს შორის, ამჟამად კი უფრო და უფრო ურყევად ფიქსირდება აზროვნების გარშემო. ჩვენ აღარ ვფიქრობთ, ძალოვანებაში შეევეჯიბროთ ლომს, ჯიქს ან ანთროპოიდულ მაიმუნს, არც სილამაზეში — ყვავილს თუ ოკეანის თავზე გაბრწყინებულ ვარსკვლავებს. აქამდე გაუცნობიერებელი ძალის მთლიანი გამოყენება აზროვნების მიერ, მატერიის ეტაპობრივი დამორჩილება და მისი გამოცანის ამოხსნის მცდელობა, — აი, კაცთა მოდგმის ყველაზე რეალური მიზანი, ყველაზე სარწმუნო მისია ამ.მომენტისთვის. უწინ, ეჭვისა და გაურკვევლობის პერიოდში, დაკმაყოფილების ყოველგვარი მცდელობა, თვით გადაჭარბებაც კი მისატევებელი და ზნეობრივი ჩანდა, რაკიღა არ იწვევდა ძალის გამოუსწორებელ კარგვას ან რაიმე ორგანულ დაზიანებას. დღეს კი, როცა კაცობრიობის მისია ზუსტდება, ჩვენი ვალია უკუვაგდოთ ყველაფერი, რაც უშუალოდ არ უწყობს ხელს ჩვენი არსების სულიერი ნაწილის განვითარებას. გონების წინააღმდეგ ჩადენილი ცოდვა — აზროვნების წინაშე ჩადენილი ის ცოდვა, რომელსაც იესო გულისხმობდა და არგაგონილი სიტყვებით ძრახავდა — სადღეისოდ მიუტევებელი ხდება. ნელ-ნელა უნდა შეეელიოთ ყველაფერს, რაც სხეულს მხოლოდ უნაყოფო სიამოვნებას ანიჭებს, ანუ რაც უფრო დიდ და უფრო გამძლე აზრისმიერ ენერგიად არ იქცევა, — ყველა იმ პატარ-პატარა „უწყინარ" სიამეებს, რომლებიც, თავისთავად თითქოსდა არცთუ დიდად საზიანონი, თავისი მაგალითითა და ჩვევით მაინც დაბლამდგომ სიამოვნებათა დამკვიდრებას იწვევენ და, ამ გზით,

გონებრივ სიამეთათვის განკუთვნილი ადგილის უზურპირებას ახდენენ. არადა, ეს უკანასკნელნი არ ჰგვანან სხეულებრივ სიამეებს, რომელთაგან ზოგი შეიძლება სასარგებლო იყოს სხეულის განვითარებისთვის, ზოგიც — მავნებელი. აზრის ელიზიუმში ყოველგვარი სიამე გაჭაბუკებასა და განვითარებას ხმარდება, და არაფერია გონებისთვის უფრო ჯანმრთელი, ვიდრე ცნობისწადილის, გაგებისა და განცვიფრების ზარხოში.

IV

ერთ დღესაც ჩვენი ზნეობა უცილობლად უნდა შეეწყოს კაცთა მოდგმის სავარაუდო მისიას და თვითნებური, ხშირად სასაცილო შეზღუდვების დიდი ნაწილი, რომელთაგანაც ეს ზნეობაა მოქსოვილი, ლოგიკური და უცილობელი შეზღუდვებით შეცვალოს. რადგან ცალკეული ადამიანის თუ მთელი კაცობრიობის ერთადერთი ზნეობა იმაშია, რომ ცხოვრების ინდივიდუალური ყაიდა საყოველთაო მისიის აღსრულებას დაუქვემდებაროს. ჩვენ დავინახავთ, როგორ იცვლის ნელ-ნელა ადგილს ცოდვებისა და დიად მცდელობათა განსაზღვრული სიმრავლის ღერძი, — იქამდე, რომ სხეულის წინაშე ჩადენილ ყველა პირობით დანაშაულს შეენაცვლოს კაცობრიობის ბედ-იღბალთა წინაშე ჩადენილი ნამდვილი დანაშაულები, ანუ ყველაფერი, რაც ხელყოფს აზროვნების ძალას, მთლიანობას, თავისუფლებას, სიჭარბეს, მოცალეობას.

ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ — ქრისტიანული თეორიის არ იყოს — სხეული დაუძინებელი მტერია. სულაც არა! უპირველეს ყოვლისა, ჯერ სხეული უნდა გახდეს შეძლებისამებრ ჯანმრთელი, ძლიერი

და მშვენიერი. მაგრამ ეს ხომ ახირებული, მომთხოვნი, არაპროგნოზირებადი, ეგოისტი ბავშვია, მით უფრო საშიში, რაც უფრო ღონიერი. მოცემული ნუთი: აი, მისი ერთადერთი კულტი! ბავშვური აზრი და ძალლის ან ველურის ნეტარი, მარტივი და მყიფე კმაყოფილება, — აი, ყველაფერი, რისი წარმოდგენა და ნდომა მას ხელეწიფება. სხვა მხრივ, ის ძალდაუტანებლად ტკბება (თითქოს მისი მართებდეთ კიდეც!) კეთილდღეობით, უსაფრთხობით, მოცალეობით, სამკაულებით და უფრო აქტიური აზროვნების მიერ მისთვის მოპოვებული სიამეებით. და თავის ამარა დარჩენილი სხეულიც იმდენად სულელურად და ველურად ილხენს, რომ საკმაოდ სწრაფად ჩაახშობს იმავე აზროვნებას, რომელსაც თავის ბედნიერებას უნდა უმადლოდეს. ასე რომ, ნამდვილად უნდა იარსებობს აუცილებელმა შეზღუდვებმა და დათმობებმა. და არა მხოლოდ იმ თითო-ოროლასთვის, ვისაც უფლება აქვს სწამდეს ან იმედოვნებდეს, რომ ეფექტურად იღვწის გამოცანის ამოსახსნელად, ადამიანურ ბედ-იღბალთა აღსრულებისთვის თუ აზრის გამარჯვებისთვის ბრმა სუბსტანციაზე, არამედ იმათთვისაც, ვინც მჭიდრო, გაუცნობიერებელ, პასიურ ნაკადად მიჰყვება აზროვნების ფოსფორულ ქმნადობებს სამყაროული სტიქიებისა და წყვდიადის გავლით. კაცობრიობა ერთადერთი და ერთსულოვანი არსებაა. უცნაურად ჩანს, რომ მასობრივი აზრის სიმძიმე (თუმცა მას გაჭირვებით თუ ვუწოდებთ „აზრს") რამენაირ ზემოქმედებას ახდენდეს ასტრონომის, ქიმიკოსის, პოეტის ან ფილოსოფოსის ხასიათზე, მორალზე, მუყაითობაზე, იდეალზე, მოვალეობის გრძნობებზე, დამოუკიდებლობაზე და ინტელექტუალურ ძალაზე. არადა, როგორც ჩანს, ზემოქმედებს და ძალზე გადამწყვეტადაც. არცერთი იდეა არ აინთება მწვერვალებზე, თუ დაბლობზე მო-

ბინადრე უამრავ ერთსახოვან იდეას ჯერ გარკვეული დონისთვის არ მიუღწევია. იქ, დაბლა, ადამიანები ძალუმად არ აზროვნებენ, აზროვნებენ მხოლოდ რაოდენობრივად და ამ მცირეოდენ ნააზრევს თავისი მუხტი შეაქვს ატმოსფეროში, რომელიც მტრულად ან სასარგებლოდ მოქმედებს იმათზე, ვინც მნვერვალებისკენ, უფსკრულთა კიდეზე, მყინვარების თხემზე ასვლას გარისკავს. რაც უფრო მეტ-ნაკლებად მძიმე ან მსუბუქია ეს ატმოსფერო, მით მეტ-ნაკლებად დატვირთულია ან უხეში ჩვევებითა და სურვილებით ან დიდსულოვანი იდეებით. ხალხის გმირული საქციელი (რეფორმაცია, საფრანგეთის რევოლუცია, დამოუკიდებლობისთვის ან განთავისუფლებისთვის გაჩაღებული ყველა ომი, ტირანთა ლიკვიდაცია და ა.შ.) ატმოსფეროს აჯანსაღებს და ნაყოფიერს ხდის მთელ ერთ საუკუნეზე მეტ ხანს. მაგრამ ამით ვერ დავამშვიდებთ იმათ, ვინც ადამიანთა ბედ-იღბლის აღსრულებისთვის მუშაკობს. დაე, ირგვლივ მყოფთა ჩვევები ოდნავ უფრო კეთილშობილი ყოფილიყოს, იმედები — უფრო უანგარო; დაე, მოუსვენრობები, ვნებები, სიამეები, სიყვარულები მადლის, უზრუნველობის, არამატერიალური მგზნებარების სხივით განათებულიყოს... და, აი, ისინიც თავისუფლად სუნთქავენ, მხარდაჭერას გრძნობენ, აღარ უწევთ ბრძოლა თავის ინსტინქტურ მხარეებთან, მათი ძალები განიტვირთება და კონცენტრირდება. გლეხი, რომელიც, სამიკიტნოში გამოტყვრომის ნაცვლად, თავის ბაღში რჩება და მშვიდად კითხულობს წიგნს ვაშლის ხეებქვეშ; პატარა ბურჟუა, რომელიც დოღის ემოციებსა და ღრიანცელს მსხვერპლად იღებს და კეთილშობილ სპექტაკლს ესწრება ან ჩუმად და უბრალოდ ატარებს ნაშუადღევს; მუშა, რომელიც ქუჩებს უხამსი და იმბეცილური სიმღერებით კი არ აყრუებს, არამედ სოფელში სეირნობს ან ძველი სი-

მაგრის კედლებიდან მზის ჩასვლას გაჰყურებს, — ყველა ასეთს, შეიძლება ითქვას, ანონიმური, გაუცნობიერებელი და მაინც მნიშვნელოვანი ნვლილი შეაქვს დიდ ადამიანურ კოცონში.

V

მაგრამ რამდენი რამეა სასწავლი და გასაკეთებელი, ვიდრე ეს კოცონი ნათლად და ძალუმად აბრიალდებოდეს! როგორც ახლახან ვამბობდით კაცობრიობის ურთიერთობაზე მატერიასთან, კაცთა მოდგმა ჯერ კიდევ პირველი დღეების ხელისცეცებაში და ექსპერიმენტებშია. ისიც კი არ იცის რიგიანად, როგორ უნდა იკვებოს, ხილისმჭამელია თუ ხორცისმჭამელი ან, საერთოდ, რა რაოდენობის საკვები მიიღოს. მისი აზროვნება უთანხმოებაში მოდის მისივე ინსტინქტთან. მხოლოდ გუშინ გაუმჟღავნეს: შესაძლოა, დღემდე ცდებოდი საკვებთან დაკავშირებულ საკითხშიო; სულ ცოტა, ორი მესამედით მაინც უნდა შეამცირო ამ საკვებში აზოტის შემცველობა და, რაც მთავარია, გაზარდო მოხმარებული ნახშირწყლების რაოდენობაო; ცოტაოდენი ბოსტნეული, ხილი, პარკოსნები და რძე (რაც ამჟამად მხოლოდ დამატებით როლს ასრულებს კაცთა მოდგმის ძირითად რაციონში, — კაცობრიობის მთავარ საზრუნავსა და ძალისხმევის საბოლოო მიზანში, — რომლის მონელებაც თვით მასვე უნყვეტს ქანცს) სრულებით საკმარისია ულამაზესი და უძლიერესი ადამიანური ფორმის შესანარჩუნებლადო...

აქ მე არც ვეგეტარიანობის საკითხის გაღრმავებას ვაპირებ და არც პასუხის გაცემას შესაძლებელ შესიტყვებებზე, თუმცა ცოტა შესიტყვება თუ უძლებს ლოიალურ და ყურადღებიან განხილვას. ისიც

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველამ, ვინც ახლებურ რეჟიმს დაექვემდებარა, ძალების ისეთი ზრდა, ორგანიზმის ისეთი გაჯანსაღება-განმტკიცება, გონების იმგვარი შემსუბუქება და განნმენდა იგრძნო, თითქოს საუკუნოვანი, საწყალობელი და გულისამრევი საკნიდან გაათავისუფლესო.

თუმცა ნუ დავასრულებთ ამ გვერდებს კვებასთან დაკავშირებული ნარკვევით, რაც, თავისთავად, ნამდვილად ბუნებრივი იქნებოდა. მთელი ჩვენი სამართალი, მთელი მორალი, ყველა გრძნობა და აზრი, საბოლოო ჯამში, სათავეს იღებს სამი თუ ოთხი პირველადი საჭიროებიდან, რომელთაგან უმთავრესი კვების საჭიროებაა. საერთოდ, ამ საჭიროებათაგან რომელიმეში შეტანილი სულ ოდნავი ცვლილებაც კი მნიშვნელოვნად ცვლის ჩვენს ზნეობრივ ცხოვრებას. თუ ერთხელაც საყოველთაო უეჭველობად იქცევა, რომ ადამიანი უხორცოდაც შესანიშნავად იცხოვრებს, ამას მოჰყვება არა მხოლოდ დიდი ეკონომიკური რევოლუცია (ხარის თითოეული გირვანქა ცოცხალი წონის უკან ასი გირვანქა მოხმარებული ბალახი დგას), არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანი და უთუოდ უფრო წრფელი და უფრო მტკიცე ზნეობრივი გაუმჯობესება, ვიდრე მოიტანდა მხოლოდშობილი ძის მეორედ ჩამოსვლა მიწაზე პირველი ყოფნის შეცდომებისა და მივიწყებების გამოსასწორებლად. ნამდვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანი, რომელიც ხორცის ჭამაზე უარს ამბობს, თითქმის უცილობლად ტოვებს ალკოჰოლსაც, ხოლო ვინც ალკოჰოლს ტოვებს, ამით ტლანქ და ძალისმიერ სიამეებსაც უკუაგდებს. არადა, ამგვარ სიამოვნებათა აღტყინებული ძიება დიდ დაბრკოლებას უქმნის კაცობრიობის ჰარმონიულ განვითარებას. მათგან გათავისუფლება ნიშნავს კეთილშობილ მოცალეობათა, განსხვავებულ სურვილთა, უფრო დახვეწილ გასართობთა წარმოქმნას, რაკი ეს ყველაფერი ალკოჰოლის

პირმშო აღარ იქნება. მაგრამ მოვესნრებით კი ოდესმე ამ უფრო მსუბუქ და უფრო წმინდა საათებს? ალკოჰოლის დანაშაული მხოლოდ ის არ არის, რომ თავის მიმდევრებს ანადგურებს და კაცთა მოდგმის ნახევარს წამლავს, არამედ ისიც, რომ არაპირდაპირ და მაინც ღრმა ზეგავლენას ახდენს იმათ იდეებზეც კი, ვინც ალკოჰოლს სათოფეზე არ ეკარება. ბრბოში მუდმივად არსებობს და, მისი გამუდმებული მოქმედებით, ელიტის ყოველდღიურობაშიც იჭრება გართობა-სიამოვნების ისეთი ცნება, რომელიც ცვლის და ამდაბლებს ყველაფერს, რაც ადამიანის დასვენებას, თავისუფლებას, გაფურჩქნას, მხიარულებას ეხება. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ვითარება ჯერჯერობით თითქმის შეუძლებელს ხდის უფრო რეალური, უფრო ღრმა, მარტივი, მშვიდი, სერიოზული, სულიერი, ერთი სიტყვით — უფრო ადამიანური ბედნიერების იდეალის დაბადებას. აშკარაა, რომ ბედნიერების ეს იდეალი ჯერ კიდევ სრულებით წარმოსახვითი და სრულებით უმნიშვნელო ჩანს. იმათ რწმენას კი, ვისაც ეჭვიც არ ეპარება, რომ აქამდე ადამიანები ნამდვილად ცდებოდნენ საკვების შერჩევაში (რასაც ყოველგვარი ექსპერიმენტი ადასტურებს), დიდი დრო დასჭირდება, — როგორც ნებისმიერ სხვა უეჭველობას, — რათა აბურდულ მასაში შეაღწიოს, გაანათლოს და შეამსუბუქოს. მაგრამ ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს არის გამოსავალი, რომელიც ბუნებას მარქაფში შემოუნახავს, როცა სიცოცხლისათვის ბრძოლა უკვე ნამდვილად აუტანელი გახდება? დღესდღეობით კი მიმდინარეობს ბრძოლა ხორცისა და ალკოჰოლისთვის. ეს ქმნის ფლანგვის და უსამართლობის ორმაგ წყაროს — ყველა სხვა წყაროს მკვებავს, არცთუ *ადამიანური* საჭიროებისა და ბედნიერების ორმაგ სიმბოლოს.

VI

საით მიდის კაცობრიობა? ფიქრი მიზანსა და დასასრულზე წმინდად ადამიანურია, ჩვენი გონების ერთგვარი პროვინციალიზმი თუ სისუსტე და, როგორც ჩანს, არაფერი აქვს საერთო სამყაროულ სინამდვილესთან. აქვთ კი საგნებს მიზანი? ისე კი, რატომ უნდა ჰქონდეთ? რა შეიძლებოდა იყოს მიზანი ან დასასრული *დაუსრულებელ ორგანიზმში?*

მაგრამ თუ დასაშვებია, რომ სხვა არავითარი მისია არ გვქონდეს, გარდა იმისა, რომ გვეჭიროს ერთი პატარა ადგილი, რომელზეც შემდეგ იები იხარებენ და კალიები იჭრიჭინებენ და ამით სამყაროს არც ბრწყინვა მოაკლდება, არც ენერგია, არც დედამიწის სხვა მკვიდრთა სიცოცხლეს მოემატება ან დააკლდება თუნდაც ერთი საათი; თუ მხოლოდ იმისთვის მივდივართ, რომ ვიაროთ და, საბოლოოდ, არსად მივალთ, — მაინც სხვა ვერაფერი დაგვაინტერესებს, ამ უსარგებლო სვლის გარდა. ეს სავსებით გონივრულია, თანაც — ყველაზე მაღალი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლებოდა მიგვეღო. ნუთუ ბრალეულად არ ვცნობდით იმ ჭიანჭველას, რომელიც ჯერ ისე იკვლევდა ციურ სხეულთა კანონებს, რომ მათში თვით უმცირესი ცვლილების შეტანის იოტისოდენა იმედიც არასოდეს ჰქონია, შემდეგ კი გადაწყვეტდა, რომ აზრი აღარ აქვს რაიმეს კეთებას და, სხვა ყველაფერთან ერთად, არც საჭიანჭველეს მომავლისთვის ზრუნვას? ნუთუ, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ, ვინც ჭიანჭველას ისეთივე თავდაჯერებით და სითამამით განვსჯით, როგორსაც ჩვენს დიდ ღმერთებს მივაწერთ, ამ მეტისმეტად უნივერსალური მწერის გადაწყვეტილება კეთილად და ზნეობრივად მოგვეჩვენებოდა?

თავის აპოგეაში, გონება უნაყოფოა და ვერაფერს

გვკარნახობს, უძრაობის გარდა, თუკი მას შემდეგ, რაც სცნობს და აღიარებს ჩვენი ვნებების, იმედების, მთელი ჩვენი არსებისა და თვით მისივე — გონების — სიპატარავესა და არარაობას, უკანვე არ უბრუნდება ამ სიპატარავეს და არარაობას, როგორც ერთადერთ რამეს ამქვეყნად, რაშიც შეიძლება სარგებლობა მოიტანოს.

თუნდაც არ ვიცოდეთ, საით გაგვიწევია, მაინც ნაკლებად ნუ ვისიამოვნებთ თვით სიარულის პროცესით და, ამ სვლის შესამსუბუქებლად და გასამხნევებლად, მომდევნო ეტაპის გამოცნობა ვცადოთ. რა შეიძლება იყოს ეს? როგორც ჩანს, საშინელი ხეობის გავლა მოგვიწევს. მაგრამ, მისი მუქარის მიუხედავად, გზები, რომლებიც ფართოვდება და სწორდება, ხეები, რომლებიც მრგვალდებიან და კენწეროებზე აყვავებას იწყებენ, მდუმარედ გაშლილი წყლების ზედაპირი — ეს ყველაფერი გვეუბნება, რომ ვუახლოვდებით იმ დაბლობთაგან უვრცესს, რომლებზეც კაცობრიობა ოდესმე გაუყვანია თავის მიმოკლაკნილ ბილიკებს. რა ვუწოდოთ ამ ვაკეს? „მოცალეობის პირველი ველი" ხომ არა? გარდა იმისა, რომ არ გვაშინებს მომავლის მოულოდნელობები ან ის ტკივილები და საზრუნავი, რომლებიც იქ გველოდება, ისიც თითქმის ცხადია, რომ ადამიანთა მასისთვის დადგება დღე, როცა უფრო რეალური თანასწორობის, ტექნოლოგიის, სამიწათმოქმედო ქიმიის, ეგებ თვით მედიცინის ან ამჟამად დაბადების პროცესში მყოფი რომელიღაც მეცნიერების წყალობით, ადამიანის სამუშაო ნაკლებად წელშიგამწყვეტი, ნაკლებად ფიზიკური, ნაკლებად ტირანული, ნაკლებად შეუბრალებელი გახდება. რას უზამს კაცობრიობა თავის მოცალეობას? ვინ იცის, იქნებ, გარკვეულწლად, მის ბედისწერას მოცალეობის გამოყენებაც განსაზღვრავს? კაცთა მოდგმის მრჩე-

ველთა ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა შეამზადონ იგი ამ მომენტისთვის, რომლით დატკბობა მაინცდამიანც მდაბიურად და დამღუპველად არ უნდა მოხდეს. მუშაობაა თუ ომია, ხალხის თუ ცალკეული ადამიანის ზნეობრივი ღირებულება იმით განისაზღვრება, რამდენად ღირსეულად, კეთილშობილურად, გააზრებულად და ამაღლებულად ატარებს იგი თავისუფალ საათებს. იგივე განსაზღვრავს ადამიანთა დაშრეტასაც და მომაგრებასაც, დეგრადირებასაც და გაკეთილშობილებასაც. დღესდღეობით კი, დიდ ქალაქებში, მოცალეობისა და გართობის სამი დღე უფრო მეტად გადაავსებს ხოლმე საავადმყოფოებს, ვიდრე მუშაობის სამი თვე.

VII

ეს ჩვენ გვაბრუნებს ბედნიერებასთან, რომელიც უნდა ყოფილიყო და რომელიც დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ნამდვილად იქცეს საკუთრივ *ადამიანურ* ბედნიერებად. ალბათ, ქვეყნიერების შექმნაში მონაწილეობა რომ მიგვეღო, გავიღებდით იმას, რაც კი აღმოგვაჩნდებოდა ყველაზე უკეთესი, ყველაზე არამატერიალური, ყველაზე ღრმად ადამიანური, ანუ — ჩვენს უქმედითეს და უმგრძნობიარეს ძალას. სიყვარულის აზრს, აზროვნების ინტუიციას, სამართლიან სიტყვას, გულმოწყალების აქტს, მსხვერპლის გაღებისა და პატიების უბრალო სურვილს, თანამგრძნობელ მოძრაობას, ჩვენი არსების სწრაფვას სიკეთის, მშვენიერების თუ ჭეშმარიტებისკენ — თუ ეს ყველაფერი სამყაროს თვალშიც იგივე იქნებოდა, რაც ადამიანის თვალშია — შეეძლო ეშვა სასწაულებრივი ყვავილები, განსაცვიფრებელი სინათლე, წარმოუდგენელი ჰარმონია, გაექარწყლებინა ღამე,

მოეზიდა მზე და გაზაფხული, შეეჩერებინა უბედურება, სნეულება, ტკივილი და ქარიშხალი, გაეუკვდავებინა გრძნობები, გაეხანგრძლივებინა სიჭაბუკე, გაეშალა ზეიმი, გაემარადიულებინა სიცოცხლე. შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, რომ ის აზრი, სიტყვა, აქტი, ერთი სიტყვით — ის ყველაფერი ვერაფერს დაებრკოლებინა და ხილულად დაფასებულიყო, როგორც მინათმოქმედის ძალისხმევა, ფუტკრის შრომა, ბულბულის სტვენა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზნეობრივი სამყარო ის სამყაროა, სადაც ჩვენ სრულებით ეულნი ვართ, რომელიც მთლიანად ჩვენშია და, ასე ვთქვათ, სრულებით მოწყვეტილია მატერიას, რომელზეც ის მხოლოდ იშვიათად და შემთხვევით ზემოქმედებს. ამით ის ნაკლებად რეალური და ნაკლებად უსასრულო არ არის და, თუ სიტყვები ისე ვერ მეტყველებენ, როგორ საჭიროა, ესეც იმიტომ, რომ სიტყვები, საბოლოო ჯამში, მატერიის პატარა ნაკუნებია, რომლებსაც სურთ შეიჭრან იქ, სადაც მატერია აღარ მეუფებს. სიტყვების მიერ გამოხმობილი სახეები მეტ-ნაკლებად ყოველთვის ღალატობენ აზრს. უნატიფესი ჟინის, უკეთილშობილესი სულიერი სიმთვრალის, ყველაზე დასრულებული და შეურყეველი სიყვარულის გამოხატვისთვის საჭიროა, რომ ისინი ედრებოდნენ ჟინს, ყველაზე თავშეუკავებელ სიმთვრალეს, ფიზიკურ ფლობას, უტლანქეს სურვილს და არა მხოლოდ იმ საუკეთესოს, რაც ადამიანის სულს მოუპოვებია. სიტყვები ყველაფერს ჯერ კიდევ პირველად ბუნებაში ჩაფლულ შედარებებამდე ადაბლებენ, თუმცა, ჩვენდაუნებურად, გვაგულიანებენ დავიჯეროთ, რომ შედარებული საგანი ან გრძნობა ნაკლებად რეალური და ნაკლებად მყარია, ვიდრე საკუთრივ შედარებისთვის მოხმობილი სახე. აი, უძლურება და უსამართლობა იმ ყოველივესი, რაც ადამიანის საიდუმლოთა გამოთქმას ცდილობს!

თუმცა, ამის მოლოდინში, ამაოდ დავშვრებით, თუ მხოლოდ გაფანტული თვალით შევხედავთ ჩვენ შიგნით მიმდინარე, სიტყვების მიერ დამცრობილ-გაფერმკრთალებულ ხდომილებებს: ეს ხომ ერთადერთი პირწმინდად ადამიანური ფენომენია ყველა იმ ფენომენთა შორის, რასაც აქამდე შევხვედრივართ.

ნუ მივიჩნევთ მათ უსარგებლო რამედ, თუნდაც იმ ცვარივით იკარგებოდნენ, დილის ყვავილიდან რომ ვარდება მატერიალურ ძალთა უზარმაზარ ნაკადში. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც არამარტო უსაზღვროა, არამედ ფოლადის სფეროსავით დახურულ-ჰერმეტულიც. ვერაფერი გადავარდება მის გარეთ, იმ უბრალო აზრით, რომ „გარეთ" არ არსებობს. ისიც ცხადია, რომ არცერთი ატომი არ იკარგება. მაშ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენი მოდგმა მთლიანად გაქრებოდა, ის მდგომარეობა, რომლითაც მან მატერიის ზოგიერთი სტადია განვლო, ნაკლებად არ შეინარჩუნებდა — ყველა სიკვდილისშემდგომი გარდასახვის მიუხედავად — წარუხოცველ პრინციპს და უკვდავ მიზეზს. საწყისი ეპოქის გიგანტურ და დროებით მცენარეულობას, ისევე როგორც ქაოტური და მეორეული მიწების' მიმართ თითქმის არასიცოცხლისუნარიან ურჩხულებს — პლეზიოზავრებს, იხთიოზავრებს, პტეროდაქტილებს — ასევე შეეძლოთ მიეჩნიათ თავიანთი თავი ფუჭ და წარმავალ მცდელობა-მონახაზად, ჯერ კიდევ ბავშვის კონდიციაში მყოფი ბუნების სასაცილო ექსპერიმენტებად, რომლებმაც არავითარი კვალი არ უნდა დატოვონ უკეთ განწონასწორებულ მომავალ დედამიწაზე. მიუხედავად ამისა, მათ არ განუხორციელებიათ ისეთი ძალისხმევა, უკვალოდ რომ გაიფანტებოდა სივრცეში. გაწმინდეს ჰაერი, შეარბილეს ჟანგბადის აუტანელი ცეცხლი, უფრო ჰარმონიული ცხოვრება მოუწყვეს შთამომავლობას. სწორედ ხისებრი გვი-

მრის განსაცვიფრებლად ალუფხული ტყის წყალიბით იღებენ ჩვენი ფილტვები აუცილებელ საკვებს. სნორედ მფრინავ თუ მცურავ ქვენარმავალთა ამ თავზარდამცემი მოდგმის ნყალობით გვაქვს ასეთი ნერვები და ასეთი ტვინი. ისინი დაემორჩილნენ თავიანთი ცხოვრების წესს, ანუ ისე მოიქცნენ, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ. ისე გარდაქმნეს მატერია, როგორი „მინერილობაც" ჰქონდათ. და ჩვენ, ვინც იმავე მატერიის ნაწილაკებს ადამიანის აზრისთვის ნიშანდობლივი მგზნებარებით ვატარებთ, ჩვენც, ალბათ, მომავლისა და მისი უჯრედებისთვის რაღაც ისეთი მიგვაქვს, რაც არასოდეს აღარ გაქრება.

წარსული

I

ჩვენ უკან ვრცელ პერსპექტივად იშლება ჩვენი წარსული — ნისლმოხვეული ქალაქივით სძინავს სადღაც შორს. აქა-იქ რამდენიმე წვერო ამოწვდილა და დანარჩენ ქალაქს თავზე დასცქერის. რამდენიმე მნიშვნელოვანი ხდომილება კოშკურებივით აღმართულა: ზოგი ჯერ კიდევ განათებულია, ზოგს — ნახევრად დანგრეულს — დავიწყების სიმძიმე დასწოლია და უფრო და უფრო ბრიცავს. ხეებს ფოთლები სცვივა, კედლები აქა-იქ იფხვნება და იშლება, დიდი დაჩრდილული ადგილები ნელ-ნელა ფართოვდება. ყველაფერი თითქოს მკვდარია, თითქოს არაფერი მოძრაობს, გარდა იმისა, რასაც ილუზორულად ამოძრავებს ჩვენი მეხსიერების აუჩქარებელი დაშლა. თუმცა თვით ჩვენი მოგონებების კვდომისგან ნასესხები ამ სიცოცხლის გარდა, თითქოს ყველაფერი გაშეშებულია, აღარასოდეს შეიცვლება: — ისეთი მდინარე ჰყოფს აწმყოსა და მომავლისაგან, რომელსაც ველარაფერი გადაცურავს.

არადა, ის ცოცხალია, მრავალი ჩვენგანისთვის კი — აწმყოზე ან მომავალზე უფრო ცოცხალი. დიახ, ხშირად ეს მკვდარი ქალაქი არსებობის ყველაზე აქტიური კერაა და, იმ იმპულსისდა მიხედვით, რომლითაც ადამიანები მას უბრუნდებიან, ზოგი მთელ თავის სიმდიდრეს იქიდან ილებს, ზოგი კი თავის საუნჯეს მთლიანად იქ მარხავს.

II

წარსულთან დაკავშირებით ისევე გვაქვს იდეები, როგორც სხვა იდეები, რომლებიც ეხებიან სიყვარულს, სამართლიანობას, ბედისწერას, ბედნიერე-

ბას და, მათ გარდა, ბუნდოვან, მაგრამ ძალუმ სულიერ ორგანიზმთა უმრავლესობას — დიდ ძალებს, რომლებსაც ჩვენ ვემორჩილებით. ეს იდეები დასრულებული სახით მივიღეთ იმათგან, ვინც ჩვენამდე იყო. და მაშინაც კი, როცა იღვიძებს ჩვენი მეორე სინდისი, რომელიც გვაქეზებს — აღარაფერი მიიღოთ თვალდახუჭულებმაო, მაშინაც კი, როდესაც ვინყეთ ამ იდეების გადასინჯვას და შეკითხვებს ვუსვამთ, მხოლოდ დროს ვკარგავთ: ისინი ხმამაღლა მეტყველებენ და გამუდმებით იმეორებენ ერთსა და იმავეს. ამის სანაცვლოდ, მოვიძიოთ, ხომ არ არიან მათ ირგვლივ კიდევ სხვა იდეები, რომლებსაც ჯერ არაფერი უთქვამთ. ჩვეულებრივ, ამ იდეათა მოსაძებნად ძალიან შორს ნასვლა არ გვჭირდება. ელოდებიან კიდეც, როდის მივმართავთ. ისე კი, არც მდუმარენი არიან უმოქმედოდ. ლაქლაქა ადამიანურ შეხედულებათა ზემოთ, ისინი მშვიდად მიუძღვებიან ჩვენი რეალური ცხოვრების ერთ ნაწილს, უფრო ახლოს დგანან ჭეშმარიტებასთან, ვიდრე მათი თვითკმაყოფილი დები და, საკმაოდ ხშირად, სიმარტივითაც ჯობნიან ამ უკანასკნელთ და მშვენიერებითაც.

III

ამ დასრულებულ იდეებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხელოვნურად შექმნილ აზრებს, ნარსულის ჩვენეულ კონცეფციას რომ წარმართავს. მათი წყალობით, ნარსული ისეთივე მნიშვნელოვან და შეურყეველ ძალად გვესახება, როგორც თვით ბედისწერა. წარსულიც ბედისწერაა, რომელიც ჩვენ ზურგსუკან მოქმედებს და ხელს უწვდის იმას, რაც ჩვენ წინ მოძრაობს. ამ უკანასკნელს წარსული ჩვენი ჯაჭვის ბოლო რგოლს აწოდებს. ისიც ისევე თავშეუკა-

ვებლად გვიბიძგებს უკანიდან, როგორც წინ მსვლელი გვექაჩება. შესაძლოა, ზურგსუკან მყოფის სიველურე კიდევ უფრო ძალუმი და უფრო საშინელიც კია. დასაშვებია, რომ ეჭვი შეგვეპაროს ბედისწერაში: ეს ხომ ის ღმერთია, რომლის დარტყმასაც მრავალი ადამიანი არ განიცდის. აი, წარსულის ძალაში ეჭვი არავის შეაქვს. შეუძლებელი ჩანს, რომ ადრე თუ გვიან მისი შედეგები არ ვიწვნიოთ. თვით იმათაც, ვინც უკუაგდებს ყველაფერს, რასაც ხელით ვერ შეეხები, ისევდაისევ წარსულში გადააქვთ საიდუმლოსა და ზენაარ შემოჭრათა ყოველგვარი აზრი თუ ზემოქმედება, რათა სწორედ წარსულისაგან შექმნან თავიანთი დაცარიელებული ოლიმპოს თითქმის ერთადერთი და მით უფრო ძრწოლისმომგვრელი ღმერთი.

IV

მართლაც, წარსულის ძალა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმძიმეა, რომელიც ადამიანებს აწვება და სევდისაკენ ზნექს. არადა, ვერაფერს ვიპოვიდით უფრო მორჩილს, არაფერი გამოგვყვებოდა უფრო მეტი ნებაყოფლობით იმ გეზით, რომელსაც ჩვენ მივცემდით, თუკი გვეცოდინებოდა, როგორ მოგვექაჩა მისი მორჩილების საუკეთესო ნაწილი. თუ კარგად ჩავუკვირდებით, წარსულიც ისევე რეალურად გვეკუთვნის, როგორც ანმყო, და უფრო მოქნილია, ვიდრე მომავალი. ისევე, როგორც ანმყო, და გაცილებით უკეთ, ვიდრე მომავალი, წარსული მთლიანად ჩვენს გონებაში სახლობს და გამუდმებით ჩვენ ხელთაა. და ეს ეხება არა მხოლოდ მატერიალურ წარსულს, სადაც ჯერ კიდევ ხელგვეწიფება ფეხზე წამოვაყენოთ ჩვენ მიერ დატოვებული ნანგრევები, არამედ წარსულის იმ ნაწილებსაც, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ რომ

ამოვარდნილა ჩვენი მეტისმეტად დაგვიანებული სასიკეთო ზრახვებიდან; ეხება, განსაკუთრებით, ჩვენს ზნეობრივ წარსულს და იმ ყველაფერს, რაც მასში გამოუსნორებელი გვეჩვენება.

V

„წარსული ნასულია", — ვამბობთ. და ეს არასწორია: წარსული ყოველთვის აქ არის. „ჩვენ ჩვენივე წარსულის ტვირთს ვეზიდებით", — ვამტკიცებთ. არც ესაა სწორი: წარსულს თვითონვე აწევს ჩვენი სიმძიმე. „წარსულიდან ვერაფერს წაშლი." აი, კიდევ ერთი სიმცდარე. აწმყოცა და მომავალიც ჩვენი ნების უმცირეს ნიშანზე შემოირბენენ წარსულს და ამოშლიან ყველაფერს, რის ამოშლასაც ვუბრძანებთ. „ხელშეუხებელი, უსაშველო, უძრავი წარსული!" არც ეს აზრია სხვებზე მართებული. სწორედ აწმყოა უცვლელი და ვერაფერს ასწორებს იმ ხალხში, ვინც ასე ლაპარაკობს. „მე ცუდი წარსული მაქვს... სევდიანი, ცარიელი... გავყურებ და ვერსად ვპოულობ სილამაზის, ბედნიერების, სიყვარულის ერთ წუთსაც კი... ყველგან მხოლოდ ულიმღამო ნანგრევები ჩანს...". არც ეს შეესაბამება სიმართლეს: თქვენ ხომ წარსულში ზუსტად და მხოლოდ იმას ხედავთ, რასაც მისი ჭვრეტის წამში დებთ.

VI

ჩვენი წარსული მთლიანად დამოკიდებულია ჩვენსავე აწმყოზე და მუდამ მასთან ერთად იცვლება. მეყსეულად იღებს იმ ლარნაკთა ფორმას, რომლებშიც ჩვენი დღევანდელი აზრი აგროვებს. ის ჩვენს ხსოვნაშია და არაფერია მისებრ ცვლადი და მისებრ გახსნილი

შთაბეჭდილებათა მიმართ, არაფერია უფრო ნაკლებად დამოკიდებული ამ ხსოვნაზე, რომელსაც განუწყვეტლივ კვებავს და ამუშავებს ჩვენი გული და გონება — დაპატარავებული ან გაზრდილი, უკეთესი ან უარესი, ჩვენი ძალისხმევისდა მიხედვით. ის, რაც წარსულში თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, რაც იქიდან გვრჩება, რაც ჩვენი შემადგენელი ნაწილია, არის არა ჩვენ უწინდელი საქციელი ან თავგადასავლები, არამედ *ზნეობრივი რეაქციები*, რომლებიც ამწუთას გვაქვს მაშინ მომხდარ ამბებ'ზე, ანუ *შინაგანი არსება*, რომლის ჩამოყალიბებაშიც თავისი წვლილი შეიტანა იმ ხდომილებებმა. და ეს რეაქციები, რომლებიც ჩვენს შინაგან და სუვერენულ არსებას ქმნის, მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ *როგორ* მოვიაზრებთ წარსულში მომხდარ მოვლენებს. ეს რეაქციები იცვლება ჩვენში არსებული ზნეობრივი სუბსტანციისდა მიხედვით. არადა, ჩვენი აზროვნებისა და გრძნობების მიერ გამოჭრილ ყოველ მომდევნო საფეხურზე ჩვენი არსების ზნეობრივი სუბსტანცია ცვლილებას განიცდის. ამის შედეგად, თვით ყველაზე უცვლელი, თითქოს ქვაში და ბრინჯაოში გამოკვეთილი ფაქტებიც მაშინვე სრულებით ახლებურად იმოსებიან, ადგილს იცვლიან და ცოცხლდებიან, უფრო ღრმა და უფრო გაბედულ რჩევებს გვაძლევენ, თავის ზეაღსვლაში ხსოვნაც თან მიპყავთ და, აი, ნეშომპალად ქცეულ ნანგრევთა დაბინდული გროვა ისევ ქალაქად ღორძინდება, ახალი ბინადრებით ივსება და ჰორიზონტიდან კიდევ ერთხელ ამოცურებულ მზეს ეფიცხება.

VII

თვითნებურად ვიქცევით, როცა მოვლენათა გარკვეულ სიმრავლეს ჩვენ უკან — ჩვენი მოგონებების ჰორიზონტზე ვათავსებთ. როდესაც ასე ვიქცე-

ვით, კიდეც წარმოვიდგენთ, რომ ისინი ეკუთვნიან ისეთ საუფლოს, სადაც ყველა ადამიანის გაერთიანებული ძალისხმევაც კი ძვრას ვერ უზამს თუნდაც ერთ ყვავილს, ვერ შეამშრალებს თუნდაც ერთ ცრემლს. რა უცნაური წინააღმდეგობაა! — ერთხელ და სამუდამოდ დავუშვით, რომ გარდასულ მოვლენებზე ვერანაირ ზემოქმედებას ველარ მოვახდენთ, პარალელურად კი გვჯერა, რომ ისინი თავად ზემოქმედებენ ჩვენზე! არადა, ისინი მხოლოდ იმდენად ზემოქმედებენ ჩვენზე, რამდენადაც ჩვენის მხრივ მათზე ზემოქმედებას ვუარობთ. წარსული ქვავდება მხოლოდ იმათთვის, ვისი ზნეობრივი ცხოვრებაც უკვე შეჩერდა, მხოლოდ ამ შეჩერების შემდეგ ფიქსირდება იგი თავისი გულისგამგმირავი ფორმით. ამ წერტილიდან თუ ავთვლით, ზურგსუკან მართლაც ხელშეუხებელი და, ამდენად, გამოუსწორებელი რამ გვრჩება... და იმის სიმძიმე, რაც ოდესღაც მოგვიმოქმედებია, მხრებზე გვაწვება. მაგრამ რამდენადაც გონებრივ ცხოვრებას არ ვწყვეტთ, წარსულიც ჩვენ თავზემოთ ჰკიდია და იმ მშვიდობიანი ღრუბლებისა არ იყოს, ჰამლეტი რომ უჩვენებს პოლონიუსს, — ისიც ელოდება, როდის მიანიჭებს ჩვენი მზერა იმედის ან შიშის, მღელვარების ან სიმშვიდის ფორმას, ჩვენსავე წიაღში რომ ვაყალიბებთ.

VIII

როგორც კი ჩვენი ზნეობრივი აქტივობა ნელდება, უკვე მომხდარი ხდომილებები მორბიან და თავს გვესხმიან. ვაი მას, ვინც მათ კარს გაუღებს და თავის კერიასთან დასხამს! ისინი შურიანად ხუნძლავენ მასპინძელს ისეთი ძღვენებით, რომლებმაც მას ყოველგვარი სიმხნევე უნდა გამოაცალონ. თვით

უბედნიერესი და უკეთილშობილესი წარსული, რომელსაც საშუალებას ვაძლევთ შემოვიდეს ჩვენში, — არა როგორც მოწვეული სტუმარი, არამედ როგორც დაუპატიჟებელი პარაზიტი, — ყველაზე პირქუში და კრიმინალური წარსულივით სახიფათოა. თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ უსუსურ ქენჯნას აღგვიძრავს, მაშინ ბედნიერ-კეთილშობილი წარსულისგან უნაყოფო სინანულიღა გვრჩება, ხოლო ამგვარად შემოსული ქენჯნა და სინანული ჩვენთვის ერთნაირად საბედისწეროა. იმისათვის, რომ შემოვიღოთ წარსულიდან მისი საუკეთესო თვალ-მარგალიტი (მთელი ჩვენი საუნჯე ხომ თითქმის მთლიანად წარსულში ძევს), ისეთ საათებში უნდა მივაკითხოთ, როდესაც ჩვენი შინაგანი ძალა ჩვენ ხელთაა, მასპინძელივით შევუღოთ კარი, მხოლოდ ის შევარჩიოთ, რაც გვეჭაშნიკება, დანარჩენი კი მასვე დაუტოვოთ ისე, რომ ავუკრძალოთ ჩვენი ზღურბლის გადმოლახვა ჩვენივე მითითების გარეშე. როგორც სხვა ყველაფერი, რაც მხოლოდ ჩვენი სულიერი ძალის ხარჯზე არსებობს, წარსულსაც სწრაფად გადაექცევა ჩვეულად ჩვენს მორჩილებაში ყოფნა. თუმცა ჯერ შეიძლება წინააღმდეგობის გაწევა სცადოს, ხრიკებს, ხვეწნა-მუდარას მიმართოს, გვაცდუნოს და გული მოგვილბოს. თვალცრემლიანი დაგვანახებს დამსხვრეულ გრძნობებს, გაცრუებულ იმედებს, გარდაცვლილ სიყვარულს, მომაკვდავ სიძულვილს, გაფლანგულ რწმენას, დაკარგულ სილამაზეს, ანუ ყველაფერ იმას, რაც ოდესღაც განსაცვიფრებელი ძალით მოსავდა სიცოცხლის ჩვენეულ გზნებას, ახლა კი მისი — წარსულის — ნანგრევთა სევდით მოცულა და გამქრალ ბედნიერებებს გვახსენებს. მაგრამ ჩვენ უკანმოუხედავად გამოვალთ გარეთ, ხელის აქნევით მოვიშორებთ მოგონებების ჯგროს, როგორც ბრძენი ულისე გაიქნევს მახვილს კიმერიის ღამეში და იშო-

რებს შავ სისხლს, რომელმაც უნდა გააცოცხლოს და ერთი წამით აალაპარაკოს მკვდართა აჩრდილები, — თვით დედისაც კი, — ანუ ისინი, ვისი გამოკითხვაც მისთვის არავის დაუვალებია. ჩვენ პირდაპირ მივაშურებთ ამა და ამ სიხარულს, ამა და ამ ქენჯნას, ამა და ამ სინანულს, რომელთა რჩევაც ამჯერად გვჭირდება; ზედმიწევნით ზუსტ კითხვებს დავუსვამთ ამა და ამ უსამართლობას, იქნებ იმიტომ, რომ მისი გამოსწორება გვინდოდეს, თუ ეს კიდევ შესაძლებელია, ან იმიტომ, რომ გვსურს, გამოვთხოვოთ ჩვენსავე მიერ ჩადენილ სხვა უსამართლობას — რომლის მსხვერპლნიც დღეს აღარ არიან — იმის სამყოფი ძალა, რომ აღარ ჩავიდინოთ სხვა უსამართლობები, რომელთა ჩადენის პოტენციასაც ჩვენში სადღეისოდ ვგრძნობთ.

IX

დიახ, თუნდაც ჩადენილი გვქონდეს წარსულში დანაშაულები, რომელთაც თვით ჩვენი უღრმესი ნებაც კი ველარ შეწვდება და შედეგებსაც ველარ შეუცვლის, — თუ ვიმარჯვებთ და თითოეული ადამიანის არსებობის ვრცელ მინდორს დროით-სივრცითი გარემოებების ზემოდან დავხედავთ, მაშინ ყოველგვარი დანაშაული რეალურად იმ წამიდან ტოვებს ჩვენს ცხოვრებას, როცა ვგრძნობთ, რომ ამიერიდან ვერცერთი ამქვეყნიური ცდუნება თუ ძალა ველარ ჩაგვადენინებს რაიმე მსგავსს. ამ დანაშაულებს გარედან არ პატიობენ (გარე სივრცეში ცოტა რამ ეძლევა დავიწყებას და ცოტა რამეს თუ მოგვიტევებენ). ისინი განაგრძობენ კიდეც თავისი პრაქტიკულ-მატერიალური შედეგების მოტანას, რადგან მიზეზ-შედეგობრიობის კანონები კარდინალურად

განსხვავდება ჩვენი სინდისის კანონებისგან. მაგრამ რაკილა ჩვენი პიროვნული სამსჯავრო ერთადერთია, რომელსაც გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლია ჩვენს სიღრმისეულ ცხოვრებაზე, რომელიც ქმედითად განგვსჯის თვით ძვლის ტვინამდე და რომლის სასჯელებს ვერაფრით ავიცდენთ, — აი, ამ სამსჯავროზე ესა თუ ის მავნე ქმედება (რომელსაც დღეს მისი ჩადენის ადგილზე უფრო მაღალი წერტილიდან დავყურებთ) ამჟამად მხოლოდ იმისთვის თუ არსებობს, რომ უფრო გაგვირთულოს ძირს დაშვება და ჩვენ წინ ხელახლა აღმართვის უფლებაც მხოლოდ იმ მომენტში აქვს, როცა ერთხელ კიდევ ვიხრებით უფსკრულისკენ, რომელსაც ის იცავს.

რასაკვირველია, ერთ-ერთი უდიდესი ადამიანური სევდა იმაშია, რომ წარსულში ჩადენილი უსამართლობებისკენ მიმავალი ყველა გზა, ასე ვთქვათ, ჩახერგილია და შეუძლებელი გამხდარა მსხვერპლთა მოძებნა, მათთან შეხვედრა, მათი აღორძინება ან ნუგეშისცემა. სხვა ტკივილებზე უფრო ნელა გვავიწყდება ტკივილი, რომლითაც ვიხსენებთ, როგორ დავჩაგრეთ სუსტი, რაოდენ უსამართლოდ და მომაკვდინებლად დავტანჯეთ გული, რომელსაც ვუყვარდით, ან, უბრალოდ, უგულისყუროდ ჩავუარეთ ჩვენთვის შემოთავაზებულ გულისშემძვრელ სიყვარულს. დიახაც: ეს ჩვენს ცხოვრებას დიდ სიმძიმედ უნდა აწვებოდეს... მაგრამ იმ წერტილიდან თუ განვსჯით, რომლამდეც ჩვენი ცნობიერება სადღეისოდ მოვიდა, სწორედ *ჩვენზეა* დამოკიდებული, ზემოთ აიყვანს თუ ქვემოთ დასწევს ჩვენს ზნეობრივ ბედს ეს სიმძიმე. რაკი ჩვენი ნამოქმედარიდან თითქმის არაფერი კვდება, ამდენად, გარდაუვალია, რომ ერთ დღესაც მრავალი ჩადენილი უსამართლობა აღდგეს, კუთვნილი ნილი მოითხოვოს და სამსჯავროც მოგვიწყოს. მაშინ ისინი ჩვენს

შინაგან ცხოვრებაში შემოვლენ, მაგრამ ვიდრე ამ ცხოვრების ცენტრში მყოფ უინტიმურეს არსებას შეეხებიან, იძულებული იქნებიან ინვნიონ მსჯავრი, რომელიც ჩვენ უკვე გამოვუტანეთ საკუთარ თავს. ამ მსჯავრის ხარისხი განსაზღვრავს სიღრმეებიდან ამოსულ იდუმალ მაცნეთა პოზიციას, სიღრმეებიდან, სადაც მიზეზ-შედეგთა მარადი წონასწორობა ყალიბდება. თუ ალალად გამოვკითხეთ საკუთარი თავი და უკომპრომისოდ განვსაჯეთ ჩვენი ახალი ცნობიერების სიმაღლიდან, მაშინ ყოველი მხრიდან უეცარი და მუქარიანი შურისმაძიებლები კი არ გამოძვრებიან, არამედ უსიტყვოდ მოგვიახლოვდებიან კეთილმოწადინე სტუმრები — თითქმის ნალოდინარი მეგობრები. უკვე იციან, რომ მოდიან ადამიანთან, რომელიც მათ მიერ ნაძებნი დამნაშავე აღარ არის. და ამბოხთან, სასოწარკვეთასთან, სიძულვილთან დაკავშირებული იდეების ნაცვლად, ნაცვლად სასჯელებისა, რომლებსაც მოსდევს დეგრადირება თუ სიკვდილი, — ისინი გულს გამაკეთილშობილებელი, განმწმენდი და მანუგეშებელი აზრებითა და ტკივილებით გვივსებენ.

X

ნდობის და მგზნებარების თითქმის ერთი და იმავე პრინციპიდან ნამოსულ მრავალ საგანთა შორის, ბედნიერსა და მხნეს მტირალისა და ყურებჩამოყრილისგან განასხვავებს არა იმდენად ის, რაც მათ ჩაუდენიათ და გადახდენიათ, არამედ ის, თუ *როგორ* იხსენებენ ამ ამბებს. თავისთავად თუ ავიღებთ, არავისთვის არ არსებობს „ბედნიერი წარსული". თუ ბედის ნებიერნი განსჯიან, *რა* იდო დიდი ბედნიერებით გატარებულ და ან უკვე გარდასულ წლებში, შესაძ-

ლოა, უფრო მეტი მიზეზიც კი აღმოაჩნდეთ დასამწუხრებლად, ვიდრე იმ ბედკრულებს, გაუხარელი ცხოვრების ნარჩენები რომ არგუნათ ბედმა. ყველაფერი, რაც ოდესღაც იყო და დღეს აღარ არის, კაეშნისკენ გვიბიძგებს, განსაკუთრებით — ნარსულში დარჩენილი უმშვენიერესი და უბედნიერესი საგნები. დანანების საგანი, რომელიც ოდესღაც არსებობდა ან შეიძლებოდა ყოფილიყო, თითქმის ერთი და იგივეა ყოველი კაცისთვის. აქედან გამომდინარე, თითქოს იდენტური უნდა იყოს ადამიანთა სევდაც. არადა, ის სულაც არ არის ასეთი: ერთს განუწყვეტლივ თან სდევს, მეორეს მხოლოდ ხანგრძლივი ინტერვალების შემდეგ თუ ეწევევა. როგორც ჩანს, სევდა დამოკიდებულია არა ადამიანის გარდასულ საქციელზე, არამედ იმაზე, თუ *როგორ* რეაგირებს ეს ადამიანი მასზე. წუთისოფლის დამმარცხებლებმა, ვინც დროს არ კარგავს იმაში, რომ ჰორიზონტი წარმოსახვითი უმოძრაობითა და უცვლელობით ჩაკეტოს, ვინც თითქოს ყოველ დილას ახლიდან იბადება იმ სამყაროში, განუწყვეტლივ რომ იშვება მოშავლისათვის, — ასეთებმა ინსტინქტურად იციან, რომ ის, რაც თითქოს უკვე გამქრალია, სინამდვილეში ყოველთვის ხელუხლებლად არსებობს, და ისიც, რაც თითქოს დასრულებულია, არსებითად, მხოლოდ განსრულების პროცესშია ; იციან, რომ დროის დინებით წაღებული წლები ჯერ კიდევ მუშაობენ და მათი ახალი პატრონის საფარველქვეშ ისევ ძველ პატრონს მორჩილებენ ; იციან, რომ მათი წარსული მუდმივ მოძრაობაშია; რომ გუშინდელი დღე — პირქუში, სნეული თუ ერთობ დანაშაულებრივი — უკანვე დაუბრუნდებათ სრულებით მხიარული, უმანკო, გაჭაბუკებული, ხვალის გზაზე დამდგარი ; იციან, რომ მათი სახე ჯერ სამუდამოდ არ ამოტვიფრულა ჩავლილ დღეებში და ერთი გადამწყვეტი აზრი ან მოქმედება ყველაფერს

ამოაბრუნებს; იციან: რა მოტეხილ-დათრგუნულიც უნდა იყოს ზურგსუკან დარჩენილი აჩრდილი, მხიარულების თუ იმედის ერთ ჟესტიც კმარა, რომ აჩრდილმა ეს ჟესტი გაიმეოროს, თვით შორეული ბავშვობის პანია ნანგრევებამდე დააგრძელოს და ამ ნაშთებიდან მოულოდნელი საგანძური ამოიღოს; იციან, რომ ყველაფერი შეიძლება გამშვენიერდეს და ორმხრივად საუკეთესო გახდეს და რომ თვით მკვდრებიც კი გააუქმებენ თავიანთ განაჩენს თავთავის საფლავებში, რათა ახლებურად განსაჯონ წარსული, რომელსაც სწორედ *დღევანდელი დღე* აღორძინებს და ასხვაფერებს.

ბედნიერია, ვინც ამ ინსტინქტს აკვნიდანვე პოულობს. მაგრამ ეგებ იმან, ვინც ეს ინსტინქტი ვერ მოიძია, მისი მიბაძვა შეძლოს? განა ადამიანური სიბრძნის ერთ-ერთი დანიშნულება იმაში არ მდგომარეობს, რომ აღმოგვაჩენინოს ინსტინქტები, რომლებზეც ბუნებამ უარი გვითხრა?

XI

ნუ ჩაგვეძინება წარსულში! რაც უფრო ბედნიერი და დიდებულია ის, მით უფრო იჭვნეულადაც უნდა შევხედოთ, თუკი აპირებს, რომ ჩვენს ცხოვრებას თაღივით მოერკალოს თავზე, თუკი გამუდმებით არ გვეცვლება თვალწინ, თუ ანმყო უკვე ეჩვევა მასთან სტუმრობას, — არა როგორც კარგი მუშა, რომელიც წარსულს იმისთვის აკითხავს, რომ დღევანდელი დღის მიერ მითითებული სამუშაო ჩაატაროს, არამედ როგორც პასიური და მეტისმეტად მიმნდობი მომლოცველი, რომელიც მხოლოდ მშვენიერი და გაქვავებული ნაშთების ცქერით კმაყოფილდება.

და ნუ გვექნება წარსულის მიმართ ინსტინქტური

პატივისცემა, თუკი ეს პატივისცემა გვაფრთხობს: გარდასულ დღეთა მავზოლეუმური წესრიგი არ ხელვყოთო. ჯობს გვქონდეს ჩვეულებრივი, თავის ნისლში შეყუჟული წარსული, ვიდრე დიდებული და გამორჩეული, თვით იმაზეც რომ აცხადებს პრეტენზიას, რაც მას არ ეკუთვნის. ჯობს გვქონდეს უღიმღამო, მაგრამ ნამდვილად ცოცხალი აწმყო, რომელიც ისე მოქმედებს, თითქოს მარტოდმარტო იყოს დედამიწაზე, ვიდრე ის აწმყო, ამაყად რომ ღაფავს სულს განსაცვიფრებელი წარსულის ხუნდებში. ერთი ნაბიჯი, რომელსაც დღეს გაურკვეველი მიზნისკენ ვდგამთ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ათასი ლიე, ოდესღაც რომ გავიარეთ ტრიუმფალური, მაგრამ სადღეისოდ უკვე ყავლგასული გამარჯვებისკენ. სხვა რა დანიშნულება აქვს ჩვენს წარსულს, თუ არა ის, რომ გაგვზარდოს ამ წამში, რომელშიც ახლა ვიმყოფებით და სათანადო იარაღით, გამოცდილებით, აზრით და სიყვარულით აღგვჭურვოს. დე, ამნამს წაიღოს და თავისკენ მიაქციოს ჩვენი ენერგიის ერთი ნამცეცი. რაც უნდა დიდებული ყოფილიყო, ის მაინც უსარგებლო აღმოჩნდა და ჯობდა, საერთოდ არ ეარსება. როცა უფლებას ვაძლევთ დააბრკოლოს ეესტი, მომდევნო წამს რომ უნდა გაგვეკეთებინა, სწორედ მაშინ იწყება ჩვენი სიკვდილი და მომავლის შენობებიც მეყსეულად იღებენ საფლავების ფორმას.

XII

არსებობს სხვა, დიდება-ბედნიერებაში ჩავლილ წარსულებზე კიდევ უფრო საშიში წარსულებიც, — ისინი, მეტისმეტად ძალუმი და მეტისმეტად ძვირფასი აჩრდილებით რომ დასახლებულან. მრავლად მოიპოვება ისეთი ხალხი, საკუთარი წარსულის

საყვარელი აჩრდილების ხლართებში რომ ინაელება და იშრიტება. ნუ დავივინყებთ იმათ, ვინც აქ აღარ არის, მაგრამ, დე, მათი არახორციელი მუნყოფნა ნუ-გეშად გვექცეს და არა ტკივილად. შევაგროვოთ და შევინახოთ ერთგულ და თავისივე ცრემლებით ბედ-ნიერ სულში ის დღეები, წარსულის აკლდამაში შე-ზიხნულმა ადამიანებმა რომ გვისახსოვრეს. დამშვი-დობების წინ, მათ თავისი უწმინდესი ნაწილი დაგვი-ტოვეს. ნუ ჩაგვეკარგება ერთსა და იმავე წყვდიადში ის, რაც მათ დაგვიტოვეს და ის, რაც სიკვდილმა წაგვართვა. სიკვდილიდან რომ დაბრუნებულიყვნენ უფრო დაბრძენებულნი (რაკი ეცოდინებოდათ ის, რასაც მიწიერ-წარმავალი სინათლე ჩვენს მზერას უმალავს), ვგონებ, გვეტყოდნენ: „ნუ ტირით ასე. ეგ ცრემლები კი არ გვაცოცხლებს, არამედ ქანცს გვა-ცლის, რაკი ჩვენამდე ჯერ თქვენ გქანცავთ. გათავი-სუფლდით ჩვენგან, ნულარ იფიქრებთ ჩვენზე, რათა ჩვენმა ფიქრმა მხოლოდ ცრემლები არ გაურიოს იმ სიცოცხლეში, თქვენს ცხოვრებაში რომ დაგვრჩე-ნია. მართალია, ჩვენ მხოლოდ თქვენს მოგონებებში ვცხოვრობთ, მაგრამ ამაოდ გგონიათ, რომ ოდენ სინანულისაღმძვრელი მოგონებები გვეხებიან. ყვე-ლაფერს, რასაც თქვენ შვრებით, ჩვენ ვიხსენებთ და ჩვენი სულების სიხარულად ვაქცევთ ისე, რომ თქვენ ეს არ უწყით და არცაა საჭირო, რომ მოგვიბრუნდეთ ხოლმე. თუ ჩვენი მკრთალი სახება მხურვალებას გი-ნელებთ და გასევდიანებთ, მაშინ ჩვენ კიდევ უფრო საგრძნობად და უკანმოუბრუნებლად მოვკვდებით, ვიდრე თავდაპირველად მოვკვდით. და როცა მეტის-მეტად ხშირად იხრებით ჩვენს საფლავებზე, მაშინ იმ სიცოცხლეს, სიყვარულსა და მხნეობას გვართმევთ, რომელთაც გგონიათ, რომ გვიბრუნებთ“.

„ჩვენ თქვენში ვარსებობთ, ჩვენი ცხოვრება თქვენს ცხოვრებაში ჩაღვრილა და მაშინაც კი, როცა

იზრდებით და გავიწყდებით, ჩვენც თქვენთან ერთად ვიზრდებით, ჩვენი ჩრდილები კი იმ პატიმრებივით სუნთქავენ, საკნის კარი რომ შეუღეს გასანიავებლად."

„თუ რამე კიდევ ერთხელ გავიგეთ იქ, სადაც ამჟამად ვართ, პირველ ყოვლისა, ის, რომ სიკეთე, რომელიც გაგიკეთეთ, როცა თქვენსავით ცოცხლად დავაბიჯებდით ამ მიწაზე, ვერ აწონასწორებს ბოროტებას, რომელსაც შობს მოგონება, დიახ — სიცოცხლის ძალისა და ცხოვრებისადმი ნდობის დამამცრობელი *მოგონება*..."

XIII

უწინარეს ყოვლისა კი, ნურავის წარსული ნუ შეგვშურდება. ჩვენი წარსული მხოლოდ ჩვენ შევქმენით და მხოლოდ ჩვენთვის. ეს არის ერთადერთი წარსული, რომელიც გვეხება, რომელიც გვასწავლის ჭეშმარიტებას, სხვა ვერავინ რომ ვერ გვასწავლიდა, რომელიც გვანიჭებს ძალას, სხვა ვერავინ რომ ვერ მოგვცემდა. კარგია თუ ცუდი, მოციმციმეა თუ პირქუში — წარსული ჩვენთვის ის მუზეუმია, სადაც დაცული შედევრები მხოლოდ *ჩვენ* გვესაუბრებიან. ვერცერთი უცხო შედევრი ვერ გაუთანაბრდება ჩვენს ყოფილ მოქმედებას, ჩვენს ბაგეებზე აღბეჭდილ კოცნას, ჩვენ მიერ განცდილ სილამაზეს, გადატანილ ტანჯვას, ჩვენში შემოჭრილ მღელვარებას, სიყვარულს, რომელმაც უხვად დაგვაფრქვია ღიმილები ან ცრემლები. ჩვენი წარსული ჩვენვე ვართ, ანუ ის, რაც ვართ და რადაც ვიქცევით, და ამ უცნობ პლანეტაზე, რომელზეც ჩვენ ვმოძრაობთ, ვერავინ — ვერც კაცთაგან უბედნიერესი და ვერც უუბედურესი — ვერ განჭვრეტს, რას ან რამდენს დაკარგავს, როდე-

საც უცხო ნაკვალევს ჩაუნაცვლებს იმ ნაკვალევს, თვითონ რომ უნდა დატოვოს ცხოვრებაში. ჩვენი წარსული — წლების ბაგეებით გათქმული ჩვენივე საიდუმლოა, დროის ნაკადით მოხელთებულ-გადანახული ჩვენი არსების უიდუმალესი სახე. ეს სახე არ მომკვდარა, ვერაფერი დაამცირებს და გააუქმებს, მას კელავ შეუძლია განათდეს ან დაბნელდეს, იცინოს ან იტიროს, გამოხატოს სიძულვილი ან სიყვარული, საბოლოოდ კი, მუდმივად იცნობოდეს მის ირგვლივ შემოჯარული ურიცხვი სახის შუაგულში. იგი განგვასახიერებს უკან დარჩენილ სივრცეში, ისევე როგორც ჩვენი სნრაფვები და იმედები განგვასახიერებენ მომავალში. ეს ორი სახე კი ერთმანეთს ხვდება, რათა დავინახოთ, რანი ვართ დღეს.

გარდასულ მოვლენებს კი არ უნდა ვესწრაფვოთ ყველაზე მეტად, არამედ იმ *სულიერ ქსოვილს*, გამქრალი დღეები რომ ქსოვენ გონიერი ადამიანის გარშემო. ტკივილში მოიქსოვა თუ სიხარულში, მოვლენათა სიუხვიდან ამოინვერა თუ სიმწირიდან — ის თანაბრად მშვენიერი შეიძლება იყოს. და ამა თუ იმ ცხოვრების ზემოთ გაბრწყინებული ამ ქსოვილის დანახვისას, ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ, მისი მაცოცხლებელი ვარსკვლავები და ძვირფასი ქვები ქოხის ღარიბულ ნაცარში აღმოჩნდა თუ სასახლის საფეხურებზე.

არ არსებობს თავისთავად ცარიელი ან მწირი წარსული, არ არსებობს შესაბრალისი მოვლენები, არსებობს მხოლოდ *შესაბრალისად მიღებული* ამბები. თუ თქვენ ნამდვილად არაფერი გადაგხდენიათ, მაშინ ეს თავისთავად იქნება ყველაზე უჩვეულო თავგადასავალი, რომელიც ვინმეს ოდესმე შემთხვევია, და იქიდან თქვენ არანაკლებ სინათლეს ამოიღებთ. სინამდვილეში, ყველა ადამიანს მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე მოვლენები, ერთი და იგივე

ვნებები, ერთი და იგივე შესაძლებლობები და შემთხ-ვევები ელიან. განსხვავდება მხოლოდ გარემოებები და მათი ელვარების ხარისხი, გაცილებით ნაკლებად — შინაგანი რეაქციები მათზე. ნოყიერ გულ-გონებაში ჩავარდნილი თვით პატარა და დაუმთავრებელი მოვლენაც კი ადვილად აღწევს ისეთ სიმაღლეს და შესაბამის ზნეობრივ პროპორციებს, რაც, სხვა სიბრტყეზე, მთელ ხალხს შეძრავდა.

მისთვის, ვის მზერასაც წინ გადაეშლებოდა ადამიანთა გარკვეული სიმრავლის სხვადასხვაგვარი წარსული, — თუ, იმავდროულად, ყველა ამ გაფანტულ-განსხვავებული ფაქტის ზნეობრივ შედეგებსაც არ შეხედავდა, — საკმაოდ რთული აღმოჩნდებოდა იმის გადაწყვეტა, რომელი წარსულის განცდა-გადატანას ისურვებდა საკუთარ თავზე. ეგებ მომაკვდინებლად მოტყუებულიყო კიდეც, თუ ისეთ არსებობას აირჩევდა, როგორითაც, დიდი საგანძურებისა არ იყოს, სავსეა შეუდარებელი ტრიუმფები და ბედნიერებები, და გულგრილად გახედავდა გარეგნულად ცარიელ, შინაგანად კი მშვიდი ემოციებითა და მაღალი, გამომსყიდველი აზრებით განათებულ, თუმცა უჩინო არსებობას. აკი ვიცით, რომ ხანდახან ერთი აზრიც საკმარისია იმისთვის, რომ ისევე თავდაყირა დააყენოს ჩვენი ცხოვრება, როგორც დიდი მარცხი ან გამარჯვება დააყენებდა. ეს აზრი არ ხმაურობს, ერთ კენჭსაც კი არ გადაანაცვლებს იმ ნარმოსახვით გზაზე, რომელზეც მოძრაობს, არამედ მშვიდად აღმართავს გამძლე პირამიდას იმ გზის მოსახვევში, ჩვენი ფარულ-სიღრმისეული ცხოვრება რომ მიუყვება. და უცებ ყველაფერი, რაც გვემართება, ცისა და მიწის ყველა მოვლენა *ახალი გე ზით იწყებს სვლას.*

ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი ზიგფრიდის ცხოვრებაში ის მომენტი კი არ არის, როცა სას-

წაულმოქმედ ხმალს ჭედავს; არც ის, როცა დრაკონს კლავს და ღმერთებს აიძულებს ურჩხულის ადგილი მას გადაულოცონ; არც ის მომენტია, როცა აალებულ მთაზე სიყვარულს პოულობს, არამედ მარადიულ-ციური დადგენილებებისთვის წართმეული ხანმოკლე წამი, ის პატარა ბავშვური ჟესტი, როცა უნებლიედ მიიტანს ტუჩებთან თავისი იდუმალი მსხვერპლის გასისხლიანებულ ხელს და — თვალები ეხილება და სმენა ეხსნება. ამ წამს მას ესმის ყოველივე გარემომცველის ენა, იაზრებს ბოროტი ძალების განმასახიერებელი ნაინის ღალატს და უეცრად ხვდება, რა მოიმოქმედოს.

იღბალი

I

იყო და არა იყო რა, იყო ორი ძმა, — გვიამბობს ძველი სერბული ზღაპარი. ერთი აქტიურად ცხოვრობდა, თუმცა უბედური იყო, მეორე — ზარმაცი, მაგრამ მუდმივად ბედნიერი და კარგ გუნებაზე მყოფი. ერთ დღესაც უბედური ძმა ხვდება ლამაზ გოგონას, რომელიც ცხვრებს მწყემსავს და თან ოქროს ძაფს ართავს.

— ვისია ეს ცხვრები? — ეკითხება მწყემსს.

— იმისი, ვისიც მე ვარ.

— შენ ვისი ხარ?

— შენი ძმის. მე მისი ბედნიერება ვარ.

— ჩემი ბედნიერება სადღაა?

— შენგან ძალიან შორს.

— შევძლებ მის პოვნას?

— ჰო, თუკი მოძებნი.

ჰოდა, ისიც თავისი ბედნიერების საძებნელად მიდის. ერთ საღამოს, დიდ ტყეში, ბუმბერაზი ხის ქვეშ ჩაძინებულ ღარიბ მოხუც ქალს ნაადგება. ვინ ხარო, გაალვიძებს.

— როგორ, ნუთუ ვერ მცნობ? ჰო, მართლაც, შენ ხომ არასოდეს გინახივარ: მე შენი ბედნიერება ვარ.

— კი მაგრამ, ვინ მარგუნა ასეთი ღატაკი ბედნიერება?

— ბედისწერამ.

— შევძლებ მის პოვნას?

— თუ მოძებნი, შეიძლება იპოვო კიდეც.

ჰოდა, ეს ძმაც ამჯერად ბედისწერის მოსაძებნად გასწევს. შორ გზებს მოივლის და, ბოლოს და ბოლოს, თავის ბედს უჩვენებენ: ვეებერთელა სასახლის ფუფუნებაში ცხოვრობს, თუმცა, დღიდან დღემდე, მისი

სიმდიდრე კლებულობს და საბინადროს კარ-ფანჯრები და კედლებიც უფრო და უფრო უპატარავდება. „ასე გადადის შენი ბედი სიღატაკიდან სიუხვეში და პირიქით. სიტუაცია, რომელშიც ის მოცემულ მომენტში იმყოფება, განსაზღვრავს იმავე მომენტში დაბადებული ყველა ბავშვის მომავალს“, უხსნიან ბედის მაძიებელს.

— თქვენ დროის იმ მონაკვეთში იშვით, როდესაც ჩემი სიმდიდრე კლებულობს, — დასძენს ბედი, — აქედან მოდის ყველა თქვენი უბედურებაც.

შემდეგ, თავისი მწარე ხვედრის აღსაკვეთად ან შესაცდენად, ურჩევს: შენს ხვედრს შენი ძმისშვილის, მილიცას ხვედრი შეუნაცვლე, რაკი გოგონას დაბადება სიუხვის პერიოდს დაემთხვაო. ამის განსახორციელებლად საკმარისი იქნება, თუ ძმისშვილს თავისთან წამოიყვანს და ყველას, ვინც შეეკითხება, განუცხადებს, მთელი ჩემი ქონება მილიცას ეკუთვნისო.

ბედის მაძიებელი ამ რჩევას ყურად იღებს და ცხოვრებაც ძირფესვიანად ეცვლება: ცხვარ-ძროხა უსუქდება და უმრავლდება, ხეები ხილის სიმძიმით ეზნიქება, სრულიად მოულოდნელად ერგება მემკვიდრეობა, მინები უხვ მოსავალს აძლევენ. მაგრამ ერთ დილას, როცა განსაცვიფრებლად ათავთავებულ ყანას გაჰყურებს, უცხო გამვლელი ეკითხება, ვისია ცვარნამით აბზინებული და დიდებულად აქანავებული, მეზობლის ყანაზე მაღალი და დამძიმებული ეს ყანაო. მას სინამდვილე ავიწყდება და — ჩემიაო — პასუხობს. ამ სიტყვის თქმა და ყანის მეორე ბოლოში ცეცხლის გაჩენა — ერთია. იმწამსვე ახსენდება დავიწყებული რჩევა, უცნობს დაედევნება და მიაძახებს: „შევცდი! შევცდი! შეჩერდი და დაბრუნდი! ეს ყანა ჩემი კი არ არის, ჩემი ძმისშვილისაა!“ ამის წარმოთქმისთანავე, ცეცხლი ინავლება და ყანაც უწინდებურად ირწევა.

II

ეს უძველესი, მიამიტი ხატება გვიჩვენებს, რომ იღბლის იდუმალი პრობლემა არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც ადამიანმა მისთვის შეკითხვების დასმა დაიწყო. ალეგორიული ენით გადმოცემული ამბავი ჩვენს რეალურ უმეცრებასაც გვიჩვენებს. ჩვენ გვაქვს ჩვენი აზრები და სწორედ ისინი ქმნიან ჩვენს შინაგან ბედნიერებას თუ უბედურებას, რომელზეც მეტ-ნაკლები ძალით ზემოქმედებენ გარეშე მოვლენები. ზოგიერთ ადამიანს იმდენად ფხიზელი და ძალმოსილი აზრები აქვს, რომ, მათი ნებართვის გარეშე, ველარაფერი შეაღწევს ბროლითა და ბრინჯაოთი ნაგებ შენობაში, ამ აზრებმა რომ წამოჭიმეს ფათერაკების მიერ გაკვალული გზის ზემოთ აღმართულ ბორცვზე. ჩვენ გვაქვს საკუთარი ნება, რომელიც, ჩვენივე აზრებით ნაკვები და განმტკიცებული, მრავალი მავნე და უსარგებლო მოვლენის უკუგდებას ახერხებს. ამასთანავე, მეტ-ნაკლებად მიუდგომელი ამ კუნძულების ირგვლივ გადაშლილა ოკეანესავით ვრცელი და გაუკონტროლებელი სივრცე, სადაც — ტალღებზე მქროლავი ქარის არ იყოს — თითქოს მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევა მეუფებს. ვერავითარი აზრი თუ ნება ვერ შეაფერხებს ამ ტალღებისგან თუნდაც ერთს, რომ მოულოდნელად არ აზავთდეს, არ აგვიტაცოს, არ დაგვარეტიანოს, არ დაგვჭრას. მათი კეთილისმქმნელი მოქმედება მოვარდნილი ტალღის უკუქცევის შემდეგღა იწყება. მაშინ ისინი ჩვენ გამოგვაცოცხლებენ, ჭრილობას გვიხვევენ და თვალყურს ადევნებენ, რომ შოკისგან მოყენებულმა ტკივილმა სიცოცხლის ღრმა სათავეებამდე არ ჩააღწიოს. ამაში მდგომარეობს ამ ტალღების დანიშნულება. ერთი შეხედვით ეს მეტისმეტად მოკრძალებული როლია, არსებითად კი — თუ შემთხვევა

რაიმე უკურნებელი სნეულების ან სიკვდილის სახეს არ ილებს — ის ამ შემთხვევას თითქმის სრულებით უვნებელყოფს და სრულებით საკმარისია იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ყველაფერი, რაც საუკეთესო და ყველაზე სახასიათოა ადამიანურ ბედნიერებაში.

III

ჩვენ მიერ წინასწარ განჭვრეტილ მოქმედებებს შორის, — იმ მოვლენათა გარშემო, რომლებსაც ჩვენვე განვსაზღვრავთ და რომლებიც მძიმე-მძიმედ ავლებენ ჩვენი არსებობის დიდ შტრიხებს, — აჩქარებით ბრუნავს ჩასაფრებულ შემთხვევითობათა დამაფრთხობელი სიმრავლე. ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავთ, სივრცე, რომელშიც ვმოძრაობთ, დრო, რომლის ტალღებსაც მივაპობთ, სავსეა გარემოებებით, რომლებიც მიგველიან და სწორედ *ჩვენ* გვირჩევენ სხვა მრავალთა შორის. თუ მათ ჩვევებს დავუკვირდებით, მალევე ვასკვნით, რომ შემთხვევის ეს უცნობი ქალიშვილები, რომლებიც, ერთი შეხედვით, მათიევე მამასავით ბრმანი და ყრუნი უნდა იყვნენ, სინამდვილეში, სულაც არ მოქმედებენ ალალბედზე. პირიქით: მათ იციან, რას იქმან, და იშვიათად თუ ცდებიან. აუხსნელი უეჭველობით ცნობენ გზად მიმავალ კაცს და რომელიღაც წამს მის ირგვლივ იყრიან თავს. თუ ორი ადამიანი ერთდროულად მიუყვება ერთსა და იმავე გზას, ეს არავითარ ყოყმანს და არანაირ არეულობას არ გამოიწვევს მათთვის ჩასაფრებულ გარემოებათა ორ ჯგუფში. მათგან ერთს თეთრი ქალწულები ელიან პალმის რტოებით, ამფორებითა და ყოვლად გაუთვალისწინებელი სიხარულებით, მეორეს შესახვედრად კი ის „მავნე მდედრები“ გამოენთებიან ტევრიდან, ესქილე რომ გვიხატავს: თითქოს შური

უნდა იძიონ უმეცარ მსხვერპლზე რომელიღაც აუხსნელი და დაბადებამდელი წყენის მიზეზით.

IV

ყველას მეტ-ნაკლებად გამოგვივლია იმ არსებათა ბედი, ვისაც ისეთი სიხარული ან ტკივილი სწვევია, რომელიც მისივე მოქმედებებს არ გამოუწვევია და რომელიც — სრულყოფილი, უმიზეზო, გარდაუვალი — თითქოს უეცრად ამომხტარა მიწიდან ან ციდან ჩამოვარდნილა. ერთი, რომელსაც არც კი უოცნებია თანამდებობაზე, რომლამდე მისასვლელ გზასაც გაცილებით უკეთ „აღქურვილი" მეტოქე ულობავდა, ხედავს, როგორც ქრება ეს უკანასკნელი გადამწყვეტ მომენტში. მეორეს, რომელიც ძლიერი მეგობრის იმედით იყო, ეს მეგობარი ხელში აკვდება და აქეთ სთხოვს დახმარებას. ერთი — არც ნიჭიერი და არც პირმშვენიერი — ყოველ დილით სტუმრობს კეთილი იღბლის, დიდების ან სიყვარულის სასახლეს იმ ხანმოკლე წუთში, როდესაც ყველა კარი ღიაა. მეორე, მრავალი ღირსებით აღსავსე, რომელსაც ხანგრძლივად აუწონ-დაუწონია თავისი სამართლიანი დემარში, სწორედ მაშინ მიდის ამ სასახლეში, როდესაც ავი იღბალი ლამის ნახევარი საუკუნით რაზავს მის კარიბჭეს. ერთი ოცგზის დებს თავის ჯანმრთელობას სასწორზე რომელიღაც ბრიყვულ ფათერაკებში და ყოველ ჯერზე საღსალამათი ბრუნდება, მეორე კი სულ ერთადერთხელ და ისიც კეთილგონივრულად ერთვება საპატიო თავგადასავალში და საბედისწეროდ მარცხდება. ამათგან პირველს გაუცნობიერებლად ეხმარება ათასობით უცნობი, რომლებსაც იგი თვალითაც არ უნახავთ. მეორეს კი აბრკოლებს ათასობით უცნობი, რომლებ-

მაც არაფერი უწყიან მისი არსებობის შესახებ. თავისთავად, არც ამ დამხმარე თუ დამაბრკოლებელმა ათასებმა იციან, რას იქმან. ზღვებით თუ მთებით გამიჯნულნი, ისინი ერთსა და იმავე წვრილმან-ბუნდოვან ბრძანებებს ემორჩილებიან, მერე კი, ერთ განსაზღვრულ მომენტში, ვეებერთელა მანქანის ცალკეული ნაწილები ეწყობა, ერთიანდება და, აი, ვიღებთ ორ დასრულებულ, ერთიმეორისგან დიამეტრალურად განსხვავებულ, დროის მდინარებით აქანავებულ ბედისწერას.

V

თავის საგულისხმო წიგნში „იღბალი და ბედისწერა", დოქტორი ფუასაკი ასახელებს მრავალ უცნაურ მაგალითს ძირეული, წინასწარდადგენილი, ჯიუტი, უკვეცი უსამართლობისა, რომელშიც დაფარფატებს ადამიანურ არსებობათა დიდი ნაწილი. ვკითხულობთ ამ წიგნს და თითქოს შევდივართ რომელიღაც სხვა სამყაროს თავგზისამბნევ ლაბორატორიებში, სადაც ვერაფერს ვპოულობთ ისეთს, რაც ადამიანური გონებისა და სამართლიანობისთვის აუცილებელ ინსტრუმენტებს გაგვახსენებდა, რათა აგვეწონა და ერთმანეთისგან გაგვემიჯნა ბედნიერება და უბედურება. სხვა მრავალთა შორის, ეს არის ცხოვრება საკვირველი ვოვენარგისა[7] — ბრძენთაგან ყველაზე უიღბლოსი, რომელიც, თავისი გენიის, ზნეობრივი მშვენიერების, სიმამაცისა და ძალისხმევის მიუხედავად, სასტიკი სნეულებებით გატეხილი და დეფორმირებული იმ მომენტებში, როცა მისი ფორტუნა ჰაერში ეკიდა, ყოველდღიურად მიდი-მოდის დაუმსახურებელ გულისაცრუებასა და უსაფუძვლო უსამართლობას შორის და, ბოლოს,

ოცდათორმეტი წლის ასაკში — სწორედ მისი ღვაწლის აღიარების მომენტში — სიცოცხლესაც ემშვიდობება. ესაა, აგრეთვე, ლეზურკის[8] საზარელი ისტორია, სადაც უდანაშაულო ადამიანის დასაღუპად თავს იყრის და გროვდება თითქოსდა თვით ჯოჯოხეთით მართული ათასობით დამთხვევა, ურომლისოდაც გაკოჭილი ჭეშმარიტება (ისევე ჩუმად რომ აღმუვლებულა ცდომილებათა გროვის ქვეშ, როგორც ავ სიზმარში ღმუიან ხოლმე) ხელის ერთი გაქნევით გაფხრენდა წყვდიადს. კიდევ, ემარ და რანსონეს — პარიზის პარლამენტის თავმჯდომარის, უკეთილსინდისიერესი ადამიანის ისტორია, კაცის, რომელიც სრულებით უსამართლოდ მოხსნეს თანამდებობიდან, რომელსაც ქალიშვილი ნეხვის გროვაზე დაეღუპა, ვაჟი — ჯალათის ხელით, მეუღლე — მეხის დარტყმით, თვითონ კი, ერეტიკოსობის ბრალდებით ბასტილიაში გამომწყვდეულს, მწუხარებისგან ამოხდა სული ჯერ კიდევ სასამართლო პროცესის ჩატარებამდე.

ჩვენ სასწაულებრივი და დაუჯერებელი გვგონია ატრიდებისა და ოიდიპოსის უბედურებები, იმავდროულად კი, თანამედროვეობაშივე ვხედავთ ფატალობას, არანაკლები სიჯიუტით რომ ატყდება თავს ზოგიერთ ოჯახს, მაგალითად, კოლინიებს, სტიუარტებს[9] და ა.შ. ან, პიროვნული სიძულვილით ატანილი, მოკვდინებამდე დევნის ისეთ უცოდველ და თავგზააბნეულ მსხვერპლს, როგორიც იყო ინგლისის პრინცესა ჰენრიეტა — ჰენრი IV ქალიშვილი, ლუის ბურბონი, ჟოზეფ II და მარი-ანტუანეტი.

ოდნავ სხვა სიბრტყეზე კი, რა შეიძლება ითქვას სხვაგვარ უსამართლობაზე — უგუნურზე, მაგრამ თითქოსდა შეგნებულსა და სისტემატურზე, რომელთა შორის შეგვეძლო ჩამოგვეთვალა შემთხვევითი თამაშები, შეტაკებები, ქარიშხლები, საზღ-

ვაო კატასტროფები, ხანძარი, მეხი? რა შეიძლება ითქვას დაუჯერებელ იღბალზე შასტენე დე პისეგურისა, რომელმაც ორმოცი წელი იმსახურა ჯარში, მონაწილეობა მიიღო ოცდაათ ბრძოლასა და ას ოც ალყაში და რომელსაც — მუდამ მოწინავე რიგში მყოფსა და ლეგენდარულად უშიშარს — არასოდეს შეეხებია არც ხმალი და არც ტყვია, მაშინ როცა მარშალი უდინოტი ოცდათხუთმეტჯერ დაიჭრა, გენერალ ტრეზელს კი ყოველ შეტაკებაში თითო ტყვია ხვდებოდა? რა შეიძლება ითქვას ლოზუნის, შამილარტის, კაზანოვას, ჩესტერფილდის და სხვათა არაჩვეულებრივ ბედზე, გაუგონარ და ჯიუტ ბედნიერებაზე დანაშაულებრივი არსებობით მცხოვრები ისეთი პირებისა, როგორებიც იყვნენ სილლა, მარიუსი ან დენის ძველი, რომელიც, უკვე მიხრწნილებაში მყოფი, თავისი საძაგელი და მაინც ბედის მიერ განებივრებული ცხოვრების მიწურულს, გახარებული მიიცვალა იმის მოსმენისას, რომ ათენელები მისი ერთ-ერთი ტრაგედიის დადგმას აპირებდნენ? დაბოლოს, რა შეიძლება ითქვას *ჰეროდე დიდად* თუ *ასკალონიტად* წოდებულ ადამიანზე, რომელმაც სისხლში ზღვაში იცურა, სიცოცხლე მოუსნრაფა თავის ერთ-ერთ ცოლს, ხუთ შვილს, მასთან დაახლოვებულ ყველა სათნო ადამიანს, ვისშიც კი მცირეოდენი ეჭვი შეეპარა, და რომელიც, ამ ყველაფრის მიუხედავად, სავსებით ბედნიერი იყო ყველა თავის წამოწყებაში?

VI

ამ ცნობილ მაგალითებში, რომელთა დასახელება დაუსრულებლად შეგვეძლო, გიგანტურ-ისტორიულ პროპორციებამდეა გაზრდილი უფრო მოკრძალებ-

ული მასშტაბის, თუმცა არანაკლებ მკვეთრი სანახაობები, რომელსაც ყოველდღიურად გვთავაზობს ცხოვრების პატარა და ცუდად განათებულ სცენაზე გათამაშებული ბნელი თუ ნათელი იღბლის ათას ერთი კაპრიზი.

რასაკვირველია, როცა შეკითხვებს ვუსვამთ ამ „უტიფარ" ბედნიერებებს თუ უცვლელ უბედურებებს, უწინარეს ყოვლისა, ლომის ნილი უნდა ვარგუნოთ იმ ფიზიკურ თუ ზნეობრივ მიზეზებს, რომლებიც მათ ახსნიდა. პირადად რომ გვცნობოდა ვოვენარგი, სავსებით შესაძლებელია, მის ხასიათში აღმოგვეჩინა მორიდებულობა, გადაუწყვეტლობა ან შეუსაბამო სიამაყე, რომლებიც ამ ადამიანს აბრკოლებდნენ დასაბამი მიეცა ახალი შესაძლებლობისთვის ან საკმარისად ძლიერად ჩასჭიდებოდა უკვე არსებულს. ისიც დასაშვებია, რომ ლეზურკს აკლდა სიმარჯვე, შესაძლოა — ის უჩვეულო და ღრმად შინაგანი ძალა, შეცდომით დადანაშაულებულ უცოდველობაში რომ გვეგულება. ეჭვი არაა, სტიუარტებმა — ჟოზეფ II და მარი-ანტუანეტმა — ჩაიდინეს უზარმაზარი შეცდომები, რომლებსაც ადრე თუ გვიან არაერთი უბედურება მოჰყვებოდა. რაც შეეხება ლოზუნს, კაზანოვას, ლორდ ჩესტერფილდს, როგორც ჩანს, არცერთ მათგანს არ აწუხებდა წესიერი ადამიანისთვის დამახასიათებელი სინდის-ნამუსი. ისიც არანაკლებ ცხადია, რომ თუ სილლას, მარიუსის, დენის ძველის თუ ჰეროდე ასკალონიტის ცხოვრება ერთი შეხედვით სასწაულებრივად ბედნიერი იყო, ვგონებ, მაინც არავის შეგვეპარება ეჭვი იმ უცხო, მოუსვენარ, სისხლიან, თითქმის უგრძნობელ და უაზრო აჩრდილში, რომელიც განუწყვეტელ დანაშაულებზე აგებულ ასეთ „ბედნიერებაში" უნდა ბუდობდეს. მაგრამ რაოდენ კეთილგონივრულად და ფართოდაც უნდა დავუშვათ ეს ნაწილობრივი „გამოქვითვა"

(და რაც უფრო უკეთ ვსწავლობთ ცხოვრებას, რაც უფრო ღრმად ვნვდებით პატარა მიზეზებისა და დიდი შედეგების საიდუმლოს, მით უფრო მასშტაბურად მოხდება ეს) ჯიუტად განმეორებულ ამ დამთხვევებში, კეთილი ილბლისა თუ უილბლობის ამ უწყვეტ სერიებში (უკვე კარგა ხანია აღვნიშნეთ, რომ ბედნიერებაც და უბედურებაც თითქმის ყოველთვის უწყვეტ სერიებად მიმდინარეობს), — მაინც რჩება მნიშვნელოვანი, ხშირად — ძირითადი, ზოგჯერ კი — ერთადერთი ნაწილი, რომელსაც სხვას ვერაფერს მივაწერთ, თუ არა შეუღწეველ, თუმცა უდავოდ არსებულ ნებას იმ უცნობი, მაგრამ რეალური ძალისა, რომელსაც ჰქვია შემთხვევა, ფატალობა, ბედისწერა, ილბალი, მარცხი, კეთილი თუ ბოროტი ვარსკვლავი, თეთრი ანგელოზის ფრთა, შავი ანგელოზის ფრთა და კიდევ მრავალი სხვა სახელი, შერჩეული ხალხთა და საუკუნეთა მეტ-ნაკლებად პოეტურ-იმაგინაციური გენიის მიხედვით.

აქ ვხედავთ ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და დამამძიმებელ პრობლემას ყველა იმ პრობლემათა შორის, რომლის გადაწყვეტაც მას მოელის, რათა ერთ დღესაც თავი დედამინის პრინციპულ, ლეგიტიმურ, თავისუფალ და შეუცვლელ ბატონ-პატრონად იგრძნოს.

VII

დავაყენოთ ეს პრობლემა გონების წინაშე თავისი უმარტივესი ფორმით და, უწინარეს ყოვლისა, ვნახოთ, მხოლოდ ადამიანს აინტერესებს ის თუ სხვა არსებებსაც. ამ ჩვენს საკმაოდ გონმიუნვდომელ პლანეტაზე, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ჩვენი არსებობის უტყვი და ერთგული კომპანიონები, რომელთ-

აკენ მზერის მიპყრობა ზოგჯერ ნამდვილად სასარგებლოა მაშინ, როდესაც ვიმყოფებით იმ, ეგების, ილუზორულ სიმაღლეებზე, სადაც ხალისით წარმოვიდგენთ, რომ ვარსკვლავებს, ღმერთებს თუ სამყაროს უზენაეს კანონთა რიდეჩამოფარებულ წარმომადგენლებს სხვა არავინ აინტერესებთ, ჩვენ გარდა. ამ თავის მშვიდ და მიმნდობ რეზინაციაში, მათ — ჩვენი ცხოვრების ანიმალური ნაწილის საბრალო ძმებმა — თითქოს არაერთი რამ იციან ისეთი, რაც ადამიანებმა დღეს აღარ ვიცით. ისინი მშვიდად დარაჯობენ იმ საიდუმლოს, რომელსაც ჩვენ ასე მოუსვენრად ვუდგავართ კვალში. აშკარაა, რომ ცხოველებს, განსაკუთრებით — შინაურებს, თავისებური ბედი აქვთ. მათაც იციან, რა არის მუქთი და ხანგრძლივი ბედნიერება, ისევე როგორც შემთხვევითი და ჯიუტი უბედურება. ჩვენი არ იყოს, მათაც შეეძლოთ ელაპარაკათ ვარსკვლავზე, იღბალსა თუ უიღბლობაზე, წარმატებასა თუ მარცხზე. სამართლიანობის თვალსაზისით, ბედი ფაიტონის ცხენისა, რომელმაც ათეულობით უსახელო ჯალათის ხელი გამოიარა და ცხოვრება სასაკლაოზე დაასრულა, იმდენადვე აუხსნელია მზრუნველი პატრონის თავლაში სიბერისგან გარდაცვლილი ჯიშიანი ულაყის ბედთან შედარებით, როგორც შემთხვევით გაკოტრებული ან დაუმსახურებლად გამდიდრებული ადამიანის ხვედრი. ფლანდრიაში არსებობს საფორნე ძაღლის ჯიში, რომელიც ბედს, რიგრიგობით, ხან თავის ფავორიტებში გაჰყავს და ხან სიძულვილისთვის იმეტებს. თუ ამ ძაღლებს ყასაბი ყიდულობს, მაშინ ისინი დიდებულად ცხოვრობენ. სამუშაო ცოტა აქვთ: დილაობით წყვილ-წყვილად შებმული ოთხი ძაღლი მსუბუქ ეტლს საყასბოში მიათრევს, საღამოს კი ხორცით გავსებულ იმავე ეტლს მხიარული რბენით აბრუნებს რომელიმე წანვეტილ-

სახურავებიანი ძველი ქალაქის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში. შუალედურ საათებს ისინი შესანიშნავად ატარებენ საყასბოს ვირთხებსა და ნამუსრევს შორის. უხვად ნაკვებნი, ფერხორციანები და დიდყურა სელაპებვით მბზინავნი, ისინი იმ ერთადერთ ბედნიერებას დასნაფებიან, რომელზეც შეუძლია იოცნებოს კარგი ძაღლის მიამიტმა და მაძიებელმა სამშვინველმა. აი, მათი უბედური თანამოძმეები კი, რომლებსაც სამეურნეო ნარჩენების შემგროვებელი მოხუცი, ქვიშით მოვაჭრე (თითქმის ყოველთვის კოჭლი) ან ხის უხეშ საბოებიანი ღარიბი გლეხი ყიდულობს, — მძიმე ოთხთვალებში თუ უფორმო ურიკებში შებმული ეს ტილიან-ქეციანი, დამშეულ-გაძვალტყავებული ძაღლები სულის ამოხდომამდე უვლიან ჯოჯოხეთის წრეებს, სადაც მათ კინნისკვრით მიერეკება დაკოჟრებულ ხელში ჩადებული რამდენიმე სუ. რაც შეეხება ადამიანის მიერ ნაკლებად გაკონტროლებულ საუფლოს, იქ ვხედავთ ყოვლად უიღბლო კაკბებს, ხოხბებს, ფურ-ირმებს, კურდღლებს, რომელთათვისაც შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს პირველივე შეხვედრა მონადირესთან... ეს მაშინ, როდესაც სხვა ცხოველები — ვინ უწყის, როგორ და რა პრივილეგიით — ყოველგვარ დევნას უსხლტებიან.

ამრიგად, ადამიანების არ იყოს, ისინიც უდავო უსამართლობებს ექვემდებარებიან. ეგაა, ამ უსამართლობათა გამო ჩვენ აზრადაც არ მოგვდის ღმერთების შეფუცხუნება და იდუმალი ძალების გამოკითხვა. არადა, ცხოველების ხვედრი სხვა არაფერია, თუ არა გაუბრალოებული სახე იმისა, რაც ჩვენ გვემართება. ისიც სიმართლეა, რომ მათთვის ჩვენ სწორედ იგივე იდუმალი ძალები ვართ, რომლებსაც ჩვენ ზეცაში ვეძებთ. მაგრამ თუ ასეა, მაშინ გვაქვს კი უფლება, ველოდოთ ამ ძალებისგან

გაცილებით მეტ შეგნებასა და სამართლიანობას, ვიდრე ჩვენ ვიჩენთ ცხოველების მიმართ? ასეა თუ ისე, თუკი ეს პარალელი ცოტაოდენ უსარგებლო პრესტიჟს ჩამოაშორებს *შემთხვევას*, რათა მით უფრო გაზარდოს ჩვენი ინიციატივა და ბრძოლისუნარიანობა, ეს უკვე არცთუ ხელწამოსაკრავი მონაპოვარი იქნება.

VIII

ამ ახალი „გამოქვითვის" მიუხედავად, ჩვენ ვერ უარვყოფთ (სხვა არსებების თუ არა — ადამიანის უფრო რთულ ცხოვრებაში მაინც), რომ ყოველივე ზემოთქმულის მიღმა, *შემთხვევის* — ფატალობის ამ ხურდა ფულის — ხშირად ფიზიკურად ხილულ ნებაში იყოს ბედნიერების ან უბედურების ისეთი მიზეზიც, რომელსაც ჩვენეული ახსნა ჯერ არ შეხებია. ჩვენ ვიცით (და ეს შედის ცხოვრების კანონების ამსახველ იმ ჩამოუყალიბებელ, მაგრამ ფუნდამენტურ იდეებში, რომლებიც ათასწლოვანმა გამოცდილებამ ერთგვარ ინსტინქტად აქცია), რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც — სხვა ყველაფერში ერთნაირთ — „ბედნიერი" ან „უბედური" „ხელი" აქვთ. მოხდა ისე, რომ ძალზე ახლოდან ვადევნებდი თვალყურს მუდმივი უიღბლობის მსხვერპლად ქცეული ერთი ჩემი მეგობრის კარიერას. ამით მე არ ვამბობ, რომ მას უბედური ცხოვრება ჰქონდა. ისიც კი აღსანიშნავია, რომ საპირისპირო შემთხვევები მუდამ პატივისცემით ეპყრობოდნენ მისი რეალური ბედნიერების დიდ შტრიხებს, როგორც ჩანს — ამ უკანასკნელთა საიმედოდ დაცულობის მიზეზით. ის ხომ თავისთავში ძლიერ ზნეობრივ არსებობას, ღრმა გრძნობებს, აზრებს, იმედებს, გარკვეულობებს ატ-

არებდა. მშვენივრად იცოდა, რომ ეს ყველაფერი დაცული იყო ბედისწერის დარტყმისგან და მხოლოდ მისივე დახმარებით თუ განადგურდებოდა. ბედისწერა უძლეველი არ არის. ცხოვრების ცენტრალური მაგისტრალი თუ დიდი შინაგანი არხი საშუალებას გვაძლევს, იგი ბედნიერებისკენ ან უბედურებისკენ მივაქციოთ, თუნდაც მისი განტოტებები, რომლებიც ყოველდღიურობაში ივრცობიან, და შენაკადები, რომლებსაც მასში გარეგანი ხდომილებები ჩააქვთ, ჩვენს ნებას არ ექვემდებარებოდნენ.

ასე, მთებიდან ჩამოსული, მყინვართა კეთილშობილებით აბზინებული მშვენიერი მდინარე ბოლოს დაბლობებზე და ქალაქებში მიედინება, ანუ იქ, სადაც მხოლოდ დაბინძურებული წყლები ერთვიან. მდინარე ერთხანს იმღერევა და ჩვენც გვგონია, რომ სამუდამოდ კარგავს ცის სპეტაკ ხატებას, რომელიც თითქოს მისი სულისა და ძალის ღრმა და ნათელი გამოხატულება იყო. მაგრამ ჩახედეთ მას დიდი ხეების ვარჯებქვეშ, სადაც მდინარეს უკვე ავინყდება შენაკადების მიერ მოტანილი ჭუჭყი. აქ, თავისი გამჭვირვალე ტალღებით, იგი უნინდებურად ირეკლავს ლაჟვარდს და ზღვისკენაც მიაქანებს — ახლაც ისეთივე კამკამა, როგორც მთიდან ჩამოდენისას იყო.

გარდა ამისა, მეგობარს, რომელიც ახლა ვახსენე, რაც უნდა დაეტირა არა ერთგზის თუ ორგზის, იმ ცრემლებს მაინც არასოდეს გადმოყრიდა, რომლითაც საკუთარ სიკვდილს დასტირიან ხოლმე და რომელიც სამუდამოდ რჩება ჩვენს ხსოვნაში. და კიდევ: მას შემდეგ, რაც უცილობელი განერვიულება ჩაივლიდა, თითოეული შეცდომა, საბოლოო ჯამში, მას თავის ფარულ ბედნიერებასთან აახლოვებდა, ამ ბედნიერების კონცენტრირებაში, უფრო ღრმა შტრიხით მოხაზვა-მონიშვნაში ეხმარებოდა, ვინძლო უფრო მშვენიერი, უფრო მხურვალე და უფრო ნამდვილი

გაეხადა. მაგრამ როგორც კი ამ ჯადოსნურ ალაგს ტოვებდა, მტრული ხდომილებებიც არ ახანებდნენ — სასწრაფოდ ესხმოდნენ თავს. ამ დიდებულმა მოფარიკავემ სამი დუელი გამართა და სამჯერვე დაიჭრა მასზე მოუქნელ მეტოქეთა ხელით. თუ გემზე ავიდოდა, მგზავრობა, როგორც წესი, ხიფათიანად წარიმართებოდა. ფულს საქმეში ჩადებდა და — საქმეც უკუღმართად დატრიალებოდა. სასამართლოს შეცდომამ, როცა ერთმანეთს წაეწყო უცნაურად არაკეთილმოსურნე გარემოებები, დასაბამი დაუდო მის ხანგრძლივ, მძიმე მელანქოლიას. ყველაფერთან ერთად, სასიამოვნო სახისა და კეთილი, გულღია მზერის მიუხედავად, იგი არ იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც „სიმპათიურს" უწოდებენ. არ ინვევდა იმ პირველ, სპონტანურ მიზიდულობას, ჩვენდაუნებურად რომ აღგვეძვრება ხოლმე უცნობი გამვლელის ან სულაც მტრის მიმართ. მისი ცხოვრების სასიყვარულო მხარეც არ აწყობილა სხვა წახნაგებზე უკეთ. მას უყვარდა და თვითონაც შეუდარებლად უფრო მეტად იმსახურებდა სიყვარულს, ვიდრე იმათი უმეტესობა, ვისკენაც ქალების მოალალბედე გული გაიწევს ხოლმე. მაგრამ ამ სფეროშიც მხოლოდ ღალატი, გულისტკივილი და მოტყუება ერგო. ასე მიუყვებოდა ცხოვრებას და შეძლებისამებრ უსხლტებოდა თავისი უმადური იღბლის მიერ დაგებულ ულიმღამო ხაფანგებს. არც ფარ-ხმალი დაუყრია და არც შინაგანად დამწუხრებულა, ეგაა, ცოტა არ იყოს აკვირვებდა ამდენი უბედობა, აკვირვებდა მანამდე, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ გადაეყარა თავისი ცხოვრების დიდ და ერთადერთ იღბალს: მის შიგნით მომლოდინე სიყვარულის ტოლფარდ სიყვარულს -- გამორჩეულს, მხურვალეს, სრულსა და ურყევს. აქედან მოყოლებული, თითქოს ახალშობილი ვარსკვლავის კეთილისმქმნელი სხივები მისი

ვარსკვლავის სხივებს შეუერთდა: ჩემმა მეგობარმა ნელ-ნელა იგრძნო, როგორ გაიშვიათდა ყოველივე უსიამოვნო, როგორ შენელდა, უფრო და უფრო შორს გადაინაცვლა და სხვა გზას გაუყვა: თითქოს სინანულით ეთხოვებოდა მისი დევნა-შევიწროების ჩვევას! ეს ადამიანი თავად შეესწრო თავისი *ილბლის შემობრუნებას*. და, აი, დღეს, ადამიანთა უმრავლესობისთვის საერთო შემთხვევითობის განურჩეველ და ნეიტრალურ ატმოსფეროში დაბრუნებული, იგი ღიმილით იხსენებს იმ დროს, როდესაც საფრთხეს შეიცავდა მოუხელთებელი მტრის მიერ დადარაჯებული მისი ყოველი ჟესტი.

IX

ნუ მოვუხმობთ ღმერთებს ამ ფენომენთა ასახსნელად: ისინი რამის განსამარტავად მაშინღა იქნებიან მზად, როცა ჯერ ნათლად გაერკვევიან თავისთავში. ხოლო ბედისწერას — ყველაზე უცნობს მათ შორის — სხვებზე ნაკლები უფლება აქვს, ჩაერიოს და, როგორც სჩვევია, შემოგვძახოს თავისი მარადიული ღამიდან: „ეს *მე* მეწადა ასე!“ ნუ მოვუხმობთ ნურც სამყაროს გარშემოუწერელ კანონებს, ისტორიის ზრახვებს, კოსმიურ ნებას თუ ვარსკვლავთა სამართალს. ეს ძალები არსებობენ და ჩვენც ისევე ვემორჩილებით, როგორც მზის ძალას. მაგრამ როგორც მზე მოძრაობს ისე, რომ არ გვიცნობს, ამ ძალების ზეგავლენათა ვეებერთელა სფეროში ჩვენ მაინც გვრჩება, როგორც ჩანს, დიდი თავისუფლება. მათ კი, ამ გიგანტებს, ერჩივნათ რამე უკეთესი ექნათ, ვიდრე ბალახის ღერი დაედოთ ან ფოთოლი აეღოთ ჩვენი ჭიანჭველეთის პატარა ბილიკიდან. რამდენადაც საქმე ჩვენ და ჩვენს შეზღუდულ არსებობას

ეხება, ვფიქრობ, საიდუმლოს გასაღები თვით ჩვენშივეა, რადგან სავარაუდოა, რომ ყოველი არსება თავისთავშივე ატარებს მისი პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტას.

ჩვენს არსებაში — ჩვენი გონებითა და ნებით გაკონტროლებული ცნობიერების ქვემოთ — არის სხვა, უფრო ღრმა არსებობა, რომელიც, ერთის მხრივ, ეშვება იმ წარსულში, რომელსაც ისტორია ვერ წვდება, მეორეს მხრივ კი — იმ მომავალში, ათასწლეულებიც რომ ვერასოდეს ამოწურავენ. დიდი გაბედულება არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყველა ღმერთი სნორედ ამ ჩვენს არაცნობიერ არსებობაში ჩამალულა და რომ ის ღვთაებანი, რომლებიც უწინ მიწაზე და პლანეტებზე გავანაწილეთ, რიგ-რიგობით გამოვლენ იქიდან, რათა ამ სამალავს, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ნარმოსახვისთვის გასაგები სახელი და ფორმა მიეცეს. რაც უფრო ნათლად ხედავს ადამიანი, რაც უფრო ნაკლებად სჭირდება სახეები და სიმბოლოები, მით უფრო მცირდება ამ სახელებისა თუ ფორმების რიცხვიც. ნელ-ნელა იქით მივდივართ, რომ ერთი სახელი წარმოვთქვათ, ერთი ფორმაღა დავტოვოთ და მალე იმასაც მივხვდეთ, რომ ეს ბოლო ფორმა და ბოლო სახელი, თავისთავად, სხვა არაფერია, თუ არა სახება იმ ძალისა, რომლის ტახტი იმთავითვე იდგა თვით ადამიანში. მაშინ ღმერთებიც ბრუნდებიან, საიდანაც გამოვიდნენ, ანუ — ისევდაისევ ჩვენში და ამიერიდან შეკითხვებსაც სნორედ იქ დავუსვამთ.

X

ამრიგად, ვფიქრობ, სნორედ ჩვენს არაცნობიერ — უვრცეს, ამოუწურავ, ღვთაებრივ ცხოვრებაში ძევს ჩვენი ბედნიერი თუ უბედური ილბლის საიდუმ-

ლოც. ჩვენში იმალება არსება — ჩვენი ჭეშმარიტი მე, — პირველშობილი, უხსოვარი, დაუსაზღვრავი, უნივერსალური და, ალბათ, უკვდავიც. ჩვენი აზროვნება, რომელიც მხოლოდ ფოსფორული ნათებაა ამ შინაგანი ოკეანის თავზე, მას მხოლოდ არასრულად იცნობს. მაგრამ დღიდან დღემდე უფრო და უფრო უკეთ ესმის, რომ, როგორც ჩანს, სწორედ იქ იმალება ადამიანურ ფენომენთა ყველა საიდუმლო, რომელიც აზროვნებას დღემდე ვერ ამოუხსნია. ეს არაცნობიერი არსება ჩვენი აზროვნებისგან განსხვავებულ სიბრტყეზე და განსხვავებულ სამყაროში ბინადრობს. მისთვის უცხოა დრო და სივრცე — ეს ორი საშინელი და წარმოსახვითი კედელი, რომელთა შორისაც ჩვენმა გონებამ უნდა იდინოს უგზო-უკვლოდ ჩაკარგვის შიშით. იმ არსებისთვის კი არც სიახლოვე არსებობს და არც სიშორე, არც წარსული, მომავალი ან მატერიისმიერი წინააღმდეგობა. მან ყველაფერი იცის და ყველაფერი ძალუძს. ისე კი, სხვადასხვა ხარისხში, ადამიანი ყოველთვის აღიარებდა ამ მეცნიერებას და ამ ძალას, აღიარებდა და მის გამოვლინებებს სხვადასხვა სახელს — ინსტინქტს, სულს, არაცნობიერს, ქვეცნობიერს, წინათგრძნობას და ა.შ. — არქმევდა. განსაკუთრებით მიანერენ მას განუსაზღვრელ და, ხშირად, სასწაულმოქმედ ძალას ჩვენი ნერვებისა, რომლებიც უშუალოდ არ ქმნიან ჩვენს გონებასა და ნებას. ეს ძალა აშკარად შინაგან-სასიცოცხლო ფლუიდია, საყოველთაო სიცოცხლის ულტრაიისფერი სხივი. ფრიად სავარაუდოა, რომ ეს ფლუიდი ყველა ადამიანს თითქმის ერთნაირი აქვს. ეგაა, სხვადასხვა შემთხვევაში იგი სრულებით სხვადასხვანაირად უკავშირდება აზროვნებას. ზოგ ადამიანში ეს უცნობი პრინციპი იმდენად ღრმად ჩამარხულა, რომ მხოლოდ ფიზიკურ და მოდგმის გაგრძელების ფუნქციებს ემსახურება.

სხვებში, პირიქით, თითქოს დღენიადაგ ღვიძავს და ხშირად ამოდის ზემოთ, რათა თავისი ფეერიული მუნყოფნა გარეგან-ცნობიერი ცხოვრების ზედაპირზე ამოიტანოს. ყველა შემთხვევაში, იგი იჭრება, განჭვრეტს, აფრთხილებს, წყვეტს და მონაწილეობას ღებულობს ასეთ ინდივიდთა ცხოვრების გადამწყვეტ მოვლენათა უმრავლესობაში. საიდან მოდის ეს უნარი? ვერაფერს ვიტყვით. არ არსებობს ცხადი და დადგენილი კანონები. მაგალითად, არ ჩანს არავითარი მუდმივი თანაფარდობა არაცნობიერის აქტივობასა და აზროვნების განვითარებას შორის. ის ჩვენთვის უცნობ კანონებს ემორჩილება. ჩვენი სადღეისო ცოდნის თვალთახედვიდან, ეს აქტივობა პირწმინდად შემთხვევით ხასიათს ატარებს. მავანში ვხვდებით, მავანში — არა, და არავითარი ნიშანი არ გაგვაჩნია იმის დასადგენად, რა ინვევს ამ განსხვავებას.

XI

ნათელ ბედთან გვაქვს საქმე თუ პირქუშთან, აი, როგორც ჩანს, რა ხდება. უეცრად ჩვენი ცხოვრების გზას მთლიანად ხერგავს დიად-მარადიული კანონების სილრმიდან მომდინარე მწყალობელი ან საბედისწერო შემთხვევა. ის ჩვენ ნინ დევს — უმოძრაო, საბედისწერო, ვეებერთელა, შეურყეველი. ის ჩვენ არ გვიყურებს, აქ ჩვენთვის არ მოსულა. მხოლოდ თავისთავში, თავისთვის არსებობს და ჩვენ, უბრალოდ, ვერ გვხედავს. ეს *ჩვენ* ვუახლოვდებით მას, ჩვენ, ვინც, მისი გავლენის ველში მოხვედრილები, უნდა გავექცეთ ან დავუპირისპირდეთ, შემოვუაროთ ან გადავკვეთოთ. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს რაიმე ავბედითი ამბავი: საზღვაო კატასტრო-

ფა, ხანძარი, მეხის დაცემა... ან კიდევ: სიკვდილი, სნეულება, უბედური შემთხვევა, დიდი გაჭირვება (რამდენადმე ანომალური სახით). ის გველოდება — ბრმა, უხილავი, უცვლელი, გულგრილი, დასრულებული, თუმცა ჯერ კიდევ ძალმოსილი. ის მთლიანად არსებობს, ოლონდ — მომავალში. და ჩვენთვის, ვისი გრძნობებიც — ჩვენივე აზროვნების და ცნობიერების მოსახმარად — ისეა მოწყობილი, რომ საგნებს მხოლოდ დროში ერთმანეთს მიყოლებულად აღვიქვამთ, ის ჯერ კიდევ ისეა, თითქოს არც არსებობდეს. მეტი სიზუსტისთვის, დავუშვათ, რომ საქმე ეხება საზღვაო კატასტროფას. გემი, რომელიც უნდა ჩაიძიროს, პორტიდან არ გასულა. კლდეს თუ რიფს, რომელიც მას ფსკერს შეუნგრევს, მშვიდად ძინავს ტალღებქვეშ. თვის ბოლოს ამტყდარი ქარიშხალიც უჩინრად თვლემს ცათა საიდუმლოში. ჩვეულებრივ, არაფერი რომ არ ყოფილიყო წინდანინ განსაზღვრული და კატასტროფაც არ მომხდარიყო მომავალში, ხუთი თუ ექვსი ქვეყნიდან ჩამოსული ორმოცდაათამდე მგზავრი გაემგზავრებოდა. მაგრამ გემს აშკარად აზის ავბედითი ნიშანი: მისი დაღუპვა გარდაუვალია. სხვა ყველაფერთან ერთად, თვეებისა და, შესაძლოა, წლების განმავლობაში მოხდა ერთსა და იმავე დღეს გასამგზავრებელ ინდივიდთა იდუმალი შერჩევა. შესაძლოა, ამ ორმოცდაათი თავდაპირველი მგზავრიდან უკანასკნელ მომენტში გემზე მხოლოდ ოცილა ადის[10]. ისიც კი შესაძლებელია, რომ ამ ორმოცდაათიდან ერთიც კი არ პასუხობს გარემოებებს (რომ არა მომავალი უბედურება, ისინი აუცილებლად გაემგზავრებოდნენ) და რომ მათ ენაცვლება ოცი თუ ოცდაათი სხვა მგზავრი, ვისშიც შემთხვევის ხმა იმავე ძალით არ მეტყველებს. აქ, სადაც ულრმესი ადამიანური გამოცანის ულრმეს წიაღში ვეშვებით, ვარაუდს თავგზა

ებნევა. მაგრამ ამ წარმოსახვითი ამბის წინაშე (რომელიც მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ მოვიხმეთ, რაც ასე ხშირად ხდება ყოველდღიური ცხოვრების უფრო მცირემასშტაბიან ვითარებებში), იმის ნაცვლად, რომ შორეულ და გაურკვეველ ღმერთებს მივმართოთ, უფრო ბუნებრივი ხომ არ იქნებოდა, ჩვენივე არაცნობიერი აგვემოძრავებინა და გადაწყვეტითაც მას გადაეწყვიტა? მან იცის, *უნდა* იცოდეს, *უნდა* ხედავდეს კატასტროფას, რამდენადაც მისთვის არც დრო არსებობს და არც სივრცე. და ეს კატასტროფაც ამ მომენტში ისე ხდება მის თვალწინ, თითქოს მარადიული ძალების თვალწინ ხდებოდეს. დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, *როგორ* აიცდენს ბოროტებას. ოცდაათ „გაფრთხილებულ" მგზავრს შორის ორს ან სამს ექნებოდა საფრთხის რეალური წინათგრძნობა, — ისეთებს, ვისშიც არაცნობიერი უფრო თავისუფალია და უფრო ადვილად აღწევს აზროვნების პირველ, ჯერ კიდევ ჩაბნელებულ შრეებს. სხვები არაფერს იეჭვებდნენ, წყევლა-კრულვას შეუთვლიდნენ დაგვიანებებს და აუხსნელ დაბრკოლებებს, ყველაფერს იზამდნენ, რათა დროულად მისულუყვნენ ნავსადგურში, მაგრამ, ყოველივეს შემდეგ, მაინც ვერ გაემგზავრებოდნენ. ერთნი შეუძლოდ შეიქნებოდნენ, გზა აერეოდათ, გეგმებს შეცვლიდნენ, წვრილმანი ფათერაკი გადახდებოდათ, იჩხუბებდნენ, სიყვარულში გადაეშვებოდნენ, სიზარმაცე დაძლევდათ ან გულმავიწყობა იმსხვერპლებდათ და უნებლიეთ დაბრკოლდებოდნენ. სხვებს არასოდეს მოუვიდოდათ აზრად განწირულ გემზე ასვლა, თუმცა სწორედ ასე უნდა მოქცეულიყვნენ ლოგიკურად და ფატალურად. უმრავლესობისთვის, არაცნობიერის ძალისხმევა იმსიღრმეზე მიმდინარეობს, აზრადაც კი არ მოსდით, რომ თავის სიცოცხლეს ბედნიერ შემთხვევას უნდა უმადლოდნენ, და გულნრფელად

სწამთ, რომ არასოდეს გასჩენიათ ზღვით გარუჯულ გემზე ასვლის სურვილი.

რაც შეეხება მათ, ვინც ერთგულად მოვიდა საბედისწერო პაემანზე, — ისინი უიღბლოთა მოდგმას, ჩვენი მოდგმის ბედგამრუდებულ ნაწილს ეკუთვნიან. როდესაც ყველა გარბის, ასეთები ადგილზე რჩებიან. როდესაც სხვები თავს არიდებენ, ისინი, მინდობილნი, უფრო უახლოვდებიან. შეუცდომლად სხდებიან იმ მატარებელში, რომელიც რელსებიდან გადავა; იმ წამს გაივლიან კოშკის ქვეშ, როცა კოშკი ჩამოინგრევა; შედიან სახლში, სადაც ცეცხლი უკვე ღვივდება, ტყეში, რომელსაც მეხი დაეცემა; მთელი დანაზოგი მიაქვთ ბანკირთან, რომელიც სხვა ქვეყანაში გარბის; დგამენ ნაბიჯს და აკეთებენ ჟესტს, რომელიც არ უნდა გადადგან და არ უნდა გააკეთონ; ზუსტად ის ქალი უყვარდებათ, რომელსაც უნდა უფრთხოდნენ. და პირიქით: თუ საქმე ეხება ბედნიერებას, როცა კეთილისმსურველი ძალებით გამოხმობილი სხვა ადამიანები მორბიან, ისინი ისე ჩაივლიან, რომ არაფერი ესმით. და მხოლოდ საკუთარი აზროვნების ამარა დარჩენილები, — ამ მოხუცი, ძალზე ბრძენი, მაგრამ მთის ძირში გამავალი საცალფეხოების არმცნობი თითქმის ბრმა მეგზურის, — ისინი იბნევიან იმ სამყაროში, რომელიც ადამიანის გონებას ჯერაც არ ესმის. რასაკვირველია, მათ აქვთ მიზეზი ბრალი დასდონ ბედისწერას, ოღონდ არა ისე, როგორც ეს უკანასკნელი ესმით. მათ უფლება აქვთ ჰკითხონ, ჩვენ რატომ არ შთაგვისახე ის სიღრმისეული სიფხიზლე, რომელიც ჩვენს ძმებს იცავსო. თუმცაღა, უკვეც უსამართლობათა მიმართ გამოთქმული ამ დიდი საყვედურის შემდეგ აღარაფერი აქვთ დასაჩივლი. მათ მიმართ სამყარო სულაც არ არის მტრული. სტიქიური უბედურებები მათ არ სდევნიან, — თავად მიდიან მათკენ. გარეგან სა-

გნებს მათთვის ცუდი არ სურთ, — თავად ეძლევიან ბოროტებებს. უბედურება მათ არ დარაჯობდა, — მათ თვითონ აირჩიეს ის. ცხოვრების ნლების კვალდაკვალ, როგორც ყველა სხვა ადამიანს, მოვლენები მათაც ისევე ელოდებიან, როგორც ბაზარში ჩამნკრივებული საქონელი ელოდება მუშტარს. არავინ ატყუებს — ისინი თვითონვე ტყუვდებიან. არავინ სდევნის, — ეგაა, მათი არაცნობიერი სული თავის მოვალეობას არ ასრულებს. უფრო მოუქნელია ეს სული თუ ნაკლებად ყურადღებიანი? ეგებ უიმედოდ სძინავს სხვებზე უკეთ ჩარაზული საკნის სიღრმეში და ვერანაირ ნებას ვერ გამოჰყავს ეგზომ საბედისნერო ძილიდან და ვერც იმ საშინელ კარს უხერხებს რამეს, გაუცნობიერებლად ყოვლისმცოდნე სიცოცხლიდან უმეცრად მოაზროვნე სიცოცხლისკენ რომ გადის?

XII

მეგობარმა, ვისთანაც ამ პრობლემებზე ვლაპარაკობდი, გუშინ მითხრა:

„ცხოვრება, რომელიც უკეთეს კითხვებს გვისვამს, ვიდრე ფილოსოფოსები გვისვამენ, დღეს მაიძულებს კიდევ ერთი და საკმაოდ უცნაური შეკითხვა დავუმატო თქვენს კითხვებს. რა მოხდება, თუ ორნაირი ბედი ანუ ორი საპირისპირო არაცნობიერი: ერთი — ბედნიერი და მარჯვე, მეორე — მოუქნელი და უიღბლო, რაღაცნაირად შეერთდება ერთსა და იმავე წამოწყებაში? რომელი მათგანი იმარჯვებს? ამას მე მალე გავარკვევ. ამ ნაშუადღევს მნიშვნელოვანი დემარში მელის, ისეთი, რომელზეც ჰკიდია ჩემთვის უძვირფასესი არსების თითქმის მთელი მომავალი, მისი ბუნებისა და უფლებების

მიხედვით ცხოვრების შესაძლებლობა, იღბალი და მთელი გარეგანი ბედნიერება. როცა ვეკითხები ჩემს წარსულს, რომელიც მუდამ მონყალე იყო და რომელშიც *შემთხვევა* მინყივ შორსმჭვრეტი და ერთგული მეგობრის როლში მეელინებოდა; როცა თვალს ვაელებ ოქროს თითისტარების მსგავს ხუთ თუ ექვს მომენტს, რომელთა მსგავსიც ყველას ცხოვრებაში მოიძებნება და რომლებიც ხელსაყრელ შანსს ზედ დაიხვევენ ხოლმე, — მაშინ ვგრძნობ, რომ მჯერა ჩემი ვარსკვლავის, და ეჭვი არ მეპარება, რომ მხოლოდ ჩემთვის რომ იყოს საინტერესო — ჩემი მომავალი დემარში უმტკივნეულოდ განხორციელდება, რადგან მე „ბედნიერი ხელი" მაქვს. აი, ის ადამიანი კი, ვისთვისაც ამას ვიქმ, ყოველთვის ბედნავსი იყო. თავისი დიდბუნებოვანი და უფაქიზესი აზროვნების, ჩემსაზე გაცილებით უფრო წინდახედული და მტკიცე ნებელობის პარალელურად, მას, როგორც ჩანს, სრულებით ტუტუცური და ავისმოსურნე არაცნობიერი აქვს, რომელიც შეუჩერებლად ატარებს ამ ადამიანს უსამართლობებით, შეღავათებით, გულისგამანვრილებელი დამთხვევებით, დაბრკოლებებით და განხიბვლებით მოფენილ ოღროჩოღრო გზაზე. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ იგი თქვენს მიერ ნახსენებ გემზეც მოხვდებოდა. ჰოდა, ჩემს თავს ვეკითხები: როგორ მოექცევა ჩემი ფხიზელი და დაკვირვებული არაცნობიერი ამ თავის დაუდევარ და ბედუკუღმართ მოძმეს, რომლის სახელითაც მან უნდა იმოქმედოს და რომლის, ასე ვთქვათ, ადგილიც მან უნდა დაიკავოს?

როგორ და სად ყალიბდება ამ წამს ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლის საპოვნელადაც მე მივდივარ? სანამ თქვენ გელაპარაკებით, რომელი ძალა წონის სასწორის ორივე პინას, ანუ ბედნიერება-უბედურებას იმ ადამიანისა, რომელსაც

მე წარმოვადგენ? რომელი სფეროდან, რომელი — ეგების — უხსოვარი სათნოებიდან, რომელი დაფარული გონებიდან თუ უხილავი ვარსკვლავიდან ჩამოვარდება ის საწონი, რომელიც სასწორს სიბნელისკენ ან სინათლისკენ გადახრის? გარეგნულად ამას წყვეტს გონება, ნებელობა, მხარეთა ინტერესი, უფრო ღრმა რეალობაში კი, ხშირად, სრულებით სხვა რამ. როცა ამგვარად ვდგავართ პრობლემის წინაშე და როცა იმავე პრობლემის წინ მდგარ ადამიანთა სიყვარული ოდნავ მაინც გვიხელს თვალს, მაშინ ის ისე მარტივად აღარ გვესახება და განცვიფრებულ, აწრიალებულ და თითქმის ქალწულებრივ მზერას ვაპყრობთ იმ შეუცნობელს, რომელიც გვმართავს და რომელსაც ვემორჩილებით.

ასე რომ, ჩემი დემარშის განხორციელებას უფრო დიდი გრძნობით, უფრო დიდი ძალისხმევითა და გულმხურვალებით ვაპირებ, ვიდრე იმ შემთხვევაში დავაპირებდი, ჩემი პირადი ბედნიერება რომ დამეყენებინა საფრთხის ქვეშ. ის, ვისთვისაც ამას ვიქმ, მართლაცდა „უფრო მე-ა, ვიდრე მთელი ჩემი მე" და უკვე დიდი ხანია მისი ბედნიერება ჩემი ბედნიერების სათავეა. ჩემი გონება და გული ამაში სავსებით დარწმუნებულია, მაგრამ ჩემი არაცნობიერი? გონებას და გულს — ჩემი ცნობიერების წარმომადგენლებს — ახლახან შეუსრულდა ოცდაათი წელი, ჩემი არაცნობიერი კი, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს პირველქმნილი საიდუმლოები, შესაძლოა უკვე საუკუნეებს ითვლის. იგი აუჩქარებლად ვითარდება, დროში მბრუნავი სამყაროსავით ნელია, დროში, რომელიც არასოდეს დასრულდება. გარდა ამისა, როგორც ჩანს, მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ ჩემს ცხოვრებაში მეორე ადამიანის ცხოვრება ჩაერია და მთლიანად შთანთქა. რამდენი წელი გაივლის, სანამ ეს ამბავი მის სავანეში ჩააღწევს? აქაც ის მრა-

ვალგვარი და არათანაბარია. ერთს დაუყოვნებლივ უჩხრეკს გულში მიმდინარე ამბებს, მეორეს დიდის დაგვიანებით ეჭრება გონებრივ აქტივობაში. არსებობს სხვა სიყვარულიც, — ვთქვათ, დედობრივი, — სადაც ის გულსაც წინ უსწრებს და გონებასაც. დედის არაცნობიერი სული ბავშვების არაცნობიერს მხოლოდ ნელ-ნელა ემიჯნება და ამ უკანასკნელს უფრო დიდი გულმოდგინებით ადევნებს თვალს, ვიდრე საკუთრივ დედისას.

მაგრამ ჩემს შემთხვევაში შეუძლებელია იმის თქმა, იცის თუ არა არაცნობიერმა, რომ ეს სიყვარული მე თვით სიცოცხლეზე მეტად მჭირდება. ვფიქრობ, ჩემი არაცნობიერი დარწმუნებულია, რომ დემარში, რომელიც ამ სიყვარულის სახელით უნდა განვახორციელო, სრულებით არ არის ჩემი საქმე. ის — არაცნობიერი — არ გამოჩნდება და არაფერში ჩაერევა. იმ მომენტში, როცა მე მთელ ჩემს ენერგიას, ჩემს ყველა იმედს მოვიმარჯვებ, — თითქოს თვით ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი დამდგარიყოს, — ის თავის ჩაწყვდიადებულ საუფლოში, თავისივე იდუმალ საქმიანობაში იქნება გართული. თუ სამართალს ჩემი საკუთარი თავისთვის მოვითხოვ, ის გამოიღვიძებს. ალბათ ეცოდინება, რომ *ღღეს* არ უნდა ვმოქმედებდე. მე მგონი, ვერანაირად ვერ ვგულისხმაყოფ მის ჩარევას, თუმცა, როგორც ჩანს, გაუთვალისწინებელ დაბრკოლებებს შემიქმნის. ავად გავხდები, რაღაც ჩამეშლება, გზიდან გადამახვევინებს რაიმე მეორეხარისხოვანი მოვლენა, რომელიც ხელს შემიშლის, ვინძლო არახელსაყრელ მომენტში გამოვცხადდე. შემდეგ, ერთხელაც, იმის თანდასწრებით, ვისი ბედიც მე უნდა გადმოვიბარო, ჩემი ფხიზელი მეგობარი — ჩემივე არაცნობიერი — თავის ფრთებს დამაფარებს, თავის სუნთქვას შთამბერავს, თავისი სინათლით გამანათებს; მიკარნახებს

სიტყვებს, რომლებიც უნდა ვთქვა და მხოლოდ რომ-ლებიც გასცემენ პასუხს ჩემი ბედის მეუფის ფარულ შესიტყვებებს; სიმაღლეს, დუმილებს, ჟესტებს მო-მანიჭებს; აღმჭურვავს ნდობით და სახელდაუდე-ბელი ზეგავლენის უნარით, რომლებიც, ხშირად, გაცილებით უფრო მეტად განსაზღვრავს ადამიანთა არჩევანს, ვიდრე გონების მტკიცებულებანი და ინ-ტერესის ენამჭევრობა. ისე კი, დიდად ვშიშობ, თავი არ შეიკავოს ამ ყველაფრისგან. არ შეწუხდება და ჩვეულ ზღურბლზე არ გადმოდგება. ეს — დახშული და შეუღწეველი იმ იდეისთვის, რომ ჩემი ცხოვრება მთლიანად ჩემში აღარ არის — კვლავ თავისი საუ-კუნოვანი მრწამსის მიხედვით მოიქცევა და როდე-საც ჩაშლის (ჩემთვის სამსახურის გაწევის სახელით) იმას, რაც, მისი აზრით, ჩემი საქმე არ არის, ამით უფრო მეტ ბოროტებას დამმართებს, უფრო ღრმა ტკივილს მომაყენებს, ვიდრე, ვთქვათ, სიკვდილის მოახლოებისას რომ მივეტოვებინე. ამრიგად, მთელ ამ საქმეში მე მხოლოდ ერთ მკრთალ სხივს, ჩემი ბედის ერთგვარ აჩრდილს თუ შევიტანთ, და ახლა შიშით ვეკითხები ჩემს თავს: საკმარისი იქნება თუ არა ეს სხივი, რათა გააწონასწოროს საპირისპირო ბედის ბოროტი ნება, რომლითაც მე აღვსილვარ და რომელსაც ამწუთას წარმოვადგენ."

XIII

რამდენიმე დღის შემდეგ მეგობარმა მამცნო, რომ მისმა დემარშმა არ გაამართლა. შესაძლოა, ეს მარ-ცხი რაღაც შემთხვევითმა განსაზღვრა, შესაძლოა — რწმენის უკმარობამ. რადგან რწმენა, რომელიც წი-ნათგრძნობს წარმატებას, ინთება კიდეც მის მისაღ-წევად, ყოყმანისა და ეჭვისთვის უცნობ რესურსებს

გამოძებნის და არ ავლენს არცერთ უნებლიე სისუსტეს, რომლითაც სარგებლობს ხოლმე მეტოქის ინსტინქტი. ისიც შესაძლებელია, რომ არაცნობიერის მისეულ მიზანსცენაში ბევრი რამ მართებულიც იყო. სხვა მხრივ, გარკვეულ სიღრმეზე, არაცნობიერი რწმენას თანხვდება... და ერთობ ძნელია იმის თქმა, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე.

ნუ შევჩერდებით ამ მეტისმეტად სათუთ ძიებაზე და მოვუსმინოთ ცხოვრების მიერ ჩვენთვის დასმულ სხვა კითხვებს, უფრო უშუალოდ დაკავშირებულს ბედთან — ერთ-ერთ უდიდეს ცხოვრებისეულ საკითხთან. ეს, ასე ვთქვათ, ყოველდღიური ინტერესის საგანია. ცხოვრება, მაგალითად, იმასაც გვეკითხება, როგორი უნდა იყოს ჩვენი ქცევა ნამდვილად ნარუმატებელ ადამიანთა მიმართ, რომელთა ბნელი ვარსკვლავი იმდენად ძალუმია, რომ უბედურებისკენ მიჰყავს უკლებლივ ყველა ხდომილება, რომელიც ხდება მისი — ხშირად საკმაოდ ფართო არეალის მომცველი — დამლუპველი სხივების სიახლოვეში. უსინდისოდ ხომ არ უნდა გავექცეთ, როგორც დოქტორი ფუასაკი გვირჩევს? — დიახ, ასე უნდა მოვიქცეთ, თუ მათი უბედურებები მათივე არაკეთილგონივრული, სარისკო, უყურადღებო, ჭირვეული, ბუნდოვანი თუ უტოპიური გონებიდან მომდინარეობს. მარცხიანობა გადამდები დაავადებაა, რომელიც ხშირად გადადის ცნობიერიდან არაცნობიერში. მაგრამ თუ საქმე ეხება ნამდვილად დაუმსახურებელ ტრაგედიებს, რომლებიც თავს ატყდებიან ჩვენს საყვარელ ადამიანებს, მაშინ გაქცევა უსამართლო და სამარცხვინო საქციელი იქნება. ამ შემთხვევაში, ჩვენი არსების ამაყ და თავისუფალ ნაწილს, რომელმაც ამდენი რამ არ იცის, მაგრამ რომელიც ქმნის განსხვავებული ბუნების, ფორმირების პროცეში მყოფი სამყაროს პირველი ყვავილების მსგავს ჭეშმარიტებებს, — ჩვენი არ-

სების ამ ნაწილს ევალება უკუაგდოს არაცნობიერის უნივერსალური სიბრძნე, არ დაჰყვეს მის გაფრთხილებებს და, როგორც ასეთი, ერთიანად დაამხოს. ეს დამხობა გამარჯვებაა სხვა სიბრტყეზე, რომელსაც იდეალი ანათებს. ეს უკანასკნელი კი, ერთ მშვენიერ დღესაც, შესაძლოა, თვით არაცნობიერმაც აღიაროს.

XIV

ასე მივედით იქამდე, სადაც ჩვენსავე თავს შეეკითხებით: ნამდვილად უცვლელი და საბოლოოდ სრულქმნილია თუ არა ეს არაცნობიერი, რომელსაც ჩვენს ბედს მივანერთ? რომელ ჩვენგანს არ შეუნიშნავს ბედის უცნაური ჩვევები? როცა ვუყურებთ მის მოძრაობას პატარა ქალაქში ან ადამიანთა გარკვეულ სიმრავლეში, რომელსაც მხედველობიდან არ ვუშვებთ, მაშინ ის რომელიღაც ქალღმერთს ჰგავს, მაწუხელასავით ჯიუტს და ერთობ უცნაურს. იმ არსებისა თუ ხდომილების მიხედვით, რომელსაც იგი უკავშირდება, დაუყოვნებლივ ირჩევს კარგად გამოკვეთილ პიროვნებასა და ხასიათს. ერთობ მრავალფეროვანი ახირებები სჩვევია, თუმცა ყოველ მათგანში თავისებურად უცვლელია. იმისდა მიხედვით, მისი ჟესტებიდან პირველს ვიხელთებთ თუ მეორეს, შეუძლებელი ან საკმაოდ ძნელი გამოსაცნობია, რას მოიმოქმედებს შემდეგ. პროტეული ქალღმერთის[11] არ იყოს, ვერცერთი სახე ბოლომდე რომ ვერ გარემოიცავს, — ბედიც ერთგან ისე მოულოდნელად ჩნდება, როგორც წყლის ჭავლი — შუა უდაბნოში: ჩნდება, ეფემერულ ოაზისს აღმოაცენებს და ქრება. მეორეგან თანაბარი ინტერვალებით ბრუნდება, თავს იყრის და ისევ იფანტება, წელიწადის დროებს დამორჩილებულ გადამფრენ ფრინველ-

თა გუნდივით. ჩვენგან მარჯვნივ კაცს აყირავებს და იმწამსვე ავინყდება, მარცხნივ კი მეორეს წააქცევს და საზარლადაც აცხრება თავზე. თუმცა სიკეთეებს ეხება საქმე თუ ბოროტებებს, *ბედი* თითქმის ყოველთვის განსაცვიფრებლად ერთგული რჩება და არასოდეს ღალატობს მისივე მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თითქოს ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეულ ხასიათს. ის, ვინც ბრძოლაში წარუმატებლობა განიცადა, უმრავლეს შემთხვევაში სულ ასე ამთავრებს. მეორე — მოთამაშე — მეტწილად წააგებს ან მეტწილად მოიგებს. მესამეს მეასეჯერ გააცურებენ. მეოთხე კვლავ წყალს, ცეცხლს ან ქუჩაში მერამდენედ მომხდარ ინციდენტს გადაეყრება. მეხუთე მუდამ იღბლიანი ან მუდამ უიღბლო იქნება სიყვარულში, ფულის შოვნაში და ა.შ. განა ეს არ გამოდგება მტკიცებულებად თუ არა, მინიშნებად მაინც, რომ „ბედი" სადღაც ჩვენ გარეთ კი არა, თვით ჩვენში მეუფებს და რომ მას ჩვენვე ვაყალიბებთ და ვმოსავთ ფარული ძალით, რომელიც სხვა არავისგან — ისევდაისევ ჩვენგან მომდინარეობს?

ზოგჯერ უცნაური შემობრუნებები — ბედის ახირებებიდან გამოსული სხვა ახირებები — უეცრად ფლეთენ მის ჩვეულებებს და უკუაგდებენ მის ხასიათს, რათა მაშინვე დადასტურდნენ სხვა ატმოსფეროში. ასეთ დროს ვამბობთ: „ბედი შემობრუნდა". მაგრამ რა არის ეს, თუ არა *არაცნობიერი*, რომელიც *ვითარდება*? იღვიძებს თუ არა, საბოლოოდ, მისი ყურადღება თუ უნარიანობა? ამჩნევს თუ არა, ბოლოს და ბოლოს, რომ ზემოთ, იმ სამყაროში, რომლის ქვემოთაც ის ჩაყუჟულა, მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება? იძენს თუ არა გარკვეულ გამოცდილებას? ჟონავს თუ არა მის განყენებულ საბინადროში აზროვნების სხივი ან ნების ელვარება და ამცნობს თუ არა მოსალოდნელ საფრთხეს? სნავლობს კი,

მრავალი წლის მწარე გამოცდილების შემდეგ, რომ, ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოვიდეს თავისი მეტის-მეტად მიმნდობი აპათიიდან? არყევენ თუ არა გარ-ესამყაროში მომხდარი უბედურებები მის ძილს? ან თუკი იმთავითვე იცოდა, რა მოხდებოდა მისი საპ-ატიმროს თავზე, ახერხებს თუ არა — მძიმე და ამაო ძალისხმევის შემდეგ — საჭიროებისამებრ გამოარ-ღვიოს საუკუნეებისა და განურჩევლობის სქელი შრე, რომელიც თავისი უცნობი დებისგან — ნებისა და აზროვნებისგან აშორებს, და მონაწილეობა მი-იღოს მსწრაფლწარმავალ ცხოვრებაში, რომელზეც მისივე არსებობის ერთი ნანილიც ჰკიდია?

XV

ვალიაროთ, რომ არაცნობიერის ეს ჰიპოთეზა არ კმარა ბედის ყველა უსამართლობის ასახსნელად. მათგან სამი უდიდესი — სამი ყველაზე რეალური უბე-დურება, რომლებიც შეიძლება კაცს შეემთხვეს, რო-გორ წესი, მას დაბადებამდე ატყდება თავზე. ვგულისხ-მობ დიდ სილატაკეს, სნეულებას (განსაკუთრებით, მის ყველაზე ოდიოზურ ფორმებში: ფსიქიკურ უმწეო-ბას და განუკურნებელ ხეიბრობებს, აგრეთვე ფიზი-კურ სიუშნოვეს და სიგონჯეს) და ინტელექტუალურ არასრულფასოვნებას. აი, უსამართლობის სამი დიდი ქალ-ქურუმი, რომლებიც ელოდებიან და ნიშანს ადე-ბენ უცოდველობას ჯერ კიდევ ცხოვრებაში შემობი-ჯებამდე. მაგრამ თუ მათი არჩევანი იდუმალი ჩანს, მაშინ ის სამმაგი წყარო, საიდანაც მათ სამი უკურნე-ბელი ბოროტება ამოაქვთ, ეგების, უფრო ნაკლებად იდუმალი იყოს, ვიდრე გვგონია. აუცილებელი არ არის, ეს წყარო რაიმე წინასწარდადგენილ ნებამდე, რაღაც ფატალურ-მარადიულ კანონებამდე ავტყორ-

ცნოთ. ამ წყაროებიდან პირველი თავის გზას იწყებს და ამთავრებს *ადამიანის საუფლოში*. და თუ ჩვენ არ ვიცით, რატომ იბადება ერთი ღარიბად, მეორე კი — მდიდრად, ის ხომ მაინც მოგვეხსენება, რომელ პირწმინდად ადამიანურ უსამართლობათა წყალობით ნანილდება ქვეყნიერების ერთ მხარეს სიდუხჭირე, მეორე მხარეს კი — სიმდიდრე. ღმერთები და ციური სხეულები არაფერ შუაშია. რაც შეეხება ორ დანარჩენ წყაროს, როცა მათ ჩამოვაშორებთ ყოველივე ისეთს, რაც სილატაკისგან — ფიზიკურ და მორალურ უბედურებათა უმრავლესობის დედისგან გადმოეცათ, ყველაფერს, რაც მათ მიიღეს მშობლების ძველი შეცდომებისგან, რომლებშიც არაფერი იყო გარდაუვალი და აუცდენელი, მაშინ მხოლოდ რამდენიმე შიშველი და ანგარიშმიუცემელი უსამართლობაღა დაგვრჩება. მაგრამ საიდუმლოს ეს ნარჩენი საკმაოდ ახლოს იქნება იმასთან, რომ აღმოჩნდეს ხელისგულზე ფილოსოფოსისა, რომელიც მას მოცალეობისას ჩაუკირკიტებს. სადღეისოდ კი ბრძნულად მოვიქცევით, თუ ჩვენს ცხოვრებას არ შემოვახვევთ წყევლას, წარმოსახვით მტრებს კი არ ჩავაბნელებთ საკმარის უეჭველობათა გარეშე.

რაც შეეხება ბედს ჩვენს ყოველდღიურ არსებობაში, უკეთესის მოლოდინში დავუშვათ, რომ, რამდენადაც ჩვენვე ვქმნით ჩვენივე ბედ-იღბლის ისტორიას (რაც სწორხაზოვნად სულაც არ უდრის ჩვენი რეალური ანუ შინაგანი ბედნიერების ისტორიას, რაკი ეს უკანასკნელი შეგვიძლია შემთხვევითობის ზემოთ მოვათავსოთ), ამით ჩვენი არაცნობიერი არსების ისტორიასაც ვქმნით. ეს უფრო რეალურია, ვიდრე ის, რომ ჩვენს პაწია ფათერაკებში მარადისობა, ვარსკვლავები და სამყაროს გონი ჩავრიოთ. ეს ჩვენს გამბედაობას საუკეთესო მხრიდან წარმოაჩენს. ეგებ ჩვენი არაცნობიერის ბუნება ისეთივე ძნელი შესაცვლელია,

როგორც მარსისა და ვენერას ტრაექტორიები, მაგრამ ეს მაინც ნაკლებად შორეული და ნაკლებად ქიმერული ჩანს. და რაკი არჩევანი ორ შესაძლებლობას შორის უნდა გაკეთდეს, ამდენად, ჩვენს უმკაცრეს მოვალეობათაგან ერთ-ერთი ამ ორიდან იმის არჩევაა, რომელიც ჩვენს იმედს ნაკლებად დააბრკოლებს. მეტიც: უბედურება ნამდვილად გარდაუვალი რომ ყოფილიყო, მაინც იქნებოდა რაღაც ამაყი ნუგეში საკუთარი თავისთვის იმის თქმაში, რომ ის *ჩვენგანვე* მოდის, რომ არც რომელიღაც ბოროტი ნების მსხვერპლნი ვართ და არც რაღაც უსაზმნო შემთხვევითობის სათამაშოები. და იმით, რომ უფრო მეტ ბოროტებას ვიტანთ, ვიდრე თანამოძმეები იტანენ, ჩვენ მხოლოდ იმას ვშვრებით, რომ დროსა და სივრცეში აღვწერთ ჩვენი პიროვნების აუცილებელ ფორმას. თუკი უბედურება ჩვენს შინაგან სიამაყეს არ უტეევს, ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას და ჩვენი არსებითი მისიის აღსრულებას — შეძლებისამებრ მგზნებარე არსებობას, იმდენად გულმხურვალეს, თითქოს კაცობრიული ბედისწერებისთვის ჩვენი ცხოვრება ყველა სხვა ცხოვრებაზე უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყოს.

ეს იმ დიდ კანონსაც უფრო კარგად ესადაგება, საითითაოდ რომ გვიბრუნებს ღმერთებს, რომლებითაც ოდესღაც მთელი ცა და ხმელეთი დავასახლეთ. ამ ღმერთთა უმრავლესობა სხვა არაფერია, თუ არა ჩვენშივე არსებულ მიზეზებს მოყოლებული შედეგები. ჩვენი წინსვლის კვალდაკვალ იმასაც აღმოვაჩენთ, რომ არაერთი ძალა, რომლებიც ჩვენზე მეუფებდნენ და გვანცვიფრებდნენ, სხვა არაფერია, თუ არა ჩვენივე ძალმოსილების ცუდად ცნობილი მხარეები. შესაძლოა, დღიდან დღემდე ეს სულ უფრო მეტად დამტკიცდეს.

თუ უცნობ ძალასთან მიახლოება და მისი გარშემოვლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის დამარცხებას, მაშინ ისიც საქმეა, როდესაც ვიცით, სად ვიპოვოთ და

სად დავუსვათ კითხვები. ირგვლივ უბნელესი ძალები შემოგვჯარვია, მაგრამ ყველაზე უშუალოდ მაინც იმ ძალასთან გვაქვს საქმე, ჩვენი არსების კერიას რომ მოსჯდომია. მას გაივლის ყველა სხვა ძალა: ჯერ მას უნიშნავს პაემანს, შემოდის, მასვე შეერევა და ჩვენც მხოლოდ მასთან მიმართებაში თუ გვაინტერესებს.

სხვა ძალებისგან გამორჩევის მიზნით, მას ჩვენი *არაცნობიერი* დავარქვით. იმ დღეს, როცა შევძლებთ და უფრო ახლოდან გავეცნობით მის უნარებს, პრეფერენციებს, ანტიპათიებს, იდუმალ დაუდევრობებს, მაშინ თვალშისაცემად დავუბლაგვებთ ბრჭყალებსა და კბილებს იმ მონსტრს, რომელიც „ბედის", „ილბლის", „ბედისნერის" სახელით გვდევნის. დღესდღეობით მას ისევე ვკვებავთ, როგორც ბრმა გამოკვებავდა ლომს, რომელიც ბოლოს მასვე შეთქვლეფდა. შესაძლოა, სულ მალე ლომი თავის ნამდვილი სახით დავინახოთ და მისი მოთვინიერებაც ვისწავლოთ.

მაშ, დაუღალავად მოვიაროთ ჩვენი ცნობიერებიდან ჩვენივე არაცნობიერისკენ მიმავალი ყველა გზა. ასე დავადგებით ერთგვარ ბილიკს, რომელიც დიდ, გაუკვალავ, „ხილულიდან უხილავისკენ", კაციდან ღმერთისკენ და ინდივიდიდან სამყაროსკენ მიმავალ გზებს შორის მიიკლაკნება. ამ გზების ბოლოში ცხოვრებისა და სიცოცხლის მთავარი საიდუმლო იმალება. მანამდე კი, მივიღოთ ჰიპოთეზა, რომელიც გამბედაობას გვმატებს იმ საყოველთაო სიცოცხლეში, რომელსაც ჩვენ თავისივე საიდუმლოების ამოსაცნობად ვჭირდებით, რადგან სწორედ *ჩვენ* ვართ ისინი, ვისშიც ეს საიდუმლოები უსწრაფესად და უმჭვირვალესად კრისტალდება.

მომავალი

I

გარკვეული აზრით, სრულებით გონმიუწვდომი ამბავია, რომ მომავალს ვერ ვჭვრეტთ. ალბათ, საკმარისი იქნებოდა უმცირესი ცვლილება, ტვინის ერთი ხვეულის გადაადგილება თუ შებრუნება, ჩვენი ცნობიერებისთვის ნერვების კიდევ ერთი უფაქიზესი ხლართის დამატება, რათა მომავალიც ისე ნათლად, ისეთივე დიდებულ-უძრავი ლანდშაფტივით გადაგვეშალოს თვალწინ, როგორც წარსული გადაშლილა, — არა მხოლოდ ჩვენს ინდივიდუალურ, არამედ მთელი კაცობრიობის ჰორიზონტზეც. ეს ჩვენი აზროვნების თვალშისაცემი უძლურება და ერთობ საგულისხმო დასაზღვრულობაა, რის გამოც არ ვუწყით, რა გველოდება, მაშინ როდესაც ვიცით, რა გამოგვივლია. აბსოლუტური ხედვის წერტილიდან, სადამდეც ჩვენი წარმოსახვა მაღლდება (თუმცა, რეალურად, იქ არ გაეძლებოდა და ვერ იცხოვრებდა), არავითარი მიზეზი არ გვაქვს, რომ ვერ ვხედავდეთ იმას, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს. ის, რაც *ჩვენთან* მიმართებაში არ არსებობს, უცილობლად უნდა იყოს და მჟღავნდებოდეს სადღაც სხვაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გვეთქვა: „რაც შეეხება *დროს*, მასთან მიმართებაში ჩვენ ვქმნით სამყაროს ცენტრს და ვართ ერთადერთი მოწმეები, რომლებსაც ელოდებიან მოვლენები, რათა უფლება მიეცეთ გამჟღავნდნენ და ირიცხებოდნენ მიზეზ-შედეგობრიობის მარადიულ მატიანეში". ამის მტკიცება ისეთივე აბსურდი იქნება *დროსთან* მიმართებაში, როგორიც *სივრცესთან* მიმართებაში იქნებოდა, — ამ მეორე, ოდნავ უკეთ გასაგებ ფორმასთან უსასრულო საიდ-

უმლოსი, რომელშიც მიედინება ჩვენი ცხოვრება.

სივრცე ჩვენთვის უფრო ახლობელია, რაკი ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე მოვლენები უფრო უშუალოდ გვაკავშირებს მასთან და უფრო კონკრეტულსაც ხდის. საკმაოდ თავისუფლად შეგვიძლია ვიმოძრაოთ მასში — ჩვენ წინ თუ ჩვენ უკან — შეგრძნებათა გარკვეული სიმრავლით. სწორედ ამიტომ არის, რომ არცერთ მოგზაურს არ მოუვა აზრად ამტკიცოს: ქალაქები, რომლებიც ჯერ არ მომინახულებია, იმ წამსლა იბადებიან, როცა მათ ზღურბლს ვაბიჯებო. არადა, თითქმის ასე ვიქცევით, როცა თავს ვირწმუნებთ, რომ მოვლენა, რომელიც არ მომხდარა, არც არსებობს.

II

მე არ განმიზრახავს, ამდენი საიდუმლოს შემდეგ თავგზა ავიბნიო ყველაზე აუხსნელი ენიგმით. მეტს ნულარაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ *დრო* არის საიდუმლო, რომელიც დროებითად დავყავით წარსულად და მომავლად, ვინძლო რამდენადმე შეგვეცნო. თავისთავად, თითქმის სრულებით ნათელია, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ყოვლისმომცველი *აწმყო* — მარადიული და უძრავი, სადაც ყველაფერი, რაც იყო და იქნება, უცვლელად არის მოცემული ისე, რომ — თუ არ ჩავთვლით ადამიანთა ეფემერულ გონებას — *ხვალ* იგივეა, რაც *გუშინ* ან *დღეს*.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ადამიანს არასოდეს ტოვებს შეგრძნება — გონების უბრალო უძლურებაც კი მომავლისაგან მწყვეტსო. მან ეს იცის, ცოცხალმა, რეალურმა და დასრულებულმა, იმ კედლის უკან მყოფმა, რომელსაც უტრიალებს

და მიუყვ-მოუყვება დღიდან დედამიწაზე მოსვლისა. ან, უწინარეს ყოვლისა, ის ამას თავისთავში გრძნობს და თავისი ერთი ნაწილით გრძნობს ისე, რომ, მისი გრძნობების უვიწროესი არხების გავლით, ამ აბეზარმა და შემაფორიაქებელმა ცოდნამ არ მიაღწიოს მისივე ცნობიერებას — ერთადერთ ადგილს, სადაც ცოდნას ეძლევა სახელი, ენიჭება გამოსაყენებლი ძალა და, ასე ვთქვათ, მოქალაქეობის უფლება. მხოლოდ მბჟუტავი ანარეკლების, მხოლოდ შემთხვევითი და მსწრფალწარმავალი წვეთების სახით თუ აღწევენ მის ტვინში მომავალი წლები, რომლებითაც იგი სავსეა და რომელთა იმპერატიული რეალიები მას ყოველი მხრიდან შემორტყმიან. უკვირს, რომ რაღაც უჩვეულო შემთხვევას ეს მომავალი თითქმის ჰერმეტულად ჩაუკეტავს მისი ტვინისთვის. არადა, ეს ტვინი მთლიანად იფლობა მომავალში, როგორც თავდახურული ჭურჭელი იძირება გარშემოუწერავ ზღვაში, რომელიც მას ასევდიანებს, ანაწყენებს და ეფერება კიდეც თავისი უამრავი ტალღით.

თავისი დღე და მოსწრება, ადამიანი ცდილობდა ეპოვა ბზარი ამ კედელში, ვინძლო ზღვას ჭურჭელში შემოეჟონა, გაერღვია კედლები, რომლებიც თითქმის არაფრისმცოდნე მის გონებას აშორებენ მისივე ყოვლისმცოდნე, მაგრამ ამ თავისი მეცნიერების ვერგამომყენებელი ინსტინქტისგან. როგორც ჩანს, დროდადრო წარმატებასაც აღწევდა. იყვნენ ვიზიონერები, წინასწარმეტყველები, მარჩიელები... მათში დაბუდებულმა სნეულებამ, სპონტანურად ან ხელოვნურად ჰიპერტროფირებულმა ნერვულმა სისტემამ გააბა უჩვეულო კავშირები ცნობიერსა და არაცნობიერს, ინდივიდუალურ და საკაცობრიო ცხოვრებას, ადამიანსა და მის უჩინარ ღმერთს შორის. მათ დაგვიტოვეს ამ

შესაძლებლობის იმდენად უდავო მტკიცებულებები, რომლებსაც ვერცერთი სხვა ისტორიული სამხილი ვერ შეედრება. მეორეს მხრივ, რაკი ეს უცნაური განმმარტებლები, ეს დიდი, იდუმალი შეპყრობილები, რომელთა კაპილარებში ცირკულირებდა და ერთმანეთს ერწყმოდა აწმყო და მომავალი, *იშვიათად* იბადებოდნენ, დანარჩენებმა იპოვეს ან ჰგონიათ, რომ იპოვეს ემპირიული გზები, რომლებიც მიგვიყვანენ მომავლის მუდამ მუნმყოფი და გამაღიზიანებელი საიდუმლოს თითქმის მექანიკურ გაშიფვრამდე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასე გამოვკითხავთ საგანთა და ცხოველთა არაცნობიერ მეცნიერებას. აქედან წამოვიდა ფრინველთა ფრენის, ზვარაკთა შიგნეულის, ცთომილთა ტრაექტორიის, ცეცხლის, წყლის, სიზმრებისა და ყველა სხვა ჯურის მარჩიელობის პროფეტული ინტერპრეტირება, რომელსაც გადმოგვცემენ ანტიკური ხანის ავტორები.

III

საინტერესოდ მეჩვენა გამომეკვლია, რა გრძედგანედზეა სადღეისოდ მომავლის მეცნიერება. დღეს იგი არც უნინდებურად ბრწყინავს, ვერც იმდენს ბედავს და, საერთოდ, აღარ შეადგენს ხალხთა საერო და რელიგიური ცხოვრების ნაწილს. აწმყოც და წარსულიც იმდენ სასწაულს გვიმჟღავნებს, რომ ეს სავსებით კმარა საოცრებათა ჩვენეული წყურვილის დასაოკებლად. დანთქმულებმა იმაში, რაც *არის* ან რაც *უკვე იყო*, ჩვენ თითქმის უარი ვთქვით გვეკითხა, რა *შეიძლებოდა ყოფილიყო* ან რა *იქნება*. მიუხედავად ამისა, ძველი და პატივსაცემი მეცნიერება, ეგზომ ღრმად ჩაფესვილი ადამიანის

მოუშლელ ინსტინქტებში, მაინც არ მიგვიტოვებია. დღესდღეობით ის დღის სინათლეზე აღარ მოქმედებს, — უბნელეს კუნჭულებში, ყველაზე ჩვეულებრივ, ყველაზე იოლად მიმნდობ, ყველაზე უმეცარ და ყველაზე უგულებელმყოფელ ვითარებებში გახიზნულა. სხვათა შორის, საკმაოდ მიამიტ და ბავშვურ საშუალებებს მიმართავს... და მაინც: გარკვეული აზრით, ეს მეცნიერება მაინც წინ წავიდა და დღესდღეობით უგულებელყოფს პირველყოფილი მარჩიელობის მეთოდებს. ახალი, ხშირად საკმაოდ უცნაური, ზოგჯერ კი სასაცილო მეთოდები აქვს და იცის, როგორ გამოიყენოს ზოგიერთი ბოლოდროინდელი აღმოჩენა, რომელიც სულაც არ გაუთვლიათ მისთვის.

მეც სწორედ ამ ბნელ თავშესაფრებში შევყევი. მსურდა, მენახა ის არა წიგნებში, არამედ ცოცხალ სინამდვილეში და თავის მოკრძალებულ მიმდევრებში, რომლებსაც მისი სჯერათ და ყოველდღიურად სთხოვენ რჩევას ან გამხნევებას. მივედი გულღიად, ურწმუნოდ, თუმცა სარწმუნებლად მზადმყოფი, თანამონაწილეობის განცდის თუ წინასწარ მომარჯვებული ღიმილის გარეშე, რადგან, თუ არცერთი სასწაული არ უნდა მიიღო ბრმად, კიდევ უფრო ცუდია *ბრმად გაღიმება*. თან, როგორც წესი, ყოველგვარ ჯიუტ ცდომილებაში იმალება ჩინებული ჭეშმარიტება, რომელიც თავისი დაბადების საათს მოელის.

IV

არცერთ ქალაქს არ შემოუთავაზებია ჩემთვის ისეთი ვრცელი და ნაყოფიერი საცდელი „პოლიგონი“, როგორიც პარიზს. ასე რომ, სწორედ პარიზში

ვაწარმოებ ჩემს ძიებას. დასაწყისისთვის ავირჩიე მომენტი, როცა პროექტი, რომლის რეალიზაციას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რომელიც მხოლოდ ჩემზე არ იყო დამოკიდებული, ჯერაც ჰაერში ეკიდა. დეტალებში არ შევიჭრები, რაკი ეს საქმე, თავისთავად, არაფრით არის საინტერესო. საკმარისი იქნება, თუ ვიტყვი, რომ პროექტის ირგველივ ინტრიგის ხლართი მოიქსოვა და ჩემს ნებას რამდენიმე ძლიერი და მტრულად განწყობილი ნება დაუპირისპირდა. ძალთა სასწორი ქანაობდა და, ადამიანური ლოგიკით, შეუძლებელი იყო იმის განჭვრეტა, თუ ვინ გაიმარჯვებდა. უნდა დამესვა მომავლისთვის ზედმინევნით ზუსტი კითხვები (აუცილებელი პირობა!). და თუ უამრავი ადამიანი ჩივის, მომავალი არაფერს გვიმჟღავნებსო, ეს ხშირად იმიტომ ხდება, რომ ისეთ მომენტებში ეკითხებიან, როდესაც მათი ცხოვრების ჰორიზონტზე არაფერი მზადდება.

თანმიმდევრულად ვაკითხავდი ნაცნობ და პატივაყრილ ასტროლოგებს, ქირომანტებს, წინასწარმეტყველებს, სასოებით რომ კითხულობენ მომავალს ბანქოს ქაღალდებზე, ყავის ნალექში, წყლიან ჭიქაში ჩაღვრილი კვერცხის ცილის ყვავილედში და ა.შ. (ნურაფერს უკუვაგდებთ! და თუ წინასწარჭვრეტის საშუალება ზოგჯერ სრულებით სინგულარულია, ისიც ხდება, რომ ჭეშმარიტების ნამცეცი თვით უაბსურდულეს ცდებში იბადებოდეს). განსაკუთრებით ვსტუმრობდი ამ სიბილათაგან ყველაზე სახელგანთქმულთ, რომლებმაც — მთვარეულთა, ნათელმხილველთა, მედიუმთა სახელით — იციან, როგორ შეუნაცვლონ თავიანთ ცნობიერებას მათთან მისული ადამიანის ცნობიერება და, ნაწილობრივ, თვით არაცნობიერიც, და რომლებიც, საბოლოო ჯამში, გარ-

დასული დროების მარჩიელთა ყველაზე პირდა-
პირი შთამომავლები არიან. ამ გაუნონასწორებელ
სამყაროში ბევრ თაღლითობას, სიმულაციას და
უხეშ სიცრუეს წავაწყდი. მაგრამ მქონდა შემთხ-
ვევა, როცა ახლოდან დავუკვირდი საგულისხმო
და ეჭვმიუტანელ მოვლენებს. ეს ორაკულები ვერ
წყვეტენ იმას, მოსდგამს თუ არა ადამიანს უნარი
ასწიოს მომავალზე ჩამოფარებული ილუზიების
ფარდა, მაგრამ ზოგჯერ საკმაოდ უცნაურ სინა-
თლეს აფენენ იმას, რაც ჩვენ მიერ ყველაზე ხელ-
შეუხებლად მიჩნეულ ადგილას — „დამარხული
ტაძრის" წმიდათაწმიდაში ხდება, სადაც ჩვენი
უინტიმურესი აზრები და მათ ქვეშ მიმალული უც-
ნობი ძალები ჩვენ დაუკითხავად შედი-გამოდიან
და ხელისცეცებით ეძებენ მომავალი მოვლენები-
სკენ მიმავალ იდუმალ გზას.

V

მოსაწყენი იქნება იმის გადმოცემა, რაც ამ წი-
ნასწარმეტყველებთან და ნათელმხილველებთან
გადამხდა. შემოვიფარგლები იმით, რომ მოკლედ
გადმოვცემ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ექს-
პერიმენტს. არსებითად, იგი დანარჩენი ცდების
უმრავლესობას აჯამებს, ხოლო ამ ექსპერიმენტთა
ფსიქოლოგია თითქმის იდენტურია.

ეს ნათელმხილველი ქალი ერთ-ერთი ყველაზე
სახელგანთქმულია პარიზში. მისი თქმით, ჰიპნო-
ტურ მდგომარეობაში ყოფნისას იგი განასახიერებს
უცნობ გოგონას, ჟულიას. ჯერ მაგიდასთან დამს-
ვა და მეორე მხარეს თვითონ დაჯდა, შემდეგ კი
მთხოვა, ჟულიას შენობით შიმართეთ და რბილად
ელაპარაკეთ, როგორც 7-8 წლის გოგონას მიმარ-

თავენო. ამის შემდეგ — რამდენიმე წამის მანძილზე — ნაკვთები, თვალები, ხელები, მთელი სხეული უსიამოვნოდ აუძაგძაგდა და თმაც ჩამოეშალა. სახის გამომეტყველება სრულებით გამოეცვალა — მიამიტი და ბავშვური გაუხდა. ზრდასრული ქალის ჩამოყალიბებული სხეულიდან გაისმა ბავშვის ნვრილი და ნათელი ხმა, რომელმაც ოდნავი ენისმოჩლექით მკითხა:

— რა გინდა? მტრები გკავს? სენთვის გესინია თუ სხვა ვინმესთვის, ჩემთან რო მოხვედი?

— ჩემთვის მოვედი.

— კარგი. ცოტას თუ დამეხმარები? აზრით მიმიკვანე იქ, სადაც სენი მტრები არიან.

მე კონცენტრირება მოვახდინე იმ პროექტზე, რომელიც გულში მქონდა, და ჯერაც გაუმჟღავნებელი პატარა დრამის მოქმედ პირებზე. ნელ-ნელა, რამდენიმე წინასწარი ხელისცეცების შემდეგ და ისე, რომ არანაირად — არც სიტყვით და არც ჟესტით — არ დავხმარებივარ, ის მართლა შემოვიდა ჩემს ფიქრში და ისე ამოიკითხა, თითქოს მსუბუქ რიდეგადაფარებულ წიგნს კითხულობსო. ძალზე ზუსტად დაასახელა მოქმედების ადგილი, მთავარი პერსონაჟები, რომლებიც მოკლედ, პატარ-პატარა და ბავშვურად მხტუნავი, თუმცა განსაცვიფრებლად ზუსტი შტრიხებით აღწერა.

— ძალიან კარგია, ჟულია, — ვუთხარი ამ მომენტში, — მაგრამ ეს ყველაფერი მე უკვე ვიცი. მე იმის გაგება მჭირდება, რა მოხდება შემდეგ.

— რა მოხდება... რა მოხდება... თქვენ კველას გინდათ გაიგოთ, რა მოხდება... მაგრამ ეს ძაან ძნელია...

— მაგრამ... როგორ დამთავრდება ეს საქმე? გავიმარჯვებ?

— ჰო, ჰო, ვხედავ, რო ეგრე იქნება. ნუ გესინია,

მე დაგეხმარები... შენ კმაკოფილი იქნები...

— მაგრამ ის მტერი, რომელიც შენ ახსენე და რომელიც მეწინააღმდეგება და ჩემთვის ცუდი უნდა...

— არა, არა, შენთვის არ უნდა... ეს სხვა ადამიანის გამო ხდება... ვერ ვხედავ, რატომ... იმას ის ეზიზგება... უჰ! ძულს, ძულს!.. და სენ რომ ძაან გიკვარს, იმას არ უნდა, რო ის გაუკეთო, რისი გაკეთებაც გინდა... (სიმართლეს ამბობდა).

— კი მაგრამ, შემდეგ რა მოხდება? — არ მოვეშვი მე, — ბოლომდე გაიტანს თავისას? არ დანებდება?

— ოჰ, იმის ნუ გეშინია... ვხედავ, რო ავათ არის, დიდხანს ვეგარ იცოცხლებს...

— ცდები, ჟულია, გუშინწინ ვნახე, მშვენივრად გამოიყურება...

— არა, არა, ეგ არაფერს ნისნავს... ავათ არის... არ ეტკობა, მაგრამ ძაან ავათ არის... მალე მოკდება...

— კი მაგრამ... როდის და როგორ?

— ზედ სისხლები აქს... გარსემოც სისხლია... კველგან...

— სისხლი? დუელი ექნება? (ერთი წამით ვიფიქრე, მეტოქეს დუელში გამოვიწვევ-მეთქი) უბედური შემთხვევა? მკვლელობა? შურისძიება? (საქმე ეხებოდა უსინდისო და უსამართლო კაცს, რომელსაც ბევრი სიცუდე ჩაედინა).

— არა, არა, ნუგარ მეკითხები, ძაან დავიგალე... გამისვი, უნდა წავიდე...

— ოღონდ ჯერ ის მითხარი...

— არა, მეტს ვეგარაფერს გეტკვი... ძაან დაგლილი ვარ... იკავი კეთილი, მე დაგეხმარები...

ქალის სხეული ისეთივე კრუნჩხვებმა შეარყია, როგორმაც სეანსის დასაწყისში, და წვრილი ხმაც

მინყდა. სახეს კვლავ დაუბრუნდა ორმოციოდე წლის იერი: ქალი თითქოს ძილიდან გამოდიოდა. საჭიროა თუ არა, დავუმატო, რომ მანამდე ჩვენ არასოდეს შევხვედრივართ ერთმანეთს და, საერთოდაც, ერთმანეთისთვის ორ სხვადასხვა პლანეტაზე დაბადებულივით უცხონი ვიყავით?

VI

მთლიანობაში, ანალოგიური (თუმცა ნაკლებად სახასიათო და ნაკლებად დეტალური) აღმოჩნდა სხვა მცდელობათა უმრავლესობის შედეგები, — ცდების, რომლებშიც ნათელმხილველებს ნამდვილად ჩაეძინათ. ბოლოს, გარკვეული კონტრ-გამოცდილების მისაღებად, „ჟულიასთან“ გონიერებითა და სიწრფელით გამორჩეული ორი ადამიანი გავგზავნე. ჩემი არ იყოს, მათაც უნდა დაესვათ მომავლისთვის თითო მნიშვნელოვანი და ზუსტი შეკითხვა, ანუ საკითხი, რომელსაც მხოლოდ ბედი ან ბედისწერა თუ გადაწყვეტდა. ერთს, რომლის შეკითხვა მეგობრის ავადმყოფობას ეხებოდა, ჟულიამ მოახლოვებული სიკვდილი უწინასწარმეტყველა. მალე ეს პროგნოზი ახდა, თუმცა იმ მომენტში, როცა ჟულიამ ის წარმოთქვა, გამოჯანმრთელება გაცილებით უფრო მოსალოდნელი იყო, ვიდრე სიკვდილი. მეორეს, რომელმაც ჰკითხა, სასამართლო პროცესი როგორ დამთავრდებაო, ჟულიამ საკმაოდ მოიარებით უპასუხა. სამაგიეროდ, სპონტანურად მიანიშნა მისთვის მეტისმეტად ძვირფასი, დიდი ხნის წინ დაკარგული და ხშირად სულ ამაოდ ნაძებნი ნივთის ადგილსამყოფელი.

რაც შეეხება ჩემს საქმეს, ჟულიას წინასწარმეტყველება ნაწილობრივ ახდა, ანუ, მიუხედავად

იმისა, რომ ძირითად პუნქტში არ გამიმარჯვია, მთლიანობაში, ყველაფერი დამაკმაყოფილებლად მოგვარდა. აი, მეტოქის სიკვდილი კი ჯერჯერობით არ ჩანს და მეც ხალისით ვათავისუფლებ მომავალს იმის შესრულებისგან, რასაც დაბეჯითებით დამპირდა უცნობი სამყაროს ბინადარი გოგონას ბაგით.

VII

დიდად საკვირველია, რომ ასე შეუძლიათ შემოალწიონ ჩვენს უზენაეს თავშესაფარში და ჩვენზე უკეთ ამოიკითხონ ზოგჯერ მთლად დავიწყებული ან უკუგდებული, თუმცა მუდამ ცოცხალი ან ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი აზრები თუ გრძნობები. ნამდვილად შემაცბუნებელია, რომ მავანი უცნობი ჩვენზე უფრო ღრმად შედის ჩვენსავე გულში. ეს განსაკუთრებულ სხივს აფენს ჩვენს შინაგან ცხოვრებას. ამაოდ ვუდარაჯებთ, ამაოდ ჩავიკეტებით საკუთარ თავში, — ჩვენი ცნობიერება ჰერმეტული კი არ არის, არამედ მიედინება და ჩვენ არ გვეკუთვნის. და თუ საგანგებო გარემოებებია საჭირო იმისთვის, რომ ჩვენს ცნობიერებაში ვინმე შემოიჭრას, მაშინ ისიც უდავოა, რომ ნორმალურ პირობებში, ჩვენი „გულის სიღრმე“ (როგორც უწოდა ადამიანის ღრმა ინტუიციამ, რომელსაც ხშირად ვპოულობთ სიტყვების ეტიმოლოგიაზე დაკვირვებისას) ერთგვარი ფორუმია, ანუ სულიერი ბაზარი, სადაც იმათი უმრავლესობა, ვისაც იქ რამე ესაქმება, თავისი ნება-სურვილით მიდი-მოდის, თავისებურად მიმართავს მზერას და ჭეშმარიტებებსაც სრულებით განსხვავებულად ირჩევს, — გაცილებით უფრო თავისუფლად, ვიდრე აქამდე წარმოგვედგინა.

მაგრამ დავტოვოთ ეს თემა, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს არ შეადგენს. ჟულიას წინასწარმეტყველებებში მე ჩემივე უცნობი კუნჭულების მოკვლევა მსურდა. ნუთუ იმაზე შორს წავიდა, რაც მე *უკვე ვიცოდი*? არა მგონია. როდესაც საქმის ბედნიერი დასასრული მიხსენა, ეს, საბოლოო ჯამში, იყო ის დასასრული, რომელსაც მე განვჭვრეტდი, რომელსაც, უკიდურეს შემთხვევაში, შეეძლო დაეკმაყოფილებინა ჩემი *ინსტინქტის* ეგოისტური და ტლანქი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი მოვალეობის ერთგულ ჩემს *ნებას* გადაწყვეტილი ჰქონდა ყველაფერი გაეწირა, ოღონდ ამ მოვალეობაზე უარი არ ეთქვა და მასზე უფრო მაღლა საბრალო პიროვნული ტრიუმფი არ დაეყენებინა. ამდენად, აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის ურთიერთობებში ინსტინქტის უიდუმალესი ხმა უკეთ ისმის, ვიდრე თვით საუკეთესოდ განსაზღვრული ნების მოწოდება. მაშინაც, როცა მეტოქის სიკვდილი მამცნო, ამით მან მხოლოდ იმავე ინსტინქტის იდუმალი სურვილი გამიმჟღავნა, — იმ ლაჩრულ და სამარცხვინო სურვილთაგან ერთ-ერთი, რომლებსაც საკუთარ თავს ვუმალავთ და რომლებსაც არასოდეს ვაცნობიერებთ. რეალურად, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა წინასწარმეტყველება, თუ ყოველგვარი მოლოდინის, ყოველგვარი ალბათობის საწინააღმდეგოდ, სიკვდილი მაინც მოხდებოდა. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის კაცი ნამდვილად მალევე მოკვდებოდა, ვფიქრობ, ეს მაინც პითიას მიერ განჭვრეტილი მომავალი კი არ იქნებოდა, არამედ ისევ მე, ჩემი ინსტინქტი, ჩემი არაცნობიერი არსება, რომელიც განჭვრეტდა მასთან დაკავშირებულ მოვლენას. იგი ამოიკითხავდა *დროში*, — არა მთლიანად, არა როგორც იმ უნივერსალურ წიგნში,

რომელშიც წინდაწინ წერია ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს, — არამედ ჩემით, ჩემს წიაღ, ჩემს ინდივიდუალურ ინტუიციაში. სხვას კი არაფერს იზამდა, მხოლოდ გადათარგმნიდა იმას, რასაც ჩემი არაცნობიერი ჩემსავე აზრს ვერ ეუბნებოდა.

ვფიქრობ, იგივე მოხდა რჩევის საკითხავად მისული იმ ორი ადამიანის შემთხვევაშიც. ის, რომელსაც ჟულიამ მეგობრის სიკვდილი უწინასწარმეტყველა, როგორც ჩანს (მიუხედავად თავდაჯერებულობისა, რითაც გონება მოსავს *მეგობრობას*), ატარებდა ინტიმურ რწმენას, — ბუნებრივსა თუ „მარჩიელურს", მაგრამ ძალუმად ჩახშულს, — რომ ავადმყოფი დაიღუპებოდა. და მთვარეულმაც ამ ადამიანში — მისი მოთაფვლის მცდელ მისივე ნაზ იმედებს შორის — სწორედ ეს რწმენა აღმოაჩინა. რაც შეეხება მეორეს, დაკარგული ნივთი რომ იპოვა სრულებით მოულოდნელად, ძნელია სხვა ადამიანის გონებრივი მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით გამოცნობა, რათა გადავწყვიტოთ, ორმაგ ზრახვას ატარებდა ის თუ ბუნდოვან მოგონებას. ნუთუ სულ ოდნავადაც აღარ ახსოვდა, სად და რა გარემოებებში დაკარგა ის ნივთი? თვითონ ამტკიცებს, ნამდვილად არანაირი წარმოდგენა არ მქონდაო, მეტიც: ისიც კი მჯეროდა, რომ ნივთი კი არ დაიკარგა, არამედ მოიპარეს და გამუდმებული ეჭვი მღრღნიდა ერთ-ერთი ჩემი შინაურის მიმართო. თუმცა, შესაძლოა, თავისი აზროვნების, თავისი მღვიძარე მეს ჩაურთველად, მის არაცნობიერ და თითქოს მძინარე ნაწილს მშვენივრად ახსოვდა ნივთის ადგილსამყოფელი. აქედან გამომდინარე, — არანაკლები, თუმცა სხვა რანგის სასწაულით, — ნათელმხილველმა მიაგნო და გამოაღვიძა ფარული, თითქმის ცხოველური ხსოვნა, და გამოიტანა ადამიანურ სინათლეზე, რომელზე გამოსვლასაც ეს ხსოვნა ამაოდ ცდილობდა ამ მომენტამდე.

VIII

ასე აიხსნება თუ არა ყველა სხვა წინასწარმეტყველებაც? იფარგლებოდნენ თუ არა დიდი წინასწარმეტყველები, სიბილები, პითიები, მარჩიელები იმით, რომ ირეკლავდნენ, ადამიანურ ენაზე თარგმნიდნენ და გასაგებ ფორმას ანიჭებდნენ მათივე მსმენელი ინდივიდებისა თუ ხალხების ინსტინქტურ ნათელხილვას? დე, თითოეულმა ჩვენგანმა მისაღებად სცნოს ის ჰიპოთეზა, რომელსაც საკუთარი გამოცდილება კარნახობს. მე ჩემი პასუხი წამოვნიე იმ უბრალოებით და სინრფელით, ბუნებასთან დაკავშირებული საკითხი რომ მოითხოვს.[12]

ვიმეორებ: თითქმის დაუჯერებელი ამბავია, რომ მომავლისა სრულებით არაფერი გვესმის. მე მგონი, ისევე ვდგავართ მის წინაშე, თითქოს დავიწყებული წარსულის წინ ვიდგეთ. შეგვეძლო გვეცადა, რომ მასში ჩვენი თავი გაგვეხსენებინა. ზოგიერთი ფაქტი გვკარნახობს, რომ ეს შეუძლებელი არ უნდა იყოს. უნდა გამოვიგონოთ ან ვიპოვოთ ამ „ჩვენამდელი" მეხსიერების გზა.

სავსებით გასაგებია, რომ ადამიანს არ აქვს უნარი წინდაწინ შეიტყოს სტიქიების მომავალი აბობოქრება, პლანეტების, დედამიწის, იმპერიების, ხალხებისა და რასების ბედი. ეს ჩვენ უშუალოდ არ გვეხება და წარსულში მომხდარი ამბებიც მხოლოდ ისტორიის ყალთაბანდობით თუ შევიტყვეთ. მაგრამ ის, რაც ნამდვილად გვეხება, რაც ჩვენი მისანვდომობის ფარგლებშია, რაც უნდა წარიმართოს ჩვენთვის განკუთვნილი წლების არეალში, — ჩვენი სულიერი ორგანიზმის სეკრეცია, რომელიც ისევე გვფუთავს *დროში*, როგორც ნიჟარა ან პარკი ფუთავს მწერს ან მოლუსკს *სივრცეში*, — ესეც

და მასთან დაკავშირებული ყველა გარეგანი მოვლენაც, წესით და რიგით, ამ პაწია არეალში უნდა ეწეროს. ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო ბუნებრივია, რომ ასე იყოს და სხვაგვარად წარმოუდგენელიც კია. სწორედ ამ სფეროში ებრძვის რეალობები ილუზიას და არაფერი გვაბრკოლებს დავიჯეროთ, რომ აქ, როგორც სხვა ნებისმიერ ადგილას, ეს რეალობები მხოლოდ ილუზიის დამარცხებით არ იფარგლება. რეალობები ისაა, რაც ჩვენ გადაგვხდება და რაც უკვე მოხდა იმ ისტორიაში, რომელიც ადამიანურ ისტორიაზე მაღლა დგას, ანუ სამყაროს უძრავ-ზეადამიანურ მატიანეში. ილუზია, ესაა გაუმჭვირვალე რიდე მოქსოვილი იმ ეფემერული ძაფებისგან, რომლებსაც ჰქვია „გუშინ", „დღეს" და „ხვალ" და რომლებსაც ჩვენ ამ რეალობებს ვაქსოვთ. მაგრამ აუცილებელი არ არის, მთელი ჩვენი არსება მუდამ ამ ილუზიით გაბრიყვებული დადიოდეს. ისიც კი შეგვიძლია ვუთხრათ ჩვენს თავს: ვინ იცის, ეგებ ჩვენი უჩვეულო უუნარობა — შევიცნოთ ეგზომ მარტივი, უდავო, დასრულებული და აუცილებელი რამ, როგორიცაა *მომავალი*, ერთ მშვენიერ დღესაც უკიდურესი გაკვირვების საგნად ექცეს ჩვენთან მოხვედრილ უცხოპლანეტელს?

თუმცა, დღესდღეობით, ეს იმდენად შეუძლებელი გვგონია, რომ იმის წარმოდგენაც კი გვიჭირს, როგორ უკუაგდებს მომავალში დარწმუნებული რეალობა ჩვენს შენიშვნებს თუ კრიტიკას, რომელსაც გავუკეთებდით ჩვენივე გონების ორგანული ილუზიის სახელით. მაგალითად, ამას: „თუ რაიმე საქმიანი წამოწყების წინ გვეცოდინება, რომ მას ცუდი დასასრული ექნება, მაშინ არც წამოვიწყებთ; და ვინაიდან — სანამ შეკითხვას დავუსვამთ — სადღაც დროში უკვე უნდა ეწეროს, რომ ამ წამოწყე-

ბას ადგილი არ ექნება, რაკიღა მასზე უარი ვთქვით, მაშინ ვერც იმის დასასრულს განვჭვრეტთ, რასაც დასაწყისი არ ექნება...“ და ა.შ.

რომ არ დავიკარგოთ ამ გზაზე, რომელსაც მივყავართ ადგილებისკენ, სადაც არაფერი გვიხმობს, საკმარისი იქნება ჩვენს თავს ვუთხრათ, რომ მომავალი, როგორც ყოველივე არსებული, ალბათ, ჩვენი წარმოსახვის ლოგიკაზე უფრო თანმიმდევრული და უფრო ლოგიკურია და რომ მასში წინდაწინ განჭვრეტილია მთელი ჩვენი ყოყმანი და გაურკვევლობა. სხვა მხრივ კი, გვჯეროდეს: წინდანინაც რომ გვცოდნოდა, მოვლენათა მსვლელობა მაინც არ შეიცვლიდა გეზს. უწინარეს ყოვლისა, მომავალს თუ მის რომელიმე ნაწილს მხოლოდ ისინი თუ შეიტყობენ, ვინც კეთილს ინებებს და გაირჯება ამისთვის. განა წარსული ან საკუთარი აწმყოს ნაწილი მხოლოდ იმან არ იცის, ვისაც ჰყოფნის კითხვების დასასმელად საჭირო სიმამაცე და გონიერება? ჩვენ ისევე სწრაფად ავითვისებთ ამ ახალი მეცნიერების გაკვეთილებს, როგორც ისტორიის გაკვეთილები ავითვისეთ. მალე დავასახელებთ იმ მანკიერებებს, რომელთაგანაც შეგვეძლო თავი დაგვეღწია, და იმათაც, რომლებიც აუცდენელია. უბრძნესი ადამიანები ზღვრულად შეიმცირებენ მანკიერებათა რიცხვს, სხვები კი ისე გადაასწრებენ ამ უკანასკნელთ, როგორც ახლა უსწრებენ არაერთ უეჭველ და იოლად განსაჭვრეტ კატასტროფას. ჩვენი საწუხარ-სადარდებელი, მთლიანობაში, რამდენადმე შემცირდება და, სხვათა შორის, უფრო მეტად, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს. რადგან ჩვენს გონებას უკვე ხელეწიფება მომავლის ნაწილობრივი განჭვრეტა, — თუ მატერიალური სიცხადით არა (რაზეც ვოცნებობთ ხოლმე), მაშინ სავსებით დამაკმაყო-

ფილებელი ზნეობრივი უეჭველობით მაინც. და ისიც აღვნიშნოთ, რომ ესოდენ იოლ განჭვრეტებში ადამიანთა დიდი ნაწილი ვერაფერ სასარგებლოს ვერ პოულობს. ისევე უგულებელყოფენ მომავლის რჩევებს, როგორც უსმენენ, მაგრამ არ მიჰყვებიან წარსულის შეგონებებს.

შენიშვნები

[1] „აუცილებელი ცვლილებების შეტანით“ (ლათ.).

[2] იგულისხმება სხვასხვა ჟანრის შემოქმედებითი მოღვაწე.

[3] „სამწუხაროდ, ის მეძავია“, ინგლისელი დრამატურგის, ჯონ ფორდის (1586-1639) პიესა.

[4] ბრიტანელი ნატურალისტი (1825-1895).

[5] ჟან-ჟაკ რუსოს თხზულება.

[6] გეოლოგიური ტერმინი.

[7] ფრანგი მორალისტი (1715-1747).

[8] აი, ეს ისტორიაც, მშვენივრად კომენტირებული დოქტორი ფუასაკის მიერ: „მეოთხე წლის 8 ფლორეალს (რესპუბლიკური კალენდრის მიხედვით), საღამოს 9 საათზე, შიკრიკსა და მეეტლეს, რომლებსაც პარიზიდან ლიონში ტვირთი მიჰქონდათ, სენარის ტყეში თავს დაესხნენ და დახოცეს. მკვლელები იყვნენ კურიოლი, რომელიც იმთავითვე იჯდა კაბრიოლეტში შიკრიკის გვერდით, დიუროშალი, როსი, ვიდალი და დიუბოსკი, რომლებიც მას დაქირავებული ცხენებით შეეგებნენ, დაბოლოს, ბერნარი, რომელმაც ეს ცხენები იშოვა და მოპოვებული ნადავლიც გაინაწილა. ამ დანაშაულისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხუთმა მკვლელმა, ერთმა შეთქმულმა და ცხენების ერთმა დამქირავებელმა, *შვიდივე* ინდივიდი ეშაფოტზე ავიდა. მართლმსაჯულებამ სიკვდილით დასაჯა კიდევ ერთი ადამიანი, ანუ უდანაშაულო კაცი, რომელიც შვიდთაგან ერთ-ერთი ვერ იქნებოდა: მათ ხომ ერთხმად აღიარეს დანაშაული. ეს იყო ლეზურკი, რომელიც ბოლო მომენტამდე აპროტესტებდა — დამნაშავე არ ვარო — და რომელთანაც პირად ნაცნობობას უარყოფდა ყველა დანარჩენი, ვისაც ის ვითომცდა თანამზრახველობდა. მაშ, როგორ

მოხდა, რომ ეს უიღბლო კაციც ჩათრეული აღმოჩნდა საქმეში, რომელმაც მისი სახელი ეგზომ სავალალო უკვდავებით შემოსა? ფატალობამ ინება, რომ მკვლელობამდე ოთხი დღით ადრე ლეზურკი (რომელსაც დაეტოვებინა დუე, სადაც 18 000 ლივრის ოდენობის წლიური შემოსავალი ჰქონდა, და, შვილებისათვის განათლების მიცემის მიზნით, პარიზში გადმოსახლებულიყო) თავის თანამემამულე გესნოს საუზმის მაგიდასთან აღმოჩნდა იმ მომენტში, როცა მათ ასევე საუზმეზე მოპატიჟებული კურიოლიც შემოუერთდათ. როგორც კი კურიოლზე ეჭვი აიღეს, ამ საუზმის ამბავი საკმარისი აღმოჩნდა, რომ გარკვეული ხნით გესნოც დაეპატიმრებინათ. თუმცა ალიბის დამტკიცებისთანავე მოსამართლე დუბენტონმა იგი დაუყოვნებლივ გაათავისუფლა, ოლონდ, რაკი გვიანი იყო, საბუთების გასატანებლად მეორე დღეს დაიბარა.

11 ფლორეალს, დილით, გესნო სწორედ ამ მიზნით გაემართა პოლიციის პრეფექტურისკენ, გზად ლეზურკს გადაეყარა და შესთავაზა, წამომყევიო, რაზეც იმ მომენტში უსაქმოდ მყოფი ლეზურკი ფეხისაუთრეველად დათანხმდა. როცა პრეფექტურის წინკარში მაგისტრატის მოსვლას ელოდებოდნენ, შემოიყვანეს იმავე საქმესთან დაკავშირებული ორი ქალი, რომლებმაც, იმხანად გაქცეულ დიუბოსკთან ლეზურკის გარეგნული მსგავსებით შეცდომაში შეყვანილებმა, უყოყმანოდ მიუთითეს ამ უკანასკნელზე — აი, ერთ-ერთი მკვლელიო. საუბედუროდ, ქალები ამას ბოლო მომენტამდე ჯიუტად ადასტურებდნენ. ლეზურკის მიერ მოყვანილი არგუმენტები მის სასარგებლოდ მეტყველებდა. სხვა ფაქტებს შორის, რომლებიც იმის დასამტკიცებლად მოჰყავდა, 8 ფლორეალს პარიზიდან არ გავსულვარო, მან დაასახელა იუველირ ლეგრანთან ყოფნა და ამ უკანასკნელსა და თავის ძმობილ ალდენოფს შორის მომხდარი სავაჭრო გარიგების დასწრება. ეს გარიგება ნამდვილად შედგა 8 ფლორეალს. მაგრამ ლეგრანმა, რომელსაც საბუღალ-

ტრო ჟურნალის ჩვენება მოსთხოვეს, შენიშნა, რომ, რაღაც მექანიკური შეცდომის გამო, იქ 8-ის ნაცვლად ციფრი 9 ჩაეწერა. იუველირმა მცდარი 9-იანი ისევ 8-ად გადაასნორა ყოვლად კეთილი მოსაზრებით — გადაერჩინა თანამემამული, რომლის უდანაშაულობა მისთვის დღესავით ნათელი იყო, მაგრამ რომელიც, გადარჩენის ნაცვლად, სასიკვდილოდ განირა. ციფრის გადაკეთება სულ იოლად დადასტურდა და, იქიდან მოყოლებული, სახალხო მინისტრიცა და ნაფიცი მსაჯულებიც სრული უნდობლობით ეკიდებოდნენ ბრალდებულის მიერ დასახელებულ ოთხმოცივე მოწმეს. ლეზურკს მიესაჯა სიკვდილი ქონების კონფისკაციით. განაჩენის გამოტანასა და მის აღსრულებას შორის 87 დღემ განვლო, რაც იმახანად სრულებით უჩვეულო დაყოვნება იყო. ეს იმიტომ, რომ მისმა ბრალეულობამ დიდი ეჭვები აღძრა.

დირექტორატს შენყალების უფლება არ ჰქონდა, იფიქრა, ამ საკითხს *ხუთასის საბჭო* განიხილავსო; და სთხოვა კიდევაც: „გაარკვიეთ, ლეზურკი ნამდვილ დამნაშავესთან ფიზიკურ მსგავსებას ხომ არ ეწირებაო". *საბჭომ* დღის წესრიგში სიმეონის რაპორტი დააყენა და ლეზურკი სიკვდილით დასაჯეს. თავის ბრალეულობას არამარტო ლეზურკი უარყოფდა, არამედ განაჩენის გამოცხადების მომენტში კურიოლმაც ჯიქურ წამოიძახა: „ლეზურკი უდანაშაულოა!". იგივე პროტესტი გაისმა საბედისწერო ფორანზე, რომლითაც სიკვდილმისჯილები მიჰყავდათ, და თვით ეშაფოტზეც. ყველა განწირული თავს დამნაშავედ ცნობდა და, იმავდროულად, ლეზურკის უდანაშაულობას აღნიშნავდა. მხოლოდ IX ნელს დაიჭირეს და დასაჯეს დიუბოსკი — ლეზურკის „ორეული".

მამის თავს დამტყდარმა ფატალობამ არც ამ ოჯახის სხვა წევრები დაინდო. ლეზურკის დედა გაუსაძლისმა ვარამმა გადაიყოლა, მეუღლე ჭკუიდან შეიშალა, სამი შვილი კი განუზომელ მიუსაფრობასა და სიღატაკეში ჩაცვივდა. თუმცა მოგვიანებით, ამ

გაუგონარი უიღბლობით შეძრულმა მთავრობამ ლეზურკის ოჯახს ორ ნაწილად დაუბრუნა უსამართლო კონფისკაციით ჩამორთმეული ხუთასი თუ ექვსასი ფრანკი. მაგრამ ამ ქონების უდიდესი ნაწილი ვიღაც თაღლითმა მიითვისა. განვლო სამოცმა წელმა. ლეზურკის სამი შვილიდან ორი გარდაიცვალა, დარჩა მხოლოდ ვირჟინი ლეზურკი. საზოგადოებამ უკვე დიდი ხნის წინ აღიარა მისი უბედური და მოგვიანებით რეაბილიტირებული მამის უდანაშაულობა. მაგრამ ვირჟინის უფრო მეტი სურდა. როგორც კი გამოიცა 1887 წლის 29 ივნისის კანონი, რომელიც ოფიციალურად იძლეოდა კრიმინალურ გასამართლებათა გადასინჯვის უფლებას, ქალს იმედი მიეცა, რომ მამის რეაბილიტაცია თვით მართლმსაჯულების ტაძარში მოხდებოდა... მაგრამ ფატალობის ამ გრძელი ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი ის აღმოჩნდა, რომ საკასაციო სასამართლომ, ლეგალურ წვრილმანთა მოშველიებით და 1868 წლის 17 დეკემბერს მიღებული კანონის საფუძველზე განაცხადა, რომ ამჯერად არ იყო ამ საკითხის ძირეულად განსჯის ვითარება და რომ ვირჟინი ლეზურკის კასაციას ვერ განიხილავდნენ.

თითქოს აქაც — რომელიღაც უსაზღვრლესი სიზმრის არ იყოს — ვხედავთ ევმენიდების მიერ მოხელთებულ საბრალო მსხვერპლს. გესნოსთან გამართული საუზმიდან მოყოლებული, ლეზურკი განუწყვეტლივ ტრიალებს მისკენ გამოქანებული უფსკრულის თავზე, ვეება გრიფივით ფრთებგაშლილი ბედისწერა კი დღის შუქს უბნელებს ლეზურკთან მოახლოებულ ყველა ადამიანს. და წრეებიც — მაღლამყოფი თუ დაბლამყოფი — მაგიურად ჩქარობენ და ვიწროვდებიან, დაბოლოს, ერთმანეთს თანხვდებიან და ერთ გვამს ატყდებიან თავს.

მართლაცდა, ამ საქმეში მომაკვდინებელ ფატალობათა თანამზრახველობას აშკარად ზებუნებრივი სახე აქვს. ეს არის მითივით ტიპური, გოლიათური და სიმბოლური შემთხვევა. თუმცა ისიც უეჭველია, რომ

ანალოგიური სერიები მინიატურულ მასშტაბებში ყოველდღიურად ხდება — ბოროტ თუ ბედუკულმართ ვარსკვლავს დამორჩილებულ მრავალ ადამიანურ ცხოვრებაში მომხდარ ათასობით უფერულ ან სასაცილო უსიამოვნებაში.

[9] სტიუარტების ბედნავსობათა ჯაჭვი საკმაოდ ცნობილია. ნაკლებად პოპულარულია კოლინიების ამბავი. აი, რა შესანიშნავად აშუქებს მათ ზემოხსენებული ავტორი: „ფრანსუა I მარშალმა, გასპარ დე კოლინიმ ცოლად შეირთო კონეტაბლის და, ანნა დე მონმორენსი. მას უსაყვედურეს: შარლ-კვინტს ნახევარი დღის დაგვიანებით შეუტია, არადა, ხელს არაფერი გიშლიდა, ამიტომაც თითქმის უეჭველი გამარჯვება გაუშვი ხელიდანო. მისმა ერთ-ერთმა ვაჟიშვილმა, არქიეპისკოპოსმა და კარდინალმა, პროტესტანტიზმი მიიღო და წითლად შეიმოსა. მარშალი დამარცხდა სენ-დენისის ბრძოლაში მეფის წინააღმდეგ და გაიქცა ინგლისში, სადაც, 1571 წელს, ერთ-ერთმა შინაურმა მოწამლა. თუმცა მკვლელობის ამ მცდელობას მარშალი გადაურჩა და სურდა საფრანგეთში დაბრუნებულიყო. საბოლოოდ, ლა-როშელში შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ადმირალი კოლინი, კარდინალის ძმა, თავისი საუკუნის ერთ-ერთ უპირველეს კაპიტნად ითვლებოდა. სენ-კვენტინის დაცვის დროს მან სასწაულები ჩაიდინა, თუმცა ბოლოს ტყვედ ჩავარდა. შემდგომში, პრინც კონდეს კარზე, კალვინისტების ნამდვილი წინამძღვარი გახდა, გამოავლინა ყველანაირი სიმამაცე, ისევე როგორც ნაყოფიერი გონება მატერიალური მომარაგების საქმეში. არავის ეპარებოდა ეჭვი არც მის დამსახურებაში და არც საბრძოლო ნიჭიერებაში. ყველაფრის მიუხედავად, თავის წამოწყებებში იგი გამუდმებულ წარუმატებლობას განიცდიდა. 1562 წელს დამარცხდა დრეს ბრძოლაში ჰერცოგ დე გიზის და სენ-დენისის ბრძოლაში კონეტაბლ დე მონმორენსის წინააღმდეგ. დამარცხდა უარნა-

კის ბრძოლაშიც, რომელიც მისთვის საბედისწერო გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ პუატუში, მონკონტურის ბროლაშიც მარცხი იწვნია, სულით არასოდეს დაცემულა. თავისი სიმარჯვითა და მოწადინებით, ადმირალს შესწევდა უნარი გამკლავებოდა ბედისეულ ღალატს, ხოლო დამარცხებების შემდეგ მოზეიმე მტრებზე უფრო საშიში ჩანდა. არაერთგზის დაჭრილმა, მაგრამ შიშის არმცოდნემ, მისი მომჩქეფარე სისხლის დანახვით ატირებულ მეგობრებს უთხრა: „განა ის საქმიანობა, რომელსაც ჩვენ ვეწევით, სიკვდილსაც ისევე არ უნდა გვაჩვევდეს, როგორც სიცოცხლეს?“ წმინდა ბართლომეს ამბებამდე რამდენიმე დღით ადრე, მოვერემ მას კარაბინიდან ესროლა და სახიფათოდ დაჭრა მარჯვენა ხელსა და მარცხენა მკლავში. წმინდა ბართლომეს სისხლიანი დღის წინაღამეს კი ადმირალთან დაქირავებული მკვლელები შეიპარნენ ბესმის მეთაურობით, რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს და ფანჯრიდან გადააგდეს თავისივე სახლის ეზოში, სადაც დალია კიდევაც სული ჰერცოგ დე გიზის ფერხთით. სამდღიანი საჯარო შეურაცხყოფის შემდეგ, მისი გვამი ფეხებით დაკიდეს მონფოკონის სახრჩობელაზე.

ამრიგად, თავისი დროის უდიდეს კაპიტნად აღიარებული ადმირალი კოლინი მუდმივად უპედური და მუდმივად დამარცხებული იყო, ხოლო მისმა მეტოქემ, დე გიზმა, უფრო ფრთხილმა და უფრო თავხედმა, იცოდა, როგორ გაეოცებინა მტრები და როგორ გაეკონტროლებინა მოვლენათა მსვლელობა. „კოლინი კეთილსინდისიერი ადამიანი იყო, — ამბობს აბატი დე მაბლი, — გიზი კი მრავალი სათნოების ნიღაბს ამოფარებოდა. ბრბოს კოლინი სძულდა, გიზისგან კი კერპი შეექმნა.“ ჰყვებიან, რომ ადმირალ კოლინის დაუტოვებია ჟურნალი, რომელიც დიდი ინტერესით წაუკითხავს შარლ IX, შემდეგ კი მარშალ რეცს დაუწვავს. დაბოლოს, კოლინის სახელთან დაკავშირებული ფატალური ბედისწერა იმით დაგვირგ-

ვინდა, რომ ამ ოჯახის ბოლო შთამომავალი დუელში მოკლა შევალიე დე გიზმა.

[10] მართლაცდა, აღსანიშნავია, რომ კატასტროფებში მუდამ იმაზე ნაკლები ხალხი იღუპება, ვიდრე თვით ყველაზე რაციონალური ვარაუდი მოელის. ბოლო მომენტში, მოულოდნელ და განსაკუთრებულ გარემოებას თითქმის ყოველთვის განზე გაჰყავს საფრთხის ქვეშ მყოფ ადამიანთა ნახევარი და, ზოგჯერ, ორი მესამედიც კი. ტალღებში დანთქმულ სამგზავრო გემზე, როგორც წესი, გაცილებით ნაკლები მგზავრი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე იმ გემზე, რომელსაც არაფერი მოსდის. ხიდს, რომელიც ინგრევა, ეს, უხშირეს შემთხვევაში და ყოველგვარი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ მას შემდეგ ემართება, რაც უკვე მთლიანად ან მეტწილად ცარიელდება. სამწუხაროდ, ასე არ ხდება თეატრში ან სხვა სახალხო თავშეყრის ადგილებში გაჩენილი ხანძრების დროს. მაგრამ იქ, როგორც ვიცით, ძირითად საფრთხეს ქმნის არა იმდენად ხანძარი, რამდენადაც გაგიჟებული და ერთმანეთში ალუფხული ხალხის ნაკადი. მაღაროს აირიც, უპირატესად, მაშინ ფეთქდება, როცა იქ საგრძნობლად უფრო ნაკლები მემაღაროეა, ვიდრე ჩვეულებრივ არის ხოლმე. დენთის ან ვაზნების ქარხანაც, როგორც წესი, ისეთ მომენტებში ფეთქდება, როცა მუშების უმრავლესობა რაღაც ამაო, მაგრამ პროვიდენციალური მიზეზით იქაურობას გასცლია. ეს კანონზომიერება იმდენად თვალშისაცემია, რომ თითქმის უცვლელი დაკვირვება უკვე კლიშედ ქცეულა და ჩვენთვის სიახლეს აღარ წარმოადგენს. ყოველდღე ვკითხულობთ გაზეთებში ამდაგვარ ფრაზებს: „კატასტროფა, რომელსაც შეიძლებოდა საზარელი შედეგები მოჰყოლოდა, ამა და ამ გარემოებათა წყალობით, საბედნიეროდ, ამით შემოიფარგლა...“ ან კიდევ: „ცახცახი გვიტანს იმის წარმოდგენაზე, რომ სულ ერთი წუთის შემდეგ იგივე ინციდენტი უამრავ მუშას, უამრავ მგზავრს შეიწირავდა...“

რა არის ეს? შემთხვევის გულმოწყალება? ჩვენ უფრო და უფრო ნაკლებად გვჯერა შემთხვევის პიროვნულობის, აზროვნების თუ ზრახვიანობის. გაცილებით უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ადამიანის რომელღაც კუნჭულმა მომავალი უბედურება იყნოსა და რომ მრავალი არსებისთვის დამახასიათებელმა ბნელმა, მაგრამ უტყუარმა ინსტინქტმა ისინი საფრთხეს აარიდა იმ მომენტში, როცა, უცაბედად გაზრდილმა, *გარდაუვალის* აუცდენელ-დაბეჯითებითი სახე მიიღო. ამ დროს იშვება არაცნობიერიდან მომდინარე ერთგვარი ყრუ, ფარული პანიკა, რომელიც გარესამყაროში იღებს მცდელობის, ახირების, შემთხვევითობის სახეს, ხშირად — ბავშვურს და უსაფუძვლოს, მაგრამ წინაღუდგომელს და გადამრჩენელს.

[11] ზღვის ბინადარი მითოლოგიური ქალღმერთი, რომელსაც ყველანაირი სახის მიღება შეუძლია.

[12] ჩემი ძიების სხვა სუბიექტებისგან ნაკლებად საინტერესო, თუმცა ანალოგიური ხასიათის შედეგები მივიღე. მოვინახულე, მაგალითად, ქირომანტების გარკვეული სიმრავლე. და როცა ვუყურებდი ამ ხელისგულის ნათელმხილველთაგან ზოგიერთის მდიდრულ აპარტამენტებს, მათი, ვისაც, სისულელეების გარდა, ჩემთვის არაფერი გაუმხელია (ყველაფრის მიუხედავად, ვუშვებ ერთ საპატიო გამონაკლისს), და უკვე აღფრთოვანებაში მოვყავდი მათი კლიენტურის გულუბრყვილობას, ამ დროს ერთმა მეგობარმა მიმანიშნა მონტ-დე-პიეტეს ახლოს ერთ შუკაში მდგარ სახლზე, რომელში მობინადრე პრაქტიკოსს, მისი თქმით, ათვისებული ჰქონდა ქირომანტული მეცნიერების დიდი ტრადიციები.

ამ სახლ-საჭიანჭველეს მეექვსე სართულის ანტრესოლზე, რომელიც ერთდროულად ასრულებდა მისაღები ოთახისა და საძინებლის როლს, მე გადავეყარე ერთ ჩვეულებრივ, რბილ და უპრეტენზიო მოხუცს, რომლის ფრაზები შვეიცარისას უფრო

ჰგავდა, ვიდრე წინასწარმეტყველისას. პირადად მე მისგან ბევრი არაფერი შემიტყვია, მაგრამ უფრო ნერვიულ რამდენიმე პიროვნებას, რომლებიც მე მივუყვანე, განსაკუთრებით — იმ ორ-სამ ქალს, რომელთა წარსულს და ხასიათს საკმარისად ვიცნობდი, მან საკვირველი სიზუსტით გაუმხილა მათი გონებისა და გულის საქმიანობა, მარჯვედ გაარჩია მათი ცხოვრების პრინციპული მომენტები, შეჩერდა იმ გზაჯვარედინებზე, სადაც მათი ბედისწერა რეალურად გადაიხარა ან შეყოყმანდა, აღმოაჩინა ზოგიერთი საოცარი, ზუსტი, თითქმის ანეკდოტური თავისებურება (მოგზაურობები, სიყვარულები, ზეგავლენები, შემთხვევები), ერთი სიტყვით, მთელი არსებით დანთქმულმა იმ თვითშთაგონებაში, რომლის წყალობითაც საიდუმლოსთან შეხებით მეტ-ნაკლებად ანაღვერდლებული ჩვენი წარმოსახვა დაუყოვნებლივ აკონკრეტებს თვით ყველაზე ჩამოუყალიბებელ მინიშნებასაც კი, მოხუცმა ქალებს — მათივე აწმყოდან და წარსულიდან ამოსვლით და თუნდაც რამდენადმე პირობითად და სიმბოლურად — ისეთი გამოკვეთილი სქემა დაუხაზა, რომელშიც ისინი, ერთგვარი უნდობლობის მიუხედავად, იძულებული გახდნენ თავიანთი ცხოვრების ხნული ამოეცნოთ.

რასაკვირველია, ამ მიგნებებში ნამდვილად იყო ისეთი რამ, რაც აღემატებოდა იღბლიან დამთხვევებს. როგორც ჩანს, აქ, სულ ცოტა, მოხდა ერთგვარი ნერვული კომუნიკაცია არაცნობიერისა ცნობიერთან (იმავე ხარისხის, რაც ჟულია-მთვარეულთან). იმავე ფენომენს შევხვედრიეარ კაფეში მომუშავე ყავის მკითხავთან, თუმცა — უფრო ალალბედური და უფრო ბუნდოვანი გამჟღავნებებით, რის გამოც ამაზე აღარ შევჩერდები.